


სამაცნეორო-საზოგადოებრივი ჟურნალი

# ქადა საუნჯე




1

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი  
კვარტალური გამოცემა



# სამი საუნჯე

№1(11), 2014




თბილისი  
გართი, 2014

უაკ: 070 (479.22)

b-21

სარედაქციო საბჭო

ბონდო არველაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ანზორ თოთაძე, გვანცა კოპლატაძე (რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ლომოური, გრიგოლ რუხაძე (რედაქტორი), გრანი ქავთარია.



დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია „სინერგიას“ ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს „სამი საუნჯი“.

<b>განათლება</b>	
გოვიგოვოლაშვილი, ფრთხილად, კლასიკა!.....	5
თუიძურაზ ფანჯიკიძე, უამი ნგრევისა და უგუნურებისა .....	17
<b>ქართლის ცხოვრება</b>	
თიხა იველაშვილი, საუკუნის უმძიმესი დანაშაული .....	29
მამუკა ცუხიშვილი, ქართველ მამულიშვილთა საქმეს გამგრძელებლები სჭირდება .....	44
გვანცა კოპლატაძე, სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო XIX საუკუნის პირველ ნახევარში .....	62
<b>პოლიტიკა</b>	
გულბაათ რცხილაძე, რატომ ეწინააღმდეგება დასავლეთი უკრაინისგან ყირიმის გამოყოფას? .....	73
შოთა აფხაიძე, „უკრაინული მაიდნის“ თავიდან აცილების გზა ...	77
<b>არმენოლოგია</b>	
ბონდო არველაძე, კათალიკოს დომენტი III ეპიტაფიის გამო .....	82
<b>ბიოეთიკა</b>	
გრიგოლ რუხაძე, კონტრაცეფციის, აბორტისა და სუროგაციის რელიგიური შეფასება .....	90
<b>თეზისები</b>	
კალერიან მაჭარაძე, თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში .....	104
<b>მამულიშვილთა მოსახსენებელი</b>	141
<b>ჩვენი ავტორები</b>	152
<b>РЕЗЮМЕ (რუს. თარგ. თამარ ფანცულაიასი)</b>	155
<b>SUMMARY (ინგ. თარგ. თეონა ჩალუნელისა)</b>	160


## პრეზიდენტის დროული გადაჯყვეტილება

ბ-ნშა ირაკლი ღარიბაშვილმა 2014 წლის 28 მარტს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას კონსტიტუციაში ახალი ჩანაწერის შემატების ინიციატივით მიმართა.

პრეზიდენტის შეფასებით, ანტიდისკრიმინაციული კანონის პროექტი ასახავს ქართველი ხალხის შემწენარებლობის ტრადიციას, რომელის თანახმადაც განსხვავებული რელიგიის, ეთნოსისა და განსხვავებული ცხოვრების წესის მიმღევარი აღამიანები საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის გვერდიგვერდ მშვიდობიანად ცხოვრობენ.

პრეზიდენტმა განაცხადა: – რაღგან შესაძლოა იუოს განსხვავებული მიღვომები და არ უნდა მოხდეს ამ თემით სტეპულირება, გამოვდივარ ინიციატივით, რომ კონსტიტუციაში შევიტანოთ ჩანაწერი, რომ რჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა. ასე მოიქცა დატვია, შარშან კი ხორცატია, ევროკავშირში შესვლის წინ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არსებული კანონმდებლობით ოჯახი ისედაც განისაზღვრება როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა, რომ არ მოხდეს არასწორი ინტერიერირება, გფიქრობ, სასურველია ამ საკონსტიტუციო ჩანაწერის არსებობა. ეს კანონი არ ქმნის არავისთვის რაიმე ტიპის ახალ უფლებას; ის საზოგადოების არც ერთ ჯგუფს რაიმე ტიპის პრივილეგიას არ ანიჭებს. კანონი უზრუნველეოფს მხოლოდ იმას, რომ უველამ თანაბრად ვისარგებლოთ იმ უფლებებით, რაც უკვე გვაქვს უზრუნველეოფილი საქართველოს კანონმდებლობით.

28. 03. 2014.



გიორგი გოგოლაშვილი

ფრთხილად, პლასიბაა!..

(ანუ შეტევა კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე)

1966 წელს გამოვიდა წიგნი „რას მოგვითხოობს „ვეფხისტყაოსანი“. ამ გამოცემამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია; საჯაროდ დაგმეს ეს მცდელობა; ითქვა, ეს ხელყოფა ჩვენი უპირველესი ლიტერატურული ძეგლის – „ვეფხისტყაოსანის“; ქართველ კაცს რისთვის სჭირდება შოთა რუსთაველის ქმნილების პროზაული ვარიანტი; პოემას აღარ წაიკითხავს ახალგაზრდობაო... ყოველივე ეს მართალი იყო, მაგრამ რა... ფაქტი დარჩა ფაქტად და თაობები გაიზარდა ისე, გენიალური პოემა რომ არ წაუკითხავთ... თუმცა იმჟამად სკოლა მეტ-ნაკლებად თავის სიმაღლეზე იდგა, ღირსეული პედაგოგიც მეტი გვყავდა და რუსთაველის ქმნილების გაცნობის მსურველი ახალგაზრდაც მრავლად იყო... თანდათან გართულდა ცხოვრება და... კლასიკური ქართული ლიტერატურის ბედიც დამძიმდა...

\*\*\*

ერთმა ცნობილმა ლიტერატორმა განგაში ატესა, განათლების მინისტრმა კ. ლომაიამ აგიოგრაფიულ ლიტერატურას „მკვდარი ნაწარმოებები“ უწოდა. აღმფოთდა და, მართალიც იყო... მაგრამ აგიოგრაფიული ლიტერატურის „მკვლელობის მცდელობა“ უფრო ადრე დაიწყო:

ოთხმოცდაათიანი წლების შუა ხანებში თბილისის სკოლებში მეცხრეკლასელებს მასწავლებლებმა „საქმე გაუადვილეს“ და სამლარად შეაძენინეს ახალ ქართულ ენაზე „თარგმნილი“ „შუშანიკის

წამება“ და „აბო თბილელის ცხოვრება“. ამ ბროშურებს „თარგმანს“ მე უწოდებ, თორუმ მოსწავლეებს ასე ეუბნებოდნენ: ესაა იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ და იოანე საბანისძის „აბოს წამებაო“, მას სხვა არც არაფერი ეწერა... ვიყვირეთ მაშინაც (გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“, №8-9, 1997); ვთქვით, რომ ეს ხელყოფაა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისა და ა. შ. თუმცა ფაქტია, რომ ბროშურების გამომცემლებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ: როგორც ვთქვი, იმ ბროშურებზე არც „მთარგმნელი“ იყო მთითებული და არც გამომცემელი, არც რედაქტორი და არც გამომცემლობა... მოკლედ, იცოდნენ, თუ რა „ავ საქმეს სჩადიოდნენ“ და „აკეთებდნენ ფულს“... დიახ, ეს იყო „მათი ბიზნესი“... თუმცა ბიზნესი პატიოსანი სიტყვაა; პირადი გამორჩენის მიზნით საგანმანათლებლო სისტემაში ავად ჩარევას იაკობ გოგებაშვილმა „სახსრის ტრფიალი“ და „კუჭის პრინციპი“ უწოდა... დიახ, „სახსრის ტრფიალმა“ და „კუჭის პრინციპმა“ არაერთი ავი საქმე ჩაადენინა „მავანს“, არაერთი კლასიკური ლიტერატურული ძეგლის ხელყოფა მოხდა...

ცოტა მოგვიანებით, იმავე ოთხმოცდაათიან წლებში, ახალი წიგნი გამოჩნდა – „გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სრული ტექსტი თანამედროვე ქართულ ენაზე. გიორგი მერჩულის თხზულება სიტყვა-სიტყვით გადაუღიათ ახალ ქართულზე; „საინტერესო“ მოტივი ჰქონდათ „ავტორებს“: თანამედროვე მკითხველის გაუცხოება მოხდა ძეგლი ქართული ლიტერატურის მიმართ და ეს არის გამოსავალიო, ასე დავაინტერესებთ, ასე მივიყვანთ ყმაწვილს წიგნთანო...“

ისევ ავტეხეთ ხმური: 1998 წელს უურნალმა „ბურჯი ეროვნებისა“ რამდენიმე ცნობილ სპეციალისტს ასეთი კითხვით მიმართა: „ახლახან გამოიცა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ქართულ ენაზე თარგმნილი. გასულ წელს „შუშანიკის წამება“ და „აბოს ცხოვრება“ „თარგმნებ“... ათეული წლებია სკოლის მოსწავლეთა უმეტესობა „ვეფხისტყაოსანს“ აღარ კითხულობს – პროზაულად „თარგმნილი“ „ვეფხისტყაოსანი“ დიდ გასაფალმა... აი, ეს გზა საით მიდის? რამდენად არის აუცილებლობა და საჭიროება ამგვარი „თარგმანების“ არსებობისა; არის თუ არა ეს ხელყოფა ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობისა, შეურაცხვოფა ჩვენი კულტურული წარსულისა? საერთოდ, რა უნდა გავაკეთოთ, როგორ აღვუდგეთ წინ ამგვარ ინიციატივებს? არადა ეს გამოცემები იძე-

ჭდება დიდი ტირაჟით და განათლების დარგის მუშაკები (ზოგჯერ იძულებითაც!) ავრცელებენ სკოლებში“ („ბურჯი ეროვნებისა“, №3, 1998).

ამ კითხვაზე რამდენიმე ცნობილი მეცნიერის პასუხს მოვიხმობ იმავე უურნალიდან.

პროფესორი ლევან მენაბედე: „იაკობ ხუცესის, იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულისა თუ შოთა რუსთაველის ნაწარმოებებს არ სჭირდება ასეთი თარგმნა; არც სხვას ძეგლი ქართული ლიტერატურის ძეგლთაგან. არ გვაქვს ჩვენ ამის საჭიროება, სომხურისა და ბერძნულის მსგავსი ვითარება. ერთი მხრივ ვამტკიცებთ, ჩვენს ენას არ განუცდია ისეთი ცვლილებები, როგორც სხვა ენებმა განიცადესო, რომ გაუგებარი იყოს ძველი მწერლების შემოქმედება და, მეორე მხრივ, „ვთარგმნით“... ეს რეპეტიტორების მოგონილია, ფულის კეთების საშუალებაა და როცა ამ მიზნით მივმართეთ კლასიკურ მემკვიდრეობას, ეს ფოვლად დაუშვებელია...“

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიძინიძე: „ეს არის ჩვენი კულტურის დაკინების საშინელი ფაქტი. მე მგონი, სალიტერატურო ქართული ენა ერთ-ერთი უნიკალური ენაა, რომელსაც 15 საუკუნის ისტორია აქვს და დღევანდელი ქართველისათვის მეხუთე საუკუნის ტექსტი გასაგებია... მართალია, შეიძლება იყოს პატარ-პატარა გაუგებრობები და სირთულეები, მაგრამ ამისთვის არსებობს სკოლა... მაგრამ ჩვენ თუ მოვდექით ახლა და ეს ძეგლები ვთარგმნეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ გავაღარიბებთ, დავაკინებთ ჩვენს უმთავრეს სიმდიდრეს – ქართულ ენას... მე მიმაჩნია, რომ ვინც ამას აკეთებს, ის შეგნებულად თუ შეუგნებლად (შეიძლება შეგნებულად არა), ხელყოფს ჩვენი კულტურის გველაზე მდიდარ და გველაზე მნიშვნელოვან საქმეს... როგორ შეიძლება ქართული მხატვრული ლიტერატურისა თუ საისტორიო მწერლობის შედევრებისადმი ასეთი დამოკიდებულება... მე არ მაინტერესებს, რა ღირსებისაა ეს „თარგმანი“, ეს არის მავნებლობა, ეს არის ნამდვილად ძალიან მძიმე და ძალიან ცუდი რამ...“

აკადემიკოსი შეექალა შანიძე: „მე ვთვლი, რომ ასეთი სახის გამოცემები არ უნდა გვქონდეს. ჩვენი ენის შემთხვევაში გვაქვს ისეთი ვითარება, როდესაც ძველი ქართული ენის ძეგლები ახალი ქართული ენისაგან არ არის იმდენად დაშორებული, რომ მისი საეციალურად თარგმნა იყოს საჭირო. მართალია, ყველა ენაში არ არის ასეთი ვითარება. არის ზოგიერთი ინდოევროპული ენა, თუნდაც რუსული, სადაც XI საუკუნის ძეგლი პრაქტიკულად სხვა ენაზე არის დაწერ-

ილი და საგანგებო შესწავლას საჭიროებს. ქართულში ასეთი ვითარება არ არის. ის კონსერვატიზმი, რაც ფონეტიკურ სტრუქტურაში ვლინდება, თავს იჩენს მორფოლოგიურ სტრუქტურასა და ლექსიკაშიც. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ძველი ქართული აბსოლუტურად იგივეა, რაც ახალი ქართული. რა თქმა უნდა, ძველ ქართულ ძეგლებს სათანადოდ შესწავლისათვის სჭირდება განმარტება, ლექსიკონი, მორფოლოგიური ფორმების ახსნა, მაგრამ არა – ქართულად თარგმნა, რაც იწვევს ამ ძეგლების შესტერული ღირებულების გაქარწყლებას... მე ეს დაუშვებლად მიმაჩნია...“

პროფესორი რევაზ ბარამიძე: „ქართულიდან ქართულად არ თარგმნიან... თუ იმას მოიძინებენ, რომ სომხები ასე აკეთებენ, ის სხვა ენაა: სლავურიც სხვა ენაა. ჩვენ ეს არ გვჰქირდება. ჯერ ერთი, „გრიგოლ ზანძთელის ცხოვრება“ რომ თანამედროვე ენაზე გადმოიტანო, შენ უნდა იყო მერჩულეს დონის მწერალი, რომ ის ნიუანსები, ის ლექსიკა, ის არომატი ენისა შეინარჩუნო. მარტო ამბის გადმოცემა არაა მთავარი: ამგვარი გადმოღება ახალ ქართულზე ნიშნავს გაღარიბებას კი არა, დაკინებას ენისას; იკარგება სახეთა სისტემა; რაც მთავარია, ეს არის მავნებლობა იმ მხრივ, რომ ახალგაზრდას ეკარგება მოთხოვნილება ტექსტის სწავლისა, გათოლების მიზნით გაპრიმიტიულება არ შეიძლება. დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი და, მავნებლობაა!.. ვუკარგავთ იმ სიდიადეს მერჩულეს, რითაც ჩვენ ვამაყობთ“.

პროფესორი ზურაბ სარჯველაძე: „ამის გაკეთება არ არის საჭირო, არც სასიამოვნო და სასარგებლო ჩვენი ლიტერატურისათვის. მე მგონია, არ არის ისეთი მწვავე აუცილებლობა ძველი ქართული ტექსტების „თარგმნისა“. სავსებით გასაგებია, ძველი ბერძნულიდან რომ ახალ ბერძნულზე თარგმნიან. ანდა ძველი სომხურიდან – ახალ სომხურზე. ჯერ კიდევ ოციან წლებში მიხეილ ჯავახიშვილმა „შუშანიკის წამება“ წაუკითხა სრულიად გაუნათლებელ კაცს და აღმოაჩინა, რომ ამ კაცმა შინაარსი სავსებით გაიგო... საერთოდ, მოსწავლის მიერ ტექსტის გაგება-არგაგების არგუმენტად მოშველიება საქმეს ვერ უშველის. განა რომანტიკოსები ყველას ესმის? ანდა ლელთ ლუნიას საუბარი? მათი „თარგმნის“ საკითხიც დავსვათ?.. ამიტომაც „თარგმნა“ ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე არის სრულიად გაუმართლებელი. ამით ჩვენ ახალი თაობის კავშირს გრძევთ ძველ ტექსტებთან, ძველ მწერლობასთან, ძველ კულტურასთან და ამისი უარყოფითი შედეგები გამოჩნდება

უახლოეს მომავალში. ეს არის საშინელება; ჩემი აზრით, ფოვლად დაუშვებელია“.

იმუამად განათლების სამინისტრომ უურნალის („ბურჯი ეროვნებისა“) რედაქციას ასეთი ინფორმაციაც მოაწოდა: „1998 წლის 17 მარტს საქართველოს განათლების სამინისტროს ქართული ლიტერატურის მეთოდსაბჭოს (თავმჯდომარე პროფ. გ. ფარულავა) სხდომაზე იმსჯელეს ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების ახალ ქართულ ენაზე „თარგმნის“ თაობაზე. საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ბატონებმა: ელგუჯა ხინთიბიძემ, რევაზ სირაძემ, რევაზ თვარაძემ, დავით წერედიანმა, გია მურლულიამ, გიორგი ალიბეგაშვილმა, კახა ჯამბურიამ და სხვებმა. ერთხმად იქნა დაგმობილი ამგვარი საქმიანობა და წინადაღება მიეცა განათლების სამინისტროს, არ დაუშვას სკოლებში ამ ტიპის გამოცემით სარგებლობა“.

\*\*\*

მკითხველი იკითხავს, ეს ხომ ძველი ამბავია და რამ გაახსენა ავტორს ახლაო... დიახ, მეც ასე მეგონა, ეს მავნე პრაქტიკა წარსულს ჩაბარდა და აღარ დაგვჭირდებოდა ამის გახსენება, მაგრამ... მაგრამ, თურმე სადა ხარ, ის, როგორც იტყვიან, უურნალი ყოფილა, ფილმი ახლა იწყება (უფრო სწორად, კარგა ხანია დაწყებულა).

ასეთი წიგნი მომიტანეს: საეკლესიო ბიბლიოთეკა. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა. ტ. I. გამომცემლობა „ახალი ივერიონი“, თბილისი, 2005. მითხოვეს, ეს ოთხტომეულის I ტომიაო (აღარ მოვისურვე დანარჩენი სამი ტომის მოძიება...). ტიტულზე პკითხულობთ: ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიობი დაურთო ედიშერ ჭელიძემ.

ძალიან კარგიო, იტყვის მკითხველი. ამ სოლიდურ გამოცემაში (წიგნი 1152 გვერდს შეიცავს) არა ორიგინალური, არამედ ნათარგმნი ძეგლები ყოფილა დაბეჭდილო. ახლა წიგნის „წინათქმის“ პირველი აბზაცი ჩავიკითხოთ: „წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობასთან დაკავშირებული პედაგოგიური და მეცნიერული ინტერესების გამთლიანების მცდელობას. აღნიშნული კუთხით ამ ეტაპზე მეტ-ნაკლებად დამუშავდა ხუთი ცნობილი ჰავიოგრაფიული ნაწარმოები („მარტვილობა წმინდა შუშანიკ დელოფლისა“, „მარტვილობა წმინდა ევსტათი მცხეთელისა“, „მარტვილობა წმინდა აბო თბილელისა“, „ცხოვრება

და მოქალაქეობა წმინდა გრიგოლ ხანძთელისა“ და „ცხოვრება და მოქალაქეობა წმინდა სერაპიონ ზარჩმელისა“)...

აკი „ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოაშადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემო“? დიახ, თურმე ე. ჭელიძეს ქართულად უთარგმნია

„შუშანიკის წამება“

„ევსტათი მცხეთელის წამება“

„აბო თბილელის წამება“

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“...

თუ წერილის დასაწყისში სიტყვა „თარგმნას“ ბრჭყალებში ვსვამდით, რადგანაც იმ ტექსტების ისე წამხდენნი თარგმანს არ ეძახდნენ თავიანთ ნაცოდვილარს, აյ ტიტულზევეა მითითებული „ძეგლები თარგმნაო...“ ასეა: ორიგინალური ქართული ძეგლები ქართულად თარგმნა ე. ჭელიძემ! რას ნიშნავს „თარგმნა“? ეს სიტყვა ლექსიკონებში ასე განიმარტება – ერთი ენიდან მეორეზე გადაღება!.. ამ წიგნში არსად არ არის მითითებული, რომელი ენიდან შეასრულა ე. ჭელიძემ ეს თარგმანი. ცხადია, „მთარგმნელმა“ იცის, ერთსა და იმავე ენაზე არ ხდება თარგმნა, ამიტომ არ უთითებს „დედნის“ ენას... არადა, ფაქტია: „მთარგმნელმა“ ე. ჭელიძემ იაკობ ცურტაველის, იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულის თხზულებები ქართულიდან ქართულად თარგმნა!..

და ამ სოლიდურ გამოცემაში გვერდიგვერდ წარმოადგინა ორიგინალი და „თარგმანი“: ლუწერ გვერდზე ორიგინალია დაბეჭდილი, კენტ გვერდზე – „თარგმანი“...

წიგნში ბევრი რამ არის უცნაური. თუნდაც ეს – მეორე გვერდზე ვკითხულობთ: „აღნიშნული გამოცემის მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა და რაიმე სახით კვლავ გამოცემა წიგნის ავტორის ნებართვის გარეშე აკრძალულია“. წიგნში დაბეჭდილი თხზულებების ავტორებად დასახელებულნი არიან იაკობ ხუცესი, იოანე საბანის ძე, გიორგი მერჩულე... ნებართვა ვისგან უნდა აიღოს გამოცემის მსურველმა? თუ „მთარგმნელ-გამომცემლისაგან“ (ანუ ე. ჭელიძისაგან), „ავტორი“ რა შუაშია? და მაინც: ვინმეებ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გამოცემა რომ მოისურვოს, ნებართვა „მთარგმნელისაგან“ (ე. ჭელიძისაგან) უნდა აიღოს?!..

თუმცა ეს სხვა საკითხია; უფრო არსებითი სხვა რამ არის:

მე არ ვეხები კომენტარებს, იქ დასმულ საკითხებს... მე სხვა

კითხვები მიჩნდება:

რას ნიშნავს – „თარგმნა“? ნუთუ „მთარგმნელი“ ფიქრობს, რომ ძეგლი ქართული, საშუალი ქართული და ახალი ქართული სხვადასხვა ენებია და შეიძლება ძველიდან ახალზე, საშუალიდან ახალზე ვთარგმნოთ? ვფიქრობთ, „მთარგმნელისათვის“ ცნობილია, რომ ძეგლი, საშუალი და ახალი ქართული სამუშაო ტერმინებია და გულისხმობს ერთი (ქართული) ენის განვითარების სამ საფეხურს (პერიოდს); ძველი, საშუალი და ახალი ისტორიული ნაირსახეობებია ქართული ენისა...

ზემოთ ე. ჭელიძის „წინამორბედ მთარგმნელებზე“ საუბრისას აღვნიშნეთ, კომპეტენტური მეცნიერები როგორ აფასებენ, თუ „რა მნიშვნელობა აქვს ასეთ „თარგმანებს“... ძალიან ნათლად და ერთმნიშვნელოვნად იქნა დაგმობილი ამგვარი მცდელობა!.. ეს აზრი არ შეიძლება არ იყოს ცნობილი ე. ჭელიძისათვის... და თუ ცნობილია, მაშინ მას უნდა განემარტა, რატომ გახდა საჭირო ამ კლასიკური ძეგლების „თარგმნა“... და მით უმეტეს, გვერდიგვერდ დაბეჭდვა ორიგინალური და „ნათარგმნი“ ვარიანტებისა... სახუმაროდ რომ იყოს საქმე, ვიტყოლი, გიორგი მერჩულეს (თუ სხვა ავტორს) ეჯიბრება და თავს გვაწონებს, აი, მე უკეთესად გწერო... ამგვარმა პუბლიკაციამ კიდევ უფრო ნათლად დაგვანახა უაზრობა (და დანაშაულებრივი სითამამე) ამგვარი „თარგმანისა“. ორიოდე მაგალითს მოვიყვან (ცნობილი პასაჟების „თარგმანს“):

„დედანი“

იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფის მერვე მეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარსექნ პიტიახში, ძმ არ-შუშავი, რამეთუ პირველ იგიცა ძე; თავდაპირველად ისიც ქრისიყო ქრისტიანე, ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთამ...

სხვა:

ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისად მის პიტიახშისად, რომელსა სახელი ერქვა აფოც, არა მუნ იყო...

„თარგმანი“

სპარსელთა მეფის მერვე წელს სამეფო კარისკენ გაემართა ვარსექნ პიტიახში, არშუშას ძე; თავდაპირველად ისიც ქრისტიანი იყო და ქრისტიანი მამისა და დედისა ქრისტიანეთამ...

ხოლო პიტიახშის სახლის ეპისკოპოსი, რომელსაც სახელებრივი ურქვა აფოცი, არა მუნ იყო...

**სხვა:**

ჰრეჯუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქ- ამომდე, თუმცა მამათა და დედა- თა ერთად ეჭამა პური?!“

უთხრა მას წმინდა შუშანი- კმა რისხვით: „როდის ყოფილა აქამდე, რომ კაცებსა და ქალებს ერთად ეჭამოთ პური?!“

და სხვა.

**ამას ჰქება თურმე თარგმნა!**

კითხვას კვლავ გავიძეორებ: ვის სჭირდებოდა იაკობ ზუცესის თხზულების ე. ჰელიძის მიერ „ქართულად თარგმნა“? რა იყო გაუგე- ბარი და „სათარგმნი“ იაკობ ცურტაველის თხზულებაში (თუ გაუგე- ბარი იყო, ამისთვის არსებობს სქოლიო და კომენტარები...)? სხვათა შორის, როგორც ზემოთ ვთქვით, „წინამორბედი მთარგმნელები“ გრძნობდნენ, რომ „ავს იქმოდნენ“ და „ანონიმებად“ დარჩნენ...

შეიძლება მე ვერ ვხვდები, მაგრამ მაშინ „მთარგმნელს“ უნდა განემარტა, რატომ გახდა საჭირო ამ თხზულებათა „თარგმნა“...

ალბათ ესეც სათქმელია, როგორ იგებს „მთარგმნელი“ ტე- ქსტს? როგორი ქართულით „თარგმნის“? კი, ეს ამჯერად მეორეხ- არისხოვანია, თუმცა ორიოდე მაგალითს აქაც მოვიყვან. შემთხვე- ვით ჩავკარი თვალი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ამ ადგილს:

„დედანი“

„თარგმანი“

რამეთუ სიჩროვთვანვე ღწნ- რადგან პატარაობიდანვე ღვ- ოდ და წორცი არა შეჭდა პირსა ინო და ხორცი არ შესულა მის მისას...

რადგან პატარაობიდანვე ღვ- ინო და ხორცი არ შესულა მის პირში...

რომ არ ვიცოდე, ვინ არის „მთარგმნელი“, ვიფიქრებდი, ზ. ბურ- ჭულაძის ან ე. დეისაძის „თარგმანია“-მეთქი...

ერთმა ადგილმა დამაინტერესა – პ. ინგოროვე „საქართველოს ეროვნული მთლიანობის ფორმულას“ რომ უწიოდებდა:

„დედანი“

„თარგმანი“

არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომე- ლსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვად ყო- ველი აღესრულების...

ქართლად კი ბევრი ქვეყანა აღირაცხება, რომელშიც ქარ- თული ენით შეიწირება უამი და სრულდება ყველა ლოცვა...

**ფრთხილად, კლასიკბა!**

აქ „მთარგმნელს“ ქართლიც უნდა „ეთარგმნა“ და ქვეყანაც და სხვა, რომ აზრი სწორად გადმოეცა, მაგრამ ამ „თარგმანთ“ასეთ განხილვას არა აქვს აზრი... მთავარი კითხვა: რისთვის გაკეთდა ყოველივე ეს? ვის სჭირდება? ერთხელ კიდევ გავიხსენოთ, რა თქვეს ზემოთ კომპეტენტურმა პირებმა და დავსვათ კიდევ ერთი კითხვა: ვისა აქვს უფლება, ხელყოს ჩვენი კლასიკური მემკვიდრეობა? შეურაცხეოს ქართული ენა?

თურმე მოსკოველ ქველმოქმედთა „უშუალო ძალისხმევითა და საქელმოქმედო ღვაწლით შესაძლებელი გახდა წინამდებარე ნაშ- რომის მომზადება და გამოცემა!..“

ისევ კითხვა: უცხოური გრანტების გამცემთა მიზანი რა არის, როცა ასეთი გამოცემები ფინანსდება? „სახსრის ტრფიალს“ და „გუჭის პრინციპს“ როდემდე უნდა ეწიორებოდეს ჩვენი დიდებული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა?..

\*\*\*

ამ თემით ჩემი დაინტერესება რომ გაიგო, ერთმა კოლეგამ წიგნაკი მომიტანა: სულხან-საბა ორბელიანი (ბიოგრაფია), „სი- ბრძნე სიცრუის“ (შინაარსი). წიგნაკი აბიტურიენტებისათვის ჩანს გამიზნული. არც ავტორი აწერია ამ გამოცემას და არც – რედაქ- ტორი; არც – გამომცემლობა და არც – სტამბა; არც – წელი და არც – გამოცემის ადგილი! ბრძულაში, არც მეტი და არც ნაკლე- ბი, სულხან-საბას იგავ-არაკებია „თარგმნილი“! ერთი მაგალითი:

სულხან-საბა ორბელიანი

ანონიმი „მთარგმნელი“

ერთმა მეფემან უბრძანა თა- ვისსა ვაზირსა: წადი, ასეთი საჭ- მელი მომიტანეო, რომე ხმელზე მის უტკბესი არა იყოსო და არცა შინა იპოვებოდესო!

წავიდა ვაზირი, ენა უყიდა, მო- უტანა, შეწვა, აჭამა და მოწონა.

უბრძანა კიდევ: წადი ისეთი რამ მომიტანე, ქვეყანაზე მისი უმწარესი არა იპოვებოდესო!

წავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა...

ერთმა მეფემ თავის ვეზირს უთ- ხრა, რომ წასულიყო და ისეთი სა- ჭმელი მოუტანა, რომ დედამიწის ზურგზე და ზღვაშიც მასხე ტკბი- ლი არაფერი ყოფილიყო. წავიდა

ვეზირი, უყიდა ენა, მოუტანა, შეწ- ვა, აჭამა. მეფეს ძლიერ მოეწონა. მეორედაც უბრძანა მეფემ ვეზირს, წასულიყო და ისეთი რამ მოუტანა, მასხე მწარე არაფერი ყოფილიყო.

ვეზირი წავიდა, კიდევ ენა უყიდა და მოუტანა...

და ასე შემდეგ... როგორც ხედავთ, სულხან-საბა ორბელიანიც „თარგმნეს“... რა ხდება? როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე კლასიკოსთა თხზულებების ხელყოფა?.. ამბობენ, ასეთ „თარგმანებს“ სკოლებში აქვსო დიდი გასავალი (თუმცა ზემოწარმოდგენილი ოთხტომეულისთვის არც ეს მიზანი ჩანს...)... ხომ შეიძლება სკოლებში მაინც გადაეკეტოს გზა ასეთ მკრეხელობებს? – მაგრამ ვის აინტერესებს სკოლის ბედი?..

\*\*\*

როგორც ჩანს, ქართული ლიტერატურის ქართულად „თარგმანის“ სურვილი ბევრს გაუჩნდა... და ახლახან გამომცემლობა „ინტელექტმა“ შესანიშნავ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა შოთა რუსთაველის „ვეფხისტეფაოსანი“, ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია.

დამერწმუნეთ, ნამდვილად მეუხერხულება ამ წერილში ბატონ ბაჩანა ბრეგვაძის ნაშრომზე საუბარი, მაგრამ არც ბატონ ბაჩანას ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ შოთა რუსთაველს მეტ პატივს ვცემ და სათქმელი უნდა ვთქვა... უფრო სწორად, კითხები უნდა დავსვა:

რა არის მიზანი ამგვარი გამოცემისა? რა არის ეს? – კომენტარები? განმარტება პოემისა? – ეს გამოცემა არც ერთია და არც – მეორე. „ვეფხისტეფაოსანის“ პოეტურ ტექსტს პროზად მოგვითხრობს ბატონი ბაჩანა, უბრალოდ, ჩვეულებრივ, სტრიქონ-სტრიქონ... ვთქვათ, ასე:

1. 1. ვინც შექმნა სამყარო თავისი მძლეთა-მძლე ძალით, // 2. ზეციურ (ზეგარდმო) არსთ შთაბერა ცით მონაბერი სული, // 3. ჩვენ – კაცთა მოგვცა ქვეყანა, უთვალავი ფერით რომ გვაქვს, // 4. მის-განაა ყველა ხელმწიფე მის მიერვე სახით.

2. 1. ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმნი ყოველი ტანის სახე... და ა. შ.

13. 1. როგორც ცხენს გამოსცდის გრძელი გზა და დიდხანს ჭერება, // 2. მობურთალს – მოედანი, ზუსტად დარტყმა და მარჯვედ მოქნევა... და ა. შ.

84. 1. ნახეს უცხო მოყმე ვინმე, მტირალი იჯდა წყლის პირას, // 2. შავი ცხენი სადავით ჰყავდა, როგორც ლომსა და გმირს, // 3. მარგალიტი უხვად ესხა ლაგამ-აბჯარ უნაგირსა, // 4. ცრემლსა გარდი დაეთროვილა, გულმდუღარედ მტირალს... და სხვა.

დედნისული ვარიანტის მოტანა საჭირო არ უნდა იყოს, ყველამ ზეპირად ვიცით... კითხვა ისევ რომ გავიმეორო, რა არის მიზანი ამგვარი „პროზაული ვერსიისა“? პოეტური ვერსია ვინმეს არ ეს-მოდა? ვითომ ეს უკეთესი საკითხავია? რაც რთულია და გაუგებარი, ის რომ განემარტათ, კიდევ პო, მაგრამ?..

ორიოდე ცნობილი აფორიზმის „პროზაულ ვერსიასაც“ მოვიყვან:

სახელის მოხვეჭა სჯობს ყოველ მოსახვეჭელს; ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობს; სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერე – სულს... რასაცა გასცემ შენია, რასაც არა – დაკარგულია; ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია; ვინც მოყვარეს (მეგობარს) არ ეძებს, იგი თავის მტერია... და სხვა. ისევ დავსვამ კითხვას (რა ვიცი, იქნებ ვინმემ მოიღოს მოწყალება და მიპასუხოს...): ვის სჭირდება ასეთი „პროზაული ვერსია“? ხომ არ არის ეს „პოეტური ვერსიის“ უგულებელყოფა, დაკნინება, დამცირება, ხელყოფა? პოეტისა და, ზოგადად, პოეზიის შეურაცხყოფა?

ისე, ერთი კითხვაც რომ დავსვა, პასუხს გამცემს ვინმე? – ძალიან ბევრს ხომ არ ვუბედავთ შოთა რუსთაველს? და ძალიან ხომ არ ვამცირებთ ქართველ მკითხველს, როცა ვეუბნებით, იმ „პოეტურ ვერსიას“ ვერ გაიგებ და ეს „პროზაული ვერსია“ წაიკითხეო?..

მოკლედ: ქართული კლასიკური მწერლობა მძიმე შეტევას განიცდის... ხვალ, ზეგ იღიას, აკაკის, ვაჟასა და გალაკტიონსაც „თარგმნიან“... მერე იმასაც გვეტყვიან, კ. გამსახურდიასა თუ მ. ჯავახიშვილის თხზულებებს მე უკეთ მოგითხრობთ, „ჩემეული ვერსია“ წაიკითხეთო... გაგიკვირდებათ? მე – არა!

\*\*\*

მეგონა მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას უბედავდნენ ასე. არა. ხელთა მაქეს „ქართლის ცხოვრების“ ორტომეული; გამომცემლობა „ახალი ივერიონის“ გამოცემა, გამოდის სერიით „მამული, ენა, სარწმუნოება“. მაღალი პოლიგრაფიული დონეა ნამდვილად. და:



ტ. I. ქართლის ცხოვრება. ლეონტი მროველი. ჯუანშერი. ტექსტი ახალ ქართულ ენაზე თარგმნა და კომენტარები დაურთონიკლოზ ნიკლოზიშვილმა, თბ., 2011.

ტ. II. ქართლის ცხოვრება. მატიანე ქართლისა. ცხოვრება წმიდა

მეფე დავით აღმაშენებლისა. ტექსტები ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე გადმოიტანეს და კომენტარები დაუწეულეს ნინო მელიქშვილმა, ნანა ჩიკვატიაშ, თამარ მარგარიტა, თბ., 2012.

ამ გამოცემაში „დედანი“ არ არის წარმოდგენილი, მხოლოდ თარგმანი იბეჭდება... ცხადია, არავითარი სურვილი აღარ მაქვს ამ „თარგმანის“ ავ-კარგზე ვისაუბრო...

საით მივექანებით?..



## თეიმურაზ ფაჯიპიძე

### შამი გერმანია და უგზაურებისა

(ამბავი იმისა, თუ როგორ გააუქმეს განათლების ნაციონალმა „რეფორმატორებმა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რელიგიათმცოდნეობის კათედრა, როგორ დახურუს რელიგიათმცოდნეობის და თუოლოგიის სპეციალობები)

უურნალ „სამი საუნჯის“ 2013 წლის №3 ნომერში სათაურით „განათლების ავბედითი რეფორმა საქართველოში“ უკვე ვწერდი იმ საშინელ შედეგებზე, რაც მოიტანა ნაციონალების მიერ დაგეგმილმა, სააკადემიურის და ლომაიას მიერ პრაქტიკულად განხორციელებულმა განათლების რეფორმამა.

ერთმნიშვნელოვნად აღვნიშნავდი, რომ ამ მახინჯად ჩატარებულმა რეფორმამ მნიშვნელოვნად დაანგრია ჩვენი განათლების სისტემა, დასცა მისი დონე. სწორედ მისი შედეგია, რომ დღევანდელ სკოლადამთავრებულთა დიდ ნაწილს არ შეუძლია გამართულად მეტყველება, საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და გადმოცემა, მით უმეტეს, კვალიფიციური წერა. უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები ხშირად აწყებიან ისეთ ფაქტებს, როდესაც ახალგაზრდები სრულიად უბრალო ამბის თხრობისას, ან სასწავლო ტექსტის გადმოცემისას ბრკოლდებიან, უმწეოდ იქნევენ ხელებს და შეკითხვის დასმას, ან ტესტს ითხოვენ, რათა სწორი პასუხი შემოხაზონ.

ასეთია შედეგი ნაციონალების მიერ ჩატარებული, უსირცხვილოდ წარმატებულად გამოცხადებული და გაპიარებული განათლების რეფორმისა, რომელმაც ბევრი სხვა უბედურებაც მოიტანა და მრავალი ადამიანი იმსხვერპლა.

საგალალო ისაა, რომ ეს უკუღმართი პროცესი ხშირად იყო ამო-

ფარებული ე.წ. „ოპტიმიზაციის“ პროცესს, რაც რეალურად გამოიხატა მთელი რიგი სკოლების დახურვაში, ცალკეული სპეციალობებისა და დარგების გაუქმებაში, პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვის მკვეთრად შემცირებაში, რამაც, საბოლოო ჯაში, ყველასათვის გაუსაძლისი პირობები შექმნა და მძიმე შედეგები გამოიწვია.

ანბანური ჭუმარიტებაა, რომ შორისმხედველმა და თავმოყვარე, საკუთარ ხალხზე მზრუნველმა მთავრობამ, სხვა მნიშვნელოვან პრობლებით ერთად მომჭირნეობა, უწინარესად, საზოგადოებრივი ყოფის ორ ასპექტთან მიმართებაში არ უნდა გამოიჩინოს; ესენია: მომავალი თაობის აღზრდა და ხალხის ჯანმრთელობის დაცვა. თუკი სახელმწიფოს უნდა, რომ საერთოდ მომავალი ჰქონდეს, არ შეიძლება ასეთ უღირს მდგომარეობაში ამყოფოს მასწავლებელი და ექიმი. სამწუხაროდ, ორგვე ეს პროფესია ჩვენს ქვეყანაში, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, უმძიმეს პირობებშია. შესაბამისად, შედეგებიც სათანადო და სავალალოა.

გული გისკდება, როცა დღეს რეფორმირებულ უმაღლეს სასწავლებლებში განათლებამიღებულ ახალგაზრდებს ხედავ, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის ვერანაირ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებენ, მით უმტეს, ისინი გამოუსადევარნი არიან საერთაშორისო ბაზრისათვის. ეს ხომ ერთს უიმედოდ ჩამორჩენას და უკან სვლას მოასწავებს. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებს და მის მოსახლეობას არავინ სწავლობს, მათ დაუნდობლად ჩაგრავენ და უმოწყალოდ ამცირებენ შინ თუ გარეთ.

ამიტომაც გარბის შშობლიური ქვეყნიდან ყველა, ვისაც კი ამის ოდნავი საშუალება აქვს, რა ხერხსა და საშუალებას არ მიმართავს, რომ ეს შშვენიერი, ღვთისეგან ბოძებული მიწა დატოვოს და სრულიად უცხო ქვეყანას შექმიზნოს. სხვა შემთხვევაში რას უწუნებენ საქართველოს? რა უნდათ ამ მიწიერ სამოთხეში დაბადებულ ადამიანებს ავსტრალიაში, აფრიკაში ან ახალ ზელანდიაში, სხვა უფრო ახლო ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ. განა იმისთვის არ მოღვაწეობდნენ თავდადებით ჩვენი სახელოვანი მეცნიერები: თვალი ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, კორნელი კიკელიძე, თვალი ბერიტაშვლი, გიორგი ჩუბინაშვილი და სხვები, რომ ქართველებს ადგილზე, მშობლიურ ენაზე ჰქონდათ საშუალება ხარისხიანი და საფუძვლიანი განათლების მიღებისა. მათ თითქმის შეუძლებელი შეძლეს და მიზანსაც მიაღწიეს, რომ მათ მიერ დაარსებული უნივერსიტეტი სათანადო სიმაღლეზე ყოფილიყო,

მისი კურსდამთავრებულები აქვე დასაქმებულიყვნენ და სარგებელი მოეტანათ არა მარტო თავიანთი თავისთვის, არამედ სამშობლოსთვისაც. ვაი, რომ დღევანდელ უნივერსიტეტზე ამას ვერ ვიტყვით.

ახლა, მინდა მოგითხროთ ერთი მტკიცნეული ისტორია, რომელიც განათლების რეფორმას უკავშირდება; ამბავი იმისა, თუ როგორ გააუქმეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიდი მონდომებით და რუდუნებით შექმნილი რელიგიათმცოდნეობისა და ეთიკის კათედრა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გახსნილი და პირადად დალოცვილი რელიგიათმცოდნეობის და თეოლოგიის სასწავლო დარგები, რომლებიც თსუ-ის ფილოსოფიის ფაკულტეტის შემადგენლობაში შედიოდა.

### დარგის მოკლე ისტორია

1961 წელს იმდროინდელი საბჭოთა კავშირის მთელი მასშტაბით უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულ იქნა მეცნიერული ათეიზმის საგნის სწავლება. სახელმწიფო უნივერსიტეტებში და სხვა დიდ სასწავლო დაწესებულებებში შეიქმნა მეცნიერული ათეიზმის კათედრები, რომელთა მიზანი, ისევე როგორც იმ პერიოდში შემოღებული ბევრი სხვა სასწავლო საგნისა, მდგომარეობდა საბჭოთა იდეოლოგიის გაძლიერებაში, კომუნისტური მრწამსის დამკვიდრებასა და გამყარებაში. იმდროინდელი იდეოლოგების აზრით, არანაირად არ შეიძლებოდა ყურადღების გარეშე დარჩენილიყო ადამიანთა სულიერი ცხოვრება. აქცენტი კეთდებოდა ახალი საზოგადოების შენებელი, აქტიური მოქალაქეს აღზრდაზე, მატერიალური და ათეისტური მსოფლმხედველობის დანერგვაზე, რომელიც საფუძველშივე გამორიცხავდა რელიგიურ მსოფლმხედველობას, მიზნად ისახავდა რელიგიური გაღმონაშთების აღმოფხვრას, რომელიც სიბნელისა და უმეცრების წყაროდ მოიაზრებოდა, და მეცნიერული სულისკვეთების დამკვიდრებას.

საბჭოთა საზოგადოება თვლიდა, რომ რაც უფრო სწრაფად გათავისუფლდებოდა საზოგადოება რელიგიური ცრურწმენებისაგან, მით უფრო სწრაფად წავიდოდა სიკეთისა და პროგრესისაკენ. ასეთი იყო მსგავსი კათედრების შექმნის მიზანდასახულობა. მაგრამ, რაც უნდა უცნაურად მოგვეჩენოს, რეალურად ამ საყარაულო მიზანს საპირისპირ შედეგები მოჰყვა.

მართლაც, რეალურ ცხოვრებაში ასეთი კათედრულის ფუნქციონირებამ კი არ დაასამარა რელიგიური მსოფლმხედველობა, არამედ, პირიქით, ერთგვარი ინტერესი გააღვიძა მოსახლეობაში რელიგიური ფასეულობებისადმი, რომელიც საზოგადოებრივ ყოფაში ჩატარებულ რელილუციურ რეფორმათა შედეგად მთლიანად მოვიწყებული იყო და მას იშვიათად თუ ვინმე მისდევდა.

ასეთი მოულოდნელი შედეგი იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ როდესაც რაიმეს აკრიტიკებ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იცოდე, რას აკრიტიკებ და როგორ უნდა იბრძოლო მის წინააღმდეგ. ასეთი მიღვომა კი თხოულობდა და თხოულობს რელიგიის, მისი მოძღვრების მსახურების, ტრადიციებისა თუ უზარმაზარი რელიგიური ლიტერატურის გარკვეულ დონეზე ცოდნას, რელიგიის როგორც ფენომენის, კაცობრივი ყოფის ამ თანმხლები მოვლენის გაგებას.

საბოლოო ჯამში, ობიექტურად ისე გამოვიდა, რომ ეს კათედრული, ინსტიტუტები თუ ცენტრები, რომელთაც საბოლოოდ უნდა აღმოეფხვრათ რელიგიური გადმონაშობი, ფაქტობროვად სარწმუნოებრივი ინფორმაციის ერთადერთი წყარო გახდა. ეკლესიის იმ მცირებულიცხოვან მსახურებთან ერთად, რომლებიც წარსულიდან შემორჩენენ, და რომლებიც ფლობდნენ გარკვეულ ცოდნას ქრისტიანული რელიგიის მოძღვრებასა და მის მსახურებაზე.

მართალია, ასეთ კათედრულსა თუ ცენტრებში იწერებოდა ანტირელიგიური შრომები და ათეისტური სახელმძღვანელოები, მაგრამ მათი ავტორები, სანამ რელიგიის უარმყოფელ აზრებსა და დებულებებს ჩამოაყალიბებდნენ, მანამდე იძულებული ხდებოდნენ, განესახლდებოდნენ და დაელაგებინათ რელიგიური სისტემები, ცალკეული კონფესიები, მკითხველისათვის ეჩვენებინათ მათ მიერ განვლილი გზა და გავლენა ადამიანთა საზოგადოებაზე, ელაპარაკათ რელიგიის მნიშვნელობაზე ცალკეული ხალხებისა თუ ზოგადად კაცობრიობის ცხოვრებაში.

ასე გაგრძელდა მთელი 70 წელიწადი, სანამ კომუნისტური იდეოლოგია ბატონობდა. დიდი დრო და ძალისხმევა დაიხარჯა რელიგიასთან ბრძოლაში, მაგრამ საბჭოთა იდეოლოგების საბოლოო მიზანი, რომ საზოგადოებას მთლიანად შეუქცია ზურგი რელიგიისათვის, განთავისუფლებულიყო მისი მსოფლმხედველობისაგან, მის ნაცვლად კი ახალი, კომუნისტური რწმენა მიეღო, მიუღწეველი დარჩა. საზოგადოებამ ის არ მიიღო, რადგან სხვა მნიშვნელოვან გარემოებათა გარდა ვერ შეელია სასოებას ამ ქვეყნიდან გასვლის

შემდეგ მარადიული ცხოვრებას.

შემდეგ მოხდა დიდი გარდატეხა. შეიცვალა დრო, მთლიანად ეპოქა, შეიცვალა ფორმაცია, რაც ჩვენთვის მთავარია — დაიშალა საბჭოთა კავშირი. საქართველომ, სხვა რესპუბლიკებთან ერთად მიაღწია დამოუკიდებლობას. მალე ჩვენ ხელი აკიღეთ სოციალიზმის მშენებლობაზე და ისევ კაპიტალიზმს დაუბრუნდით. ძირულად შეიცვალა დამოკიდებულება რელიგიისა და ეკლესიის მიმართაც. ათეისტური მიზნები და პროპაგანდა დავიწყებას მიეცა. რელიგიურ ორგანიზაციებს თავიანთი რჯულთმოძღვრებისა და მსახურების პროპაგანდის სრული საშუალება მიეცათ. აღდგა წარსულში დანგრეული და მიტოვებული მრავალი ეკლესია და სამლოცველო. აშენდა ახალი ტაძრები, მათ შორის უდიდესი სამების ტაძარი თბილისში. მნიშვნელოვნად გაიზარდა სასულიერო პირთა რაოდენობა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია გადარჩა. მან, მიუხედავად ძნელებდობისა, უცვლელად შეინარჩუნა ტრადიციები, სარწმუნოებრივი მოძღვრების სიწმინდე და აწმყოში დიდი აღმშენებლობის გზას დაადგა. საკმაოდ მოკლე დროში ერთი უძალო, უსახსრო, დაშლის პირას მისული ეკლესია ერთ-ერთ ძალიან აქტიურ, მზარდ ინსტიტუტად და ყველასათვის ანგარიშგას-აწევ ძალად ჩამოყალიბდა.

მაგრამ მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინების პარალელურად საქართველოში მოხდა სხვა კონფესიების, როგორც ტრადიციული, ისე არატრადიციული რელიგიების გააქტიურებაც. ჩვენში ყველამ კარგად იცის და აცნობიერებს, რომ საქართველო შორეული წარსულიდან იყო მრავალეროვანი და მრავალკონფესიური ქვეყანა, სადაც ერთმანეთის გვერდზე ცხოვრობდნენ და ლოცულობდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის მორწმუნები: იუდეველები, გრიგორიანები, მუსლიმები, კათოლიკები: უფრო გვიან მათ შემოუერთდათ XIX და XX საუკუნეებში რუსეთიდან შემოსული სხვადასხვა რელიგიური დენომინაციები და რელიგიური ჯვეფები, რომლებიც გამოსულნი იყვნენ ზოგი მართლმადიდებლობიდან, ზოგი პროტესტანტობიდან, ზოგიც აღმოსავლური რელიგიებიდან. ახალ პირობებში ამ რელიგიურმა უმცირესობებმა აქტიური ბრძოლა გააჩაღეს საკუთარი რწმენის გასვრცელებლად და დასამკვიდრებლად. ერთხელ უკვე ვწერდი ამის შესახებ და ვამბობდი, რომ დამოუკიდებლობააღდგენილ საქართველოში ერთგარი მარათონი გაჩაღდა რელიგიურ კონფესიებს შორის, ბრძოლა იმისათვის, თუ ვინ უფრო გამოიჩენდა თავს,

ვინ უფრო პოპულარულს გახდიდა თავის მოძღვრებას და გაზრდიდა მომხრეთა რიცხვს. ამისათვის კი ყველა ხერხს, მეთოდსა და საშუალებას იყენებდნენ.

ასეთმა სიტუაციაშ მდგომარეობა საგრძნობლად დაძაბა. საბოლოო ჯამში ქვეყანაში ასეთი სურათი დაიხატა: ერთი მხრივ დადგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თავისი ისტორიული რეალობით და სამართლიანი პრეტენზით, რომ იგი არის ქართველთა ტრადიციული რელიგია, ამიტომ ყველა ქართველი სასურველია იყოს მართლმადიდებელი, მეორე მხრივ კი, სხვა კონფესიები, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობენ თავისი პოზიციების გამყარებასა და ამ მიზნით ხშირად პროზელიტიზმსაც მიმართავნ.

მთლიანობაში, რელიგიური ფაქტორი მნიშვნელოვან მომენტად იქცა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, აღამიანთა შორის ურთიერთობებში, მოსახლეობის სხვადასხვა ჯვეუფთა მდგომარეობაში, ვინაიდან ქვეყნად სრული ძალით ამოქმედდა არა მარტო ნებადართული მოქმედი რელიგიური ჯგუფები, არამედ წარსულში აკრძალული რელიგიური დენომინაციები და რელიგიური ჯგუფები, რომლებმაც თავისი უფლებრივი პრეტენზიები ღიად წამოაყენეს.

ასეთ პირობებში კიდევ უფრო ღილი მნიშვნელობა მიენიჭა სწორი რელიგიური პოლიტიკის გატარებას, სინდისის თავისუფლების რეალურ აღიარებას და ცხოვრებაში განხორციელებას, რელიგიური ცოდნის გაფართოებას და იმ პროცესებში გარკვევას, რაც მიმდინარეობს მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი საქართველოში, რომელიც თავისი მრავალკონფესიურობით, ისტორიული წარსულის გამო ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სპეციფიკით და სირთულებით, განვითარების დინამიკით.

მართალია, საქართველოში, ისევე როგორც მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში, გაჩნდა რელიგიური სასწავლებლები, ცალკეული კონფესიების რჯულთმოძღვრებათა შემსწავლელი ცენტრები, მაგრამ ისინი ძირითადად მაინც ერთი რელიგიის — საკუთარი რწმენის შესწავლით და პროპაგანდით იყვნენ და არიან დაკავებულნი, რაც შეეხება სხვა კონფესიებს, მათ ისინი არასწორ, ეშმაკულ სექტებად აღიქამენ და, შესაბამისად, ღიად თუ ფარულად უპირისპირდებან კიდეც.

ასეთ ვითარებაში, რეალური კომპლექსური რელიგიური პროცესების შესწავლას შეუდგა რელიგიური კვლევის რესუბლიკური ცენტრი, რომლის სასწავლო-სამეცნიერო ბაზას წარმოადგენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათმცოდნეობის და

ეთიკის კათედრა, რომელიც სასწავლო პროცესთან ერთად ითავსებდა სამეცნიერო მუშაობასაც.

რელიგიათმცოდნეობის და ეთიკის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთიკის და მეცნიერული ათეიზმის კათედრის ნაცვლად დაფუძნდა. მას დიდი რეორგანიზაცია არ დასჭირდებია, რადგან ორივე შემთხვევაში შესასწავლი ობიექტი ერთი და იგივე — რელიგია იყო. საქმე მხოლოდ მიღებაში და პოზიციაში მდგომარეობდა, პოზიცია კი ობიექტური უხდა ყოფილიყო. ამის შემდეგ ფილოსოფიის ფაკულტეტზე შეიქმნა ორი სპეციალობა — რელიგიათმცოდნეობის და თეოლოგიის (ღვთისმეტყველების), რომელსაც კათედრა ხელმძღვანელობდა.

ამ ცვლილების შემდეგ კათედრას ეწოდა რელიგიათმცოდნეობის და ეთიკის კათედრა, რადგან ესთეტიკა უფრო ადრე გამოეყო საერთო კათედრას და დამოუკიდებლად დაიწყო ფუნქციონირება. რაც შეეხება ეთიკას, მას და რელიგიას ბევრი რამ აქვთ საერთო, თითოეულ რწმენას თავისი ეთიკური კოდექსი და თავისი ცხოვრების წესი გააჩნია, რომელიც ამ ზნეობაზე არის დამფარებული. ამიტომ მათი ერთად ფუნქციონირება ნორმალურ ფაქტად უხდა ჩაითვალის.

თუმცა კათედრაზე ფაქტობრივად მისი გახსნილან ვიყენი, ჯერ ასპირანტად, მერე მასწავლებლად, დოცენტად, პროფესორად, კათედრის გამგედ მხოლოდ 1996 წელს ამირჩიეს; ჩემამდე კათედრის გამგებად იყვნენ თვალსაჩინო მეცნიერები: გელა ბანძელაძე, ოთარ გაბიძაშვილი, ზურაბ ფორაქიშვილი, გური ასათიანი, შემდეგ ისევ ოთარ გაბიძაშვილი, და ბოლოს — მე.

1996 წელს, როდესაც კათედრის გამგედ ამირჩიეს, კათედრა უკვე ეთიკისა და რელიგიათმცოდნეობის სახელს ატარებდა, შექმნილი იყო რელიგიათმცოდნეობის და თეოლოგიის (ღვთისმეტყველების) სპეციალობები, ჩატარებულ იქნა გარკვეული სამუშაოები, მაგრამ გასაკუთებელი კიდევ უფრო მეტი იყო. საერთოდ თუ ვიტყვით, ნამდვილად არ იყო აღვილი ათეისტური სწავლებიდან ობიექტურ რელიგიათმცოდნეობაზე გადასვლა. შესაბამისი საგნების შემოტანა და დაწერება, სათხადო კადრების მონახვა. რადგან, როგორც უკვე ვახსენეთ, საბჭოთა კავშირის 70 წელი ფაქტობრივად ხომ რელიგიის გადმონაშების (როგორც თვითონ უწოდებდნენ) აღმოფხვრას და განადგურებას მოხმარდა.

ამ პერიოდში მთლიანად იქნა განადგურებული ის მატერიალური ბაზა და მრავალრიცხოვანი ლიტერატურა, რომელიც ამ სწავლებას

ედო საფუძვლად. აღარ გამოდიოდა ღვთისმეტყველური შრომები, ჟურნალები, გაზეთები. ცხადია, არ იყო სახელმძღვანელოებიც. თუ რაიმე მაინც გამონაკლისის სახით არსებობდა, ისეთი მცირე ტირაჟით გამოდიოდა, რომ ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი. აქედან გამომდინარე, დიდ სიძნელეებთან მოგვიხდა შეჭიდება, ბევრი საორგანიზაციო თუ სასწავლო პრობლემის დაძლევა, მაგრამ მთავარი მაინც ამ საქმეში ჩვენი პოზიცია იყო.

ჩვენი მიდგომა რელიგიათმცოდნეობის დარგისადმი კი ასეთი იყო: რელიგიათმცოდნეობა არის ერთობლიობა — რელიგიის ისტორიის, რელიგიის ფილოსოფიის, რელიგიის ფიქოლოგიის, რელიგიის სოციოლოგიის და რელიგიური ანთროპოლოგიისა. საკმაოდ მოკლე ხანში ჩვენ შევძლით ყველა ამ საგანმი მოგვეძებნა შესატყვისი კადრი, ვერ ვიტყვი, რომ ეს იოლი და მარტივი საქმე იყო. პროფესიონალთა ის შემადგენლობა, რომელიც მოვიძიეთ, სხვადასხვა გზით და სხვადასხვა საშუალებით აღმოვაჩინეთ. ზოგი მათგანი ისტორიკოსი იყო, ზოგი — ფიქოლოგი, ზოგი — ფილოსოფოსი, ზოგი — ფილოლოგი. ჩვენ არ მოვრიდებთვართ ამ საქმეში სასულიერო პირების ჩართვასაც, რამაც გარკვეულ წრებში უკმაყოფილება გამოიწვია.

ღვთისმეტყველებას აქვს საკუთარი, სხვებისაგან გამორჩეული ამოცანა: იგი მოვალეა ადამიანებს გაუნათოს გზა ღმერთისაკენ, ასწავლოს მათ მოძღვრება, როგორც ციურ, ისე მიწიერ სასუფეველზე, რომელსაც ისინი მხოლოდ მაღალზენობრივი ქცევით დაიმკვიდრებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სქემა მართლმადიდებლურია. სხვა რელიგიურ მიმართულებებს თავისი შეხედულება და განსხვავებული სქემები გააჩნიათ, მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელია, შესაბამისად, ამ სქემას მოგანიჭეთ უპირატესობა.

გარდა ამ საგნებისა, რელიგიათმცოდნეობის და ღვთისმეტყველების სპეციალობებზე ფართოდ ისწავლებოდა ქართული წარმართობის და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, აღმოსავლეთისა და დასავლეთის რელიგიათა ისტორიები, საქართველოში არსებული რელიგიური უმცირესობების მოძღვრებები, რელიგიის მიმართუებები მეცნიერებასთან, ხელოვნებასთან. თუ ამას დავამატებთ ზოგადსაუნივერსიტეტო საგნებს, მათ შორის უცხო ენებს, როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე ენებს, ფილოსოფიურ

დისციპლინებს, საქართველოს ისტორიას, გამოდიოდა საკმაოდ დატევირული პროგრამები (დღეს რომ კურიკულუმებს უწოდებენ), რომლებიც სტუდენტებს სოლიდურ ცოდნას აძლევდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის რელიგიათმცოდნეობის და თეოლოგიის სპეციალობებს უკვე პქონდა ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ასპირანტურა. გვევდა მაძიებლები, რომლებსაც გამოყოფილი პქონდათ სადისერტაციო თემები, აქედან რამდენიმე დისერტაცია დაცულ იქნა. რელიგიის აქტუალურ საკითხებზე გამოვიდა რამდენიმე საყურადღებო წიგნი. ერთი სიტყვით, საფუძველი უკვე საიმედოდ იქნა ჩაყრილი. მთავარი და მნიშვნელოვანი ის იყო, რომ „უპატრონო საგანი“, სადაც სათანადო კადრი არ გვყოლებოდა, აღარ გვქონდა.

აქტიური კავაბით უცხოეთთან, განსაკუთრებით, გერმანიასთან და რუსეთთან. ვუზიარებდით ჩვენს ხედვას და ვსწავლობდით მათ გამოცდილებას, სწავლების პროცესს და ხარისხს.

მაგრამ სწორედ მაშინ, როცა უკვე ჩავთვალეთ, რომ ფონს გავედით და სიძნელები უკან დარჩა, საქართველოში დაიწყო ეს ავბედითი, დამანგრეველი განათლების რეფორმა, რომელიც ამოფარებული იყო „ბოლონიის“ პროცესს და სხვა საერთაშორისო გამოცდილებებს, რომლებიც ჩვენში დამახინჯებულად გაიგეს, დამახინჯებულად შეასრულეს და, შესაბამისად, დამახინჯებული შედეგებიც მიიღეს.

საქართველოში დაიწყო კურიკულუმების და სილაბუსების შედეგის ერა. ამ მახინჯი რეფორმის ორგანიზატორებმა მის ირგვლივ ისეთი ხმაური ატეჭეს, ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს, თითქოს ადრე არც რაიმე სასწავლო გეგმა და არც მათი შესატყვისი პროგრამები არ არსებულიყოს. არადა, ყველას კარგად გვახსოვს, რა კვალიფიციური პროგრამები იქმნებოდა და იძეჭდებოდა, რომლითაც შევენივრად სარგებლობდნენ როგორც პროფესორ-მასწავლებლები, ისე სტუდენტები. მათში ყველაფერი იყო სალექციო და სასემინარო თემებიც, გამოსაყენებელი სახელმძღვანელოებიც და საჭირო თუ დამატებითი ლიტერატურაც. მე თვითონ ვიყავი ერთ-ერთი შემდგენელი და რედაქტორი ასეთი პროგრამისა რელიგიათმცოდნეობაში.

შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო კონკურსები, საოცრად ტენდენციური, მიზანმიმართულად გათვლილი კადრების განადგურებისაკენ, გააუქმეს კათედრები, რომლებიც წარმოადგენდა ძალზე მნიშვნელოვან, ეფექტურ და მუშაორგანოს, როგორც სას-

წავლო, ისე სამეცნიერო მუშაობისათვის. წინასწარ განსაზღვრულ იქნა, თუ რამდენი პროფესორ-მასწავლებელი უნდა დარჩენილიყო უნივერსიტეტებში. ეს ძალზე პატარა რიცხვი იყო, რომელშიც მრავალი შესანიშნავი მეცნიერი და პედაგოგი ვერ მოხვდა, ბევრი დარგი გაუქმდა ისე, რომ არავისთვის აუხსნიათ, თუ რატომ ეთქვა უარი ამ სპეციალობებს. ხალხს სადისტურად აძებნინეს ყველა ის შრომა და სტატია, ჩატარებული კონფერენცია თუ გამოსვლა, რომელიც მათ ოდესმე ჩაეტარიბინათ. მაგრამ სავალალო ის იყო, რომ ეს წვალებით მოძიებული მონაცემები შემდეგში არავის დასჭირებია, არავის მოუკითხავს და ეს ნაწვალები ხალხი მათვე გაუხსნელი საქალალდებითა და მონაცემებით უნივერსიტეტს მოაშორეს.

რელიგიათმცოდნეობის და თეოლოგიის სპეციალობების ბაკალავრიატის გაუქმების და მისი მომსახურე პროფესორ-მასწავლებლების უნივერსიტეტიდან დათხოვნის შემდეგ, ფაკულტეტზე დარჩენილ მაგისტრატურას ხელმძღვანელად ამ დარგის არასპეციალისტი ჩაუყენეს სათავეში, რომელმაც საბოლოოდ დაასამარა ეს დარგი, რადგან, როდესაც მაგისტრების ამ პატარა ჯგუფმა დაამთავრა ორწლიანი სწავლება, ამის შემდეგ მასთან აღარავინ მისულა. ასე დაიხურა საბოლოოდ რელიგიათმცოდნეობის და თეოლოგიის სპეციალობები.

თუ როგორ ხდებოდა ასეთი საქმების გადაწყვეტა და სისრულეში მოყვანა, ამის შესახებ ერთი თვალსაჩინო ფაქტი უნდა დაყასახელო. როდესაც უნივერსიტეტში გამოცხადებულ კონკურსზე გაიგზავნა სამაგისტრო პროგრამები, უნივერსიტეტის იმდროინდელმა მესვეურებმა ისინი რეცენზიისათვის გადაუგზავნეს კათოლიკე ნოდარ ლადარიას, რომელიც ადრე რელიგიათმცოდნეობის კათედრაზე კითხულობდა ლექციებს საათობრივი ანაზღაურების წესით.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ეს პროგრამები მას კონფიდენციალურად გადაუგზავნა, რეცენზიისათვის მის პასუხსაც ასევე კონფიდენციალურად ელოდნენ. მან კი საიდუმლოდ გაგზავნილ მასალებზე უარყოფითი კომენტარი (უნივერსიტეტის გადაწყვეტილებაზე ადრე) გაზეთ „24 საათში“ გამოაქვეყნა, მანამ, სანამ საუნივერსიტეტო კომისია რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა. ცხადია, ამით მან გავლენა მოახდინა კომისიის გადაწყვეტილებაზე. ეს საქციელი იმდენად უკანონო და აღმაშფოთებული იყო, რომ არანაირ კონტექსტში არ ჯდება. მისი გამართლება არც იურიდიულად და არც მორალურად არ შეიძლება. მაგრამ აღმართ არ უნდა გაგვიკვირდეს,

თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ „ნაციონალები“ ბატონობდნენ. ამიტომ საპატრიარქოსთან დაპირისპირებულ ადამიანებს თავზე ხელს უსვამდნენ და ყოველგვარ გზას უხსნიდნენ. მათვის ყველაფერი ნებადართული იყო, განსაკუთრებით — საპატრიარქოს და მართლმადიდებლობის ლაპარაკება.

თუ რა დონეზე იყო დაწერილი, როგორ იყო დასაბუთებული ეს რეცენზია-პასკვილი, კარგად ჩანს მის ერთ-ერთ ფრაზაში: „იცით თავის მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციების სიაში რა შეიტანა თ. ფანჯიკიძემ, — ომახიანად წერდა ნ. ლადარია, — მაგრამ მე ამას არ გეტყვით!!!“ (თავის დროზე ამ ვაი რეცენზია-პასკვილის შესახებ ვრცელი წერილი მქონდა დაწერილი, რომლის გამოქვეყნებასაც მომავალში ვგვემავ).



ამ უსამართლობით აღმფოთებულმა პროტესტით მიღმართუ სახალხო დამცველის აპარატს, რომელსაც ადამიანის უფლებების დაცვა უვალება, მათ სასამართლოსკენ გაიშვირეს ხელი. ეს მათი საქმეაო. სასამართლო კი იმ დროისათვის ვის ხელში იყო, ყველამ კარგად იცის. ამიტომ ამ საქმეზე სააკაშვილის და კუბლაშვილის სასამართლო აღარ შევვიწუხებია.

ასე გაუქმდა ეს წვალებით და რუდუნებით ჩამოყალიბებული რელიგიათმცოდნეობის და ეთიკის კათედრა, ასე გაუქმდა რელიგიათმცოდნეობის და ღვთისმეტყველების სპეციალობები, რომელთა ჩამოყალიბებაში დიდი ენერგია და ძალა იყო ჩადებული. ათობით სპეციალისტი, ადგილობრივი თუ მოწვეული პროფესორ-მასწავლებელი, უმუშევარი დარჩა და როდესაც გეკითხები იმ ხალხს, ვინც ამ უკანონო გადაწყვეტილებაში მიიღო მონაწილეობა — თუ რატომ გაუქმდა ეს სპეციალობები, რომლებიც მსოფლიოს ყველა წამყვან უნივერსიტეტში არსებობს და ფუნქციონირებს, გასაგებ და დასაბუთებულ პასუხს ვერ ვიღებ.

არადა, თავისთვის ცხადია, რომ ისეთ მრავალრიცხოვან და მრავალკონფესიურ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ასეთი სპეციალობების არსებობა საჭირო და აუცილებელია, ხოლო უკვე არსებულის დაშლა და გაუქმება — უკან გადადგმული ნაბიჯი.

იმედია, რომ რელიგიათმცოდნეობის და თეოლოგიის სპეციალობები როდესმე აღდგება, მაგრამ საწყენი და გულსატკენი ის არის, რომ იმ ადამიანებს, ვინც ამას აღაღგენს, თავიდან მოუხდებათ ყველაფრის დაწერა, რადგან რაც გაკეთდა, ამხელა შრომა და ძალისხმევა, უგუნურმა რეფორმატორებმა წყალს გაატანეს.

P. S. მიმდინარე წლის 2014 წლის სექტემბრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან იქმნება სოფლის მეურნეობის სპეციალობა, რომელსაც ამერიკელები კურირებენ. სასწავლო პროგრამებიც ამერიკელების მიერ არის შედგენილი. ამ პროგრამებში მეცხოველებისათვის და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალობებისათვის გათვალისწინებულია მსოფლიო რელიგიათა ისტორიის საგანი. და თუ ეს საგანი, საჭირო და აუცილებელია მეცხოველისათვის, მხენელისა და მთესავისათვის, რატომ არ არის საჭირო იგი საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის, მათი სულიერებისათვის, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისათვის? თუნდაც იგი არჩევითი კურსის სახით არსებობდეს...



## თინა იველაშვილი

### საუკუნის უმაღლესი დანაშაული

ამ საუკუნის ბოლო ათწლეულში, ქართველი ხალხის დაჩაბა-ჩანაკება-გადაგვარების მიზნით, გარედან მართული ანტიქართულ-ანტისახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ არაერთი უმძიმესი დანაშაული განხორციელდა როგორც სულიერი, ისე მატერიალური კულტურის სფეროში.

გლობალისტურმა ძალებმა და მათმა მესვეურებმა ძალიან კარგად იციან, რომ საზოგადოების გაკონტროლების საქმეში მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ეკლესიას ეკისრება. ამიტომ ყველ-ანაირად ცდილობენ მორწმუნეთა თვალში მისი რეპუტაციის შელახვას. მათი დაკვეთითა და ძალისხმევით განადგურდა ათასობით მართლმადიდებელი ეკლესია და კულტურის ძეგლი სერბეთში, დაიყო რუმინეთისა და საბერძნეთის ეკლესიები, ათეულობით მართლმადიდებელი მღვდელმსახური ეკლესიების სამრეკლოებზე მიზანმიმართულად ჩამოახრჩეს კოსოვოში. ამ კუთხით კიდევ შეიძლება არაერთი შემზარავი ფაქტის დასახელება, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის საჩვენებლად, როგორ „ესიყვარულებიან“ გლობალისტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ქრისტიან მართლმადიდებლებს და მათ სალოცავებს.

როგორც ჩანს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია თავისი შეუვალობითა და მართლმორწმუნეთა სიმრავლით მათ მეტისმეტად აშფოთებთ და ამიტომ ამ ბოლო დროს საქართველოში განსაკუთრებული და მრავალმხრივი შეტევა მასზე ხორციელდება. „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ დამყარების მოტივიალებმა კარგად იციან, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ეროვნული მენტალობის, თვითმყოფადობის, ზნეობის, მორალური ღირებულებების და მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ტრადიციების

ერთ-ერთი უძლიერესი საყრდენი და ქაკუთხედია. როგორც ჩანს, მათი აზრით, ქართული მართლმადიდებელი ეკლესის ღროც მოვიდა. მისი დასუსტებისა და ავტორიტეტის შელახვის მცდელობით ქვეყნის ხელისუფლებაში მოკალათებულნი, თავიანთი ხელისბიჭების მეშვეობით, ცდილობენ ქართველი ხალხის სულიერი თვითყოფადობის განადგურებას.

თავის ღროწე დიდი ილია აღნიშნავდა: ქრისტიანობა და ქართველობა არა მხოლოდ აზიაში, არამედ მსოფლიოში სინონომურ ტერმინებად ითვლება. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული, შესაბამისად, სახელმწიფოებრივი ცნობიერების შენარჩუნებასა და მის დღემდე მოტანაში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესის უდიდესი წვლილი მიუძღვის. აქედან გამომდინარე, ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში მისი როლის დაკინება-დაქვეითება — ეს ნიშნავს ქართული სულიერი კულტურის (რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და რომელმაც საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიოს ცივილიზაციის საგანძურში), ეროვნული ცნობიერების და, შესაბამისად, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოწყობის დასამარებას. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია არა მხოლოდ ეროვნული ინტერესების, არამედ „ქართული ენის დაცვის საქმეში უდიდეს როლს ასრულებს. იგი ქართულ ენას აკავშირებს თავის პირველწყაროსთან, სიცოცხლეს აძლევს იმ ძარღვს, რომელიც ამთლიანებს ქართულ ცნობიერებას, ქართული ენისა და ქართველი ერის ისტორიას“ [1, 82–83].

ჯერ კიდევ 2003 წლის სექტემბერში იყო მცდელობა, იმდროინდელ ხელისუფლებასა და ვატიკანს შორის ხალხისაგან და ეკლესიისაგან ფარულად გაფორმებულიყო ხელშეკრულება (კონკორდატი), რომლის მიხედვით კათოლიკური ეკლესია იგივე უფლებებსა და სტატუსს შეიძნება, რაც ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. ვინმემ მიკერძოებაში ცილი რომ არ დაგვწამოს, ამიტომ მოვიტანთ ხელმოსაწერად მომზადებულ ხელშეკრულების სრულ ტექტს.

„წმიდა საყდარი და საქართველო

- მიიჩნევენ რა ერთმანეთს საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ ავტონომიურ სუბიექტად;
- წმიდა საყდარი მოქმედებს რა ვატიკანის მეორე საბჭოს დოკუმენტებისა და საეკლესიო სამართლის ნორმების საფუძველზე;
- საქართველო მოქმედებს რა საქართველოს კონსტიტუციისა

და იმ საერთაშორისო კონვენციების დებულებების შესაბამისად, რომელთა მხარესაც ის წარმოადგენს;

— გამოთქვამენ რა სურვილს მეგობრობის სულისკვეთებით გააგრძელონ და კიდევ უფრო განავითარონ მათ შორის უკვე არსებული ურთიერთობა;

— განზრახული აქვთ რა ურთიერთოგაგების საფუძველზე განსაზღვრონ საქართველოში მოქმედი კათოლიკური ეკლესიის იურიდიული სტატუსი, შეთანხმდნენ:

### მუხლი I

საქართველო აღიარებს კათოლიკური ეკლესიის, როგორც იურიდიული პირის სტატუსს, კერძოდ, საქართველო უზრუნველყოფს იურიდიული პირების უფლებაზნარიანობის გავრცელებას საეკლესიო სამართლით გათვალისწინებული კათოლიკური ეკლესიის ისეთი ერთეულების მიმართ, როგორიცაა: საეპისკოპოსოები, ეპარქიები ან საზოგადოებები, ასოციაციები, სემინარიები, კოლეჯები, სკოლები და საქველმოქმედო დაწესებულებები, კომპეტენტურ სამოქალაქო ორგანოებში მათი რეგისტრაციის შემდეგ.

### მუხლი II

1. საქართველო უზრუნველყოფს კათოლიკური აღმსარებლობისა და კათოლიკური რელიგიური წესების საჯაროდ აღსრულების თავისუფლებას;

2. საქართველოს კათოლიკურ ეკლესიას აქვს თვითორგანიზებისა და საჭირო საშუალებებით, საკუთარი მისიის განხორციელების უფლება;

3. კომპეტენტური საეკლესიო ორგანო სარგებლობს უფლებით შექმნას ეკლესიასთან დაკავშირებული სტრუქტურები. კერძოდ, საეკლესიო სამართლის ნორმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააკარსოს და მოახდინოს საეკლესიო იურიდიული პირების რეორგანიზება.

### მუხლი III

1. წმიდა საყდარს შეუძლია დაუბრკოლებლად შეარჩიოს სასულიერო პირი ეპისკოპოსის, ეგზარქოსის ან სამოციქულო აღმინისტრატორის ფუნქციების შესრულების მიზნით. ეს პირი შეიძლება იყოს ეპისკოპოსი. ზემოაღნიშნული დანიშვნების შესახებ ინფორმაციის

გავრცელებამდე წმ. საყდარი, თავაზიანობისა და ნდობის პრინციპებიდან გამომდინარე, ამის შესახებ წინასწარ აცნობებს სამოქალაქო ხელისუფლების ორგანოებს;

2. კომპეტენტური საეკლესიო ორგანო სარგებლობს უფლებით, დამოუკიდებლად დანიშნოს ნებისმიერი პირი, რომელიც ამავე დროს პასუხისმგებელი იქნება საქართველოში არსებულ სხვა საეკლესიო ერთეულებზე.

#### მუხლი IV

საქართველო შეზღუდვების გარეშე უზრუნველყოფს კათოლიკური ეკლესიისა და მისი იურიდიული და ფიზიკური პირების ურთიერთობისა და კონტაქტების თავისუფლებას წმიდა საყდართან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ საეკლესიო სამართლით აღიარებულ სხვა საეკლესიო დაწესებულებებთან.

#### მუხლი V

საქართველო აღიარებს კათოლიკური ეკლესიის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და პრინციპები. ასევე მის უფლებას, ისარგებლოს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი VI

1. თავისი პასტორალური მისიის განხორციელების მიზნით ეპისკოპოსი, ეგზარქისი, სამოციქულო ადმინისტრატორი, მღვდელი ან მასთან გათანაბრებული პირები სარგებლობენ უფლებით, საქართველოში მოიწვიონ მღვდელები, რელიგიური სამწყსოს წარმომადგენლები და საერო პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ საქართველოს მოქალაქეობა.

2. საქართველოს ხელისუფლების ორგანოები გასცემენ საცხოვრებელ ნებართვას კათოლიკური ეკლესიის ზემოაღნიშნული მოწვევული წევრებისათვის, რომლებიც დანიშნული იქნებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ შესაბამის ეკლესიებსა და კათოლიკური ეკლესიის სხვა დაწესებულებებში მსახურების მიზნით. ნებართვები, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ძალაში იქნება მათი მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

#### მუხლი VII

1. კათოლიკური ეკლესია სარგებლობს უფლებით შეიძინოს, მართოს, გამოიყენოს და განკარგოს მოძრავი და უძრავი ქონება და აშენოს ეკლესიები და სხვა შენობა საეკლესიო მიზნებისათვის;

2. ქონების შეძენა, ეკლესიებისა და საეკლესიო ნაგებობების მშენებლობა და მართვა განხორციელდება საეკლესიო სამართლის ნორმების და საქართველოში მოქმედი კანონების შესაბამისად;

3. საქართველო უზრუნველყოფს ღვთისმსახურების ადგილების ხელშეუხლებლობას. კომპეტენტური საეკლესიო ორგანოების წინასწარი შეთანხმების გარეშე, ღვთისმსახურების ადგილები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ მიზნებისათვის, რაც არ არის გათვალისწინებული საეკლესიო სამართლით.

#### მუხლი VIII

1. აღსარების საიდუმლოება ხელშეუხებელია. არავის არ შეუძლია კათოლიკე ეპისკოპოსის ან მღვდელის დაკითხვა ისეთ საქმეზე, რომელიც დაკავშირებულია აღსარების საიდუმლოებასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მღვდელი უნდა წარსდგეს როგორც მოწმე ან მხარე სამოქალაქო სასამართლოს წინაშე;

2. სასულიერო პირები არ არიან ვალდებული მიაწოდონ სამოქალაქო ხელისუფლებას ღია ინფორმაცია პირებისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც მათ მოიპოვეს თავისი მსახურების დროს.

#### მუხლი IX

1. კათოლიკურ ეკლესიას აქვს უფლება დააარსოს და მართოს თავისი სკოლები საეკლესიო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2. კათოლიკე მოიწავლეებს, როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სკოლებში ექნებათ თავიანთი რელიგიის შესწავლის გარანტირებული უფლება;

3. კათოლიკური რელიგიის სწავლება საგანმანათლებლო დაწასებულებებში მიზნად ისახავს ეკუმენისტური სულისკვეთების განმტკიცებას და სხვადასხვა აღმსარებლობებს შორის ურთიერთატატივისცემის გაღრმავებას, რაც ამავე დროს გულისხმობს საქართველოს ისტორიასა და კულტურაში მართლმადიდებლური ეკლესიის როლის აღიარებას;

4. სწავლება ჩატარდება კათოლიკური ეკლესიის კომპეტენტური

ხელისუფლების მიერ დამტკიცებული პროგრამის საფუძველზე და მხოლოდ იმ კვალიფიცირებული პედაგოგების მიერ, რომლებსაც გააჩნიათ ამ ხელისუფლების მიერ გაცემული სერთიფიკატი;

5. კათოლიკური ეკლესია და საქართველო აღიარებს დიპლომებს, ხარისხებსა და სხვა აკადემიურ კვალიფიკაციებს განათლების ყველა დონეზე.

## მუხლი X

წმიდა საყდარი და საქართველო ადასტურებენ რა ორმხრივ დაინტერესებას, გააღრმაონ ურთიერთობები კულტურის სფეროში, ხელს შეუწყობენ კავშირების განმტკიცებას საქართველოში არსებულ დაწესებულებებსა და მთელ მსოფლიოში არსებულ კათოლიკურ ინსტიტუტებს შორის. ისინი ასევე ხელს შეუწყობენ სტუდენტთა გაცვლას საეკლესიო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებს შორის, ორივე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი XI

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საეკლესიო ქორწინება, მისი რელიგიური წესით დღესასწაულობის მოქმნებიდან, წარმოშობს იურიდიულ შედეგებს სამოქალაქო ურთიერთობებში, იმ პირობით, რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონით გათვალისწინებულ დებულებებს.

## მუხლი XII

სემინარიის სტუდენტები და რელიგიური კონგრეგაციების მორჩილები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. საყოველთაო მობილიზაციის შემთხვევაში, ამ სტუდენტებსა და მორჩილებს დაუვალებათ ისეთი ოპერაციების შესრულება, რომელიც არ არის დაკავშირებული იარაღის გამოყენებასთან.

## მუხლი XIII

საქართველო აღიარებს და უზრუნველყოფს კათოლიკური ეკლესიის უფლებას შესთავაზოს სულიერი დახმარება იმ მორწმუნე კათოლიკებს, რომლებიც მსახურობენ ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში და პოლიციაში, იმყოფებიან სახელმწიფო ან კერძო სამედიცინო და გრძელვადიან დაწასებულებებში ან საპატიმროებში.

## მუხლი XIV

1. საქართველო გადასახადებისაგან გაათავისუფლებს იმ კათოლიკური დაწესებულებების მიერ შემოტანილ პუმანიტარულ დახმარებას, რომლებიც საეკლესიო კანონმდებლობის შესაბამისად ოფიციალურად აღიარებულია კათოლიკური ეკლესიის მიერ და რეგისტრირებულია სამოქალაქო ორგანოების მიერ;

2. კათოლიკური ეკლესიისათვის განკუთვნილი სხვა იმპორტირებული ნივთები ასევე თავისუფლდება გადასახადისაგან.

## მუხლი XV

იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა გარკვეული გადაუწყვეტელი და სადაო საკითხები ქონებრივ, ეკონომიკურ და ფისკალურ სფეროში, რომლებიც შეეხება კათოლიკურ ეკლესიას ზოგადად ან ცალკეულ კათოლიკურ თემებს, შენობებს ან დაწესებულებებს, კათოლიკური ეკლესია და საქართველოს კომპენტენტური ორგანო შექმნიან საგანგებო ერთობლივ კომისიას ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების შემუშავების მიზნით.

## მუხლი XVI

1. წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შეთანხმებით;

2. წმ. საყდარი და საქართველო წინამდებარე დებულების განმარტებასთან ან გამოენებასთან დაკავშირებით წარმოშობილ სირთულეებს გადაწყვეტენ მეგობრული ურთიერთშეთანხმების გზით.

## მუხლი XVII

წინამდებარე შეთანხმება შესრულებულია ორ პირად – ინგლისურ და ქართულ ენებზე. ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს. განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ტექსტს.

წმიდა საყდრის სახელით:

საქართველოს სახელით:,

[2,132-138; 3,121-123; 4,218-226].

ხელშეკრულებაში საერთოდ იგნორირებული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ის თითქოს არც არსებობს და თუ არსებობს, არავითარი ფუნქცია არ გააჩნია. ვატიკანის მესვეურნი იმ ზომამდე მიღიოდნენ, რომ ამ ხელშეკრულებით თავიანთ თავზე იღებდნენ ჩვენი ქვეყნის ისეთი მნიშვნელოვანი სახელმწიფო დაწე-

სებულებების ფუნქციებს, როგორიცაა: კულტურისა და სპორტის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროები.

ამ საკითხზე არა თუ საზოგადოება, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც კი არ იყო ინფორმირებული. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ამ გასაიდუმლოებული შეთანხმების მცდელობის შესახებ თავისი (საქართველოს ეკლესის) პოზიცია დააფიქსირა და აღნიშნა: „როგორც ცხობილია, საქართველოში ვატიკანის წარმომადგენლობის ინიციატივით მომზადდა საქართველოს სახელმწიფოსა და ვატიკანს შორის რელიგიური ურთიერთობის განმსაზღვრელი საერთაშორისო ხელშეკრულება. საქართველოს საპატრიარქოსათვის სრულიად გაუგებარია, რატომ ხდება აღნიშნული დოკუმენტის გასაიდუმლოება, მაშინ, როდესაც სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესის შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება საჯაროდ მუშავდებოდა წლების განმავლობაში და იგი არაერთგზის გახდა განხილვის საგანი როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში. ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიის წარმომადგენლები.

ჩვენ არაერთხელ დაგვიფიქსირებია შზადყოფნა როგორც კათოლიკების, ისე საქართველოში არსებული სხვა რელიგიების სამართლებრივი სტატუსის განხილვისა და მისი ერთობლივი გადაწყვეტილების შესახებ. ამიტომაც ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი და ყოვლად მიუღებელია ვატიკანის მხრიდან ამ სახით და ამ რანგში ხელშეკრულების გაფორმების მცდელობა“ [2, 130–131].

ჩვენს ქვეყანაში ქართული მართლმადიდებელი ეკლესის მნიშვნელობისა და როლის დაკინება-დამცრობას არა მარტო ვატიკანი, არამედ უცხოეთიდან ინსპირირებული და უხვად დაფინანსებული, საქართველოში სოკოებივით მომრავლებული სხვა რელიგიური კოფესიები და სექტებიც ცდილობენ.

ასე, მაგალითად: 2006 წლის 26 იანვარს საქართველოში მოქმედი სომხური ეპარქიის ეპისკოპოსის ვაზგენ მირზოხანიანის ინიციატივით საქართველოში არსებული ყველა რელიგიური კონფესიისა და სექტის წარმომადგენლთა შეხვედრა მოეწყო. შეხვედრის ძირითადი თემა იყო მათთვის სტატუსის მინიჭების საკითხი.

ამავე წლის 30 მარტს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრში (ქ. თბილისი, ხელმძღვანელი გიორგი ხუციშვილი) და მაისში საქართველოში არსებული ყველა

რელიგიური კონფესიებისა და სექტების შეხვედრები კვლავ მოეწყო (რა თქმა უნდა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის გეგერდის ავლით). მასში მონაწილეობდნენ:

1. სუბსარქისის სომხური ტაძრის მოძღვარი – ნორიკ კეშოანი;
2. ლევონ ისახანიანი – საქართველოში არსებული სომხური ეპარქიის ხელმძღვანელის თანაშემწერი იურიდიულ საკითხებში;
3. ვან ბაიბურთი – იმდროინდელი საქართველოს პარლამენტის წევრი;
4. ბექა მინდიაშვილი – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი;
5. პატრი გაჩეჩილაძე – არასამთავრობო ორგანიზაციის „21-ე საუკუნე“ წარმომადგენელი;
6. ანდრე შტოკალი – საქართველოში არსებული ლუთერანული ეკლესის ეპისკოპოსი.

შეხვედრის მონაწილეთა აზრით, საქართველოში მოქმედმა ყველა რელიგიურმა კონფესიამ თუ სექტამ (მნიშვნელობა არ აქვს, ის რეგისტრირებულია თუ არა) უნდა მიიღოს იურიდიული სტატუსი.

იგივე საკითხი დაისვა 2006 წლის 26 მაისს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის იმდროინდელ ხელმძღვანელთან საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიებისა და სექტების ხელმძღვანელთა ერთობლივ შეხვედრაზეც. შეხვედრას ესწრებიდნენ:

1. ვაზგენ მირზოხანიანი – სომხური ეპარქიის ეპისკოპოსი;
  2. ჯეზეპე პაზოტო – საქართველოში არსებული ლათინურ-კათოლიკური ეკლესის ეპისკოპოსი;
  3. მალხაზ სონდულაშვილი – საქართველოში არსებული ბაპტისტური ეკლესის ეპისკოპოსი;
  4. გარიკ აზიკოვი – საქართველოში არსებული გერმანულ-ლუთერანური ეკლესის მღვდელი;
  5. გაზი აზუნდ ალი ალიევი – მუსლიმანური რელიგიური საზოგადოების წინამდღოლი;
  6. აბრაამ მიქელაშვილი – ეპრაული რელიგიური საზოგადოების რაბინი.
- მათ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს პრეზიდენტისადნი გადასაცემი ერთობლივი წერილი ჩააბარეს, რომელშიც იურიდიული სტატუსის მინიჭებას ითხოვდნენ. 2009 წელს სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე განაცხადა: „მიმართ არა როგორი საქართველოში სომხური ენისათვის რეგისტრირი

სტატუსის მინიჭება, სომხური სამოციქული ეკლესიის იურიდიული რეგისტრაცია, სომხური ძეგლების დაცვისაკენ გადადგმული ნაბიჯები ხელს შეუწყობს ქართულ-სომხური მეგობრობის გამყარებასა და ურთიერთნდობის განმტკიცებას“.

როგორც ვხედავთ, საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიები და სექტები მეზობელი ქვეყნების ოფიციალურ ხელისუფალთა აშკარა თუ ფარული მხარდაჭერით, საქართველოს დედა ეკლესიის გვერდის ავლით ცდილობდნენ, ჩვენი ვაიხელისუფლებისგან ოფიციალურად მიეღოთ სტატუსი და მიაღწიეს კიდეც. ამის ნათელი დასტურია 2011 წელს მიღებული კანონი რელიგიების შესახებ, რომლის ძალითაც ჩვენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა კონფესია და სექტა უფლებრივად მართლმადიდებლობას გაუთანაბრეს.

2005 წელს 24–26 ნოემბერს თბილისში საპატრიარქოს თაოსნობით ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი“ ვინმე ლევონ ისახანიანმა წარმოადგინა მოხსენება, სადაც შემდეგი მოთხოვნები იყო წამოყენებული:

- საქართველოს ეკლესიის მიერ კეთილი ნების გამოჩენა და მის ტერიტორიაზე არსებული 600-ზე მეტი სომხური ეკლესიის დაბრუნება ეჩმიაძინისთვის;
- საქართველოში სომეხთა წმიდა ეკლესიის ეპარქიის სათანადო სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა;
- საქართველოში რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა;
- საქართველოში საუკუნეების განმავლობაში სომეხთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის ეპარქიის შემადგენლობაში შემავალი ეკლესიების ეპარქიისადმი გადაცემა.

იმდოოინდელი სახალხო დამცველი ოპერატიულად გამოეხმაურა სიმპოზიუმზე წამოჭრილ ამ საჭიროობროტო საკითხს და ერთი თვის შემდეგ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე განაცხადა: „ამ ეტაპზე სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია ყველაზე რაღიკალურად თბილისში — ნორაშენისა და ახალციხეში — სუბნშანის ტაძრების დაბრუნების საკითხს სვამს.... საპატრიარქოს პოზიციას, ტაძრების ისტორიული მეპატრონის შესახებ, ანგარიშს უწევს ხელისუფლება, რომელიც ცალმხრივად ვერ წყვეტს, დაუბრუნოს თუ არა ტაძრები თავის ისტორიულ მფლობელს.“ ამ

განცხადებით მან აშკარად მხარი დაუჭირა ისახანიანის თავხედურ გამოხდომას.

იგივე პოზიცია დაიკავეს სახალხო დამცველის პარატთან შექმნილი რელიგიათა საბჭოს წევრებმაც (თავისუფლების ინსტიტუტში გამოზრდილნი ბასილ კობახიძე, ნოდარ ლადარია, ბექა მინდიაშვილი, თამარ შამილი და მანი მათნი).

2011 წლის ივნისში საქართველოში ოფიციალური ვიზიტით სომხეთის პატრიარქი გარეგინ II ორი ძირითადი მოთხოვნით ჩამოვიდა: 1) სომხური ეკლესიისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭება და 2) ვითომდა სადაო „სომხური ექვსი ეკლესიის“ ოფიციალურად სომხური ეპარქიისათვის გადაცემა. ორივე საკითხზე საქართველოს პატრიარქისაგან საკმაოდ ლოგიკურად დასაბუთებული პასუხი მიიღო.

მიუხედავად ამისა, 2011 წლის 5 ივლისს სასწრაფოდ მიღებული კანონით, უცხოეთიდან მართულმა საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ, ქართველი ხალხისა და საქართველის მართლმადიდებელი ეკლესიის აზრის იგნორირებისა და გვერდის ავლით, არა მხოლოდ გარეგინ მეორის, არამედ საქართველოში არსებული სხვა რელიგიური კონფესიებისა და სექტების მოთხოვნები ერთი ხელის მოსმით დააკმაყოფილა და მათ საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიანიჭა. ამ კანონს სასწრაფო წესით საქართველოს პრეზიდენტმაც ხელი მოაწერა.

აღნიშნული კანონის მიღებასთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ შემდეგი სახის განცხადება გააკეთა: „ჩვენი ეკლესიისთვისაც და სრულიად ხალხისთვისაც, საქართველოს პარლამენტმა სრულიად მოულოდნელად, 1 ივლისს პირველი მოსმენით მიიღო კანონი რამდენიმე რელიგიური ორგანიზაციისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ.

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი და კონსტიტუციური შეთანხმება წლების განმავლობაში იყო ფართო განხილვის საგანი და მას საერთაშორისო ექსპერტიაც ჩაუტარდა.

თავის მხრივ, ეკლესია არასოდეს წასულა წინააღმდეგი და ყველთვის მხარს უჭერდა საქართველოში არსებული სხვა რელიგიებისადმი სტატუსის მინიჭებას და მათი უფლებების განხორციელებას, მაგრამ ამ პროცესს გაგრძელება არ მოჰყოლია, ანუ ხელისუფლების მხრიდან არ შექმნილა მრავალმხრივი კომისია, სადაც

საკითხი იქნებოდა შესწავლითი და შეჯერებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა სახელმწიფო ორგანიზაციის არც ქართული მართლმადიდებლური ტაძრების საკუთრებისა და მოვლაპატრონობის საკითხი დასმულა დღემდე და არც ჩვენი ეკლესიის სტატუსის განხილვა დაწყებულა.

ამის ფონზე გაუგებარია ჩვენი ქვეყნის პარლამენტის მიერ ესოდენ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღება საჯარო განხილვის გარეშე და ასეთი აჩქარებული წესით.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია შეჩერდეს კანონის მიღების პროცედურა (მეორე და მესამე მოსმენა) და აღნიშნულ საკითხზე გაიმართოს საჯარო დებატები, თუნდაც ტელევიზიის პირდაპირ ეთერში, რათა ჩამოყალიბდეს საერთო-საზოგადოებრივი აზრი და მოხდეს კონსენსუსი მართლმადიდებელ ეკლესიასთანაც, რადგან ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია.

ჩვენს მოქალაქებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ეს საკითხი არის უმნიშვნელოვანესი, რადგან იგი არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს.

04.07. 2011.“

მეორე დღეს გამოქვეყნდა საქართველოს საპატრიარქოს განცადება. მასში ნათქვამია:

„საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ 4 ივლისს გაკეთებული განცხადების შემდეგ საქართველოს საპატრიარქოში თავისი ინიციატივით მოვიღენ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები, რათა შემოეთავაზებინათ პირველი მოსმენით მიღებული კანონ-პროექტის შეცვლილი ვარიანტი, სადაც კვლავ უპირობოდი იყო დაფიქსირებული რელიგიური გაერთიანებების საჯარო იურიდიულ პირად აღიარების საკითხი.

საპატრიარქო კვლავ აყენებდა წინადადებას კანონის მიღების პროცესის შეჩერების, მისი საჯარო განხილვისა და საზოგადოებრივი აზრის კონსენსუსის მიღწევის თაობაზე.

შეძლევ კი, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, კომპრომისული ვარიანტიც შესთავაზა.

შეთანხმება ვერ შედგა, რაც მეტად სამწუხაროა, რადგან აწ უკვე მიღებული კანონი ეწინააღმდეგება როგორც ეკლესიის, ისე ქვეყნის ინტერესებს.

ვფიქრობთ, ეს კანონი თავის უარყოფით შედეგებს ახლო მო-

მავალშივე გამოიღებს, რაზეც პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება.

05.07.2011“[6,3].

მიუხედავად საპატრიარქოს ამგვარი განცხადებისა, 2011 წლის 11 ივლისს ჩატარებული სინოდის სხდომაზე, სადაც საქართველოს პარლამენტის მიერ სხვადასხვა რელიგიური კონფესიებისადმი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ მიღებული კანონის სამართლიანობა თუ არასამართლიანობა განიხილებოდა, სინოდის წევრთა უმრავლესობის მიერ (20 ხმით 17-ის წინააღმდეგ) ამ კანონის შესახებ ხელისუფლების გადაწყვეტილება დადებითად შეფასდა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ სინოდი საერთო ინსტიტუტი არ არის. კანონი საქართველოს ხელისუფლებამ მასთან კონსულტაციისა და შეთანხმების გარეშე ეკლესიის საქმეში უხეში ჩარევით დამტკიცა და ის ფაქტის წინაშე დააყენა.

ამასთან დაკავშირებით, ქვეყნის იმდროინდელმა პირველმა პირმა მიხეილ საკაშვილმა დაუფარავი ცინიზმითა და სიამაყით აღსავსემ საჯაროდ აღნიშნა: „ვატიკანთან მოლაპარაკება ჰქონდა შევარდნაბის მთავრობას, მაშინაც სწორედ ან კანონს იღებდნენ. რვა წლის წინ, 2003 წელს იგივე ხალხი მაშინაც იგივეს იმეორებდა – ხალხს არ გააგებინესო. ვატიკანი ძალიან გვჭირდება. ბევრ ქვეყანაში, სადაც საქართველო არ არის წარდგენილი, ვატიკანი იცავს ჩვენს პოზიციებს. ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვიდა შევარდნაძესთან, მას ნახევარი საათით ადრე დაურეკეს. იმის გამო, რომ 100 სტუდენტი გამოიყვანეს ამ საკითხის საწინააღმდეგოდ ქუჩაში, კათოლიკების საგარეო საქმეთა მინისტრს უარი უთხრეს, ბოდიში, მაგრამ ვერ მოვაწერო ხელს ამ ხელშეკრულებასო და ეს კაცი უკან წავიდა. წასვლის წინ მან თქვა წინასწარმეტყველური ფრაზა – თუ მთავრობას ეშინია ქუჩაში გამოსული 100 კაცის და ვერ აცნობიერებს, რომ ფუნდამენტალურ ღირებულებებზეა ლაპარაკი, ამ მთავრობას დიდი დღე არ უწერია. ამიტომ 100 ათასი კაციც რომ გამოსულიყო ქუჩაში, მე მაინც ამას გავაკეთებდი”-ო.

არც დღევანდელი ხელისუფლება ჩამორჩა თავის წინამორბედს. სულ ახლახან ხალხისა და დედა ეკლესიის უკითხავად სხვადასხვა, კონკრეტულად, საქართველოში არსებული ოთხი რელიგიური კონფესია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დააფინანსა იმ საბაბით, რომ თურმე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბოლშევიკებმა დიდი ზიანი მიაყენეს მათ და, თურმე, ქართველმა ხალხმა, როგორც

„იმ ბოლშევკიუბის მემკვიდრემ,“ უნდა აუნაზღაუროს.

ამასაც არ დასჯერდნენ, სახელმწიფოს მხრიდან ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უკეთ გაკონტროლების მიზნით პრემიერის აპარატთან შექმნეს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ზაწოლას ახდენს და უხეშად ერევა ეკლესიის საქმიანობაში. ამ ქმედებით ფაქტობრივად ჯვაროსნული ომი ღიად გამოუცხადეს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, რაც მილიონობით მართლმადიდებელი ქართველის რელიგიური გრმნობების იგნორირებას, ზნეობრივ დაცემას, სულიერ გადაგვარებას ნიშნავს.

სულ ცოტა ხნის წინ ამ მთავრობის ერთ-ერთი ლიდერი სოფელ ჭელაში მინარეთის აღმართვასთან დაკავშირებით სამართლიანი საპროტესტო აქციის მონაწილეებს ამუნათებდა: „საქართველოში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და ურთიერთობები სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის რეგულირდება საკონსტიტუციო შეთანხმებითა და არსებული კანონმდებლობით. როგორც სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერთოს ეკლესიის შიდა ცხოვრებაში, ისე ეკლესიას არ აქვს უფლება იტვირთოს სახელმწიფო ფუნქციები. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უდიდესი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს ქართულ საზოგადოებაში, მაგრამ კონკრეტული შშენებლობის მიზანშეწონილობას მხოლოდ სახელმწიფო კანონმდებლობა განსაზღვრავს.“


შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს აღნიშნული მთავრობების ზემოთ ჩამოთვლილი კანონები და დადგენილებანი — ეს არის მიზანმიმართული უმძიმესი დანაშაულებრივი ლაშქრობა ქართული სულის, ქართული რელიგიური რწმენის — მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. მათ ავიწყდებათ, ან არ უნდათ დაინახონ, ის რეალური გარემოება, რომ დავით აღმაშენებლის ოქროს ხანის გარანტი სწორედაც რომ მართლმადიდებლობის სახელმწიფო იდეოლოგიის რაგები აყვანა იყო. ქრისტიანობის მიღებისა და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, საქართველოში უმძიმესი განსაცდელის უამსაც კი, ეკლესია ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა, რადგან იგი არა მხოლოდ სარწმუნოება, არამედ ქვეყნის იდეოლოგიაც იყო.

როგორც ვხედავთ, „მსოფლიოს ახალი მოწყობის“ და „ახალი აღამიანის გამოყვანის“ ორგანიზატორებმა — გლობალისტებმა, ჩვენს ქვეყანაში არსებული სხვადასხვა კონფესიის გამოყენებით,

საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და, შესაბამისად, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების ძლიერი დამცველის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვეითება-დაქნინება ოფიციოზის დონეზე დაიწყეს, რაც ბოლო ათწლეულში არსებული უცხოეთიდან მართული საქართველოს ხელისუფლებების მიერ საკუთარი ქვეყნის წინაშე ჩადენილ ამ საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

### გამოყენებული ლიტერატურა

- დ. მელიქიშვილი, ქართული ენის მდგომარეობა დღეს, 2008 წლის 14 აპრილისათვის//კრ. „ქართველოლოგია“, 4, თბ., 2008.
- მართლმადიდებლობასა და ლათინოპანიზმს (კათოლიციზმს) შორის არსებული განსხვავებანი, თბ., 2004.
- ს. საჯაია, „დემოკრატიული“ გადაგვარებით — „ცივილური“ გადაშენებისაკენ, თბ., 2005.
- თ. იველაშვილი, კათოლიკობა საქართველოში, თბ., 2009.
- თ. იველაშვილი, ეთნიკური უმცირესობები და კონფლიქტური სიტუაციები სამცხე-ჯავახეთში//კრ. „ქართველოლოგია“, 6, თბ., 2010.
- „საპატრიარქოს უწყებანი“, 26, 2011.



## მამუკა ცუხიშვილი

### ქართველ გამულითა საქმეს გამგრძელებლები სტილება

წერილში წარმოდგენილი დოკუმენტური მასალის საფუძველზე შევეცადეთ, ფართო საზოგადოებისთვის გაგვეცნო XIX საუკუნის ოთხი უდიდესი ქართველი მოღვაწის შეხედულება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაზე.

დღევანდელ საქართველოში გავრცელებულია მრავალი მსოფლიშედველობრივი დაავადება, რომელთაგან განკურნება, ალბათ, პრაქტიკულად შეუძლებელიცაა. მათ შორის ერთი უკიდურესად მძიმე ტენდენცია გამოიკვეთა — რუსთმოძულება.

რუსთმოძულებას ამჟღავნებენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს უწოდებენ პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენტებს, პოლიტიკოსებს, მეცნიერებს, მკვლევრებს... ისინი საზოგადოების ღირსეულ სახეებად გვევლინებიან და მაღალ მატერიებზე საუბრით იწონებენ თავს.

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენ სრულიად ვიზიარებთ XIX საუკუნის ყველაზე საღად და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების პოზიციას რუსეთთან დაკავშირებით და მიგვაჩნია, რომ რუსეთის მიმართ დღევანდელი უსამართლო დამოკიდებულება პირდაპირ კავშირში არის საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ჰეგემონობის განმტკიცებასთან.

თავად ტერმინიდან გამოდინარე, ცნება ჰეგემონიისა გულისხმობს ისეთ სიტუაციას, რომელშიც გარკვეული სოციალური ჯგუფების კავშირი ტოტალური სოციალური ძალაუფლების მოპოვებას ცდილობს სხვა დაქვემდებარებულ ჯგუფებზე, არა მხოლოდ იძულების ან ცრუ იღების პირდაპირი თავსმოხვევის გზით, არამედ

### ქართველ მამულითა საქმე

თანხმობის მოპოვებისა და საერთო შეხედულებების ფორმირების საშუალებით, ისე რომ, დომინანტური ჯგუფების ძალაუფლებას ლეგიტიმური და ბუნებრივი სახე ეძლევა. ჰეგემონიის შენარჩუნება შეიძლება მანამდე, სანამ დომინანტი კლასები წარმატებით ახერხებენ საკუთარ პოსტულატო ძირითადი მნიშვნელობების განსაზღვრას ერთი მოცემული ჩარჩოს ფარგლებში, ისე რომ, დაქვემდებარებული ჯგუფები თუ სრულად არ კონტროლდებიან, ერთ იდეოლოგიურ სივრცეში მაინც არიან მოქცეულნი. გარეგნულად სივრცეს არა მკეთრად იდეოლოგიური, არამედ მუდმივობისა და ბუნებრიობის სახე უნდა ჰქონდეს და არსებობდეს ისტორიის გარეთ, კონკრეტული ინტერესების მიღმა.

ფაქტია, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები სრულ უფლებას გვაძლევს გადაჭრით ვთქვათ, რომ ნელ-ნელა ასპარეზს ტოვებს ის ეროვნული ტრადიციები და ფასეულობები, რომლებმაც დღემდე მოგვიყვანა და გადავვარჩინა. სამაგიეროდ, მათ ადგილს ურცხვად იკავებს ის, რაც უშვავსოა, ამორალური და ანტიქართული, რასაც, სამწუხაროდ, თვით ჩვენი ხალხის ნაწილიც უწყობს ხელს.

\*\*\*

ჯერ კიდევ ახალგაზრდა რომანტიკოსმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაუჭირა მხარი ერეკლე მეორის იმ უაღრესად მნიშვნელოვან და საქართველოსთვის ესოდენ ფასეულ გადაწყვეტილებას, რომელიც ცნობილია „გეორგიევსკის ტრაქტატის“ სახელით.<sup>1</sup>

როგორც ვიცით, ერეკლე მეორეს გვერდით ჰყავდა გამორჩეული თანამოაზრე და საზოგადო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე. მისი უშუალო მონაწილეობით მოშადდა, გაფორმდა და ძალაში შევიდა გეორგიევსკის ტრაქტატი. ასევე, ს. ლიონიძე მოაშადა 1790 წელს ივერიელ მეფე-მთავართა ტრაქტატი; ეს ტრაქტატი კი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ნაბიჯს დაშლილი ქვეყნის გაერთიანებისაკენ. 1790 წელს სოლომონ ლიონიძის აქტიური ჩარევით დაისვა და დამუშავდა საკითხი საქართველოს დაქსაქსული სამეფო-სამთავროების შეკავშირება-შეერთებისა და დაიდო უზენაეს ხელისუფალთა მოკავშირეობის ხელშეკრულება. წარჩინებული კარისკაცის დიდა წარმატებამ მეფის ირგვლივ შემოკრებილ ფეოდალთა წრეში ჯერ ფარული შური გამოიწვია, შემდეგ კი — აშკარა შუღლი და მტრო-

<sup>1</sup> ცნობისათვის, იხ.: გალერიან მაჭარაძე, გეორგიევსკის ტრაქტატი, // შერ. „სამი საუნჯე“, № 1(7), 2013.

ბა. ამ მტრობის შედეგად, როგორც ცნობილია, ერეკლესა და სოლომონს შორის 1796 წელს ჩამოვარდა უთანხმოება, რასაც მოჰყევა მათი გათიშვა. თუმცა იდეოლოგიური დაპირისპირება ხანგრძლივი არ აღმოჩნდა — მეფემ შეიცნო სოლომონის უანგარო ერთგულება და შეირიგა კიდეც.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის უკვდავ პოემაში „ბედი ქართლისა“ ყოველგვარი მიკერძოების გარეშე აღწერა მეფისა და მსაჯულის დიალოგი.

მეფის გადაწყვეტილებით გაკვირვებული სოლომონის შხერა არ გამოპარვია ერეკლეს და უთხრა:

„აწ განთქმულია რუსთა სახელი,  
ხელმწიფედ უვისთ ბრძენი და ქველი,  
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,  
მტკიცე კავშირი, სარწმუნოება, —  
მას მსურს რომ მივსცე მემკვიდრეობა,  
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა“.<sup>2</sup>

სოლომონი არ ერიდება მეფეს და მეგობარს და პირდაპირ უსვამს კითხვას:

„ბატონო, ღმერთი გადლეგრძელებდეს,  
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,  
ეზდენ შენზედა მსასოებელთა!  
ჯვრ სამაგისო რა გვემართება,  
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?  
იცი, მეფეო, რომე ივერნი  
იქმნებიან რუსთ ხელთ ბელნიერნი?“<sup>3</sup>

მისი შეკითხვა ნამდვილად არ არის უადგილო, მაგრამ, მეფის პასუხიც სრულებით ამომწურავი და ერთმნიშვნელოვანია:

„მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?  
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის  
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?  
მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,  
თვისეს დიდებისთვის სისხლთა აღმჩენებე;  
არამედ ვითა მამა კეთილი,  
რომელსა სურს რომ თავისი შვილი  
თვის სიცოცხლეშივ დაასახლეკაროს“.<sup>4</sup>

<sup>2</sup> ნ. ბარათაშვილი, ბედი ქართლისა, თბ., 1958, გვ. 21.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე.

პატარა კახმა სრული გულწრფელობით და საფუძვლიანად დაუსვა წერტილი კითხვებს, რომლებიც იმთავითვე გაჩნდა საზოგადოების უმცირესობაში:

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა,  
შშვიდობა ნახოს საქართველომა“.

პოემის ბოლოს აღწერილი მშვიდი და ნათელი დამე თითქოს მშობლიური ბუნების მოწონებასა და თანხმობაზე მეტყველებს მეფის გადაწყვეტილების მიმართ:

„ამ დროს აღმოხდა ბადრი მთოვარე,  
და სიამითა მოფინა არე,  
ცამ მოჭედილმა ვარსკვლავებითა  
მთისა ჰაერმან, სავსემ შვებითა“.<sup>5</sup>

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ერეკლე მეორეს ასევე უძღვნა ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ (1842 წ.), სადაც კიდევ ერთხელ ხმამღლა განაცხადა:

„თაყვანს ვცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!  
გახსოვს, სიკვდილისეამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?  
აპა, აღსრულდა ხელმწიფური აწ პაზრი შენი,  
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტყბილსა აწ შენნი ძენი!“<sup>6</sup>

ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და მწერალი პავლე ინგოროვა ამ სტროფს ასე განმარტავს: „ნ. ბარათაშვილი იზიარებს ირაკლი მეფის ანდერძ-ნამაგს; პოეტი ფიქრობს, რომ საქართველოს რუსეთთან დაახლოება იყო ისტორიულად გარდაუვალი აქტი და ერთადერთი სწორი გზა... პოეტს თავისი ქვეყნის ხსნად მიაჩნია, რომ საქართველომ გაარღვია რკალი ბარბაროსული ქვეყნების გარემოცვისა და აღადგინა კავშირი კულტურულ მსოფლიოსთან, რომელსაც საქართველო საუკუნეებით იყო მოწყვეტილი“.<sup>7</sup>

საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (1972-1985 წწ.) ედუარდ შევარდნაძე ბრძანებს: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ისტორიული პოზიცია მით უფრო ღირებულია, რომ იგი უშეუალოდ ერეკლე მეორის შემდგომი პერიოდის საქართველოს მოქალაქის მსოფლმხედველობის გამოხატულებაა, პოეტი ისტორიული მოწმეა იმ ძვრებისა, იმ სიკეთისა, რომელიც მოუტანა ქართველ ერს თრი ხალხის მეგობრობამ. ერეკლე მეორის გზამ

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> ნ. ბარათაშვილი, ღვექსები, წერილები, თბ., 1968, გვ. 56.

<sup>7</sup> დასხ. გამოცემა. გვ. 123.

მომავლისკენ“.<sup>8</sup>

სწორედ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო პირეკლი პოეტი, რომელმაც აღიარა რუსეთთან საქართველოს შეერთების უდიდესი მნიშვნელობა.

მან თავისი ღრმა პატივისცემა ერეკლე მეფისადმი შემდეგნაირად გამოხატა:

„მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,  
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!

აწ მიხვდა ქართლი შენსა ქელსა ანდერძნამაგსა

და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა“.<sup>9</sup>

წმინდა ილია მართალიც (ჭავჭავაძე) მხარს უჭერდა ერეკლე მეორეს მიერ გადადგმულ ნაბიჯს, რადგან მიხვდა, რომ იგი განპირობებული იყო მაშინდელი უმწვავესი პოლიტიკური ვითარებით. გამუდმებულმა ომებმა საქართველო ყოველმხრივ კატასტროფის წინაშე დააყენა, შესაბამისად, ასეთი ჩიხიდან საქართველოს გამოსვლისა და გადარჩენის ერთადერთი სწორი და მართებული გზა რუსეთთან შეერთება იყო.

„დასუსტებული საქართველო, რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რეინის კარი შეეხსნა“, უფრო კარ-ლია შეექმნა და აღვილი საცილობელი გაუხდა გარს შემორტყმულ მტრებს. ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი, ხმალამოღებულნი თავს ადგნენ დამარცხებულს საქართველოს და მუქარას მუქარაზე უთვლიდნენ. სპარსეთი უწყრებოდა საქართველოს, რატომ ჩემთან არ იჰქირ საქმეს და ჩემს მფარველობას ქვეშ არ ეძიებ შენს დღეგრძელობას და კეთილდღეობასო. ამასვე უწყრებოდა ოსმალეთი და ახალციხიდამ მოსვენებას არ აძლევდა ქართლს. ერთი სახელმწიფოც და მეორეც თავისთვის გამოელოდა საქართველოს. ერთსაც და მეორესაც ჰსურდათ საქართველო. თუ ხმლით არა, მფარველობის სახით მაინც ხელთ ეგდოთ, თავისი საკუთარი ჯარები შიგ ჩაეყენებინათ და მით მაგრა მოეკიდნათ აქ ფეხი. გაძლიერება რუსეთისა, რომელმაც მაშინ საქართველოს საზღვრამდე მოიწია ჩრდილოეთის მხრით, ერთსაც თავზარსა სცემდა და მეორესაც“.<sup>10</sup>

ილიას გული გრძნობდა იმ საფრთხეს, რომელიც ურუსეთოდ გვემუქრებოდა, ამიტომ მისი პოზიცია XIX საუკუნის შუაგულში ყველაზე ფასეული და საყურადღებო აღმოჩნდა.

<sup>8</sup> გზ. ქმუნისტი, თბ., 1982 წლის 2 ნოემბერი.

<sup>9</sup> ნ. ბარათაშვილი, დახს. გამოც. გვ. 57.

<sup>10</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული ქრებული, ტ. 4. თბ., 1955, გვ. 207.

„წინათ ბევრჯერ ააოხრეს საქართველო, მიანგრიმოანგრიეს, ჩამოათალეს სანაპირო ქვეყნები, ხოლო გული კი ვერ შეუნგრიეს. საქართველო იბრძოდა, ჯვარს ეცმოდა და გულს კი არ იტეხდა. ამ ტანჯვა-წამებით მოაღწია ამ პატარა ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულამდე. შეინარჩუნა რჯული, ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და თავისი ქვეყანა. როცა გაძლიერებულმა რუსეთმა ფეხი მოაბჯინა ჩრდილოეთ კავკასიის მთებს და წამებულმა საქართველომ რუსეთისკენ მიიხედა და გული მიიბრუნა, მაშინ უფრო გაუმდვინვარდნენ მტრები და ნამეტნავად სპარსეთი“.<sup>11</sup>

მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველო თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა და ქვეყნის გასაძლიერებლად ჯარები შემოვიდნენ, ი. ჭავჭავაძის გადასახელიდან ეს მოვლენა ასე შეფასდა: „ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ შშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბელინიერ და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შეილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას“.<sup>12</sup>

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული აუცილებლობა განმარტებას არ საჭიროებდა, ილიამ მაინც თქვა თავისი სათქმელი ღიად და მთელი სიზუსტით: „ბაბახანი შუშისა და განჯის ხანებს ზედ-მისევდა, მათის სახანოების დაპყრობა უნდოდა და მერე აპირებდა საქართველოს თავს დასხმოდა, ოსმალეთიც ახალციხიდამ იმუქრებოდა.

სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეული უბედურებისაგან.

ამ საქმეს აჩქარება უნდოდა. ღვთივ-ძოსავმა და ღვთის-მოყვარე მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი ირჩია. ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა, რადგან, მისდა მეფობის წინათაც, ჯერ კიდევ 1576 წლითვან, საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოპლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოპლოდებიან. ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ

<sup>11</sup> იქვე, გვ. 209.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 216.

ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისვე მოსავი ერი მოიწვია საშველად და მფარველად<sup>13</sup>.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობას იმთავითვე გამოუჩნდა მოწინააღმდეგები, იყო დავა, კამათი, ბრძოლაც, მაგრამ ერთიანობაში, რუსეთის შერიდან საქართველოს მომავლის გადასარჩენად გადადგმული ეს ნაბიჯი განმსაზღვრელი აღმოჩნდა ერის სულიერი და დემოგრაფიული გადარჩნისათვის, რასაც დიდი ილია შემდეგი სიტყვებით აღნიშნავდა: „შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დაშვიდდა დიდი ხნის დაუშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან. დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან, დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერება ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე. დაუღა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაეჭცა მისს თავდადებულ შვილებს, რომელნიც უმწედ, უნუგეშ, ყველასაგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნეობის სადიდებლად და თავისი გინაობის გადასარჩენად<sup>14</sup>.

თვით რუსეთშიც ბევრი იყო ისეთი, ვისაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა დანაშაულად მიაჩნდა და „ბოლმით, შურით და დამცირებით“ ცდილობდნენ ვითარების გამწვავებას, რასაც გონივრულ პასუხს სცემდნენ პროგრესულად მოაზროვნე რუსი და ქართველი მოაზროვნები, რისი ნათელი გამოვლინებაცაა ილიას პასუხი კატკოვისადმი.

„ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გადაუცია; გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამდღვრობით და სახელით ქართველობას არა-ერთხელ დაუღრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად.

ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს, ეგ დროშა, რომელიც წინ დახვედრია მოზღვავებულს თათრობას და მუსულმანობას და ქრისტეს

ჯვარი თამამად წინ წაუმდგარებია, ძლევამოსილებით ომიდან გამოუტანია და დაუმკიდრებია კავკასიაში, ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართლი იმავე ვაჟკაცობით და თავგამომეტებით თან გაპყოლია და რუსეთთან ერთად სისხლი უთხევია მამულისათვის. დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვისადა ერთმა ვიღაცა კორესპონ-დენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა<sup>15</sup>.

ილია პირუთვნელი და მიუკერძოებელი იყო და იმ სირთულეებსად კარგად ხელავდა, რომლის გადალახვაც უხდებოდა რუსულ პოლიტიკას ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხსა და ტომთან ურთიერთობების მოსაგვარებლად და სამართლიანად აღნიშნავდა: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომი-სა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზე შეჯაფულებულნი არიან და არა შიგა და შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან“<sup>16</sup>.

არა მარტო პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სახელმწიფოებრივი, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესები აღმოჩნდა გადამწყვეტი ორი ერისა და ქვეყნის დაახლოებისა და დამეგობრების საქმეში.

ილიას პოზიცია აქაც სამართლიანი და ერთმნიშვნელოვანია: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალდონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობას და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან. რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ... ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თითოეულ ჩვენგანს მის გამონარკევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თა-

<sup>13</sup> გაზ. დერია, 1899, 26 ნოემბერი.

<sup>14</sup> ილია ჭავჭავაძე, დასხ. გამოც. 217.

<sup>15</sup> გაზ. დროება, 1882, № 40.

<sup>16</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებთა სრული კრებული, ტ. 5, 1941, გვ. 20.

ვისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ განარკვევის მიხედვით გამოუწიევია“.<sup>17</sup>

რაც შეეხება ჩვენ დიდ პოეტს, აკაკი წერეთელს, მან, ჯერ კიდევ 19 წლის ჭაბუკმა უძღვნა ლექსი „ნავი“ საქართველო-რუსეთის ურთიერთობას, რომელშიც ნათლადაა გამოხატული რწმენა იმისა, რომ ურუსეთოდ უდავოდ განწირული იყო საქართველო ან დასაღუპავად ან კიდევ გადასაგვარებლად; მოგვაქვს სრულად:

„საშუალ ზღვასა სცურავდა ნავი,  
ყოველის მხრიდან ჰქრიდა ნიავი.  
ჰსჩანდა, რომ ნავი იღუპებოდა  
და შემწედ არვინ ეგულებოდა.

ამ დროს ხვამალდმა გამოიარა,  
ნავმა იხილა რა, გაიხარა;  
გაჭირვებისგან სთხოვა გამოხსნა  
ხვამალდს შეპბედა, ეს საქმე რომ სცნა.

მოაბა ჯაჭვი, შველა ინება  
და უთხრა „შიში ნუდარ გექმნება!  
ქარი ჩემს სივრცეს რომ შემოხედავს,  
მერწმუნე, ქროლვას ვეღარ გაბედავს.

მალე მოვახდენ აქ მყუდროებას  
და შენ მიიღებ თავისუფლებას!“  
ნავს ეს ნუგეში დიდად იამა  
და, რაც შეიძლო, მას ასიამა.

რა ნავი ნახა განსვენებული,  
შეიქმნა ქარი გარისხებული:  
დიდის დაკვეხით ხვამალდს შეპბერა,  
მაგრამ მის სივრცეს დააკლო ვერა.

ჩადგა ნიავი ძალით, არ ნებით  
და ზღვა დასტოვა მან განსვენებით.  
ნავს ესე საქმე დიდად იამა,  
სთქეა: გამომიჩნდა კეთილი მამა!

<sup>17</sup> ი. ჭუჭაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 2., თბ. 1941, გვ. 607.

და ესა მყავდეს და ეს მფარვიდეს,  
მე ვერავინ ვერ მომერეოდეს“.  
დაემორჩილა ხვამალდსა ნებით,  
დიდის სურვილით და განსვენებით.

მას შემდეგ ვითომ აქვს მშვიდობა ნავს  
და მავნებველიც არავინა ჰყავს...  
გაძული არის გარეშე მტერი,  
მოშორდა იმ ნავს, აღარსადა ჰყავს,  
მაგრამ რაი, რომ თვით ეს ხვამალდი  
მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს“.<sup>18</sup>

მიუხედავად იმისა, რომ აკაკიმ სრული სიმართლე აღწერა ნავისა და ხომალდის (ხვამალდის) ურთიერთდაკავშირებით, იქვე, თავისი ჩვეული, მწარე სიმართლით ანუ „თაფლში ნაღველის გარევით“, დიდის მწუხარებითა და დანანებით თქვა, რომ XIX საუკუნის საქართველოში ზოგიერთი რუსი მოხელის და მაღალი თანამდებობის პირების თავგასულობა და თვითნებობა მთელს რუსეთს და რუს აყენებდა შეურაცხყოფას.

„მაგრამ რაი, რომ თვით ეს ხვამალდი  
მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს“.

როგორც ილიამ, ისე აკაკიმ და სხვა თერგდალეულებმა რუსეთში მიიღეს განათლება და არასოდეს არ დაუმალავთ თავიანთი უაღრესად დადებითი დამოკიდებულება მეზობელი ერთმორწმუნე ქვეყნისადმი, მაგრამ ასევე პირველები, შეუპოვრად ილაშქრებდნენ ყველა იმ მოვლენისა და ფაქტის წინააღმდეგ, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან პატარა ქვეყნის დაჩაგვრის მცდელობაზე მეტყველებდა.

აკაკიმ დაწერა ერთი პატარა მოთხრობა, რომელსაც უწოდა „ორი სიზმარი“ და სადაც აღწერილი აქვს ასეთი ვითარება: „იქაც და აქაც ერთი და იგივე მოვლინება! იქაც მოულოდნელად დაეცემათ იმათ თავზე თათრები და აქაც ჩვენ მოულოდნელად გვესხმიან. ერთსა და იმავე დროს რუსეთიც აკვნესდება თათრების უღელქვეშ და აქაც საქრისტიანო საქართველო მიიღებს მაჰმადიანისაგან „წმინდა“ მოწმობას! იქაც, ცხრა მთას იქით, და აქაც, ჩვენში, ერთმანე-

<sup>18</sup> შ. ცისკარი, თბ., № 9, 1859, გვ. 4-5.

თის შეუტყობლად, ამბოხდება ხალხი და თათრების მტარვალობას იშორებენ თავიდან! იქ სერგი მეუღლაბნოე ამხნევებს ლოცვა-კურთხევით რუსის ჯარს და აქ, ქართველებს, — არსენ კათალიკოსი. აქაც და იქაც ორგანვე შენიშნავენ თეთრ ცხენზე მჯდომარე მეომარს, წმინდა გიორგის, და დასასრულს, იქაც დიმიტრი დონელი და აქაც, — დიმიტრი თავდადებულის მიზეზით აგზნებული გიორგი!.. ნუთუ ესეები ყველა არ ამტკიცებს, რომ განგებას წინდაწინვე, იმთავითვე, მოუნდომებია ამ ორი სხვადასხვა ხალხის ქრისტიანულის კავშირით ერთმანეთზე გადაბმა?“<sup>19</sup>

აკაკის ხედვა სრულებით ემთხვევა ილიას ხედვას და ნააზრევს: „გარეშე მტრებისგან დაცვის გარდა, რომელიც იყო თავდაპირველი მიზეზი ჩვენი სამშობლოს რუსეთთან შეერთებისა, უკანასკნელის მოვალეობა მოითხოვდა შესდგომოდა ჩვენში მოქალაქეობისა და განათლების შემოტანას“. ეს ადგილი არ გვინდა ისე იქნეს გაგებული, თითქოს ქართველები სრულიად მოკლებული იყვნენ მოქალაქეობასა და განათლებას, უბრალოდ, აკაკის მიაჩნდა, რომ რუსეთს, გარდა საქართველოს დაცვისა, შემოპქონდა მდიდარი რუსული კულტურა და განათლება უძველესი ქართული კულტურისა და ტრადიციების დაუზიანებლად, რაც, გარდა ცალკეული შემთხვევებისა, საზოგადოდ მართლაც ასე ხდებოდა.

იქვე აგრძელებს: „ჩვენმა სამშობლომ, მრავალი საუკუნის განმავლობაში მტერთან ბრძოლის, სისხლის ღვრის, ტანჯვის და ბევრი უბედურების გამოცდის შემდეგ, თავის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, გადაწყვიტა თავისი ბედი მით, რომ მონახა სასურველი პატრონი, რომელსაც შეავედრა და მიაჩნდო თავისი თავი. იმ ახალ პატრონს, ცხადია, იმ დროის საქართველოს სიკეთე პსურდა და მიტომ მიიღო ის თავისს მფარველობაში“.<sup>20</sup>

მთელი საქართველო და, მეტადრე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო დიდი სიხარულით და ყიუინით შეხვდა რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას, რადგან გადაჭრით იცოდნენ, რომ ოსმალეთის მიერ მითვისებული აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდებოდა და საბოლოოდ განთავისუფლდებოდა აჭარელი ქართველები მტრის მონობისაგან.

„12-ს აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა კიშინიოვში მოაწერა ხელი უმაღლეს მანიფესტს, რომლითაც ომი გამოუცხადა ოსმა-

ლეთს — ეს ხმა ელვაზე უმაღლეს მოედო მთელს ქალაქებს... ორს საათზედ მთელი სიონის სობორო აიგსო ხალხითა, კაცითა და ქალითა, ბანებზედ, ჩვეულებრივ ხალხი მოგროვდა“. წერილის დასასრულს მოწოდება გაისმა: „ჩვენც ხმალს ხელი უნდა ვიკრათ და ჩვენს ძმებთან ერთად სისხლი ვდვაროთ“.<sup>21</sup>

ხოლო მიხეილ ვორონცოვი ასე მიმართავდა აჭარის ქართველობას: „აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებნო! ჩვენმა კეთილისმყოფელმა და კაცომოვარე ხელმწიფებ ამოილო ხმალი არა იმისათვის, რომ დაპსხაგროს შშვილობისმოყვარე მცხოვრებნი... იგი გზავნის ჯარს ჩაგრულთა დასაფარველად და მჩაგვრელთა შესაკავებლად. ხელმწიფესა სურს დაიცვას სიმართლე და პატივი.. რუსის ჯარის ყოფნამ თქვენს ქვეყანაში უნდა გვაშოროს ერთმანეთის მტრობა-სიძულვილი და გულით შეგვათვისოს და დაგვაახლოვოს ჩვენ ძმებთან. ჰო, ძენო კეთილშობილის ქართველის ტომისანო, ძმანო ყოველთვის ერთგულთა და საყვარელთა რუსის ქვეშევრდომთა რუსის იმპერატორისათა“.<sup>22</sup>

რუსეთ-თურქეთის ომის შედეგებმა ცხადყო, რომ ჩვენი თანამოძმენის გვერდით დგომა რომ არა, აჭარას სამუდამოდ დავკარგავდით... ამ ომში ქართველთა თავგანწირება სამაგალითოა. აკაკი წერეთელმა ამ ომს უძღვნა სტატია. სადაც ვკითხულობთ: „რუსული გაზეთები ცხადათ აღვიარებენ, რომ რუსეთი შეძენისათვის არ იძრძვისო, იმას თავის სიგრძე და სიგანეც ეყოფაო. მაგრამ ისა პსურსო, რომ ქრისტიანები, როგორც სხვა ტომის ერი, თათრების მონობისაგან გაანთავისუფლოს და მათგან ტანჯვას გადაარჩინოს საუკუნოდ, რადგანაც დღევანდელი მათი მმართველობა დესპოტური და ხალხის მძიმე უდევლი რჩევით ვერ მოაშლევინა და დაპირებული ოსმალოს მთავრობისაგან ხალხისადმი კონსტიტუცია სისრულეში ვერ მოიყვანაო!...“

კეთილი და პატიოსანი!... ღმერთმა გაუმარჯოს იმას, ვინც ხალხის კეთილ-დღეობისთვის იღვწოდეს! დღემდი ოსალეთის ქვეშევრდომნი ქრისტიანები, ისე სხვა ტომის პატარ-პატარა ხალხები, დიდს ტანჯვაში იმყოფებიან. იმათ ოსმალოები ისე ექცევიან, როგორც დაპირობილ და დასაჩაგრავ ხალხს. სტანჯავენ და წურბელასავით სწოვენ“.

აკაკი სწუხს და განიცდის ამ ყველაფერს, მაგრამ ასჯერ ტრაგი-

<sup>19</sup> გაზ. ფერია, 1905, 6 მარტი, №18.

<sup>20</sup> ჟ. მნათობი, თბ., 1872, № 6-7.

<sup>21</sup> გაზ. ფერია, №7, 16 აპრილი, 1877.

<sup>22</sup> გაზ. ფერია, ახალი ამბები, № 8, 23 აპრილი, 1877.

კულად აღიქვამს გათათრებული ქართველობის საქციელს, რომელნიც მტრობით არაფრით არ ჩამოუკარდებიან თვით ოსმალო დამპყრობლებს: „თვითონ იმ ხალხში, რომელსაც პმართავენ, ამოარჩევენ ხოლმე იმისთანა პირებს, რომელთაც გული გარევნილი აქვსთ, სული მკვდარი, სინდისი შეძლალული და ოღონდ თვითონ პირადათ კი კარგათ იყვნენ და ხალხის რა ჯავრი აქვსთ; — ამისთანაები უახლოვდებიან; აპყავთ მაღალ ხარისხზე იმ პირობით, რომ ოსმალოს მმართველობას კუელაფერში შხარი აძლიონ და ეს უკანასკნელები პირობისამებრ ეხმარებიან ოსმალოებს ხალხის დაჭანჯვაში და მათ დაბეზღებაში.

რუსეთი სულტანისაგან ითხოვს, რომ კეთილდღეობა მიანიჭოს მის ქვეშევრდომებსაო, ამბობენ რუსული გაზეთები, და ჩვენც, ამ ჰაზრუბის თანამერმნობელები, თამამად დავიძახებთ დღეს: ღმერთმა გაუმარჯვოს იმას, ვინც ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნავდეს“.<sup>23</sup>

აკაკი წერეთლის პოემაში „თერთმეტი ენკენისთვე“ ასეთმა სიტყვებმა გაიყდერა:

„კავშირი ძმური და მეგობრული...  
და, ვინც იფიქროს იმის გაწყვეტა,  
იყოს წყეული ღმრთისგან და კრული...  
ასე ფიქრობდნენ, რომ გვიანდერდეს  
მათი განზრახვა სახელმძღვანელოდ,  
და მათი ღირსი აღარ ვიქნებით,  
ეგ გრძნობა გულში რომ გავინელოთ“.<sup>24</sup>

აკაკის დამკიდებულება რუსეთთან დაკავშირებით იყო პირდაპირი, სამართლიანი და ობიექტური. არასოდეს არ ერიდებოდა იმის თქმა, რასაც ფიქრობდა და განიცდიდა. მასთან შეხვედრები მოსკოვში, პეტერბურგში, ყაზანში, ეკატერინებურგში ყოველთვის ხალხმრავლობითა და დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა. მუდამ ყურადღების ცენტრში იყო, რასაც ემატებოდა მისი პირადი დამოყვრება რუსეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ოჯახთან.

„ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუს ერთან და რუსეთში მცხოვრებ ხალხებთან. მართალია, რუსთა შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო

<sup>23</sup> გაზ. დროება, თბ., 1877 წლის 20 აპრილი.

<sup>24</sup> დაწერილია 1895 წელს.

ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელთაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“. ეს სიტყვები ეკუთვნის აკაკის, რომელმაც ის წარმოთქვა 1913 წელს პეტერბურგში გამართულ ბანკეტზე, სადაც მიწვეული იყო რუსეთის ყველაზე გამორჩეული და პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია და სამღვდელოება.

„როცა ჩვენმა წინაპრებმა თქვენ, რუსები, მოგიწვიეს, მაშინ ჩვენ, შეიძლიშვილებს გვიანდერდეს — არ დავივიწყოთ სტუმართმოყვარეობა, გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუყრელად ვიაროთ ერთი გზით — ქრისტეს გზით, რწმენის გზით“. — ამ სიტყვებით მიმართა აკაკიმ კონსტანტინე ბალმონტს (დიდი რუსი პოეტი, მწერალი, ფილოლოგი-თეორეტიკოსი და მთარგმნელი), ქუთაისში, მის საპატივსაცემოდ გამართულ საზეიმო ვახშამზე.

აკაკის სიზმრისეული ხედვა არის ნაყოფი მისი სულის ამონაკვნე-სისა და არ გავქვს უფლება ამ სიზმრიდან ციტატას არ მოვუხმოთ: „მოსხივცისკარე სამოსით გაბრწყინებულ ტატეზე იჯდა ქრისტე, იმისკენ მიისწრაფვოდა ხალხიც. წინ მიუძღოდა მათ ორი გვირგვინოსანი: მეფე დიმიტრი თავდადებული და დიდი თავადი დიმიტრი დონელი. იმათ აეღოთ ჯვარი ორივ მხრით და მიჰქონდათ, რომ დაესვათ ქრისტეს ტატის წინ და გაემაგრებინათ. იმათ მოსდევთ ჯარი, ერთის მხრით რუსის და მეორეთი ქართველები. „უფალი ჩემდა და მაცხოვარ ჩემი, ვისა მეშინოდეს მე?“, „უფალი მხსნელი ცხოვრებისა ჩემისა და ვისდა ვეკრძალოდე მე?“ გადობდნენ რუსები. — „აღსდეგინ დმერთი და განიბინიენ ყოველნი მტერნი მისნი პირისაგან ქვეყნისა“, — ებმატყბილებიან ქართველები და ხმა უხილავი ბანს აძლევს მაღლიდამ. საკვირველია, რომ სხვადასხვა ენაზე გალობდნენ, სხვადასხვა კილოთი და პარმონია კი ერთია: ციური და მომხიბლავი! ქრისტე თანასწორად აკურთხებს ორივეს“.<sup>25</sup>

ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ილიასთან და აკაკისთან ერთად რუსეთთან მეგობრობის მოსურნე გახლდათ ჩვენი ერის უპირველესი მასწავლებელი და განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც ქართველს მოსწავლეთათვის სპეციალურად შექმნა სახელმძღვანელო „რუსკოე სლოვო“.

„გასული საუკუნის დამდეგს ერთმორწმუნე რუსეთთან ნებაფოფლობით შეერთებით საქართველომ მოიპოვა სრული საგარეო უშიშროება, რასაც ის მოწყურებული იყო თამარ მეფის დროიდან

<sup>25</sup> იქვე.

ექვსი საუკუნის მანძილზე, რომლის განმავლობაში მას მოსვენება არ ჰქონდა არც დღისთ, არც დამით ყოველი მხრივ გარშემორტყმული მტრების განუწყვეტელი თავდასხმების გამო“.<sup>26</sup>

ხაზგამით უნდა აღინიშნოს იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: „ყოველი მხრივ გარშემორტყმული მტრები“ — იგულისხმება თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები მაკმადიანი ტომები. შესაბამისად, აქტი, რომელიც განხორციელდა 1783-1801 წლებში, მიზნად ისახავდა საქართველოს გადარჩენას და ეროვნული კონსოლიდაციის აღდგენას, ვინაიდან თამარის შემდეგ საქართველო დასუსტდა, დაუძლურდა და მარტო ვერ უმკლავდებოდა ამდენ უბედურებას, რასაც მოკყვა დემოგრაფიული კრიზისი. რუსეთთან კავშირს ჩვენშიც ჰყავდა მოწინააღმდეგენი, ამის გამო გულდაწყვეტილი იაკობი ამბობდა; „ზოგიერთ სხვა ქვეყნებში, პატრიოტობა და უკანდახევის სურვილი, ძველი წესწყობილების აღდგინების წადილი, ახალი აზრების და მიმართულებების უარყოფა, ერთად არიან შეკავშირებული, ერთმანეთთან გადაბმული... ჩვენში ამგვარ პატრიოტებს წამითაც ვერ მოსხებნით. ძველებური საქართველოს აღდგენა, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის დაწყობილებათა რესტაურაცია სიზმრადაც აღარავის ქჩენება. უწინდელი საქართველო ჩვენში ყველას მიაჩნია სამუდამო წარსულ დროდ, რომლის დაბრუნება ისევე შეუძლებელია, როგორც ჩავლილი წლის უკანმოქცევა! ახლა საქართველო, რომელიც არის საგანი ჩვენი პატრიოტების მოქმედებისა და ნატურისა, მოქცეული უნდა იქნეს არა უკან, არამედ წინ!“<sup>27</sup>

იაკობ გოგებაშვილი ძირითადად ქართული სკოლებიდან რუსული ენის სრული ან ნაწილობრივი განდევნის წინააღმდეგ გამოდიოდა და იცავდა იმ პოზიციას, რომელიც უმნიშვნელოვანესი იყო ორი ერის კიდევ მეტი დაახლოებისათვის.

„ქართული ენა მეტყველ და მსმენელ არსებად ჰქონდის ქართველ გლეხსა და მუშას მარტოდენ ქართველთა შორის. ხოლო მათ იშვიათად არ აქვთ საქმე არა ქართველებთანაც, რომელთაც ქართული ენა არ იციან. ამ შემთხვევაში ჩვენი მუშა და გლეხი ხდებიან ყრუდ და მუნჯად. სხვებს მისი არაფერი ესმით და არც მას ესმის სხვისა. მათ ეს დიდ დაბრკოლებად მიაჩნიათ და უნდა თავიდან აიცილონ იგი. მაგრამ რა გზით? იმისთანა ენის საშუალებით, რომელიც მეტ-

ნაკლებად იციან სხვა კავკასიის ხალხებმაც და რომელიც ხალხთა შორის ენას წარმოადგენს, ამისთანა ენა, როგორც მკითხველს მოეხსენება, არის ახლანდელს პირობებში რუსული ენა. ჩვენებური გლეხი და მუშა გრძნობს, რომ ამ უკანასკნელის ენის ცოდნა გამოიყვანს ვიწრო კალაპოტიდან, სარბიელს გაუფართოვებს, სხვა ხალხებთან დაახლოებს და გაუხსნის დიდს ბაზარსა“.

დაახლოებით 120 წლის წინანდელი იაკობისეული დამოკიდებულება დღესაც დღის წესრიგშია. განათლებისა და მეცნიერების მესვეურთ მთავარ ენად ინგლისური მიაჩნიათ და კველა ღონეს ხმარობენ, რათა რუსული განდევნონ ჩვენი ყოფიერებიდან... რა თქმაუნდა, ინგლისური ენის შესწავლაც საჭიროა და კიდევ სხვა ენებისაც, მაგრამ უწინარესად ერთმორწმუნე ერისა და უახლოესი მეზობლის. ისევ იაკობ გოგებაშვილს მოუშმინოთ:

„გადავარდა ბატონ-ყმობა და იქითა საქართველომ<sup>28</sup> უფრო ადრე მოიფშვნითა თვალები, გამოიღვიძა და უპირველეს ყოვლისა განათლების გზას დაადგა. დააარსა მრავალი სკოლა, შეისწავლა კარგად ქართული წიგნი, შეიძინა ცოდნა, გაიფართოვა პორიზონტი, გაიცნო ახლომდებარე ქვეყნები და ცოტაოდენი რუსული ლაპარაკიც რუსულ წერა-კითხვასთან ერთად შეისწავლა. ასე შეიარაღებული იგი გავიდა თავის ქვეყნიდან, სადაც მიწის სივიწროვე მას ახრჩობდა და ჯარისავით მოეფინა მთელს კავკასიას, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის პირებს, თვით სამხრეთ რუსეთს, — იგდო ხელში სხვა-და-სხვა სამუშაო, სხვა-და-სხვა საქმე, შეიძინა ქონება და წელში გასწორდა, გაღონიერდა და ამავე ღროს არამცთუ გასწყვიტა კავშირი თავის სამშობლოსთან, არამედ შეძენილი ფულით მამულ-დედული მოიპოვა სრულ საკუთრებად და უფრო მკვიდრად გაიდგა ფესვები მის ნიადაგზე... განა ეს ცვლილება ერის ცხოვრებიში შესაძლებელი იქნებოდა, რომ სახალხო სკოლას კარგ ქართულ წიგნთან ერთად არ ესწავლებინა ხალხისათვის ცოტაოდენი რუსული ლაპარაკი და წიგნი? არა მგონია“.<sup>29</sup>

იაკობ გოგებაშვილი ადარებდა ერთმანეთს საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში რუსულის წწავლის დონეს და გულისტკივილს ვერ მაღავდა ამის გამო: „ჩვენს მეზობლად სცხოვრობენ სომხები, თათრები და სხვები. მოითხოვეს მათ რუსული ენის გაუქმება სკოლებში? არა, არ მოუთხოვნიათ. ესენი ყველანი საჭიროდ სთვ-

<sup>26</sup> ი. გოგებაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 3, თბ., 1940, გვ. 221.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 299.

<sup>28</sup> საუბრობს დასავლეთ საქართველოზე — მ.ც.

<sup>29</sup> ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. 2. თბ., 1940, გვ. 452.

ლიან ყველა საგნების სწავლებას მთელის კურსის განმავლობაში დღეა-ენაზე; მაგრამ, ამავე დროს სურვილს აცხადებენ, რომ რუ-სულის ენასაც, როგორც კერძო საგანს ადგილი ჰქონდეს ჩენს სკოლებშიო“.<sup>30</sup>

იაკობის მოწოდება თანამედროვე საქართველოსთვისაც აქტუა-ლურია და თუ კიდევ გვაქვს კეთილგონიერება, უნდა გამოვფხი-ზლდეთ: „გავაცნოთ ჩენი გაჭირვებული მდგომარეობა დაწინ-აურებულს დასს რუსეთისას, დავიშმაროთ იგი და დავიბრუნოთ ლირსეული სახელი და ადგილი კავკასიის ერთა შორის. დროა, დაბალი ღობის მდგომარეობა სამარცხვინოდ მივიჩნიოთ ყველამ და მაღალ ღობედ ჩენს გადაქცევას მხნედ და გაბედვით ვემსახუროთ“.<sup>31</sup>

იაკობ გოგებაშვილის პოზიცია ისეთი გონივრული და გულწრფე-ლია, რომ კომენტარს ნამდვილად აღარ საჭიროებს.

ისევ სულმნათ ილიას დავესესხები: „ღრმა მაღლიერების გრძნო-ბა წარმოადგენს იმ დაუშრეტელ წყაროს, რომელსაც შეუძლია რუ-სეთისადმი კეთილგრძნობათა ყლორტები გადააქციოს სიცოცხლის შშვენიერ ხედ, რომელიც ყველას და ყოველთვის გადააფარებს თა-ვის გაშლილ რტოებს. დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქა-რთველოსა და ქართველებისათვის“.<sup>32</sup>

1801 წლის 12 სექტემბერს გამოქვეყნებული მანიფესტი იუწ-ყებოდა: „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა მსოფლიოში ისედაც უდიდესი იმპერიის გაფართოებისათვის ვლე-ბულობთ ჩენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს, არ-ამედ მხოლოდ ლირსება, პატიოსნება და ადამიანობა გვიკარნახებს ჩენ საღმრთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყროთ ტანჯულთა ვედრებას და მათი გლოვის გასაქარვებლად დავამყაროთ საქართ-ველოში ისეთი მმართველობა, რომელსაც შეეძლება განამტკიცოს მართლმსაჯულება, უზრუნველპყოს პირადი და ქონებრივი უშიშ-როება და პიროვნების კანონისმიერი დაცვა“.<sup>33</sup>

ეს იყო ერთადერთი გზა იმისა, რომ საქართველო და ქართველი ერი არ გამქრალიყო მსოფლიო ერებისა და ქვეყნების ჩამონათვალ-იდან, რაც აღსრულდა კიდეც.

თუმცა, აქვე დავსძენთ, რომ ყველაფერი ისე არ მომხდარა, რო-გორც ამას გეორგიევსკის ტრაქტატი და მანიფესტი გვპირდებოდა,

<sup>30</sup> იქვე, გვ. 453.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 309.

<sup>32</sup> უურ. მნათობი, 1957, № 9.


<sup>33</sup> საქართველოს ისტორიის ნაკვეთები, ტ. 5, თბ. 1979, გვ. 617.

დოოდადრო ჩნდებოდა მიზეზებიც ხალხის გულისტკივილისა და უკმაყოფილებისა, მაგრამ ეს არ განაპირობებდა მთელი რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, და პირიქით.

უმთავრესი პრობლემა დადგებითად გადაიჭირა. საქართველო, და-ვითისა და თამარის შემდეგ, მხოლოდ რუსეთის შემადგენლობაში იყო ერთიანი და შედარებით ძლიერი, რაც რუსი ერის დამსახურებაა.

ამ წერილის დაწერის სურვილი კიდევ იმან განმიმტკიცა, რომ ევროპეიზაციისა და ამერიკანიზაციის საწინააღმდეგოდ ქართველ საზოგადოებაში არის მომწიფებული აზრი, რომ წარსულში უკვე ნაცადი, დახვეწილი და მოქნილი პოლიტიკის განახლების წყალო-ბით ჩენი გზა და ბედი დავუკავშიროთ რუსეთს, მანამდე მაინც, ვი-დრე არ გავძლიერდებით ისე, რომ სხვა ქვეყნების ხელის შემყურე არ ვიყოთ.





გვარდა კონცლატაძე

## სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო XIX საუკუნის პირველ ნახევარში ნაფილი II

წმიდა ილია მართალი, დავით აღმაშენებლის ხსენების დღისათვის დაწერილ წერილში ისტორიის არსესა და მნიშვნელობას მოკლედ, მაგრამ ამომწურავად განმარტავს: „რა არის ისტორია? იგია მთხობელი მისი, თუ რანი ვიყვათ, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავდაც“.<sup>1</sup> მაშასადამე, ისტორიის ფუნქცია მხოლოდ წარსულის შესწავლით არ შემოიფარგლება, წარსულის ანალიტიკური ცოდნა, ერს და ქვეყანას წარსულში ჩადენილი შეცდომების განმეორებისაგან იცავს, რაც შედეგად აუცილებლად მოიტანს უკეთეს მომავალს.

ხალხებს, რომელთაც არ ჰქონიათ ისტორია, ანუ „იმისთვის ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერსა და ხორციელს ვინაობას ერთიანის კრებულისას“, წმ. ილია მართალი უბინაო კაცს ადარებს, რომელმაც არ იცის — ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და სად მიდის. ასეთ ხალხებს, რომელნიც დიდად არ განირჩებან პირუტყვთაგან, ულმობელი კანონი ისტორიისა ვერ დაინდობს, რომელიმე უფრო ძლიერი ისტორიის მქონე ერი გაანადგურებს და შეიწირავს. მაგრამ ამგვარ ხალხებზე დიდად მაღლა არც ის ერი დგას, რომელსაც ისტორია ჰქონდა, მაგრამ დავიწყა. „აღარც ამისთვის ერსა აქვს მკვიდრად მოკიდებული ფეხი არსებობისათვის საჭიდაოდ, — წერს იგი წერილში „ერი და ისტორია“, — იმიტომ რომ, რა იყო — ის დავიწყებული აქვს და, მაშასალამე, რა არის — არც ის იცის. არ იცის რა გაიმაგროს, რისთვის გაიწიროს თავი, რას გამოესარჩლოს და რას არა“.<sup>2</sup>

ი. ჭავჭავაძე მისი მშობელი ერის ამ უკანასკნელთა რიგებში ჩადგომის საფრთხეს აშკარად ხედავდა და ამიტომ მრავალ ასპარეზზე

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IV თბ., 1955, გვ. 179.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 201.

## სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო

თავდაუზოგავად იბრძოდა ქართველი ერის ისტორიული მქესიერების გამოღვიძებისა და შენარჩუნებისათვის. დღეს, გლობალიზაციისა და ტექნოლოგიურ საშუალებათა არნახული განვითარების პირობებში, საფრთხე ისტორიული წარსულის დავიწყებისა, რაც ერს არსებობის გასაგრძელებლად ბრძოლისათვის დონეს სრულიად აცლის და იმის მიმართ ვინ იქნება მომავალში, ინდიფერენტულად განაწყობს, ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ის ილია ჭავჭავაძის დროს იყო.

ასე რომ, ე. წ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავგამოღებული მცდელობა არა მხოლოდ მსოფლიო, არამედ თვით ქართველი ხალხიც კი დაერწმუნებინა იმაში, რომ მისი ისტორია „ვარდების რევოლუციისგან“ იწყებოდა, არც მხოლოდ უვიცობითა და არც მხოლოდ თავქარიანობით იყო გამოწვეული; მას უფრო ღრმა და საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა: მქესიერებიდან ისტორიული წარსულის აღმოფხვრით ერის „სულითა და ხორცით“ მოშლა, დარღვევა და ბოლოს სულ გაქრობა

სამწუხაროდ, ე. წ. ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდიდან — წინა საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული მხოლოდ იმის მოწმენი ვართ, რომ სამოქმედო ასპარეზე გამოსულ არცერთ პოლიტიკურ ძალას არ გამოუმჯდანებია ჩვენი ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა, რასაც ნათლად ამოწმებენ მათ მიერ წარმოდგენილი პროგრამები; არცერთი მათგანი არ ყორდნობა და არ ითვალისწინებს ქართველი ერის არსებობის ხანგრძლივ ისტორიას და მის განმავლობაში შეძენილ გამოცდილებას. ისინი ტყუპის ცალებივით ისე ჰგვანან ერთმანეთს, გაგიკვირდება, რა საჭიროა ქვეყანაში ამდენი პარტიის არსებობა, როცა სამოქმედო პროგრამები ერთმანეთს თითქმის ზუსტად იმეორებენ. მაგრამ მიზეზი მათ არსებობასაც აქვს: ჩვენთვის დამახასიათებელი ამპარტაციონი საუკეთესო საშუალება გამოღვა ფასადური დემოკრატიის შესაქმნელად, თორუქ სინამდვილეში რა დემოკრატიაც არსებობს, მაშინვე ჩნდება, როგორც კი ვინმე გაბედავს და ქვეყნის გადასარჩენად იმ გზას და საშუალებებს დასახავს, რომელიც საგალდებულოდ ქცეულ საყოველთათ პროგრამაში წარმოდგენილ გზასა და საშუალებებს არ ემთხვევა; იგი მყისვე ხდება ყველა ტელე-რადიო არხისა და უურნალ-გაზეთების მხრიდან ხმაშეწყობილი ლანძღვისა და თავდასხმის ობიექტი და თანაც, რაც მთავარია, სამშობლოსა და ქართველი ხალხის ღალატის ბრალდებით, ხალხისა, რომლის არსებობაც მხოლოდ ამგვარ შემთხვევებსა და არჩევნების უაშს ახსენდებათ.

წინა წერილში „სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო XIX საუკუნის პი-

რველ ნახევარში<sup>3</sup>, მოკლედ გადმოვეცით ის მიზეზები, რომელმაც ისტორიული მესხეთი დაგვაკარგვინა და „ოსმალოს საქართველოდ“ აქცია. გვიჩენეთ, აგრეთვე, მეფე ერეკლეს მცდელობანი მისი დაბრუნებისათვის, რასაც მართლია, თავად დიდი მეფე ვერ მოესწრო, მაგრამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქეთის ტყვეობიდან გამოხსნა და შემოერთება სწორედ იმ გზით მოხდა, რომელიც მან აირჩია.

როცა ერეკლეს მიერ 1783 წლის რუსეთთან დადებულ ტრაქტატსა და მის შედეგებს განვიხილავთ, ჩვეულებრივ, მხოლოდ საქართველოში მეფობის გაუქმებასა და ქართული სახელმწიფოს მოშლას ვიხსენებთ, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიქნებით ობიექტურნი, თუ ამავდროულად ისიც არ გავიხსენეთ, როგორ მოხდა სამცხე-საათაბაგოს დაბრუნება და რა მნიშვნელობა პქონდა ამ ფაქტს არა მხოლოდ მისი, არამედ საერთოდ საქართველოს გადარჩინისთვის.

1802 წლის 16 აპრილს, ოთხი დღის შემდეგ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ იმპერატორი ალექსანდრე I-ის მიერ ხელმოწერილი მანიფასტის სიონში წაკითხვიდან, მთავარმართუბელმა გენერალმა კორინგმა ახალციხის გამგებელს, შერიფ-ფაშას შეატყობინა, რომ ამიერიდან მისი მეზობელი ქვეყანა არა ქართლ-კახეთის სამეფო, არამედ რუსეთი იქნებოდა. მანიფასტში აღნიშნული იყო, რომ ალექსანდრე მეფე ვალდებულებად იღებდა ქვეყანაში შშვიდობის დამყარებასა და მის დაცვას გარეშე მტრების თვდასხმებისაგან. მიუხედავდ ამისა, ყოველდღიური თავდასხმებით გაწამებულ ქვეყანაში დიდი ხნის ნანატრი შშვიდობის დამყარება კიდევ კარგა ხანს ვერ მოხერხდა. არც თურქები და არც მათი მოკავშირე ლეკები არ აპირებდნენ დათმობას შემოსავლის იმ წყაროსი, რომელიც მათ მრავალი წლის განმავლობაში ქართული სოფლების რეგუ-აწიოკებითა და გატაცებული ტყვების გაყიდვით ჰქონდათ. საქართველოს ახალი მმართველობის გაფრთხილება საფაშოს მიმართ და კონსტანტინეპოლიში რუსეთის ელჩის იტალინსკის მრავალგზისი თხოვნა, შეწყვეტილიყო თვდასხმები ახალციხის მხრიდან, ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა რჩებოდა. ლეკთა განუწყვეტელი შემოსვებისაგან ქართლ-კახეთში ყოველწლიურად სამასამდე კომლი ან ნადგურდებოდა, ან ახალციხეში ტყვებად იყიდებოდა. ხშირად მათ ბედს რუსი ჯარისკაცებიც იზიარებდნენ. ტყუოდა შერიფ-ფაშა, როცა თვეს იმართლებდა, რომ ლეკები არაფერს ეკითხებოდნენ; სიმართლე ის იყო, რომ მას, ისევე როგორც მის წინამორბედებს, ლეკთა რაზმები მოკავშირეებად გულებოდათ. 1802 წლის აგვისტოში ახალციხში ოთხი ათასი ლეკი

<sup>3</sup> „სამი საუნჯე“, №3, 2013

იყო (!), რომელთაც ფაშა ხელფას უხდიდა (დღეში ერთ ყურუშს).

ლეკი აბრაგები ახალციხიდან ქართლში შემოსაჭრელად სექტემბერში ემზადებოდნენ. რუსეთის სარდლობამ მათვის გზის გადაკეტვა გადაწყვიტა. გენერალი ლაზარევი თრი ბატალიონით, 75 კაზაკითა და ორასი ქართველით საზღვართან მოვიდა და შერიფ-ფაშას შეუთვალა, თუ ლეკების განდევნაში არ მიეშველებოდა, თავშესაფარს მაინც ნუ მისცემდა მათ ვიდრე იგი პასუხს ელოდებოდა, 600 ლეკი 12 სექტემბერს ფარულად დაესხა ლამით თვეს სოფელ აღაიანს, ხოლო 23 სექტემბერს სოფელ კავთისხევს და გატაცებული ტყვებითა და საქონლით ახალციხეს მიაშურა.

ამ ფაქტების გაცნობის შემდეგ ძნელია გაიშიარო ის აღტაცება, რომელსაც ჩვენი ისტორიკოსები და მათგან განსწავლული საზოგადოება იმ ბატონიშვილების მიმართ გამოხატავენ, რომელთაც რუსეთის მართლმადიდებლური იმპერიის ქვეშვრდომობას ლეკების, თურქებისა და ირანელების მფარველობითა და დახმარებით ტახტისთვის ბრძოლა ამჯობინეს.

რადგან ლაზარევმა და კნორინგმა ქრისტიანული მოსახლეობის შშვიდობიანი ცხოვრება ვერ უზრუნველყველება, აღექსანდრე პირველმა საქართველოში მთავარმართუბლად გარუსებული ქართველი, პავლე ციციანოვი გამოგზავნა. ციციანოვმა სტრატეგია შეცვალა და ბრძოლის დაწყება ჭარ-ბელაქნიდან გადაწყვიტა, რომელიც იმ ბუდედ იყო გადაქცეული, საიდანაც ლეკები ქართული სოფლების ასაწიოკებლად მოდიოდნენ, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა; როცა იგი ჭარ-ბელაქანსა და განჯას უტევდა, ლეკი აბრაგები ქართლს ჯავხეთიდან შემოესვინენ, სოფლებს მოედვნენ და გაანადგურეს. მაშინ ციციანოვმა პეტერბურგს ლეკების თვით ახალციხის საფაშოში დევნის უფლება სთხოვა და მიიღო კიდეც, ოღონდ იმ პირობით, რომ ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ კონსტანტინეპოლიში რუსეთის ელჩის აცნობებდა. ამან შედეგი მართლაც გამოიღო. 600 განიარებული ლეკი პირობისამებრ უვნებლად გაატარეს ახალციხიდან დაღესტანში გადასასვლელად.

31 ოქტომბერის გენერალი დ. ორბელიანი, რომელსაც ლეკების საქართველოდან განდევნა ჰქონდა დავალებული, სამი ასეულით, 135 კაზაკით, მოხალისებითა და 14 ზარბაზნით ახალციხის საფაშოს საზღვრებს მიადგა. პირველ ოქტომბერის საზღვარი გადალახა და ტაბაწყურში დაბანაკდა, საიდანაც კაცი გაუგზავნა ფაშას და შესთაგზა, რომ ისიც შეერთებოდა თვეისი ჯარით და ლეკების წინააღმდეგ ერთად ემოქმედათ. შეშინებულმა ფაშამ თანხმობა განაცხადა, ოღონდ იმ პირობით,

თუ რუსეთის არმია თავის საზღვრებში დაიხვდა.<sup>4</sup> როცა რუსებმა წაყენებული მოთხოვნა შეასრულეს, რაჯაბ ფაშა და სელიმ ხიმშიაშვილი ერთი პირობა მართლაც დევნილნენ ლეკებს და შედეგიც ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე წინა წლებში. 1803 წლის იანვრიდან ივნისამდე ტყვედ მხოლოდ ოცი კაცი იქნა გატაცებული.

მტრებისათვის გათამამების საშუალება რომ არ მიეცა, ციციანოვი საზღვარზე პატარა დარღვევასაც კი არ ტოვებდა უყურადღებოდ. 1804 წლის აპრილს იგი ახალციხის ფაშას, სელიმ ხიმშიაშვილს სწერდა: 7 აპრილს შემატყობინეს, რომ ატენის ხეობაში ცხრა შეიარაღებული ლეკი შეიჭრა, ორი მწევმის დაატყვევა და ახალციხეში გადმოიყვანა. იძულებული ვარ გითხრათ: თქენი ამდენი დაპირების შემდეგ, ამას არ მოველოდი. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სიტყვით ერთგულებას გვეფიცებით, საქმით კი გვმტრობთო. გთხოვთ, ის ორი კაცი მომიძებოთ და წერილის მომტან კაცს გამოატანოთ. ფაშამ მართლაც მოძებნა ისინი და უკან დააბრუნა. ეს უკვე დიდი წარმატება იყო.

1804 წლის 30 აპრილს ციციანოვი ხიმშიაშვილს ოფიციალურად აცნობებდა, რომ იმერეთი და გურია რუსეთის მფარველობაში შევიდნენ და ფაშებს იქ ტყვების შესყიდვა ეკრძალებოდათ. მთავარმართუბელი ცდილობდა, გამაპმადიანებულ ქართველზე გავლენა ადამიანური ურთერთობებითაც მოქმდინა და ამ გზით კეთილი საქმებისათვის წაექეზებინა. მაგალითად, როცა სელიმმა ლეკი აბრაგების მიერ სოფელ ქვეშედან გატაცებული ტყვები მონახა და დააბრუნა, მაღლობა გულწრფელად შეუთვალა. მაგრამ კეთილი საქმის სამსახურში მუდმივად ჩადგომის საშუალებას ფაშას თავისი მდგომარეობა არ აძლევდა, თურქეთის ცენტრალურ ხელისუფლებას, ვისაც იგი ემორისილებოდა და ემსახურებოდა, ახალციხეში ლეკთა რაზმების ყოფნა ხელს აძლევდა, რაღაც ეს საშუალებას აძლევდა, ამ საზღვრისპირა რეგიონში სამხედრო ძალები თვითონ აღარ გამოევზავნა. გარდა ამისა, ლეკთა თარეშს ქართულ სოფლებში სელიმ ფაშა თუნდაც იმ მიზანითაც ვერ აკრძალავდა, რომ ამ გზით მათი შესანახი თანხების გაღებისაგან თავისუფლდებოდა.

ციციანოვმა მიზანს, რომელიც მთავარმართუბლად დანიშვნისთანავე დაისახა და რომელიც ახალციხის საფაშოს, როგორც უძველესი ქართული მიწა-წყლის დიპლომატიური გზით შემორთუბას გულისხმობდა, ვერ მიაღწია; ვერც მიაღწევდა, რაღაც ამისთვის ადგილობრივი მმართველობისა და მოსახლეობის მხარდაჭერა იყო

<sup>4</sup> Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. IV, стр. 130, Петербург, 1886.

აუცილებელი, რისი სურვილიც არც გადაგვარებულ დიდგაცობას გამოუწენია და არც გამაპმადიანებულ დაბალ ფენას, რომლის უმეტესობას უკვე დავიწყებული ჰქონდა, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება მტრებმა ტანჯვა-წამების და სიცოცხლის შენარჩუნების ფასად დაათმობინეს. ისლამური რელიგიისათვის დამახასიათებელი ფანატიზმით შეცყრობილი მის დასაცავად მზად იყვნენ თანამოძმებსაც კი შებმოდნენ. ამის ნათელი დადასტურება იყო ასპინძის ბრძოლა, სადაც მაპმადიანმა მესხებმა მოული საქართველოსთვის სათავინებელი მეფე ერეკლე ალექსი მოაქციეს და სასიკვდილოდ გაწირეს. საბედნიეროდ, ამ საშინელი ცოდვის ჩადენისაგან ისინი თვითონ მეფე ერეკლემ იხსნა გენიალური სამხედრო ნიჭის წყალბით, როცა ეს უიმედო ბრძოლა მოიგო. უფრო სამართლიანი და ტაქტით აღსავსე შეფასება ამ ბრძოლისა, ვიდრე ეს სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მკვლევარმა შოთა ლომსაძემ გააკთა, შეუძლებელია: „ეთნიკური იერით იგი ქართველების ომს ჰგავდა, პოლიტიკური თვალსაზრისით კი — ორ სხვადასხვა სახელმწიფოსა და ორ რელიგიას შორის ბრძოლას. მართალია, მესხი მაპმადიანები საკუთარ ქვეყანაში იბრძოდნენ თავიანთი ქართველი მოძმების წინააღმდეგ, მაგრამ მათი მხრიდან ეს მაინც უსამართლო ბრძოლა იყო, რაღაც მათგან დამოუკიდებლად, მათი ქმედება მიმართული იყო მესხეთის საბოლოო გადაგვარების, უძველესი კულტურის მოსპობის, ქართული სარწმუნოებისა და ენის მოსპობისაკენ, რეალურად მესხეთის კულტურის, ენის, სარწმუნოების ნამდვილ დამცველად და ერთადერთ მემკვიდრედ ქართლ-კახეთის სამეფო, ამ შემთხვევაში ერეკლე გამოდიოდა და ამ თვალსაზრისით ქვეყანაც მისი იყო“<sup>5</sup>.

საქმეს ართულებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების დამოკიდებულებაც რუსეთთან. ჯერ კიდევ 1796 წლის აგვისტოში საფრანგეთის მთავრობამ თურქეთში გაგზავნა მისია ოლივერის ხელმძღვანელობით. მისიის მიზანი იყო თურქეთის წაექეზება რუსეთთან ომის დაწყებისათვის, მაგრამ ამჯერად იგი უშედეგო გამოდგა. ოლივერი ახალციხესაც სტუმრობდა. რამდენიმე წლის შემდეგ კონსტანტინეპოლიში წარმომადგენელი სებასტიანი ჩაიდა, რომელმაც სულთანი სელიმი დაარწმუნა, რომ თუ რუსეთთან ომს დაიწყებდა, საფრანგეთი მხარს მას დაუჭირდა და დაკარგულ ყირიმს დაიბრუნებდა. ამ დაპირებებითა და ნაპოლეონის სამხედრო წარმატებებით გულმოცემულმა თურქეთმა ომის დაწყება გადაწყვიტა. იგი 1806 წლის 18 დეკემბერს დაიწყო. გაიხსნა ორი ფრონტი:

<sup>5</sup> შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი. თბ., 1975, გვ. 78.

ევროპასა და კავკასიაში. კავკასიის ფრონტზე მებრძოლი რუსეთის ორი დოიზის მთავარსარდლად გენერალი გუდოვიჩი დაინიშნა. მთავარი ბრძოლა ახალქალაქთან გაიმართა. რაღაც ციხის კომენდანტმა, სელიმ ხიმშიაშვილის ძმისშვილმა უბრძოლველად დანებების წინადადება არ მიიღო, ციხის აღება იერიშის გზით გადაწყდა, რომელიც 8 მაისს დაიწყო. მართალია, მამაცმა სალდათებმა ერთი კოშკის აღება შეძლეს და მტრის ზარბაზანიც ჩაიგდეს ხელში, მაგრამ რადგან დახმარება ვერ მიიღეს, მტრებმა შეავიწროვეს და კოშკიანად ააფეთქეს. ახალქალაქთან განცდილი მარცხის შემდგე, კავკასიის კორპუსმა უკან დაიხია. სელიმ ხიმშიაშვილი ბრძოლით მიჰყვა მას განძამდე (ფარავნის ტბასთან), საღაც წინააღმდეგობა გენერალ პორტნიაგინის ნაწილებმა გაუწიეს და დაამარცხეს.

ბუნებრივია, მოვლენათა ასე განვითარების გამო, დროებით ზაფში, რომელიც 1807 წლს რუსეთსა და თურქეთს შორის უზუნკალიშში დაიდო, სამცხე-ჯავახეთის შემორთუების საკითხი ნახსენებიც კი არ იყო.

კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი გუდოვიჩი ბევრად უფრო ენერგიულმა ტორმასოვმა შეცვალა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემორთუებისათვის ზრუნვა მან ფოთით დაიწყო, რომელიც ახალციხის მსგავსად ტყვეთა სყიდვის ბაზრად იყო ქცეული. ფარული მოლაპარაკება აფხაზეთის მთავართა სახლის შვილთან, ქუჩუკ ბერ შერგაშიერთან, რომელიც ქალაქს განაგებდა, ფოთის მშვიდობიანი გზით გადმოცემის შესახებ, უშედგვოდ დამთავრდა, ამიტომ 1809 წლის 15 ნოემბერს იგი ბრძოლით იქნა აღებული. ამის შემდეგ ტორმასოვი შეცადა, ახალციხის ფაშა სელიმ ხიმშიაშვილი რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლაზე დაეთანხმებინა, რისთვისაც ტრაქტატიც კი შეადგინა, რომლის მიხედვითაც, მართალია, ახალციხეში რუსეთის გარნიზონი ჩადგებოდა, მაგრამ ფაშას უფლებები და შემოსაგალი შეუნარჩუნდებოდა და გენერალ-ლეიტენანტის ჩინს მიიღებდა. სელიმი გამოკვეთილად არც თანხმობას აცხადებდა და არც უარს, რაც მოლაპარაკებას აჭიანურებდა. ამასობაში, 1809 წლის ბოლოს, იგი ტახტიდან შერიფ-ფაშამ (ჯაველმა) ჩამოაგდო. გაქცეულმა სელიმმა თავი აჭარას შეაფარა. ტორმასოვმა მოლაპარაკება შერიფთან გააგრძელა, მაგრამ მისი წინამორბედის მსგავსად, გადაწყვეტილების მიღებას არც ის ჩქარობდა. ამასობაში ახალციხეში იმერეთის მეფე სოლომონი, ქართლ-კახეთის ტახტის მაძიებელი — ალექსანდრე და ლევან იუმონის ძე ბატონიშვილები ჩაიდნენ. მათი ჩასელით, რამდენადაც ისინი მზად იყვნენ კავკასიიდან რუსეთის გასაძევებლად კავშირი თურქებთან შეეკრათ, შერიფ-ფაშას გული მოეცა; ან რატომდა უნდა მოესურვე-

ბინა რუსეთის მფარველობაში შესვლა და მისი მორჩილება, როცა ქართულ სამეფოთა ტახტის მექედრუნი, ოსმალეთის სახელმწიფოს ქვეშვრდომობას იქით პპირდებოდნენ, თუკი მისი დახმარებით საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდოდნენ.

ახალციხეში ჩავიდნენ დაღესტნელი ფეოდალები, ფაშას ხშირად სტუმრობდნენ ირანის შაპის წარმომადგენლებიც. ასე რომ, ახალციხე კავკასიაში რუსთა წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად იქცა. ამ ბრძოლაში რუსეთი რომ მართლაც დამარცხებულიყო და კავკასიიდან გასულიყო, მაპმადიანური ქვეშებისა და ხალხებისაგან ყოველმხრივ აღყაში მოქცეულ საქართველოს, ისედაც ტერიტორიებწაგლეჯილსა და დაპატარავებულს, და ფიზიკური განადგურების პირამდე მისულ ერთ მუჭა ქართველობას სრული გაქრობა და გადაგვარება ელოდებოდა და, სამწუხაოდ, ამაში დიდი წვლილი ექნებოდა შეტანილი ტახტისა და ხელისუფლების მაძიებელ ქართველ ბატონიშვილებსა და მათ შხარდამჭერ ქართველ ფეოდალებსაც.

როგორც ვნახეთ, უმნიშვნელო როლი მათ არც ახალციხის საფაშოს მშვიდობიანი გზით შემორთუებისათვის გამართულ მოლაპარაკების ჩაშლაში შეუსრულებიათ, რის შემდეგაც საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დასაბრუნებლად რუსეთს მხოლოდ ბრძოლის გზაღა რჩებოდა, მაგრამ ბრძოლა ერთდღოულად ორ ფრონტზე: თურქეთთან და ირანთან ძნელი იყო; ამიტომ რუსეთი ირანთან ზაფის დადებას შეუცადა. ზაფის პირობებზე მოლაპარაკება 1809 წელს დაიწყო, მაგრამ ისიც ჩაიშალა, ამჯერად ინგლისის ზემოქმედების შედეგად. იგი არწუნებდა აბას მირზას, რომ თუკი რუსეთთან ზაფის დადების ნაცვლად მის წინააღმდეგ თურქეთთან ერთად გამოიყიდოდა, გამარჯვების შემთხვევაში (და მისი მიღწევისათვის თვითონ ფინანსურსა და დიპლომატიურ დახმარებას პპირდებოდა), მას საბატონოდ აღმოსავლეთ საქართველო დარჩებოდა, ხოლო თურქეთი — დასავლეთი. მოკავშირებმა დაღესტნელი ფეოდალების გააჭტიურებისა და ოსების მისამხრობადაც იზრუნეს. მთავარი მოქმედი პირები უნდა ყოფილიყვნენ ქართლ-კახეთის ტახტის მექედრუ ალექსანდრე ბატონიშვილი და იმერეთის ემიგრანტი მეფე სოლომონ II. მათი მონაწილეობა თურქეთსა და ირანს, ისევე როგორც მათ ზურგს უკან მდგარ ინგლისს, საშუალებას აძლევდა ნამდვილი მიზანი დაეფარათ და ქართველი ხალხის შხარდამჭერის მოსაპოვებლად საქმე ისე წარმოედგინათ, რომ თითქოს საქართველოში მეფობის გაუქმებით აღშეოთუბულნი რუსეთს სამართლიანობის აღდგენისათვის ებრძოდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილი ქართველი თავდაზნაურობისა და ეკლესიისადმი მიწერილ მიმართვაში წერდა, რომ საქართველოში

მოდიოდა და მოპქონდა „სამთა ძლიერთა და დიდთა ხელმწიფეთა ძალი და ხაზინა სრულიად ირანისა, ოსმანთა და ინგლისისა, გამოხსნად თქუნდა ხელთაგან უცხოთასა“ (АКТЫ, т. IV, გვ. 127).<sup>6</sup>

შეუძლებელია ალექსანდრე ბატონიშვილს არ სცოდნოდა, რომ საქართველოსთან იდეოლოგიურად დაპირისპირებული უცხო ქვეყნების ძალითა და ფულით ქვეყანას თავისუფლების მოპოვების ნაცვლად ერთორმწუნე რუსეთის ქვეშვრდომობიდან ირან-თურქეთის მონობაში ჩააგდებდა, ხოლო მათი ბატონობა ქართველ ხალხს რასაც მოუტანდა, ამის მაგალითი თვალწინ ჰქონდა; გამაპმადიანებული მესხეთი, რომელსაც სარწმუნოებასთან ერთად ეროვნული თვითშევნებაც დაკარგული ჰქონდა და იმ დიდებული კულტურისაგანაც გაუცხოებული იყო, რომელიც მისი ქრისტიანი წინაპრების დახვეწილი გემოვნებითა და მაღალი ოსტატობით იყო შექმნილი.

მომდევნო 1809 წლის 28 სექტემბერს მიწერილ წერილში ალექსანდრე ბატონიშვილი ირწმუნებოდა, რომ შაპისა და მის მოკავშირეთა ძლიერი ლაშქარი 1810 წლის მარტში თბილისში შევიდოდა<sup>7</sup>. როგორ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თუნდაც ისტორიული გამოცდილების, ქართლ-კახეთის უახლესი წარსულისა და მისი იმუამიდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ბატონიშვილს არ სცოდნოდა, რა შედეგი მოჰყებოდა საქართველოში მაპმადიანთა კოალიციური ჯარის შესვლას მათგან მრავალგზის აწიო კეთეული ქართლის სოფლების მცხოვრებთა და თბილისის მოსახლეობისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, სამეფო ტახტზე ასვლის გნებით შეცყრობილს, თანამემამულეთა ბედზე დაფიქრების არც ძალა და არც სურვილი არ ჰქონდა. სამწუხაროდ, ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი მეფეური წარმომავლობისა და იმის გამო, რომ საკუთარ დიდებისმოყვარეობას სამშობლოს განთავისუფლებისათვის უშიშარი მებრძოლის ნიღბით მოსაფალა, დიდი აუტორიტეტით სარგებლობდა როგორც ქართლ-კახეთის, ისე ლეგ ფეოდალთა შორის.

იგივე ითქმის სოლომონ II-ის შესახებაც, რომელიც სამეფო გვირგვინის დაკარგვამ ისე გაამწარა, რომ მისი ქვეყნის დაუძინებელ მტრებს დაუკავშირდა. ახალციხეში გადახვეწილმა სოლომონმა 1810 წლის იმერეთის აჯანების თავის სასარგებლოდ გამოყენება მოინდომა და ქვეყანაში საფაშოს ჯარით შეიჭრა. 21 ივლისს საქართველოს საზღვრებს ირანის ჯარი მოადგა ერუვნის ხანის პუსეინ-ყულის სარდლობით და საფაშოსკენ დაიძრა. გზადაგზა მას თურქმანული ტომები, ყარს-ახალქალაქის მხარეში ჩასახლებული ყარაფა ხელები

<sup>6</sup> მოტანილია შ. ლომსაძის დასახელებული წიგნიდან.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 128.

(თარაქამები) შეუერთდნენ და ახალქალაქს ათიათასი კაცი მიადგა. ერების ხანი ახალქალაქში აღექსანდრე ბატონიშვილს შეხვდა, მას თან ჰქონდა მოტანილი დიდძალი ფული ჯაშუშობისა და დივერსიისათვის ქართველი ხალხის მისამხრობად და ასაჯანყებლად.<sup>8</sup>

შექმნილი მძიმე ვითარებიდან, რომლის შედეგებიც ქართველი ხალხის ბედზე ბევრად უფრო ტრაგიკულად აისახებოდა, ვიდრე რუსეთისა, ჩვენი ქვეყანა გენერალ-მაიორის მარკიზ პაულიჩის სამხედრო ნიჭმა და რუსი სალდათების გამბედაობამ და სიმამაცემ იხსნა. გენერალ-მაიორმა რუსთა გაძლიერებული რაზმები ახალქალაქის ციხემდე შეუმჩნევლად მიიღება და ღამით იერიშით აიღო. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, რუსებმა „აოტნეს სპარსნი, თურქი და ლეკინ ვიდრე თუქვსმეტი ათას კაცამდე“.<sup>9</sup>

მდგომარეობა რუსეთის სასარგებლოდ კიდევ უფრო სამედო გახადა 1810 წლის ველისში სოხუმის განთავისუფლებამ, რომელიც რუსებმა 18-საათიანი მძიმე ბრძოლის შედეგად აიღეს. „მამის მკვლელი ასლან ბეგ სირცხვილეული წავიდა ჯიქეთს“ და აფხაზეთის მთავარი ქრისტიანი გიორგი შერვაშიძე გახდა.<sup>10</sup> სოხუმის აღება იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი თურქეთის ბატონობას ბოლოს არა მხოლოდ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, არამედ კავკასიაშიც უღებდა. არანა კლები მნიშვნელობა ჰქონდა ამ ფაქტს აფხაზეთის ქრისტიანი ქართველებისა და საერთოდ საქრისტიანო საქართველოსთვის.

მაგრამ ბრძოლის ბოლომდე მისაფანად აუცილებელი იყო კავკასიაში თურქეთის მთავარი დასაყრდენის — ახალციხის გათავისუფლება. მის ასაღებად ტორმასოვმა შეაღები გვემა, რომლის მიხედვითაც ქალაქისკნ სამხედრო ნაწილები სამი მხრიდან უნდა დაეძრათ გენერალი პორტნაგინი წალკა-ჯავახეთის გზით წავიდოდა, გენერალი სიმონოვიჩი იმერეთიდან ზეკარის უდელტეხილით გადმოვიდოდა, ხოლო მთავარი ნაწილი, რომელსაც სათავეში ბარონ როსხენთან ერთად თავიდ მთავარსარდალი ტორმასოვიც ედგა, ახალციხეს ბორჯომის გზით მიუხლოვდებოდა. ახალციხის ასაღებად ბრძოლაში მონაწილეობა უნდა მიეღო ქართველი მილიციის ორ ბრიგადას — კონსტანტინე ბაგრატიონისა და ვახტანგ ორბელიანის მეთაურობით. სიმონოვიჩს გურია-სამეგრელოდან რაზმების გამოყვანის ორგანიზაცია დავალა. იმედი ჰქონდათ, აკრეთვე, სელიმ ხიმშიაშვილისა, რომელიც რუსთა მხარეზე თავისი ლაშქრით უნდა გადმოსულიყო, მაგრამ მან თავისი დაპირება არ

<sup>8</sup> იქვე, გვ. 113.

<sup>9</sup> ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხოვნა“, გვ. 113.

<sup>10</sup> 6. დადაიანი, ქართველთ ცხოვრება, თბ., 1962, გვ. 202.

შეასრულა და მიუსვლელობის მიზეზად უქეთებობა დაასახელა.


25 ოქტომბერს ტორმასოვმა ახალციხის საფაშოს მოსახლეობას პროკლამაციით მიმართა. მასში განმარტებული იყო ბრძოლის მიზანი, კერძოდ, საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის განთვისუფლება და რეგიონში წესრიგის დამყარება. მთავრისარჩალი ხაზებსმით აღნიშნავდა, რომ მიდიოდა არა მოსახლეობის დასარბევად და ასწიოკებლად, არამედ შერიფ ფაშას დასასჯელად, რომელმაც სიტყვა გატეხა, მშვიდობა დაარღვია და ქვეყანაში ირანის ჯარი შემოიყვანა.

14 ნოემბერს წალკა-ჯავახეთის გზით, მცირე წინააღმდეგობათა გადალახვის შემდეგ, ახალციხეს გენერალი პორტნიაგინი და ქართლის მილიცია მიადგა. დიდოთვლობის მიუხედავად, ზეკარის უღელტეხილი სიმონოვიჩმაც გადმოლახა, რომელსაც თან მეგრელები, აფხაზი და ლეჩხუმელი ახლდნენ ლევან დადიანთან ერთად. უღელტეხილის გადალახვისთანავე მაჭას წყალთან მათ ლეკ-ოსმალთა ორიათასკაციანი ჩასაფრებული ჯარი დაამარცხეს და 12 ნოემბერს ახალციხესთან მივიღნენ.

აღსანიშნავია, რომ რუსთა სამხედრო ნაწილებს ახალციხისკენ მოძრაობა დიდი სირთულეების გადალახვით უხდებოდა. გზების უვარებისობისა და ხიდების არარსებობის გამო, ისინი იძულებულნი ხდებოდნენ, დრო და ენერგია გზების შეკეთებისა და ხიდების ასაგებადაც დაქარჯათ. ბორჯომის გზით მიმავლმა მთავარმა ნაწილმა გზადაგზა ლექებისა და თურქებისაგან სადგერისა და აწყურის ციხეები გაწმინდა, შემხვედრი რაზმებიც დაამარცხა, 19 ნოემბერს კი ყაია-ფაშას სიმაღლეც აიღო, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალციხის დასაკუპებლად.

26 ნოემბერს, მაშინ, როცა „რუსთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა“<sup>11</sup>, ტორმასოვი იძულებული გახდა, ალექსანდრე მოქანდაკი გამო, რომელიც ახალციხში უკვე ათი დღე იყო, რაც მძვინვარებდა და ქართულ მილიციასა და რუსულარულ ჯარშიც იჩინა თავი, რასაც შედეგად შეიძლებოდა მთელი სამხედრო კორპუსის განადგურება მოპყოლოდა. შავმა ჭირისა იმსხვრპლა საქართველოს უკანასკნელი კანცლერი სოლომონ ლიონიძე და პატრი ნიკოლა, რომელიც სოლომონ მეორესთან ერთად ახალციხში ქუთაისიდან გადმოიხვეწნენ. ალექს მოხსნის შემდეგ სოლომონი, რომელმაც საბრძოლო ოპერაციების დაწყებისას ახალციხე დატოვა და არტაანის გზით ერგვანში გადავიდა, ისევ ახალციხში დაბრუნდა.

<sup>11</sup> შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 136.



## გულგაათ რცხილაბე

### რატოგ ეფინააღმდეგება დასავლეთი უკრაინისგან ყირიმის გამოყოფა?

დასავლეთი მთელი ძალით ეწინააღმდეგება უკრაინისგან ყირიმის ჩამოცილებას. რა თქმა უნდა, დასავლეთისთვის უფრო მომგებიანია, რომ უკრაინა დარჩეს ერთიან და უნიტარულ სახელმწიფოდ, რადგან იგი კიევში თავისთვის და თავისი მარიონეტებისათვის სახეს შეინარჩუნებს. ასევე, როგორც ცნობილია, ყირიმი წარმოადგენს რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დასაყრდენს. ყირიმის დაუფლებით, რუსეთი უფლებას იბევებს, მუდმივად გამოიყენოს სევასტოპოლის ბაზა. რა თქმა უნდა, გეოპოლიტიკურად ყირიმი მნიშვნელოვანია, მაგრამ არას გზით არ შეიძლება მისი მნიშვნელობის გადაჭარბება, რადგან ევროკავშირსა და ნატოზე ორიენტირებულ უკრაინას, თეორიულად, სავსებით ძალუქს ყირიმის გარეშე არსებობა. უკრაინისთვის ყირიმი იგივე არ არის, რაც საქართველოსთვის „სამხრეთ ოსეთი“, ანუ შეიძა ქართლის რაიონებია — ოდითგანვე ქართული მიწები, თითქმის გული საქართველოსი. საქართველოში უამრავი ლტოლვილია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან, ხოლო ლტოლვილების მოზღვავება უკრაინაში, ყირიმის რუსეთის შემაღენლობაში გადასვლის გამო, მოსალოდნელი არ არის. ასეც რომ იყოს, უზარმაზარ უკრაინაში ეს ნაკლებად შესამჩნევი იქნებოდა. ყირიმი მხოლოდ პერიფერიაა უკრაინის რუკაზე, რომელსაც არ შეუძლია, ხელი შეუშალოს უკრაინის განვითარებას დასავლეთის ფრთის ქვეშ.

გარდა ამისა, ყირიმი რუსეთის კიდევ ერთ დოტაციურ რეგიონად იქცევა, ეს კი ნიშნავს, რომ წნევი რუსეთის ბიუჯეტზე გაიზრდება. ეს ასევე დასავლეთისთვის სასურველია.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, დასავლელი პოლიტიკოსების გააფთრება ყირიმის გამო არაბუნებრივად გამოიყურება

— დასავლეთი თავის კონტროლს უქვემდებარებს მთელ უკრაინას, ხოლო რუსეთი იერთებს მხოლოდ ნახევარკუნძულს, სადაც არ არის არანაირი სასარგებლო წიაღისეული, სამაგიეროდ არის რუსული ქალაქი სევასტოპოლი, რუსთა ისტორიული მითოლოგით გარემოცული. მაში, რაში მდგომარეობს საქმის არსი? რატომ წავიდა დასავლეთი ასე შორის და რატომ რისკავს, რუსეთთან კონფრონტაციის შედეგად ძალზე ბევრი დაკარგოს როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად? განა არ სჯობს, „რუს დათვეს“ ნადავლის ერთი ლუკმა გადაუგდონ, ყირიმის სახით, დაამშვიდონ იგი, ხოლო თავად კი გამარჯვებით დატკბნენ? თავად უკრაინელები, თვით რადიკალებიც, ასე თუ ისე შეეგუებიან ყირიმის დაკარგვას; დაკარგული ყირიმი რადიკალებს უფრო აწყობთ, რათა საზოგადოებაში რუსეთისგან „მტრის“ სახე მუდმივად შენარჩუნდეს.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ყირიმი დასავლეთისთვის იმდენად გეოგრაფიულად კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ უფრო მნიშვნელოვანია, როგორც პრუცედურტი. რუსეთი, რომელიც დახმარებას უწევს ყირიმის მოსახლეობას, უფლებას იტოვებს, ჩაერთოს უკრაინის სხვა მხარეებში მიმდინარე პროცესებშიც, მაგალითად, დონბასში (ქვეყნის აღმოსავლეთი), დონბასის გარეშე კი უკრაინა ეკონომიკური კრახისთვის არის განწირული. ყირიმი, შესაძლოა, უკრაინის სხვა რეგიონებისთვის მაგალითი გახდეს. უეჭველია, რომ ნახევარკუნძული რუსეთის პრიორიტეტული რეგიონი იქნება, სადაც ცენტრალური ბიუჯეტიდან დიდი თანხები გადმოიქაჩება, ამ დროს კი უკრაინაში მკაცრი ეკონომიკა და ეკონომიკის პერმანენტული დაქვეითება იქნება ფაქტი. დონეცკსა და ხარკოვში არ წყდება მიტინგები რუსეთის ჩარევის მოთხოვნებით, მაგრამ როგორც სავსებით სწორად ივარაუდა როსტოვის პრეს-კონფერენციაზე ბანდერელების მიერ გაძევებულმა უკრაინის პრეზიდენტმა ვ. იანუკოვიჩმა, დონბასი ფეხზე დადგება, როდესაც გაჩერდება შახტები და ქარხნები, როდესაც ხალხი უმუშევარი დარჩება. მოვლენათა ასეთი განვითარება მოსალოდნელია, რადგან დასავლეთი არ არის იმ მდგომარეობაში, რომ უკრაინას საკმარისი დახმარება აღმოუჩინოს, რათა მან რუსეთისგან მოსალოდნელ ეკონომიკურ ბლოკადას გაუძლოს. ეკონომიკის გაჩერების შედეგად უკრაინის აღმოსავლეთში პროტესტი ბევრად უფრო დიდი ძალით იფეთქებს, ვიდრე ახლა, ხოლო რუსეთს საფუძვლიანი მიზეზი მიეცემა, დაეხმაროს მოსახლეობას და შეიყვანოს ჯარები, კიევიდან მოვლენილი დამსჯელებისაგან ადამიან-

ების დასაცავად. სწორედ ამის ეშინია დასავლეთს და სურს, რომ რუსეთმა არა მხოლოდ არ შეიტოს (დაიბრუნოს) ყირიმი, არამედ ნახევარკუნძულიდან გაიყვანოს ყველა შეიარაღებული შენაერთი, რომლებიც იქ არაფიციცალურად მოქმედებენ. ყირიმის პრეცედენტი არ უნდა შედგეს, რადგან იგი თითქმის აუცილებლად განმეორდება უკრაინის სხვა ნაწილებში. მაგრამ, როგორც იტყვიან, მატარებელი უკვე წავიდა, თავისი უპასუხისმგებლო ქმედებებით, ბანდერელთა მფარველობითა და 21 თებერვლის შეთანხმების შეუსრულებლობით დასავლეთმა თავად უბიძგა ყირიმელებს, რუსეთისგან პირდაპირი დაცვა მოეთხოვათ, უკრაინის ტერიტორიული ერთიანობის ხარჯზე. მეტიც, 16 მარტის რეფერენდუმმა უკვე ყველა კითხვა მოხსნა და ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნდა, ზუსტად 60-წლიანი განშორების შემდეგ.

ალბათ, ყველა მოაზროვნე ქართველი ხვდება, რომ ყირიმის პრეცედენტს საქართველოსთვისაც სერიოზული მნიშვნელობა აქვს, მისი ტერიტორიული პრობლემებიდან გამომდინარე. ბუნებრივია, კიდევ ერთი სეპარატისტული რეგიონის წარმოშობა ზოგადად არ არის საქართველოსთვის სასურველი, თუმცა არც ამ ფაქტის ზედმეტად დრამატიზება შეიძლება. სწორი საგარეო კურსის გატარების შემთხვევაში, და ეს კურსი, რა თქმა უნდა, არ უნდა გულისხმობდეს რადიკალურ „დასავლეთუმების“, ნატოში საქართველოს ჩათრევის დაუოკებელ ჟინს და ევროკავშირისკენ ბრძად სწრაფვას, საქართველოს შეუძლია, კონსტრუქციულად აწყოს ურთიერთობები რუსეთთან და შემდგომ ეტაპზე დიალოგი აწარმოოს აფხაზებთან და ოსებთან. რუსეთისთვის არც აფხაზეთი და არც სამაჩაბლოა ემოციურად ისე ახლოს, როგორც ყირიმი. ასე რომ, რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ან სამაჩაბლოს ანექსიის მცდელობა თავისით არ წარმოიშობა, ეს მხოლოდ საქართველოს მხრიდან უხეში შეცდომების ჩადენის შემთხვევაში შეიძლება, რომ მოხდეს.


დაბოლოს, გავაანალიზოთ, რა განსხვავებაა ყირიმსა და აფხაზეთ-სამხრეთ ისეთს“ შორის. სამწუხაროდ, ამ კითხვას არავინ სკამს საქართველოში, სატელევიზიო „ექსპერტების“ მხრიდან. არადა, მეტად მნიშვნელოვანია არსებული სხვაობის დანახვა, რათა მომავალში ეს ფაქტორი ქართულმა დიპლომატიამ გამოიყენოს.

რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის გადასვლის ფაქტის ლეგიტიმურობა მთელ მსოფლიოში იწვევს კითხვებს, საგარაუდოდ, ბევრი არავინ ცნობს ამგვარ ტერიტორიულ ცვლილებებს, საკუთრივ

რუსეთის გარდა, მაგრამ რუსულ მხარესაც აქვს არგუმენტები თავის სასარგებლოდ — როგორც სამართლებრივი, ისე წმინდა ისტორიული, რომლებიც „ისტორიული სამართლიანობის აღდგენაზე“ მიანიჭნებენ. მაგრამ მოვახდინოთ ყურადღების ფოკუსირება დასმულ კონკრეტულ კითხვაზე — რით განსხვავდება ყირიმის პრეცედენტი აფხაზეთის პრეცედენტისაგან.

საერთაშორისო სამართალი ორ მთავარ პრინციპს ეყრდნობა, თუმცა ისინი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან — ესენია: სახელმწიფოთა ტერიტორიული ურღვევობის (საზღვრების ურღვევობის) პრინციპიდა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება. მოცემულ შემთხვევაში რუსეთი პრიორიტეტს ანიჭებს ყირიმის მცხოვრებთა უფლებას თვითგამორკვევაზე, ხოლო დასავლური სახელმწიფოები ამოდიან არსებული საზღვრების ურყევების პრინციპიდან. როგორც არ უნდა იყოს, ფაქტია, რომ ყირიმში პროცესები თუმცალა დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობს, მაგრამ მშვიდობიანად, უმცირესობათა უფლებების დარღვევის გარეშე. რუსების გარდა, გარანტირებულია ნახევარკუნძულზე მცხოვრები უკრაინელებისა და თათრების უფლებებიც. აფხაზეთში (ისევე, როგორც „სამხრეთ ოსეთში“) ყველაფერი სხვანაირად იყო: რეფერენდუმები ჩატარდა ეთნიკური ქართველების მონაწილეობის გარეშე, რომელთაგან უმრავლესობა იძულებული იყო, თავისი მშობლიური მხარე დაეტოვებინა. აფხაზი ხალხის თვითგამორკვევაზე საუბარი არ შეიძლება, რადგან სამართლებრივად „აფხაზი ხალხი“ არ არის ეთნიკური ცნება, არამედ სახელმწიფოებრივი. ანუ აფხაზეთის (და „სამხრეთ ოსეთის“) ყველა მცხოვრები, თავისი ეთნიკური წარმოშობისგან დამოუკიდებლად, არის სახელმწიფოს ფუძემდებელი და, შესაბამისად, ყველა მათგანის აზრი უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული რეფერენდუმზე, რაც არ მოხდა. ამიტომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში „ხალხის ნების გამოხატვის“ არგუმენტი ძალზე საეჭვოა — გავიმეორებთ, ყირიმისაგან განსხვავებით.

შესაბამისად, ყირიმის რეფერენდუმს ბევრად უფრო მაღალი ლეგიტიმურობის ხარისხი აქვს, ვიდრე აფხაზურ-ოსურს.



## შოთა აზხაიძე

### „უპრაინდული მაილის“ თავიდან აცილების გზა

უკრაინაში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ დასავლეთი, ამერიკის დომინირებით, თავისი გეოპოლიტიკური გავლენის არეალის გასაფართოებლად მკვეთრად ფორმულირებული და ურყევი სტრატეგიით მოქმედებს. მინდა მოკლე ანალიზი გავაკეთო, თუ როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები „მაილის“ შემდეგ საქართველოში.

რამ შეუწყო ხელი უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების ასეთ წარმატებას ?

1) უკრაინის მოქალაქეებს მართლაც ჰქონდათ ობიექტური მიზეზები ხელისუფლების ცვლილების მოთხოვნისა, რადგან რეალურად უკრაინაში იანუკოვიჩის მთავრობის პირობებში იყო კორუფცია, ნეპოტიზმი, კლანურობა და დაუსჯელობის სინდრომი. მაგრამ ამ ყველაფრის ცვლილება მათ მხოლოდ დემოკრატიული გზით უნდა მოეხდინათ. სწორედ ზემოთ ჩამოთვლილმა ნეგატიურმა მიზეზებმა მოუმზადა ნოვიერი ნიადაგი ერთი დასავლური სახელმწიფოს (აშშ) დამანგრეველ გეგმას, უკრაინაში სწრაფად და ეფექტურად მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება.

2) ამას დაემატა მახინჯი იდეოლოგიური ფაქტორი — უკრაინული ნაციონალისტების რუსოფობიული და ზოგადად ფაშისტური განწყობა. ულტრამემარჯვენე ნაციონალისტების ფრონტი — „მემარჯვენე სექტორი“ დიმიტრი იაროშის ხელმძღვანელობით „მაილის“ დამრტყმელ ძალად იქცა, ამავდროულად თვითონ ოპოზიციური სპექტრის და ზოგადად მთელი უკრაინის უანდარმის ფუნქციაც კარგად შეითავსა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძალა ძალიან ორგანიზებული, დისციპლინირებული, იერარქიულად სტრუქტურირებული,

იდეოლოგიურად მოტივირებულია და, ამასთან, კარგად კოორდინირებულია აშშ-სთან. აქ უკვე ნათელია „ცივილიზებული სამყაროს“, ანუ დასავლეთის ორმაგი სტანდარტების სახე — დემოკრატიული რიტორიკის ფონზე ძალადობის და ფაშიზმის მხარდაჭერა.

უკრაინა დღეს უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. აშკარაა როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კრიზისი. შექმნილი კრიზისი უკრაინის, როგორც სახელმწიფოს კრახს გამოიწვევს, ეს გარდაუვალია. დასავლური კრედიტები ვერ იხსნის უკრაინას. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ უკრაინას ვერ ეყოლება ერთი ხელისუფლება ამ ოპოზიციური ელიტის პირობებში, ის ძალიან ჭრელია და ყველას აქვს ამბიცია პირველობაზე. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ერთ რელობას: პოლიტიკურ ძალთა დაქსაქსულობის ფონზე უკრაინაში ადგილი აქვს ფაშისტური დიქტატურის დამყარების მცდელობას.

როგორ განვითარდება მოვლენები უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში? უდავოა, რომ იქ მცხოვრებმა რუსულენოვანმა მოსახლეობამ ქაოსის პირობებში თვითმობილიზაცია დაიწყო. რეგიონების პარტიის დეპუტატთა დიდი ნაწილი იუდას გზას დაადგა და თავის ხალხს უდალატა, ისევე, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელთა უმრავლესობა. მათ ფინასური კეთილდღეობა არჩიეს სიმართლეს. მაგრამ მოსახლეობამ თვითორგანიზების რეჟიმში გადაიყვანა არსებული რეალობა. აქ მცხოვრები ხალხის წინააღმდეგობა არის პროტესტი და ამავდროულად თავდაცვა იღეური ფაშისტებისგან, რის საფუძველზეც დღეს უკრაინას მართავენ. სამხრეთ-აღმოსავლეთი მენტალურად და კულტურულად სრულიად სხვა სამყაროს წარმოადგენს, აქაურები არ დაუშვებენ რუსული ენის აკრძალვას (საჯარო სფეროდან განდევნას), რადგან ეს ენა საუკუნეებია არის კომუნიკაციის ერთადერთო ენა რეგიონში. ისინი არ დაუშვებენ ბანდერას, მელნიკის და მათი იდეური მემკვიდრეების და მოკავშირეების დომინირება-გაფეტიშებას რეგიონზე. მართლმადიდებელი აღმოსავლეთისა და სამხრეთისათვის კატეგორიულად მიუღებელია უნიატებისა და კათოლიკების მხრიდან მართლმადიდებლური ტაძრების დაპატრონების მცდელობებიც. გარდა ამისა, სამხრეთ-აღმოსავლეთი არ დაუშვებს, რომ ”სოციალურად იმპოტენტმა“ და პარაზიტმა დასავლეთმა უკრაინამ გამოიწვიოს მთელი რიგი საწარმო ობიექტების კვდომა, რასაც რეგიონის და მთლიანად უკრაინის

გაღარიბება მოყვება (უკრაინის ეკონომიკა დგას აღმოსავლეთის რეგიონზე, დასავლეთი 80%-ით დოტუციაზე). სამხრეთ-აღმოსავლეთი არ დაუშვებს თავის რეგიონებში იმას, რაც დღეს ხდება დასავლეთ უკრაინაში: მოროდიორობა, ვანდალიზმი, ძარცვა-გლეჯა და ა.შ. ასე რომ, ამ ნაწილში კონფლიქტის ესკალაცია გარდაუვალია, რომელიც დასავლეთის მარცხით დამთავრდება.

იგივე ძალები, ვინც სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო უკრაინაში, შემდეგი დარტყმის განხორციელებას შეეცდებიან საქართველოში. სცენარი თითქმის იდენტური იქნება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეალობა — მასშტაბები, პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკის განვითარების დონე, საზოგადოება და კიდევ ბევრი სხვა ასპექტი — სერიოზულად განსხვავდება უკრაინულისაგან.

მიზეულ სააკაშვილმა და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „მაიდნის“ მოვლენების საშუალებით თავიანთი თავის პოლიტიკური რეაბილიტაცია სცადეს, რაც, ჩემი აზრით, საკმაოდ წარუმატებელი ნაბიჯი იყო. დასავლელმა ლობისტებმა სააკაშვილის იმიჯის გასასუფთავებლად მისთვის უკრაინული პიარ-აქცია მოიფიქრეს. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ის მაინც ისეთივე მიუღებელ პერსონად რჩება, როგორიც მაიდნის მოვლენებამდე იყო. მან და მისმა გუნდმა ამ საქციელით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ასრულებენ ამერიკელი ნეოკონსერვატორების და ოდიოზური დასავლელი რეაქციულ-მილიტარისტული ძალების შეკვეთებს. „ნაციონალებისა“ და უკრაინელი ფაშისტების „მეგობრობას“ საფუძვლად ანტირუსული განწყობა და პროგრაციების დაუოკებელი სურვილი უდევს საფუძვლად — საკუთარი ერების ინტერესების საზიანოდ. მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ნებისმიერ ავანტიურაზე წავლენ, ოღონდ მსოფლიოს დაანახონ, რომ რუსეთი „აგრესორია“ და ისინი — მის წინააღმდეგ მებრძოლი „გმირები“. სწორედ ეს ძალა შეცდება, თავისი დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით, რეგანშის გზით დაბრუნდეს საქართველოს ხელისუფლებაში. ამ პროცესის განხორციელება უახლოეს თვეებში დაიწყება. უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების და მათი იდეოლოგების მხრიდან სახეზე გვაქვს მეტად აგრესიული და მუქარის შემცველი მესიჯები, სადაც ისინი ამბობენ, რომ ივანიშვილის მთავრობა „პრორუსულია“, ისევე, როგორც იანუკოვიჩის მთავრობა; რომ ივანიშვილი გაიზიარებს მის ბეჭდს და ვანო მერაბიშვილი ისევე იქნება გათავისუფლებული პატიმრობიდან, როგორც იულია

ტიმოშენკო... ანუ ეს არის აშკარა პარალელის გავლება უკრაინულ და ქართულ სცენარებს შორის.

საქმეს ართულებს დასავლელი დიპლომატების განცხადებები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პოლიცესებზე, მაგალითად: ევროკავშირის ელჩმა ფილიპ დიმიტროვმა საკაშვილის რეზიმის ჯალათის, გოგა ონიანის დაკავებას პოლიტიკური დევნა უწოდა წინასაარჩევნო პერიოდში. ასევე არაერთი უსაფუძღლო კრიტიკა მოვისმინეთ ბოლო თვეების განმავლობაში ევროპის საბჭოს და ევროპის კავშირის საპარლამენტო ასამბლეებზე საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ.

დაბოლოს, ამერიკაში ჩასულ პრემიერს და ქართულ დელეგაციას პირდაპირ უთხრეს, რომ დამაშავე რეზიმი მიხეილ საკაშვილის ხელმძღვანელობით უნდა გახდეს ხელისუფლების პარტნიორი, როგორც ოპოზიციური ძალა. აშკარაა, რომ ეს ყველაფერი ემსახურება დეზინფორმაციული ფონის შექმნას და ცრუ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების გადატრიალების მიზნით. დასავლეთის რეაქციული ძალები დეკლარირებულად მხარს უჭირენ და დაუჭირენ საქართველოში მსგავსი ძალალობრივი სცენარის განვითარებას.

საქართველოს ხელისუფლებამ როგორ უნდა აიცილოს რევანში თავიდან?

1) საქართველოს პრემიერმა და მინისტრთა კაბინეტმა სასწრაფოდ უნდა გაატაროს საკადრო ცვლილებები და, უპირველეს ყოვლისა, თავიდან მოიშოროს ძალოვან სტრუქტურებში დარჩენილი დამნაშავე რეზიმის კადრები. ასევე უნდა მოხდეს წმენდა სხვა სტრუქტურებშიც.

2) უნდა სასწრაფოდ გამოიებულ იქნას დამნაშავე რეზიმის მიერ ჩადენილი აბსოლუტურად ცველა დანაშაული და უმკაცრესად დაისაჯონ დამნაშავე პირები, და არა ისე, როგორც ეს დღეს ხდება (ვანო მერაბიშვილს მიესაჯა მხოლოდ 4 წელი და 6 თვე), არამედ მათ პასუხი უნდა აგონ კანონის სრული სიმკაცრით და დაუწესდეთ მაქსიმალური სანქციები.

3) საქართველოს მთავრობამ სასწარფოდ უნდა გააუმჯობესოს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, შექმნას შესაძლებლობიდან გამოდინარე მაქსიმალურად უკეთესი ეკონომიკური ფონი, ამის საშუალება არის სოფლის მეურნეობაში სუბსიდირებით და რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით.

4) რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკის მკვეთრ გაუმჯობესებას და პოლიტიკურ სტაბილიზაციას. არის დიდი ალბათობა, რომ რუსეთმა გადახედოს გაზის და სხვა ენერგოშემცველების ტარიფებს და საქართველოსთვის შეღავათიანი ფასები დაწესოს. ასევე ქართულ პროდუქციას და ქართველ მუშახელს მიანიჭოს გარკვეული პრივილეგიები, კარი გაუხსნას რუსულ ბიზნესს საქართველოში (მსხვილ რუსულ ინვესტიციებს). ყოველივე ეს საგრძნობლად გაზრდის სახელმწიფო ბიუჯეტს და ქვეყანა აღარ იქნება დამოკიდებული მხოლოდ დასავლურ კრედიტებსა და გრანტებზე, შემცირდება დასავლეთის მიერ პოლიტიკური მანიპულაციის ბერკეტებიც. სუვერენიტეტის ინდექსიც შესაბამისად გაიზდება.

5) მკვეთრად შეკვეცოს მაღალი თანამდებობის პირებზე გასაწევი სახელმწიფო ხარჯები — პირველ ყოვლისა, დაწესდეს ლიმიტი სამსახურებრივი მანქანების შეძენაზე. არც ერთი მინისტრი არ უნდა დადიოდეს 20-25 ათას დოლარზე უფრო ძვირი ავტომანქანით. ავტომანქანის გამოცვლა უნდა მოხდეს მინიმუმ 3 წელიწადში ერთხელ.

6) ჩანასახშივე მოსპოს კლანურობა ხელისუფლებაში, ბიზნესში და მთლიანად ქვეყანაში.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების შესრულების შემთხვევაში საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მოიპოვებს ქვეყნის მოსახლეობის უპრეცედენტო მხარდაჭერას, რაც გაამყარებს მის პოლიტიკურ პოზიციებს და შეუძლებელს გახდის სააკაშვილის ბანდის მიერ მის დისკრედიტაციას. მაგრამ საქართველოს არსებული ხელისუფლება მაინც ვერ მოიპოვებს ისეთ მხარდაჭერას დასავლეთიდან, როგორიც მიხეილ სააკაშვილის რეზიმს პქონდა, რადგან დღევანდელი ხელისუფლება, მადლობა ღმერთს, არასოდეს წავა ისეთ ავანტიურაზე და არ მოაწყობს ისეთ პროვოკაციებს, როგორისაც სააკაშვილი და მისი ბანდა დასავლელი მილიტარისტების დაკვეთით აწყობდა.

დიდი ამაგი დასღო სვეტიცხოველს; შეიძინა ყმა-მამულები და შეწირა ამ ტაძარს. გულანთებული მამულიშვილი ენერგიულად იბრძოდა ტყვეთა სყიდვის და მაპმადიანური წეს-ჩვეულებების აღსაკვეთად.

კათალიკოს დომენტი III-ის წყალობით გადაურჩა ანჩის ხატი სამუდამო დაკარგვას. ამის შესახებ გვაუწყებს საარქიტო დოკუმენტზე დაყრდნობით მოსე ჯანაშვილი: „...გუჯარი 352(1664 წ.). ამ გუჯარიდამ სჩანს, რომ თბილისის ვაჭარს ამირჯანს და მისთა ძეთა: ზურაბას, მელქომსო და დავით ვანგულაშვილთ მოუტანიათ კეისრის იმპერიიდამ, ესე იგი საბერძნეთიდამ, 10 ხატი: ანჩისა, მთავარანგელოზისა, იოანე ღვთის-მეტყველისა, იოანე ნათლისმცემელისა და სხვ. ამ ხატების შესყიდვა მოუნდომებია კათალიკოზს დომენტი III-ს. მეფის შაპინაოზის მეტარაფხანეთ ყველა ხატები დაუფასებიათ 1800 მარჩილი (ერთი მარჩილი — სამი აბაზი), ესე იგი 1080 მანეთად, მაგრამ ვანგულაშვილებს დაუფასებიათ 2000 მარჩილად და გინა კათალიკოზს ეს ფული არ მიუცია“.<sup>4</sup>

მაგრამ გარიგება მაინც შემდგარა და კათალიკოს დომენტი III-ს ანჩის ხატი შეუძენია და დაუსვენებია თბილისის უძველესი საკათალიკოსო ღვთისმშობლის ეკლესიაში. მას ზარის ეკლესიას უწოდებდნენ. ზარის ეკლესიას იმიტომ ეძახდნენ, რომ თბილისში არაბების ბატონობის დროს მარტო ამ ეკლესიას ჰქონდა უფლება ზარის დარეკვისა. ამის შემდეგ თბილისის ღვთისმშობლის ეკლესიას ანჩისხატის ტაძარი ეწოდა.

როგორც აღვნიშნეთ, კათალიკოსი დომენტი III გარდაიცვალა 1676 წ. დაკრძალულია სვეტიცხოველში, რომლის დასავლეთის შესავლელის მარცხნია კედელზე არის კათალიკოს დომენტი III-ის ეპიტაფია:

#### ბაგრატიონთა ძე

ბატონი კ(ა)თ(ოლიკო)ზი დომენტი. მიიცვალ-

ა სეპტენბერის კბ გასულსა,

ქ(რონი)კ(ონსა ტნიდ.). შ.დ.ჩ.ს.

„ბაგრატიონთა ძე ბატონი კათალიკოსი დომენტი

მიიცვალა სეპტემბერის 22 გასულსა

ქორონიკონით 364, 1125=1676 წ.“

შემდეგ, გვერდით, გარდაცვალების თარიღი სომხურად არის ამოკვეთილი: შ.დ.ჩ.ს.


ამ ეპიტაფიის ქვეშ ამოკვეთილია ოსტატის მოსახსენებე-

<sup>1</sup> ბერი ვნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება // „ქართლის ცხოვრება“, ს. ფაუხიშვილის გამოცემა, ტ. IV 1973, გვ. 161.

<sup>2</sup> ვხუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა // „ქართლის ცხოვრება“, ს. ფაუხიშვილის გამოცემა, ტ. IV 1973, გვ. 301.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 301.

<sup>4</sup> მ. ჯანაშვილი, ანჩის-ხატის ეკლესია // გაზ. „დროება“, 1884, №83, 1 მარტი.



## ბოლო არველაძე

### კათალიკოს დომენტი III ეპიტაფიის გამო

ქართველოლოგმა პარუირ მურადიანმა 1985 წელს გამოსცა მონოგრაფია — «Армянская эпиграфика Грузии» (Картли, Кахети). ამ წიგნის ავ-კარგის განსჯას არ ვაპირებ მაგრამ მასში დაშვებული ერთი უხეში შეცდომის შესახებ კი შეუძლებელია არ ითქვას. შეცდომა შექნება აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსის დომენტი III-ის ეპიტაფიას. დომენტი III ზეობდა 1660-1676 წწ.-ში. ამ ხანებში მეფე იყო ვახტანგ V (შაპინავაზი — 1660-1675), მემატიანის გადმოცემით — „დასუა მეფემან ბიძაშვილი თვისი დომენტი, კაცი ღირსი საყდრისა“.<sup>1</sup> ეს ის პერიოდია, როცა როსტომ-ხანის „წყალობით“ ქვეყანაში მაპმადიანური ადათ-წესები დაინერგა, რამაც ქრისტიანული რწმენის საფუძვლები შეარყია. ამის შესახებ ვახუშტი გვაუწყებს — როსტომ-ხანის მეფობის დროს: „ზიარება სისხლისა და ხორცისა უფლისა ჩუქენისა სირცხვილად უჩნდათ, ამან (ვახტანგ V) კათალიკოზის დომენტით კუალად შემოიფუანა აღსარებად და ზიარებად“.<sup>2</sup>

კათალიკოსი დომენტი III იყო მეფის პოლიტიკის განუხრელი გამტარებელი. ენერგიულად მოკიდა ხელი საეკლესიო მართვა-გამგეობას, აღწერა და მოაწესრიგა საეკლესიო ქონება. მისი ინიციატივით აიგო „მჭადიჯვრის ცენტრალურ-გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც ერთადერთი უდიდესია გვიანდელი შუა საუკუნეების ტაძართა შორის“.<sup>3</sup> მან განაახლა ანჩისხატის „შემუსრული“ ეკლესია, 1675 წელს ააგო მისი სამრეკლო და საკათალიკოსო ტაძრად გადააქცია.

<sup>1</sup> ბერი ვნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება // „ქართლის ცხოვრება“, ს. ფაუხიშვილის გამოც., ტ. IV 1973, გვ. 161.

<sup>2</sup> ვხუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა // „ქართლის ცხოვრება“, ს. ფაუხიშვილის გამოცემა, ტ. IV 1973, გვ. 301.

ლი: „ფრიად ცოდვილის ასლამაზ ყარაშვილის დანწერია, ვინც წაიკითხოთ, ღ(მერ)თ(მან)...“

კათალიკოს დომენტი III-ის ეპიტაფია პირველად ნახა მ. ბროსემ, მაგრამ ქართული ქორონიკონის გვერდით სომხური თარიღის არსებობის ფაქტი მხოლოდ დააფიქსირა, კომენტარი არ გაუკეთებია.<sup>5</sup> ეს ეპიტაფია მოინახულა სომხებმა სწავლულმა მ. სმბატიანცმა, რომელმაც ამომქვეთი ოსტატი სომხად მიიჩნია.<sup>6</sup>

პ. მურადიანი წერს: «Видимо происхождение католикоса из Мухрани, где проживало немало армян, его принадлежность к роду Багратиони (Багратидам), которых армяне считали носителями и своих национальных интересов, побудили составителя эпитафии приложить и армянскую дату».<sup>7</sup>

ეს არის ამ ნაშრომის ძირითადი დასკვნა. ვნახოთ, რა კონკრეტულ ფაქტებსა და წყაროებზე არის იგი დაფუძნებული. ქართველი ბაგრატიონები რომ დამოუკიდებელი სამეფო გვარია, ეს დიდი ხანია დამტკიცებულია მეცნიერებაში და ღია კარის მტვრებას არ შევუდგები.

პ. მურადიანმა «армяноязычные читатели» რომ მოუძებნოს აღნიშნულ სომხურ თარიღს: აურაცხელი სომხებით გაავსო XVII ს-ის შუა წლების დროინდელი მცხეთა, მუხრანი და მათი მიმდებარე ქართველი სოფლები. «Как бы то ни было наличие этой даты подразумевает и наличие армяноязычных читателей... на это указывает и то обстоятельство, что грузинские священники, сопровождающие М. Смбатянца в 1892 г., восприняли армянскую дату как орнамент (нахша)».<sup>8</sup>

ქართველ მღვდელს «армянская дата» ორნამენტად რომ მიუჩნდება, გაუვებარია, ეს რატომ მოწმობს «армяноязычный читатель»-ის არსებობას მცხეთაში. პირიქით, ქართველი სასულიერო პირი ვერც წარმოიდგენდა ბაგრატიონის საფლავზე სომხური წარწერის არსებობას და, შესაბამისად, კათალიკოს დომენტი III-ის გარდაცვალების ქორონიკონის გვერდით სომხურ თარიღს. ამიტომ უწოდა მას ორნამენტი.

<sup>5</sup> Brosset M. - F., Rapports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie, II I, St. Peterbourg, 1850 cijuieme, rapport, გვ. 31.

<sup>6</sup> გელაშვილის (ახლა ქოდება ახალი ბაიაზეთი) მაზრის „მაცნე“, ეჯიმიაწინი, 1896, გვ. 368 (სომხ. ენაზე).

<sup>7</sup> არმანიანი ეპიგრაფიკა საქართველოს, 1975. გვ. 30.

<sup>8</sup> იქვე, 1975. გვ. 38.

მარტო საქართველოში კი არა, დედამიწის ზურგზე ანალოგიური ფაქტი არ მოიპოვება. ყველანა ბაგრატიონთა სასულიერო თუ საერო პირების გარდაცვალების ქორონიკონი მხოლოდ ქართულად არის შესრულებული, გამონაკლის მარტო დომენტი III-ის ეპიტაფია წარმოადგენს და მისგან განმაზოგადებელი დასკვნის გამოტანა სწორი არ არის, რასაც პ. მურადიანი აკეთებს.

ამ ეპიგრაფიის ამომქვეთი ოსტატის ასლამაზ ყარაშვილის გასომხება ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე არ შეიძლება (გვ. 39). ამ გვარის ეტიმოლოგიას თუ მივყვებით — ყარ თურქულია და ნიშნავს — შავს. არსებობს მისი შესატყვისი ქართველი გვარებიც — შავიშვილი, შავიძე და ა. შ. (შეადარეთ ფარა-ჩოხელ — შავჩოხელი). ხოლო თუ ასლამაზ ყარაშვილი ქართველი მონოფიზიტი ჰერია მურადიანს, ამის საბუთი მას არ წარმოუდგენია და ამიტომ ვერ ვირწმუნებთ. ყარაშვილები არიან როგორც მართლმადიდებელი ქართველები, ისე — ქართველი რიტის კათოლიკენი. სახელის მიხედვით ძალიან სცდება. ეს სახელი ქართველია და გაურცელებულია საქართველოში. მისგან არის ნაწარმოები ქართველი გვარი — ასლამაზიშვილი.<sup>9</sup> ასევე ჰაი-ჰარად გაასომება — ბიჭიაშვილი, ჩეკურაშვილი, გაბრიელაშვილი, მუსხელიშვილი.<sup>10</sup>

ქართველი გვარების სომხურიან წარმოჩენა მას სჭირდება იმისთვის, რომ რამენაირად დაამტკიცოს მცხეთაში სომხური მოსახლეობის არსებობა. XVII ს-ის შუა წლებში და ამით გაამართლოს დომენტი III-ის ეპიტაფიაში სომხური თარიღის არსებობა — «армяноязычный читатель»-თვის. მართალია, აცხადებს, რომ არ არის ცნობა მცხეთაში სომხთა VIII-XVIII სს-ში არსებობის შესახებ, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, XIX ს-ის მონაცემებით ამტკიცოს, თითქოს XVII ს-ში მცხეთაში სომხური მოსახლეობა იყო. ამისთვის იმოწმებს მ. ბროსეს, რომელსაც 1848 წელს მოუნახულებია მცხეთა. ბროსე წერს: „ქალაქში (მცხეთა) 80 ოჯახი იყო ქართველი, ხოლო 40 სომხური“.<sup>11</sup>

განა იმით, რომ 40 სომხური ოჯახი ცხოვრობდა 1848 წელს მცხეთაში, ამით მტკიცდება XVII ს-ში აქ «армяноязычный читатель»-ის არსებობა?!?

ეს კიდევ არაფერი, შემდეგ მოაქვს «ქვის გამხეთქვი» საბუთი:

<sup>9</sup> ა. ახუაშვილი, ქართველი გვარ-სახელები, 1994, გვ. 570.

<sup>10</sup> Brosset M.-F., Rapports sur un voyage archeologique dans la Geogia et dans l'Arménie, II I, St. Peterbourg, 1850 cijuieme, rapport, გვ. 31.

<sup>11</sup> იქვე.

1851 წელს მცხეთაში ღვთისმმობლის სომხური ეკლესია ყოფილა, მაგრამ არ შემორჩენილა, თუმცა ფოტოგრაფ ს. დარჩინიანს სევტიცხოველის ეზოში 1976 წელს უნახავს ქვის ფილა, რომელზეც სომხური და ქართული სააღმშენებლო წარწერა ყოფილა ამოკვეთილით. ვინაიდან სომხური ქართულის იდენტურია, მოვიტან მხოლოდ ქართულ ტექსტს:

### წელსა 1851

ნებითა და შეწვნითა ღუთისათა  
მე იოსებ ოპანეზას ძე ევენდიუმან  
აღვაშენე ესე ე(ოვლა)დ წმინდა ღ(უთ)ის  
შმობელისა მოსახსენებელი ჩემი და

მეუღლისა ჩემისა ნინოსი და ჩვენთა

წინაპართა გარდაცვალებულთა, ხოლო შესაწვნად სომქთა  
გვართა მცხეთისათა.<sup>12</sup>

ს. დარჩინიანმა ეს ორენოვანი წარწერიანი ქვის ფილა თუ მართლა სვეტიცხოვლის ეზოში ნახა, მაშინ გამოდის, ეს სომხური ეკლესია სვეტიცხოვლის ეზოში იდგა, მაგრამ არსად არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში არ დასტურდება სვეტიცხოვლის ეზოში სომხური ეკლესის არსებობა. ესეც არ იყოს, ქართველთა უძველესი დედაქალაქის და, რაც მთავარია, საკათალიკოსო ტაძრის ეზოში, ბაგრატოვანთა საგვარუულო განსასვენებელთან, სომხურ-მონოფიზიტური, მკრებელური ეკლესის აშენება გამორიცხულია. ამდენად, საფუძველი გვაქვს ვითიქროთ — ეს წარწერიანი ორენოვანი ქვა სპეციალურად არის მიტანილი გასაგები მიზნით სვეტიცხოვლის ეზოში. ეს, საკარაულოა, მოხდა XIX ს-ის შეა ხანებში, როცა სომქთა გარკვეული რაოდენობა ჩანს მცხეთაში.

პ. მურადიანს დამოწმებული აქვს, აგრეთვე, თურქი ავტორი გურჯიშადე, რომელიც წერს: „როცა იბრაჰიმ-ფაშას აცნობეს, რომ აბუ-მუჰამედ-ყულიხანი გამგებლად დასვეს, განჯიდან თბილისისკენ მოაბრუნა სადაც, დამორჩილებულ და დაქვემდებარებულ სომქთა ტომიდან 3000 რევა წამოიყვანა და დაასახლა თბილისში“.<sup>13</sup> ეს ხდე-

<sup>12</sup> არმანიანი ეპიგრაფიკა საქართველოს, 1985. გვ. 40.

<sup>13</sup> გურჯიშადე, „თბილისის დაპრობის წიგნი“, თბილისი, 1975, გვ. 51, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ. პროფ. ცისანა აბულაძე შენიშვნას: „ეს ცნობა სხვა წყაროებში ვერ დაგვარასტურეთ“ (გვ. 71). მაგრამ პ. მურადიანს ეს არ აღარდებს, მთავრია, მის სასურველ ინფორმაციას ხომ მიაგნო, ნამდვილია თუ ყალბი, ამას არ დავიღვს.

„რეათი ერქვა ევფლა მიწერილ გლეხს, XVII ს-ის შეა წლებიდან, რეათ იწოდებოდნენ მხოლოდ არამაპმადიანები“ (გვ. 71).

ბა XVIII ს-ის 30-იან წლებში. ამ საეჭვო ცნობაში ლაპარაკია სომქთა გადმოსახლებაზე თბილისში. რა შეუძია მცხეთა?

კიდევ მეტი. მან ერეკლე II-ის დროინდელი თითქმის მთელი ქართლი სომხებით გაავსო, რათა «არმანიანი ჩითატელ» მოუძებნოს ხსენებულ სომხურ თარიღს. მაგრამ წყაროები სხვას მეტყველებენ. მაგალითად, „მუხრანის ნაპიე 1728 წლის დიდი დავთრის“ მიხედვით მუხრანში და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებთა სახელების 90 პროცენტი ქართულია — XVII ს-ის დასასრულისა და XVIII ს-ის დასაწყისში.<sup>14</sup> ე. ი. მცხეთა და მისი ირგვლივ მდებარე სოფლების მოსახლეობა «არმანიანი» კი არა, ქართული ყოფილა.

პ. მურადიანს ბოლოს დამოწმებული აქვს XVIII ს-ის დასასრულის და XIX ს-ის დასაწყისის საეჭვო ავტორი არტემ არარატიანი, რომელიც წერს: ალა-მაპმად-ხანის ურდოებმა (1795) „ცხეთა“ სულ გადაწვეს, აახორეს, ხოლო სასულიერო პირებმა გაქცევით უშველეს თავსო.<sup>15</sup> ბევრი კვლევა-ძიება არ არის საჭირო, რომ არტემ არარატიანის ამ ცნობით არ მტკიცდება «არმანიანი ჩითატელ»-ის არსებობა მცხეთაში, თუმცა მაინც ცდილობს XVIII ს-ის 70-იან წლების მცხეთაში სომქთა მოუხსენებლობა გაამართლოს იმით, რომ თითქოს მცხეთა „დაბა“ იყო. ვეკითხები მას: სხვა დაბები რომ არის აღნუსხული „დემოგრაფიულ უწყებებში“ — სურამი, ხაშური, მცხეთამ რა დააშაგა?

საქმე ისაა, რომ მცხეთაში არ იყო «არმანიანი ჩითატელ» (აქ არ ცხოვრობდნენ სომხები), ამიტომ არ არიან აღნუსხული და არა იმიტომ, რომ დაბა იყო. მაგრამ ამის აღიარება მურადიანს არ უნდა, რადგან მის „თეორიას“ მაშინ საფუძველი ეცლება. მის ამ მანიპულაციას მეცნიერებაში ქროდება — ფაქტების ტენდენციური ანალიზი. უფრო ზუსტად კი, ფაქტებზე ძალდატანება ჰქვია, რასაც ობიექტური, აკადემიური მეცნიერი არავითარ შემთხვევაში არ იკადრებს.

მაგრამ უფრო დიდი სიურპრიზი წინ გველოდება. პ. მურადიანი წერს: «О том, что происходило в те годы в Тифлисе, и как вереломно поступил католикос Доментий III, подробно рассказывает Абраам Ереванец».<sup>16</sup>

<sup>14</sup> ნოდარ შენგელია, „მუხრანის ნაპიე 1728 წლის თბილისის დიდი დავთარი“, კრუ. სამეცნიერო პარადიგმები“, თბილისი, 2000, გვ. 521-544.

<sup>15</sup> «Жизнь Артемия Арагатского», издания подготовил К. Н. Григорьян при участии Р. Орбели, М. 1981, с. 102.

<sup>16</sup> არმანიანი ეპიგრაფიკა საქართველოს, 1985, გვ. 39, სეზონი 51.

კათალიკოს დომენტი III-ის უანგარო მოღვაწეობასა და მამულიშვილობაზე უკვე ვიღლაპარაკე და აღარ გავიმეორებ, მხოლოდ ვიტყვი: კათალიკოს დომენტი III-ეს მურადიანისეული დახსაიათება, თითქოს «ვერელომნი» დაიკავა საკათალიკოსო ტახტი, გაუგებრობაა. და აი, რატომ. პ. მურადიანი ერთმანეთში ურევს კათალიკოს დომენტი III-სა და კათალიკოს დომენტი IV-ს.

კათალიკოს დომენტი IV-ს (1705-1741) მართლაც არაერთი დანაშაული ჩაუდენია, მისი ძმის, მეფე ვახტანგ VI-ის მიმართ. ამაზე მოგვითხრობს არა მარტო აბრაამ ერევანეცი, არამედ ქართული წყაროებიც.

აბრაამ ერევანეცი (XVIII) მოგვითხრობს: „მაჰმად-ყულინანი, რომელიც ლეკეთს გადავიდა, იქნიდან წამოიყვანა ექვსი ათასი მეომარი, ხელმეორედ თავდასხმის დროს — 1723 წლის მაისში კათალიკოსის (დომენტი IV — ბ. ა.) დახმარებით აღვილად აიღო ქალაქი“.<sup>17</sup> ამ დალატის საფასურად მაჰმად-ყულინანი კათალიკოსს, დომენტი IV-ს კახეთის მხარის მიცემას წერილობით დაკპირებია.<sup>18</sup>

დომენტი IV-ს მეფე ვახტანგ VI-თვის აღრეც უდალატნია. 1713 წელს, როცა შაჰის მიერ თბილისში გამოგზავნილ იქნა ვინმე ხოლოფა, რათა შეერჩია მეფობის კანდიდატურა, დომენტი IV-ს თავის მომხრებთან ერთად ვახტანგ VI-ის საწინააღმდეგო პოზიცის დაუკავებია.

კათალიკოს დომენტი IV-ს ცოლის შერთვა მოუსურვებია და სამეფო ტახტის მოპოვების მიზნით გამაჰმადიანებაც მოუნდომებია, რასაც მოჰყოლია მამამისის უკმაყოფილება, ამიტომ იძულებული გამხდარა, განზრახვაზე ხელი აეღო.<sup>19</sup>

კათალიკოს დომენტი IV-ის მძიმე დანაშაულზე მიანიშნებს ვახუშტი: „შეიძყრა სვიმეონ კათალიკოსმა (დომენტი IV — ბ. ა.). ზაკვით და წამოუვლინა ბაქარს, რათა აღმოხადოს თუალნი“.<sup>20</sup>

რუსუდან დედოფლის წყალობით კათალიკოსი სასჯელს გადარჩენილა.

მიუხედავად აღნიშნულისა, დომენტი IV აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსია 1705-1745 წლებში. მას გარკვეული სამეც-

<sup>17</sup> აბრაამ ერევანეცი, „ომების ისტორია“, 1976, გვ. 8. სომხურიდან ქართულად თარგმნა და შენიშვნები დაურთოთ ლიანა დავლიანიძემ.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> ვ. დონდუა, საისტორიო ძეგანი, თბილისი, 1967, გვ. 152: „ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712-1745)“.

<sup>20</sup> ვახუშტი, ქართლის ცხოვრება ტ. IV, გვ. 49.


ნიერო და საგანმანათლებლო სამუშაო ჩაუტარებია — შეუკრუებია ქართული საერო და საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრება-წამების აღწერილობანი და შეუდგენია ჰაგიოგრაფიული კრებული; აგრეთვე, შეუგროვებია ილარიონ ქართველის და სხვათა საგალობლები. დომენტი IV-ს საკუთარი ხარჯით შეუსრულებია სვეტიცხოველის, ანჩისხატის, მეტეხისა და სხვა ეკლესიების სარესტავრაციო სამუშაოები.<sup>21</sup>

პ. მურადიანმა ეს ორი კათალიკოსი — დომენტი III (1660-1676) და დომენტი IV (1705-1741) ერთმანეთში რომ აურია, არ ვიცი, უცოდინრობით მოუვიდა, თუ მისთვის ჩვეული საკითხის ზერელე კვლევის გამო, მაგრამ შედეგი ერთია — საქმე გვაქვს უხეშ, მიუტევებელ შეცდომაზე აქვს აგებული ხსენებული ნაშრომი. აქედან გამომდინარე, მისი აღნიშნული დასკვნებიც უსაფუძვლო და მიუღებელია.

ვფიქრობთ, კათალიკოს დომენტი III-ის გარდაცვალების ქართული ქორონიკონის გვერდით სომხური თარიღი (იმავე 1676 წ. იმეორებს) შემთხვევითია. როგორც აღვნიშნეთ, ბაგრატიონთა სასულიერო თუ საერო პირების გარდაცვალებათა ქართული თარიღების გვერდით არცერთი უცხოენოვანი თარიღი არ დასტურდება და მათ შორის — არც სომხური.

ეს სომხური თარიღი გამონაკლისია. ასოთა მოხაზულობის მიხედვით ასლამაზ ყარაშვილი მისი ამომკვეთი არ არის. იგი მოგვიანებით ვიღაც სომხეთი ოსტატის მიერ არის შესრულებული. ეს, აღბათ, მოხდა XIX ს-ის შუა წლებში, როცა მცხეთაში სომქთა გარკვეული რიცხვი ჩნდება. ეს კი სომქთა შხრიდან მოულოდნელი არ არის. ანალოგიური ცულლუტური ფაქტების მოტანა შეიძლება და არც თუ მცირე რაოდენობით.

<sup>21</sup> საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, 2000, გვ. 117-119.



## გრიგოლ რუხაძე

### კონტრაცეფტის, აბორტისა და სურობაციის რელიგიური შეფასება

სათაურში გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობა საზოგადოებაში შექმნილმა გაუგებრობამ განაპირობა, რასაც უმეტესწილად თვით სპეციალისტები წარმოშობენ ხოლმე. რელიგიურ მოძღვრებას თავისი კანონები აქვს და თუ ვინმეს მათი გამოყენება სურს, კეთილი უნდა ინებოს და საფუძვლიანად შეისწავლოს ისინი. სამწუხაროდ, ათეისტური ეპოქის დამთავრების მიუხედავად, ქართულმა ინტელიგენციამ ვერა და ვერ გააცნობიერა, რომ გარდა მართლმადიდებლური ეკლესიისადმი პატივისცემის გამოხატვისა, საჭიროა მასში რეალურად გაერთიანება და თეოლოგიური განათლების შეძენა; სხვაგვარად, სულიერი და ეთიკური გაჯანსაღების გარეშე, ქვეყნის წინსვლაზე ლაპარაკი ოცნების საზღვრებს ვერ გასცდება.

ვფიქრობთ, დასმულ საკითხს მეტ სიცხადეს შევძენთ, თუ კრიტიკულად განვიხილავთ უკვე გამოთქმულ შეხედულებებს რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, პროფ. არჩილ ხომასურიძისა, რადგან იგი „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ მიცემულ სამ ინტერვიუში<sup>1</sup> ჩვენ მიერ გამოყოფილ სამივე პრობლემაზე პრაქტიკის ექიმისა და, ამასთანავე, ქრისტიანი მედიცინის მუშავის პოზიციას აფიქსირებს.

### კონტრაცეფტია – კულტურული გენოციდი

ჯერ კიდევ 14 წლის წინ, კონტრაცეფტიის რეკლამირების საწინააღმდეგოდ, ჩვენი უშუალო მონაწილეობითა და საპატრიარქოს

<sup>1</sup> 22 მაისი და 18 ოქტომბერი 2013 წ., 23 იანვარი 2014 წ. ესაუბრა თუ მოსია.

კონტრაცეფტიის, აბორტისა და სურობაციის შესახებ

რამდენიმე დაწესებულების სახელით გამოქვეყნდა განცხადება სათაურით «კულტურული გენოციდი» („საქ. რესპ.“ 4 ნოემბერი, 2000 წ.), რომლითაც საზოგადოება გავაფრთხილებოთ, რომ ჩასახვის საწინააღმდეგო უფასო აბების გამავრცელებელი უცხოელი ადეპტები, მოწვენებით უანგარობით, სინამდვილეში კი ანტისახლმწიფოებრივი პროპაგანდით, ქართველებს უშვილობით, გარევნილებით, ოჯახის ამოგდებითა და საბოლოო გადაშენებით ემუქრებოდნენ.

განვმარტეთ, რომ წმ. ექვთიმე მთაწმილელმა «მცირე სჯულისკანონში» (1972, გვ. 110) წმ. იოვანე მმართველის განწესებათაგან ის კანონიც შეიტანა, რომელიც უშუალოდ კონტრაცეფტიას, ანუ ადამიანთა გამრავლების წინააღმდეგ ორგანიზმის მოწამვლას უკავშირდება, რათა ვინმეს არ ჰგონებოდა, რომ მუცლადღებამდე (ჩასახვამდე) საშოს განრევნა (წახდენა) თითქოს მკვლელობა არ ყოფილიყო. კანონში ობიექტური სინამდვილეა ასახული, რადგან ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც აბორტის დროს, შემოქმედის მიმართ საწინააღმდეგო ნება ვლინდება: არ დაიბადოს ის, ვისი გაჩენაც განგებით არის განსაზღვრული: «კაცისკვლათა მრავალფერთა იქმან მუცლადღებასა შინა. რომელნიმე პირველ მუცლადღებისა განირუხნიან საშოთა მწამლელობითა შესუმითა წამალთადთა, რამთა არა მუცლად იღებდენ. რომელნიმე შემდგომად მუცლადღებისა სუმენ წამალსა მოკლებად ჩჩივილისა. სხუანი სრულსა ერმასა შობილსა თვისითა ხელითა ანუ სხვისითა მოპკლებნ და ბოროტსა კაცისა კლვასა თვისთა შვილთასა აღასრულებენ». ამასთანავე, როგორც «სოციალურ კონცეფტციაში» არის აღნიშნული: «ჩასახვის ზოგიერთ საწინააღმდეგო საშუალებას ფაქტობრივად აბორტული ქმედება აქვს, რადგან იგი ყველაზე ადრეულ სტადიებზე ხელოვნურად წყვეტს ემბრიონის სიცოცხლეს. ამიტომ მათ ხმარებასაც იგივე შეფასებანი ეძლევა, რაც აბორტის მიმართ არის მიღებული» (გაზ. „მადლი“ №3-4, 2007).

აქედან გამომდინარე, ბ-ნი ა. ხომასურიძის თვითნებური დასკვნა მხოლოდ აბნევს საზოგადოებას და შეცდომაში შეჰქავს იგი: «სამღვდელოებისგან იმის აღიარებას მივაღწიე, რომ ეს ნაკლები ცოდვაა, ვიდრე აბორტი. მაგრამ თუკი შეიძლება კონტრაცეფტიამ გადაარჩინოს ადამიანი აბორტისგან, დაე, იყოს ნაკლები ცოდვა».

— უკვე ვთქვით, რომ საეკლესიო განჩინებით აბორტიცა და კონტრაცეფტიაც მკვლელობის სახობებს წარმოადგენენ, ხოლო ცოდვის ზომასთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ქრისტიანობას

ცოდვის მეტ-ნაკლებობის ზღვარი არ დაუდგენია. ყოველი ცოდვა, დიდიცა და მცირული, მომაკვდინებელია, თუ ადამიანი მას არ მოინანიებს. იეზუიტური პრინციპისგან განსხვავებით, ქრისტიანობა მიზნის მისაღწევად ირჩევს მხოლოდ და მხოლოდ იმ გზას, რომელიც არც მორალურად და არც დოგმატურად ჰქონდარიტების საწინააღმდეგო არ არის.

## სიცოცხლის ხელოვნურად შეზყვეტა მკვლელობა

ჯერ ბ-ნ ა. ხომასურიძეს მოუსმინოთ: «პატრიარქს უდიდეს პატივს ვცემ. ის არის ქვეყნის სულიერი მამა და რასაც იტყვის, კომენტარი კი არ სჭირდება, შესრულება უნდა. ამიტომაც ამ თემაზე საუბარს თავს გარიდებდი. თუმცა, სააღდგომო ეპისტოლეში გამოთქმულმა ლოზუნგმა, რომ ქვეყანაში აბორტი უნდა აიკრძალოს, ძალიან შემაშფოთა. პატრიარქიც ადამიანია, პყვანან მრჩევლები, რომლებმაც, აგრეთვე, კარგად იმუშავეს ეპისტოლეს მომზადების დროს ყველა საკითხზე, გარდა აკრძალვისა. საქმე ის არის, რომ აკრძალვას არსად, არც ერთ საზოგადოებაში სარგებელი არ მოუტანია»;

«ძალიან დიდხანს ვფიქრობდი, არის თუ არა მკვლელობა. ჩემი მიღომა ასეთია: აბორტი, დიახ, ეს არის სიცოცხლის ხელოვნური შეწყვეტა. მაგრამ აი, აქ არის ერთი მაგრამ... ის სიცოცხლე, რომელიც ქალის ორგანიზმშია ნაყოფის სახით, ხარისხობრივად განსხვავებულია იმ სიცოცხლისგან, რომელიც იქმნება დაბადების შემდეგ, ანუ, როცა ნაყოფი დედას განეშორება. დედის ორგანიზმში მყოფი ნაყოფი დედის სრული საკუთრებაა როგორც ბიოლოგიურად, ისე იურიდიულად. და ის არის უფრო „განსხვავებული“ სიცოცხლე. ამდენად, დედას აქვს უფლება თავად განკარგოს, რა უფოს ამ სიცოცხლეს, თუნდაც იმიტომ, რომ არ აქნოს საკუთარ სიცოცხლეს»;

«დედა თუ იკეთებს აბორტს, ის დამნაშავე არ არის. მან უკეთიცის, რა არის საჭირო მისი ჯანმრთელობისა და ოჯახისთვის, მისი არსებობისთვის, რა უფლებით ვერუვით მის პირად ცხოვრებაში?!... ეკლესიის საქმე არ უნდა იყოს აკრძალვა, არამედ მისი წმინდა ვალია, ჩენი საზოგადოების სულიერი აღზრდა, რასაც მიუძღვნა მთელი ცხოვრება მისმა სულიერმა მამამ».

სამწუხარო რეალობაა. უნდა გალიარო, ამდენი სოფისტური და დემაგოგიური აზრი ერეტიკოსებთანაც კი არ შემხვედრია. ბუნე-

ბრივია, ათეისტი მედიკოსის თვალსაზრისს რომ განვიხილავდეთ, მიღომაც სხვაგვარი გეგენებოდა, მაგრამ ეს კაცი თავის თავზე ამბობს: «მე ვცხოვრობ იმ კოდექსით, რომელსაც ქადაგებს ჩვენი პატრიარქი და რასაც მირჩევს ჩემი სულიერი მამა რევაზ სიხარულიძე». — არ გეკადრებათ, ბ-ნო პროფესორო! ყველა გამოთქმულ აზრზე პასუხისმგებლობა მხოლოდ თქვენ გეკისრებათ და ქვემოთ მოყვანილ წმიდა მამათა დადგენილებებს თუ გაითვალისწინებთ, ეს მხოლოდ წადგება თქვენს მომავალ ცხოვრებას. გულწრფელი სინაული არასდროს არის გვიან; თანაც, ის იმდენად უებარი წამალია, რომელსაც ვერავითარი სამედიცინო პრეპარატი ვერ შეცვლის.

დავუბრუნდეთ ჩვენს თემას და ზემოთ მოყვანილ ციტატებში გადმოცემული აზრები ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით განვიხილოთ.

1. ეკლესიის საქმე კერძო პირების შეხედულებისამებრ არ წყდება. უპირველეს ყოვლისა, მის უფლება-მოვალეობებს მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებანი განსაზღვრავენ, რომელნიც დიდი სჯულისკანონში არის შეტანილი. ეკლესიის ერთ-ერთი მისია, იზრუნოს საზოგადოების სულიერ აღზრდაზე, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ნიშნავს, ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე თავის სამწყსოს განუმარტოს არის იმ პრობლემისა, რომელიც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას ბადებს.

2. გუმბადის VI მსოფლიო კრების მამათა 91-ე კანონი: «დედანი, რომელნი ჩვილთა საკლავსა წამალსა მისცემენ და რომელნი მიიღებენ მოსარეუნელთა მათ სამსალათა, კანონითა კაცისმეკლელთა მთავრებობის განუკანონებთ».

წმ. ექვთიმე მთაწმინდელის მიერ მცირე სჯულისკანონში გუმბადის კრების აღნიშნული კანონი ასე იკითხება: «რომელნი მისცემენ დედათა წამალსა შეიღის მკვლელსა საშოსა შინა, და დედანი, რომელნი მიიღებენ ესვეითართა მათ წამალთა და საშოსა შინა მოკუდინებენ მუცლადღებულთა მათ შეიღოთა, კაცისკვლისა კანონსა ქვეშე არიან» (კან. 77).

წმ. ბასილი კესარია-კაბადოკიელის მე-8 კანონი: «რომელნი მუცლეულქემულთა ჩჩვილთა საკლავთა წამალსა მისცემენ, კაცისმეკლელნი არიან იგინიცა და მიმღებელნიცა და მხუმცელნი მათ მიერ შემთხვევაში მათ სამსალათანი».

არცერთი განსაზღვრება ორაზროვანი არ არის და კომენტარს არ საჭიროებს. აბორტი, ანუ სიცოცხლის ხელოვნურად შეწყვეტა, ადა-

მიანის მკვლელობას ნიშნავს. ამასთან, ისინიც, რომელნიც მუცდლის მოწყეტილობის დედას საწამლავს აძლევენ, მკვლელობის სასჯელს ექვემდებარებიან.

3. ქრისტიანული სწავლებით, შემოქმედის მიერ დედის წიაღში სულიცა და ხორციც ერთდროულად იქმნება. ზუსტი მნიშვნელობით, ცალ-ცალკე, მარტო სული ან მარტო ხორცი ადამიანი არ არის. ამიტომ ჩანასახი (ემბრიონი) უკვე სრულყოფილი ადამიანია და თუ იგი ჯერ კიდევ არ დაბადებულა, ან ასაკით ჩამორჩება ახალშობილს, ეს სრულიადაც არ ნიშნავს «ხარისხობრივ განსხვავებას» და იმას, რომ მის ყოფნა-არყოფნაზე ვინმეს არჩევანის უფლება მიეცეს. წმ. ბასილი დიდი მე-2 კანონში აზუსტებს, რომ დანაშაულის სიმძიმე ფქმდიმობის ხანგაზმულობაზე დამოკიდებული არ არის: «რამეთუ არა არს ჩუენ შორის გამოწულილვით გამოძიებად დასახულობისა გინა დაუხატებულობისა მოწყუელილთა მათ ჩჩკლთა ასა».

ამიტომ, რაც ეკლესიის მიერ უკვე განსაზღვრულია, მორწმუნე მას მორჩილებით უნდა იღებდეს, თორმეტ შეიძლება გაუჩნდეს იღუზია წინასწარ განჭვრეტისა, რომელი ადამიანის დაბადება არის მიზანშეწონილი და რომლისა არა.

4. მტკიცება იმისა, რომ დედას თავის ორგანიზმში მყოფი ნაყოფის სიცოცხლე თავად შეუძლია განკარგოს, ერთი მხრივ ნიშნავს, რომ მას მივანიჭოთ მეორე სიცოცხლის ხელყოფის, ანუ მკვლელობის უფლება, მეორე მხრივ კი, ამგვარი მტკიცება სრული უღმერთობის შედეგია, ვინაიდან «ნაყოფი დედის სრული საკუთრება» როგორ შეიძლება იყოს, როცა, მამას რომ თავი დგანებოთ, მასზე აღმატებული მშობელი თვით ყოვლის შემოქმედი უფალია?! — აბორტის გამკეთებელი დედა არა მარტო საკუთარ, არამედ იმავდროულად უფლის შვილსაც კლავს. უფალი რომ ყოველი კაცის გამჩენი მამაა, მხოლოდ იობის ღმრთისადმი მიმართული სიტყვებით დავამოწმებთ: «ტელთა შენთა შემქმნეს მე და დამბადეს მე» (იობ. 10,8). ზემოთ დასახელებული «სოციალური კონცეფციის» საფუძველზე კი მოკლედ დაგასკვნით: «კაცობრივი სიცოცხლის ფასდაუდებლობისა და სიწმინდის შესახებ ბიბლიური და წმიდა მამათა სწავლება თვით სათვეშვე შეუსაბამოა იმ აღიარებისა, რომლის მიხედვითაც ქალს ნაყოფის ბედის გამგებლობა „არჩევანის თავისუფლებით“ აქვს მიცემული».

ვფიქრობთ, აღნიშნულ საკითხებზე პასუხები გარკვევით არის გაცემული, მაგრამ გარდა თეოლოგიურისა, მორალური ფაქტორიც

კონტრაცეფციის, აპორტისა და სუროგაციის შესახებ 95  
შეფასებას საჭიროებს. პიროვნება ჯერ ქვეყნის სულიერ მამად მოიხსენო, ხოლო შემდეგ მოგალეობა შეახსენო და მის მიერ გამოთქმულ აზრს სისულელე უწოდო, როგორც ამას ბ-ნი ა. ხომასურიძე იქმს (მისი აზრით, აბორტის აკრძალვაზე საუბარი სისულელეა!), მეტი რომ არაფერი ვთქვათ, ორმაგი სტანდარტის ცრუ საფუძველზე მიუთითებს. როცა პროდუქცია მდარეა, მისი რეპროდუქცია ხარისხს ვერ აამაღლებს.

## რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი ამორალური ინდუსტრიის დამფუძნებელია

ჯერ ისევ ა. ხომასურიძის და, მისივე დახასიათებით, ახალგაზრდა და პერსპექტიული რეპროდუქტოლოგის ლუდმილა ბარბაქაძის მოსაზრებებს გაუცნოთ.

«რასაც ამბობს ჩვენი პატრიარქი, იმას არ სჭირდება კომენტარი, არამედ შესრულება უნდა! თუმცა, პატრიარქი, რომელსაც მეუდიდეს პატივს ვცემ, აგრუთვე არის აღამიანი. მას ჰყავს მრჩეველთა მთელი ჯგუფი, რომლებიც ძირითადად კარგად ართმევენ თავს მათ საპატიო მოგალეობას, თუმცა, ისეთ საჩოთირო სფეროში,<sup>2</sup> როგორიც რეპროდუქტიული ჯანმრთელობაა, როგორც სჩანს, მრჩეველი ვრ გაერკვნენ არსში და ინფორმაციაც არასწორად მიაწოდეს.

შეცდომის მთავარი მიზეზი გახლავთ იმის გაუთვითცნობიერებლობა, რომ სუროგაციასა და ხელოურ განაყოფიერებას ერთმანეთთან არაფერი საერთო არა აქვთ ეპისტოლებში კი ეს ორი მეთოდი გაიგვებულია, რაც იმთავითვე მიუღებელია. ასეთმა არასწორმა მიღებომამ წარმოშვა გაუგებრობა თვით პატრიარქის მიმართ და ასევე ჩემს მიერ დაარსებული უშვილობის მკურნალობის ულტრათანამედროვე მეთოდის — ე. წ. ინ ვიტრო განაყოფიერების მიმართაც»;

«სუროგაციასთან მიმართებაში, მორალური თვალსაზრისით, ჩვენც ეკლესიის მსგავსად, ვფიქრობთ, რომ თემა საჩოთიროა. სუროგაცია არის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ერთ-ერთი სფერო, მაგრამ ის არაფერ განსაკუთრებულს არ წარმოადგენს და არც ჩვენთვის არ არის საინტერესო. ჩვენ ამ კუთხით არც ვმუშაობთ» (ა. ხომასურიძე);

«სუროგატული დედობა — დამხმარე რეპროდუქციული ტექნი-

<sup>2</sup> ხაზი კველგან ჩვენაა.

ლოგიაა, რომლის დროსაც ქალი ნებაყოფლობით თანხმდება ორსულობაზე იმ მიზნით, რომ ატაროს და გააჩინოს ბიოლოგიურად სხვისი ბავშვი, რომელიც შემდგომში გადაეცემა გენეტიკურ მშობლებს. უხეშად თუ ვიტვით, ქალი საშვილოსნოს აქირავებს. ამიტომაც არის, რომ თანამედროვე მსოფლიოში ფქს უფრო მეტად იყიდებს ხელოვნური განაყოფიერების თანამედროვე მეთოდი, ანუ ინ ვიტრო განაყოფიერება... განაყოფიერების პროცედურა შემდგომი მდგომარეობს: კვერცხუჯრედის მიღება დედის ორგანიზმიდან ხდება. ხოლო მისი განაყოფიერება გენეტიკური მამის სპერმით ხდება ორგანიზმს გარეთ — სტერილურ პირობებში. მიღებული ემბრიონი ინკუბატორში ვითარდება 2-5 დღის განმავლობაში, რის შედეგადაც ხდება მისი გადატანა გენეტიკური დედის საშვილოსნოს ღრუში შემდგომი განვითარებისთვის. დღეისათვის მსოფლიოს წამყანი კლინიკები ორიენტირებულნი არიან, მიიღონ კვერცხუჯრედების ის აუცილებელი რაოდენობა, რომელიც საკმარისი იქნება ერთი გადატანისთვის. თუკი მოხდა საჭიროზე მეტი რაოდენობის კვერცხუჯრედის მიღება, ხდება მათი გაფინვა. იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება განმეორებითი გადატანის ჩატარება ან წყვილმა მოინდომა მეორე შვილის გაჩენა, ხდება შენახული კვერცხუჯრედების გაღლობა. ანუ დღეისათვის ემბრიონის განადგურება პრაქტიკულად არ ხდება. ძველი, ეგრეთ წოდებული „რედუქციის“ მეთოდი ჩვენ არასოდეს გამოგვიყენებია.

ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ ინ ვიტრო განაყოფიერების შემდეგ დაბადებული ბავშვები არ განსხვავდებიან ჩვეულებრივი ბავშვებისაგან, ისინი იბადებიან ჯანმრთელები, იზრდებიან ბედნიერები, ვინაიდან ნანატრი შვილები არიან, ამასთანავე გამოირჩევიან მაღალი გონებრივი განვითარებით» (ლ. ბარბაქაძე).

— ზემოთ მოვანილი აზრების ავტორები სიცრუის დეტექტორთან რომ მიგვერთებინა, ალბათ, მოწყობილობა ციმციმს დაიწყებდა, რადგან ნახევარსიმართლეთა აღქმისათვის ტექნიკური შესაძლებლობები საკმარისი არ არის. ამიტომ ჩვენ მათ წინააღმდეგ მხოლოდ შესაბამისი სფეროდან მოპოვებულ ინტელექტუალურ ცოდნას გამოვიყენებთ და ტყუილ-მართალს ერთმანეთისაგან გავმიჯნავთ. ამასთან, ბ-ნ ხომასურიძეს საშუალებას არ მივცემთ «მრჩევლებით» მანიპულირებისა, რომელსაც მან კათოლიკოს-პატრიარქის მოწლებათა გასაქარწყლებლად მიმართა. ამ შემთხვევაშიც ცალკეულ საკითხებს პუნქტობრივად განვიხილავთ.

1. საერთოდ, სოფისტური მსჯელობისთვის ბუნდოვანება დამახასიათებელია, მაგრამ ხომ უნდა გავერკვეთ იმ «საჩითირო სფეროში», რომლის არსშიც, ოპონენტის აზრით, ეპისტოლეს ავტორი და მრჩევლები ვერ გაერკვნენ? — სიტყვა საჩითირო ქართულად ნიშნავს სათაკილოს, სასირცხოს, დასაძრახს; ძირი სიტყვისა არის ჩოთირი — თაკილი, უხერხულობა, რომლის მეორე მნიშვნელობა იგთვეა, რაც ღიტინი. რამდენადაც ჯანმრთელობა არც საღიტინო სფეროს განეკუთვნება, აღნიშნული სიტყვის ვერცერთ დეფინიციას კონტექსტს ვერ შევუსაბამებთ.

ანალოგიური უაზრობაა მეორე ფრაზაშიც: ა. ხომასურიძე თურმე ეკლესიის მსგავსად ფიქრობს, რომ თემა სუროგაციის შესახებ «საჩითიროა». — რა თქმა უნდა, სიტყვის სწორად შერჩევა ყველას მოეთხოვება, მაგრამ საეციალისტი, რომელიც სხვას საკითხის არსში გაურკვევლობისთვის ადანაშაულებს, მით უმეტეს, თვითონ უშინაარსო განსაზღვრებებს არ უნდა იძლეოდეს. ხოლო, რაც შექება თვით სუროგაციის თემას, მასზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

2. განსახილველი საკითხები სპეციფიკურია. ამიტომ იძულებული ვართ, ტერმინთა მნიშვნელობანი ისე განვსაზღვროთ, როგორც სამედიცინო დარგში არის მიღებული. თორუმ, პირდაპირი მნიშვნელობით, იმას, რასაც რეპროდუქტოლოგები უშვილობის მკურნალობას უწოდებენ, სინამდვილეში ტექნოლოგიური ტრიუკია, რომელიც არავითარ მკურნალობას, ანუ გამოჯანმრთელებას არ გულისხმობს. პირიქით, «ინ ვიტრო», ანუ «ექსტრაკორპორალურ განაყოფიერებას ქალის ჯანმრთელობისთვის სარგებელი არ მოაქვს, ხოლო ალბათობა გართულებისა საკმაოდ დიდია».<sup>3</sup> მაგალითად, აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას ერთ-ერთ ეტაპზე (საკვერცხების პიპერსტიმულაცია) მძიმე, მათ შორის ღეტალურ, შემთხვევათა რაოდენობა 10%-ს აღწევს (იქვე).

დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ამერიკულმა ცენტრებმა (CDC) გამოიკვლიერს, რომ ლაბორატორიულ პირობებში, ქალის სხეულის გარეთ, ანუ სინჯარაში ჩასახული ბავშვები 2,4-ჯერ უფრო ხშირად იბადებოდნენ კურდღლის ტუჩით, ვიდრე ბუნებრივად ჩასახულნი. ასევე, მათ შორის 3-4-ჯერ უფრო მეტს აღენიშნებოდა

<sup>3</sup> Иеромонах Димитрий (Першин), Экстракорпоральное оплодотворение: от медицины к биоэтике, 2010. ინტერნეტიდან დამოწმებულ წყაროზე გვერდს არ ვუთითებთ, ვინაიდან შრიფტის ზომას მომხმარებელი ირჩევს და, ბუნებრივია, ამონაბეჭდების ნუმერაცია ერთმანეთს არ დაემთხვევა.

გულის, კუჭისა და ნაწლავების დაავადებანი (იქვე). ამიტომ მტკიცება იმისა, რომ «ინ ვიტრო», ანუ ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვები «გამოირჩევიან მაღალი გონიერივი განვითარებით», სიცრუეა და რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის რეკლამირებისთვის არის გამიზნული.

3. ჩვენთვის არცოუ სანაქებო საქმედ ჩაითვლებოდა ე. წ. ინ ვიტრო მეთოდის გამოგონება, მაგრამ რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელის მტკიცება, ჩერ მიერ არის «დაარსებული» უშეილობის მკურნალობის ეს ულტრათანამედროვე მეთოდით, უბრალოდ, დიდი გაუგებრობაა. ჯერ ერთი, რაიმე მეთოდი შესაძლოა ვინმებ შეიმუშავოს, ან დანერგოს, და არა — დააარსოს, მეორეც, როგორც სპეციალური ლიტერატურიდან ვიგებთ, პირველად ისტორიაში 1967 წელს ბრიტანელმა ემბრიოლოგმა რობერტ ედვარდსმა შეძლო ლაბორატორიულ პირობებში აღამიანის კვერცხუჯრედის განაყოფიერება, ხოლო 1976 წელს მან და პატრიკ სტეპტომ შეიმუშავეს ქალის ხელოვნურად დაორსულების მეთოდი, რომლის გამოყენებითაც სამი წლის შემდეგ სინჯარიდან გამოყვანილი პირველი ბავშვი, ლუიზა ბრაუნი დაიბადა.

4. თურმე ყველა გაუგებრობის სათაუე, ა. ხომასურიძის მიხედვით, არის ის, რომ ეპისტოლებში სუროგაცია და ხელოვნური განაყოფიერება გაიგიყებულია, ხოლო ამ მეთოდებს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ. — ჯერ ერთი, ეპისტოლებში სუროგატი დედის მიერ დაბადებული ბავშვის მძიმე ხვედრზე საუბრის შემდეგ აღნიშნულია, რომ «პრობლემატურნი იქნებიან ის ბავშვებიც, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერებით დაიბადნენ და მათი სიცოცხლე მრავალი ემბრიონის განადგურების შედეგად განვითარდა». ე. ი. კათოლიკოს-პატრიარქი მიუღებლად მიიჩნევს როგორც სუროგაციის, ისე «ინ ვიტრო» განაყოფიერების საშუალებით ბავშვის გაჩენას და აქცენტი ამ მეთოდების გაიგიყებაზე საერთოდ არ გადააქვს.

მეორეც, ეპისტოლებში ეს ორი მეთოდი გაიგიყებულიც რომ იყოს, არც სამედიცინო და არც მორალური თვალსაზრისით ცნებათა სიზუსტე პრინციპულად არ დაირღვეოდა, რადგან ორივე ხელოვნური მეთოდია, მიუხედავდ მათ შორის არსებული სპეციფიკური განსხვავებისა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა საკუთარი ამორალური ინდუსტრიის პრესტიჟის გადასარჩენად თვით საქართველოს ეკლესიის საჭეთ-მპყრობელის დამცირებაც არ ითაკილა, მაგრამ მისი ხელოვნურად

გამოგონილი არგუმენტი მეცნიერულადაც და ზნეობრივადაც უსუსურია აღმოჩნდა. ამაში მომდვენი მსჯელობა უფრო დაგვარწმუნებს.

5. ეკლესიის მსგავსად ვერ იფიქრებს ის კაცი, რომლისთვისაც სუროგაცია «არაფერ განსაკუთრებულს არ წარმოადგენს»; მით უმეტეს, როცა ჩვენთვის ცნობილია მისი დამოკიდებულება კონტრაცეციისა და აბორტის მიმართ ბუნებრივია, სუროგაცია საყურადღებო და პრობლემატური თემა რომ არ იყოს დღვეუნდელი კაცობრიობისთვის, კომერციულ საფუძველზე მისი ორგანიზება და განხორციელება მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოში, მათ შორის აშშ-ის მრავალ შტატში, აკრძალული არ იქნებოდა.

სუროგაციის შეფასებას, პირველ ყოვლისა, სოციალური კონცეფციის მიხედვით გავეცნოთ: «მევილიერების გზებს, რომელიც არ თანხვდებიან განზრახვას სიცოცხლის შემოქმედისა, ეკლესია ზნეობრივად ვერ გაამართლებს. თუ ქმარი ან ცოლი შვილის გაჩენის უნარს მოკლებულია, ხოლო მკურნალობის თერაპიული და ქირურგიული მეთოდები მათ უნაყოფობას ვერ შველიან, მაშინ ცოლ-ქმარმა თვითანთი უშვილობა, როგორც განსაკუთრებული ცხოვრებისეული მოწოდება, თავმდაბლობითა და მორჩილებით უნდა მიიღოს. მსგავს შემთხვევებში მოძღვართა რეკომენდაციები, ცოლ-ქმრის ორჩერივი თანხმობით, უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის აფგანის შესაძლებლობას.

სამედიცინო დახმარების დასაშვებ საშუალებას შეიძლება მიეკუთვნოს ქმრის სქესობრივი უჯრედებით ხელოვნური განაყოფიერება, რადგან იგი საქორწინო კავშირის ერთიანობას არ არღვევს, ბუნებრივი ჩასახვისგან პრინციპულად არ განსხვავდება და ცოლქმული ურთიერთობების ფარგლებს არ სცდება.

სქესობრივი უჯრედების დონორობასთან დაკავშირებული მანიპულაციები კი არღვევს პიროვნების მთლიანობასა და საქორწინო ურთიერთობათა განსაკუთრებულობას, აძლევენ რა საშუალებას მესამე მხარეს მათში შეკრისა. გარდა ამისა, ასეთი პრაქტიკა უპასუხესმებლო მამობისა ან დედობის წახალისებას ახდენს და მათ ყოველგვარი მოვალეობისგან აშკარად ათვისუფლებს იმათ მიმართ, რომელიც ანონიმ დონორთა „ხორცს ხორცთაგანს“ წარმოადგენენ. დონორთა მასალის გამოყენება ოჯახურ ურთიერთკავშირს საძირკველს უთხრის, ვინაიდან ბავშვის მშობლებად, გარდა „სოციალურისა“, ე.წ. ბიოლოგიური მშობლების არსებობაც ივარაუდება. „სუროგატული დედობა“, ანუ ქალის მიერ განაყოფიერებული

კვერცხუჯრედის ტარება და მშობიარობის შემდეგ ბავშვის „შემ-კვეთათვის“ დაბრუნება, არაბუნებრივი და მორალურად დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი კომერციულ საფუძველზე ხორციელდება. ამ მეთოდიკაში წინასწარვე ივარაუდება ნერუვა იმ ღრმა ემოციური და სულიერი ახლობლობისა, რომელიც ჯერ კიდევ ორსულობის დროს დედასა და შვილს შორის ყალიბდება. „სუროგატული დედობა“ ზიანს აექნებს როგორც ბავშვის მატარებელ (გამომყვან) ქალს, რომლის დედობრივი გრძნობა იქელება, ასევე ბავშვსაც, რომელმაც შემდგომ შესაძლებელია თვითშეგნების კრიზისი განიცადოს. მართლმადიდებლური თვალსაზრისით, ასევე ზნეობრთვად დაუშვებელია ყველა სახესხვაობა ექსტრაკორპორალური (სხეულის გარეთ) განაყოფიერებისა, რომელშიც „ჭარბი“ ემბრიონების მომარავება, კონსერვაცია და განზრახ განადგურება იგულისხმება. სწორედ იმის აღიარებაზე, რომ კაცობრივი ღირსება ემბრიონსაც აქვს, არის დაფუძნებული მორალური შეფასება აბორტისა, რომელსაც გმობს ეკლესია.

მარტოხელა ქალების განაყოფიერება დონორის სქესობრივი უჯრედების გამოყენებით, ან მარტოხელა მამაკაცების და, აგრეთვე, ე.წ. არასტანდარტული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირების, „რეპროდუქციული უფლებების“ რეალიზაცია, მომავალ ბავშვს დედისა და მამის ყოლის უფლებას ართმევს. ღმრთის მიერ კურთხეული ოჯახის კონტექსტის გარეთ რეპროდუქციული მეთოდების გამოყენება ღმრთისმბრძოლობის ფორმას იღებს, რომელიც ადამიანის ჟტონომიისა და უკუღმართად გაგებული პიროვნების თავისუფლების დაცვის საფარველით ხორციელდება“ (12,4).

ჩვენი აზრით, გადახედვას საჭიროებს მოყვანილი პუნქტის მარტო მეორე აბზაცი, რადგან დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის ქმედება, რომელიც თავის თავში ცოდვას გამორიცხავს. აქ კი, მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიება და სხეულის გარეთ (in vitro) ჩასახვა არ იგულისხმება, გათვალისწინებული არ არის ხელოვნური განაყოფიერებისთვის საჭირო სპერმის მიღების მეთოდი — მასტურბაცია, რომელსაც გმობს ეკლესია და შესაბამის ეპიტომიასაც განაჩინებს. საერთოდ, კანონების ენაზეც რომ არ ვიღაპარაკოთ, განა რომელი მამა იამაყებს ონანიზმის გზით გაჩენილი შეიძლით? ანდა თავის შვილს ამ «საგმირო» საქმეს გაუმზელს და ღირსებას შემატებს მის წარმომაზულობას?

შეიძლება ვინმეტ მიგვითოთ კიდევ ერთ ხელოვნურ მეთოდზე,

რომელიც ცვედანი მამაკაცებისთვის გამოიყენება. ამ დროს ექიმი ნარკოზით გრძნობადაკარგულ მამაკაცს პუნქტის ან ოპერაციის საშუალებით სპერმას უღებს. როგორც იურიდიული, ისე ფიზიოლოგიური თვალსაზრისით, ფაქტია, რომ ეს უმოქმედო მამა არაფრით განსხვავდება საიქიოში მყოფი მამისაგან, რომლის კრიოკონსერვირებული სპერმით, ანუ მამა-დონორის გარდაცვალების შემდეგ, ახალ ემბრიონს ქმნიან. თანამედროვე ბოროტმოქმედების გაუგონარი და ტრაგიკული პარალელისა: ჩანასახს ქმნიან მომავალი ადამიანისა, რომლის მამაც მიწაში წევს! სწორედ, რომ „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას“ (1 ინ. 5,19).

6. მართალია, ჩვენი რეპროდუქტოლოგები ექსტრაკორპორალური, ანუ in vitro განაყოფიერების (მპბ) მეთოდის დიდ პროპაგანდას წევიან, მაგრამ რესი მართლმადიდებელი სპეციალისტები, საბედნიეროდ, საკითხის არსში გვახდებენ. ერთ-ერთი მათგანია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი ირინა სილეუანოვა. მისი შეფასება ასეთია: «აირველი. სუროგატულ დედობას უშუალო კავშირი აქვს მპბ, ანუ ექსტრაკორპორალური განაყოფიერების მეთოდთან. მპბ — ეს არის ადამიანის ემბრიონების ხელოვნურად, დედის სხეულის გარეთ (in vitro), წარმოქმნის პროცედურა. რომლის შემდეგ 『ჩედმეტ』 ემბრიონებს ანადგურებენ, ან იყენებენ 『ენდლეულად』 ახალი პრეპარატებისთვის და ა.შ., რომლის წინააღმდეგაც გამოდის ასევე ეკლესია.

მეორე. სდ (სუროგატული დედობა) და მპბ სულ უფრო ხშირად საშუალება და თავისებური 『სივრცე』 ხდება ადამიანის ბუნებაზე ჩატარებული მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტისთვის. კერძოდ, ლაპარაკადი გენური ინჟინერიის დახმარებით გონებრივად და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანის შესაქმნელ პროექტებზე, რომლებიც ადამიანის ემბრიონის მანიპულაციებთან არის დაკავშირებული... ეს არის პირდაპირ ანტიქრისტიანული იდეოლოგია. ჯერჯერობით ეს უფრო ადამიანთა პატარა ჯგუფის (ტრანსპუმანისტების) თეორიული მრწამსია, ვიდრე რეალური სამეცნიერო პრაქტიკა, მაგრამ ამ იდეოლოგიას თუ წინ არ აღვუდექით, სრულიად დასაშვებია, რომ იგი კონკრეტული შემოგვიბრუნდეს.

ნამდვილმა დედამ საეჭვოა, რომ თავის ბავშვზე ექსპერიმენტების ჩატარება დაუშვას, სუროგატი დედისთვის კი ეს დასაშვებია. აქ შეიძლება გავიხსენოთ არქეტიბული ისტორია ჰუშმარიტ დედობრივ სიყვარულზე, რომელიც დაკავშირებულია სოლომონის

იმ გადაწყვეტილებასთან, რომელიც მან ორი ქალიდან ნამდვილი დედის ამოცნობის დროს მიიღო (3 მეტ. 3,16-27). ნამდვილი დედისთვის ბავშვის დაღუპვა დაუშვებელია, იგი ნებისმიერ პირობაზე დათანხმდება, რომ მას სიცოცხლე შეუნარჩუნოს, სუროგატისთვის კი — პირიქით. აი, რატომ არის სდ კარგი «საშუალება» ადამიანსა და მის ბუნებაზე ექსპერიმენტების ჩატარებისთვის...»

მესამე. კიდევ ერთი საშიშროება სუროგატული დედობისა ისაა, რომ სდ-ის სოციალური ლეგალიზაციის დახმარებით ხდება დასაჭურისება ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი ფასეულობის — თავგანწირული სიყვარულისა, როგორც ზნეობრივი ურთიერთობისა ადამიანებს შორის, რომლის ნამდვილობისა და ფასეულობის რეალურ მოწმობას სწორედ დედობრივი სიყვარული წარმოადგენს.

სუროგატი დედა, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, დაბადებულ ბავშვზე ნებაყოფლობით ამბობს უარს, პრაქტიკულად ყიდის მას. იგი თავის სხეულს «იჯარით» იძლევა... სწორედ დედობრივი სიყვარული შეიძლისადმი «აქვითკირებს» კაცობრივ ურთიერთობებს, იცავს საზოგადოებას თვითნერევისა და განადგურებისგან, იგია თავსაკიდური ლოდი სოციალურ ურთიერთობათა სტაბილურობისა. როცა დედობა სუროგატული ხდება, მორალურ ფასეულობათა გაცამტვერებისგან თავის დაღწევა შეუძლებელია».<sup>4</sup>

როგორც ვხედავთ, ბ-მა ხომასურიძემ სუროგაციისა და *in vitro* განაყოფიერების მეთოდების დაშორიშორებაზე განგაში ტყუილად ატება, სინამდვილეში მათ სულ არ უდევთ დიდი ზღვარი, რადგან ინკუბატორიდან ემბრიონების იმპლანტაციის წესი ორივე მეთოდის-თვის საერთოა და ორივე ერთნაირად ამორალურია.

7. ჩვენ, რასაკვირველია, ხელოვნური მეთოდების თანამდევ ყველა უარყოფით პროცესზე ვერ შევჩერდებით, მაგრამ ქ-ნ ლ. ბარბაქაძის მტკიცება აუცილებლად უნდა იქნეს მხილებული. გვარწმუნებენ, რომ თბილისის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში რედუქციის მეთოდი არასდროს გამოუყენებიათ და ემბრიონებს პრაქტიკულად არ ანადგურებენ. ქართველი რეპროდუქტოლოგები ისეთ ფანტასტიკურ სურათს გვიხატავენ, რომ მისი ფერთა გამა მსოფლიოში ცნობილ ემბრიოლოგებსაც კი შეშურდებოდათ.

საქმე ისაა, რომ თანამედროვე გენეტიკური ტექნოლოგიების დახმარებით შესაძლებელია გამოკვლევა ემბრიონისა, რომელიც

<sup>4</sup> Ирина Силуянова, Суррогатное материнство как выхолащивание материнской любви, 2012.

სულ რაღაც 4-8 უჯრედისგან შედგება. დიაგნოსტიკის ამ მეთოდს, რედუქციის მიზნით, მიმართავნ ემბრიონების იმპლანტაციამდე, რათა გამოავლინონ ის ქრომოსომული დაავადებანი, რომელიც ემბრიონებში შესაძლოა მემკვიდრეობით იყოს გადასული. ამავე მეთოდით მომავალი ბავშვის სქესსაც ადგენენ.<sup>5</sup>

ეპბ-ის პირველივე ცდაზე ქალების 30-35% ფქბმძიმდება. ამიტომ მთელი პროცედურა, ცხადია, ემბრიონების დაღუპვის გამო, შეიძლება მრავალჯერ განმეორდეს. წინასწარ გარანტიებს კლინიკები არ იძლევან. აქედან გამომდინარე, არავისთვის დაფარული არ არის, რომ ეპბ-ის პროცედურა ემბრიონების გარკვეულ მარაგს საჭიროებს, რომელთა ჭარბი რაოდენობა ბოლოს და ბოლოს, შენახვის ვადის ამოწურვის შემდეგ (განსაზღვრულია 55 წ.), სრულიად ნადგურდება.

ამრიგად, ქრისტიანული სჯულის კანონის მიხედვით, მკვლელთა სტატუსის მქონე პირებმა უნდა იცოდნენ, რომ ქრისტის მეორედ მოსვლამდე მართლმადიდებელი ეკლესია მათ მხილებას არ შეწყვეტს.



<sup>5</sup> Экстракорпоральное оплодотворение. MedPortal.ru.


სათავეში თვით ქართლის მეფე თეიმურაზ II ჩაუდგა. ელჩობამ რუსეთში ორ წელზე მეტი დაჭყო.

ამ უკანასკნელი ელჩობის ამოცანას შეადგენდა: რუსეთიდან დამხმარე ჯარის, ან ჯარის დასაქირავებლად ფულის სესხად მიღება, ქართლ-კახეთისა და დამხმარე ჯარით ლეკთა თარეშის ალაგმა, ირანში შეჭრა, იქ შინაბრძოლებისთვის ბოლოს მოღება, ირანის შაპის ტახტზე ქართველ პოლიტიკოსთა კანდიდატის, რუსეთისთვისაც მისაღები პირის დასმა და აღმოსავლეთ საქართველოს სამშვიდობოს გამოყვანა.

XVIII ს-ის შუა სანებში სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო მტრებით იყო გარემოცული. დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან საქართველოს თურქები უტვრდნენ, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან — ირანები, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან — ლეკები. მაპმადიანური ქვეყნების ჭარბი ძალებით გარშემორტყმული ქვეყანა ფიზიკური განაგდურებისა და ეროვნული თვითმყოფობის დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა. თურქებმა XVI ს. მესხეთი მიიტაცეს, შემდეგ აჭარა, ხოლო XVIII ს-ში გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის სამთავროებისა და იმერეთის სამეფოს დაპყრობას შეუდგნენ.

XVIII ს. 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოს ციხეებში (გონიოს, ბათუმის, ფოთის, ანაკლიის, რუხის, სუხუმის, შორაპნის, ბაღდადის, ცუცხათის, ქუთაისის) თურქები იდგნენ. ამ ციხეებზე დაყრდნობით თურქები აიძულებდნენ დასავლეთ საქართველოს, როგორც გასალს, ხარკად ქალ-ვაჟები ეძლია, ან — ფული და ტილო. გარდა ამისა, ქვეყანა ვალდებული იყო თურქებთან ადამიანებით (ტყვებით) ევაჭრა. «ოსმალთა ხელში ეს ციხეები ტყვის მსყიდველთა ბუნაგებად იქცნენ. ციხისა და მის გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა თანდათან მაპმადიანდებოდა. ოსმალები ამ ციხეებიდან აღვიღად ერეოდნენ ფეოდალების ურთიერთობაში და ქვეყნის საბოლოოდ დასაპყრობად თანდათან გზას იკვლევდნენ», — წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილი.

ასეთ როგორ ვითარებაში მთავრები (დადიანი და გურიელი) მეფისაგან დამოუკიდებელი იყვნენ, ხოლო იმერეთის ძლიერი თავადები — როსტომ რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე «მთავრობას იჩემებდნენ». ამ ფეოდალური არევ-დარევის დროს «წესირების წარმომადგენელი» — «მეფის ხელისუფლება უკიდურესად დაცემული იყო». ასეთი მემკვიდრეობა მიიღო ახალგაზრდა სოლომონ I,



## ვალერიან მაჭარაძე

### თეიმურაზ გეორგის ელჩობა რუსეთში

XVIII ს-ის მეორე ნახტომის რუსეთ-საქართველოს  
ურთიერთობის ისტორიისთვის, ნაზ. II, თბ., 1968

#### თავისები

წიგნში გაშუქებულია ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებული ელჩობის ისტორია რუსეთში 1760-1762 წლებში თეიმურაზ მეორის მეთაურობით. ამასთან ერთად ავტორი მოკლედ ქახება რუსეთის ქართველი კოლონიის საკითხებსაც. შრომას დართული აქვს ავტორის მიერ საბჭოთა კავშირის ქალაქების (მოსკოვი, ლენინგრადი, ასტრახანი, ერევანი) არქივებში მოპოვებული მდიდარი მასალები საქართველოს ისტორიის ამ საინტერესო პერიოდის შესახებ.

XVIII ს-ის 40-50-იან წლებში აღმოსავლეთმა საქართველომ, რომელმაც ვახტანგ VI მარცხის შემდეგ «ოსმალობა» და «ყიზილბაშობა» გადაიტანა, ერეკლე II და თეიმურაზ II მეთაურობით კვლავ წელში გასწორება იწყო. ერეკლე მეფემ მარჯვედ ისარგებლანადირ-შაპის მოკვლის (1747 წ.) შემდეგ ირანში შექმნილი ვითარებით, ირანელთა გარნიზონები თბილისიდან განდევნა და ქართლსა და კახეთის ფაქტობროვი დამოუკიდებლობა მოუპოვა, ხოლო მეზობელი სახანოები ქართლ-კახეთის ხელდებული გახადა. ამ გამარჯვების დამკვიდრებისა და ირანის ბატონობისაგან ქვეყნისთვის საბოლოო და სრული დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით, მეფებმა ელჩობა მიავლინეს რუსეთს ათანასე თბილელისა და სვიმონ მაყაშვილის მეთაურობით, ხოლო ხსენებული ელჩობის უშედეგოდ დამთავრების შემდეგ, 1760 წელს, ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანებული დიდი ელჩობა კვლავ გაგზავნეს რუსეთს. ელჩობას

როცა იგი მამის (ალექსანდრე V) გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა (1752 წ.).

ტყვის სყიდვის აკრძალვისა და მაპმადიანობის გაფრცელების წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლის გარეშე ქვეყანას დაღუპვა ელოდა: პირველი მას მოსახლეობიდან ცლიდა, მეორე ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვას უქადა. ახლადგამეფებულ სოლომონ I-ს ეს ორი ამოცანა უნდა გადაეჭრა. მაგრამ სოლომონ I-ის ხელისუფლება 1752 წელს ვე აჯანყების მსხვერპლი გახდა. აჯანყებას მეთაურობდნენ მეფის ბიძები, მამუკა და გიორგი ბაგრატიონები, და მეფის დედა. აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ როსტომ რაჭის ერისთავი და ლევან აბაშიძე.

სოლომონ I-მა აჯანყების მეთაურები დასაჯა: მამუკა ბაგრატიონი «გარდმოაგდეს», მამია გურიელი გააძევეს და გურიელობა მამიას უძიროს ძმას — გიორგის უბოძეს. სოლომონ მეფემ არ დაინდო საკუთარი დედაც კი, რომელიც 1770 წელსაც, იმერეთიდან გაძევებული, სამეგრელოში ცხოვრობდა. გარდა ამისა, მეფემ «დაამდაბლა სახლი აბაშიძეთა», მაგრამ «შეიწყნარა ერისთავი როსტომ და დაადგინა ერისთავად».

ტახტის დაპრუნების შემდეგ მეფემ თავისი მოღვაწეობა «მაპმადიანობის გაფრცელებისა და ტყვის-სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლით დაიწყო», რითაც თავის მოღვაწეობას «მტკიცე იდეური დასაყრდენი მოუპოვა: ის ქართველობისთვის ბრძოლის მეთაურად გამოდიოდა». სოლომონ მეფის პოლიტიკა შეუთავსებელი იყო თურქეთის მთავრიბის პროგრამასთან, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის საბოლოოდ დაპყრობას. იგი მიუღებელი იყო აგრეთვე თავადებისთვისაც, რადგან ასეთი პოლიტიკა ამაღლებდა მეფის ავტორიტეტს, ხელს უწყობდა ცენტრალური ხელისუფლების ზრდას; გარდა ამისა, ტყვებით ვაჭრობის აკრძალვით შემოსავალი აკლდებოდა გადაგვარებულ თავადაზნაურობას. ამიტომ ეს ორი რეაქციული ძალა — შინაური და გარეშე — გაერთიანდა მეფის წინააღმდეგ.

ახალციხის ფაშა, რომელიც ადრე დაქმარა მეფეს ტახტის დაბრუნებაში, ამჯერად სოლომონ I-ის მოწინააღმდეგეთა მხარეზე დადგა. პ. ორბელიანის ცნობით, «წარვიდა ლეონ აბაშიძე ახალციხეს და მოიცა ძალი თხმალთაგან და მოვიდა აბაშიძე იმერეთს დიდითა სერესკლებითა». აბაშიძესთან ერთად ფაშის ჯარებთან ყოფილა რაჭის ერისთავიც. მტრის ჯარი იმერეთში შეიჭრა და ხრესილის მინდორზე დაბანაკდა. სოლომონ მეფემ გაიმარჯვა. ხრესილის ომი,

როგორც შ. ბერჯანაძემ დაადგინა, 1756 წელს მოხდა. იგი «დასწევისი იყო დასავლეთ საქართველოს გამათავისუფლებელი ომისა» თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ხრესილის ომის შემდეგ დიდად ამაღლდა სოლომონ მეფის ავტორიტეტი. 1758 წელს იმერეთის, ქართლისა და კახეთის მეფეებმა თავდაცვითი კავშირი შექმნეს.

სოლომონ მეფეს კარგად ესმოდა, რომ ეკლესის დასუსტება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას სცემდა. თურქები გამაპმადიანების გზით ცდილობდნენ ქვეყნის საბოლოო დაპყრობას. საჭირო იყო ეკლესის გაძლიერება, რათა ეს უკანასკნელი აქტიურად ამოსდგომოდა მხარში ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ მეფეს. ეკლესის ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების მიზნით სოლომონ I-მა 1759 წლის 7 დეკემბერს მოიწვია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება, რომელმაც საქართველო აღადგინა, მამული და მიმობნეული მრევლი დაუბრუნა და ქუთათელად მაქსიმე აბაშიძე დასვა. ამას მოჰყვა სხვა ანალოგიური ღონისძიებანიც. კერძოდ, აღადგინეს ხონის ტაძარი, მოწინარიგეს საგადასახადო სისტემა მრევლში; მეფემ საეკლესიო ყმებს ვალდებულებანი შეუმცირა.

ბუნებრივია, ეკონომიკურად და პოლიტიკურად მომძლავრუბულ ეკლესის მეტი შესაძლებლობა ექნებოდა მხარში ამოსდგომოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, რადგან ეკლესის მტრები იყვნენ თურქები და საეკლესიო ყმა-მამულის მიმტაცებელი ფეოდალები, რომელთა წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა სოლომონ I; ხოლო სოლომონ I საეკლესიო პოლიტიკა, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა ცენტრალური ხელისუფლებისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გამტკიცებას, პროგრესული იყო.

1759 წლის 30 დეკემბერს სოლომონ მეფემ მოიწვია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო პირებისა და საერო ფეოდალების კრება, რომელსაც ახალციხის ფაშის «სასმენლად საზარო სიტყვის» («ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო») პასუხად დაუდგენია: «სანამდის სული გვედგას, ეს საქმე (ტყვის სყიდვა — ვ. მ.) ჩუმნებან არ იქნეს, არც ამაშიდ ერთმანეთს უსუსტოთ, კიდეც ერთმანეთს მიუდგეთ, კიდეც მეფე სოლომონის მორჩილი და ბრძანების აღმასრულებელი ვიქენეთ... ამ საქმეზედ ჩუმნი თავი არ დავიშუროთ და ამ საქმეშიდ ჩუმნს ხელმწიფეს მეფე სოლომონს არ გისუსტოთ და არც ამისთანა საშინელი ცოდვა ჩუმნებან იქნეს»...

ტყვის გაყიდვის აკრძალვის ზემოხსენებული დადგენილება, საზაც ეკლესია შეჩვენებით ემუქრებოდა მის დამრღვევს, საინტერესოა

იმითაც, რომ სოლომონ მეფეს, როგორც დასავლეთ საქართველოს ხელმწიფეს, მის შესრულებაზე პირობას აძლევდნენ არა მარტო იმერეთის თავადები, არამედ სამეგრელოსა და გურიის მთავრები და თავადებიც, რაც ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მომასწავებელი იყო. იმერეთის მეფე დასავლეთ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლის როლში გამოდიოდა და ქვეყნისთვის ყველაზე მტკიცნეული საკითხის გადაჭრას კისრულობდა.

უურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ დადგენილება მიღებულ იქნა ახალციხის ფაშის მოთხოვნის წინააღმდეგ, რაც თურქების გამოწვევასაც ნიშნავდა.

ამ ნაბიჯიდან ძალიან მალე უმაღლე სოლომონ მეფე ქართლისა და კახეთის მეფებს შეხვდა ცხინვალში (1769 წლის 15 იანვარს) და რუსეთში ბესარიონ კათალიკოსის გაგზავნა გადაწყვიტა, რათა, თურქეთის მხრიდან, მის წინააღმდეგ ამხედრებამდე, რუსეთიდან დახმარება მიეღო (ქართლ-კახეთის დახმარება საკმარისი არ იყო თურქების შესაკავებლად); მაგრამ ბესარიონ კათალიკოსის რუსეთში გამგზავრების საკითხი მოიხსენა. თურქეთის მთავრობამ ზემოხსენებული კრების დადგენილების გაუქმება და ტყვეს ყიდვა-გაყიდვის დაშვება მოითხოვა და, რადგან სოლომონ მეფესგან უარი მიიღო, უმაღლე (1760 წელს) დიდი ჯარი დაძრა დასავლეთ საქართველოს ასაოხრებლად მოლა აბდულა ფაშას სარდლობით.

\*\*\*

ვახტანგ VI მარცხის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველო თურქთა ბატონობის (1723-1735) მძიმე უღელქვეშ აღმოჩნდა («ოშალობა»), რომელიც შემდეგ ირანელთა არანაკლებ აუტანელი ბატონობით («ყიზილბაშობა») შეიცვალა. მაგრამ დაპყრობლებმა ვერ შეძლეს თავისუფლებისმოვარე ქართველი ხალხის წელში გატეხა. ქართველების გმირულმა ბრძოლამ და კახი ბაგრატიონების (თუმურაზ II, ერეკლე II) მოხერხებულმა პოლიტიკამ აიძულა ნაღირ-შაჰი დათმობაზე წასულიყო: 1744 წელს ნადირ-შაჰი კახეთის მეფე თუმურაზ II ქართლის მეფედ დანიშნა, ხოლო მისი შვილი ერეკლე II — კახეთის მეფედ; ამასთან, ირანის მბრძანებელმა ხელი აიღო ქართლის გამაპმადიანების პოლიტიკაზე (1745 წელს თუმურაზ II-ს ნება დართო, ქრისტიანული წესით ასულიყო ტახტზე) და ქართლს დაუბრუნა შაჰ-აბასის მიერ მიტაცებული ლორე, ბორჩალო და ბაიდარი. ცხადია, «ეს ნადირ-შაჰის წყალობა როდი იყო. ეს იყო

ქართველთა ასორმოცდათწლოვანი მედგარი ბრძოლით მონაპოვარი უფლება», — წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილი.

1747 წელს ნადირ-შაჰი მთელ ირანსა და აღმოსავლეთ საქართველოსაც, როგორც საყმო ქვეყანას, დიდი გადასახადები შეაწერა. ქართველმა პოლიტიკოსებმა აჯანყება გადაწყვიტეს. მოსახლეობა დახიზნეს და ციხე-სიმაგრეებში ჯარების თავმოყრას შეუდგნენ; ქართველები ბრძოლისთვის ემზადებოდნენ.

განრისხებულმა შაჰი აჯანყებული ქართველების დასჯა გთი ამილახვარს დაავალა და 34 ათასიანი ჯარიც ჩააბარა, მაგრამ იკრძნო, რომ გაერთიანებულ ქართლ-კახეთთან ბრძოლა აღვილი საქმე არ იყო, ამიტომ დამსჯელი ჯარი უკან დააბრუნა და ქვეყანას საგადასახადო ტვირთი შეუმსუბუქა, ხოლო მეფებს «სიტკბოებისა და წყალობის» რაყამი მოსწერა; გარდა ამისა, შაჰი ერეკლე მეფე თავისთან დაიბარა. თუმურაზ მეფემ იცოდა, რომ «სიამტკბილობით» ირანს დაბარებული ქართველი პოლიტიკოსი შეიძლებოდა შაჰის რისხვის მსხვერპლი გამხდარიყო, ამიტომ შვილის მაგივრად თვითონ წვიდა. მაგრამ მეფე ჯერ კიდევ გზაში იყო, როდესაც ნაღირ-შაჰი შეთქმულებმა მოკლეს (1747 წლის მაისი). ირანის შაჰის ტახტს შეთქმულების მეთაური, ნადირის მმისშვილი ალი-ული-ხანი დაეუფლა აღილ-შაჰის (სამართლიანის) სახელწოდებით.

ირანში დაიწყო ბრძოლა ტახტის მაძიებელთა შორის.

**აბდულა-ბეჟი** (გამაპმადიანებული არჩილ იესეს ძე), რომელიც თუმურაზ II-მ ირანს გამგზავრების წინ საბარათიანოს გამგედ დატოვა, შეეცადა, ირანში შექმნილი მდგომარეობა და იქ თუმურაზ მეფის გამგზავრება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. აბდულა-ბეჟმა ყიზილბაშ სარდლებთან კავშირი გააბა და ქართლის დაჭერა გადაწყვიტა. ამ მიზნით ჯერ საბარათიანოს თავადები შემოიფიცა, სამშვილდის ციხეს ორი დიდი ბურჯი მიაშენა, ციხეში წყლის აუზი მოაწყო, ორი წლის მარაგიც დააგრიოვა და ერეკლეს მოსწერა: «მეფე არჩილობით ქართლი ჩემია, დამანებე და შენ კახეთს მიეპატრონეო». ამასობაში აზერბაიჯანში მყოფი ირანელი სარდლისგანაც ჯარი მიიღო და თბილისის ციხის ყიზილბაშური გარნიზონის დახმარების იმედით თბილის მოადგა. აბდულა-ბეჟმა ერეკლეს წინადადება მისცა, დაეცალა თბილისი.

«განვიდა მეფე ირაკლი მცირედითა მგედრობითა, ვინაითგან მაშინ მცირე ჰყვა მგედრობა. განვიდნენ ერთისა უკუც მგრითაცა მოქალაქენიცა, რომელთაცა ბრძოლეს ფრიად მწნედ. იძლივნენ

მქედონიანი სპარსთა და ბარათიანთანი... და უკუნ იქცნენ სირცხვილეულნი». დამარცხებულმა აბდულა-ბეგმა საშვილდეს შეაფრა თვე.

ერეკლე მეფის მდგომარეობას ის ართელებდა, რომ თბილისის ციხეების ყიზილბაშთა გარნიზონი აბდულა-ბეგს უჭერდა მხარს. ამიტომ აბდულა-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლა თბილისის ციხეებიდან უნდა დაწყებულიყო. ერეკლე მეფე ციხეების გათავისუფლებას შეუდგა. თაბორის კოშკის წინასწარ დაკავების შემდეგ «დიდის ცდით ტფილისის ციხე აიღო მეფე ერეკლემ 436 (1748 წ.) ივლისს 22».

თბილისის ციხეების ყიზილბაშური გარნიზონი ქართველმა მეციხოვნებმა შეცვალეს. დედაქალაქის ციხეები ქართველობის სამსახურში ჩადგა. აბდულა-ბეგმა ერთი მოკავშირე დაკარგა თბილისის ციხეების გარნიზონის სახით. მალე ხელიდან გამოცალა მოროვე მოკავშირეც — ირანელი სარდალი ამირ-ასლან-ხანი (იგი 1748 წელს იბრეიმ-ხანთან ერთად ებრძოდა ადილ-შაჰს; ადილ-შაჰი დაღუპეს, მაგრამ იბრეიმ-ხანმა თავისი მოკავშირეც არ დაინდო, ამირ-ასლან-ხანი გზიდან ჩამოიცილა და თავი შაჰად გამოაცხადა). მოკავშირის გარეშე დარჩენილმა აბდულა-ბეგმა ფარ-ხმალი დაყარა. ერეკლე საშვილდესაც დაუუფლა.

1749 წელს ირანიდან დაბრუნებულ თეიმურაზ II-ს ქართლი და კახეთი ერეკლეს გარჯით ირანელთა ბატონობისაგან ფაქტობრივად გათავისუფლებული დახვდა.

ირანში კვლავ გრძელდებოდა ტახტის მაძიებელთა შორის ბრძოლა. 1749 წ. იბრეიმ-შაჰი ნაღირის შვილიშვილმა შაჰ-როპმა შეცვალა. ირანის პროვინციების მმართველებმა და სარდლებმა მარჯვე დრო ნახეს თავიანთი სამფლობელოების გასაფართოებლად. ერთი მათგანი, მაჰმად-ხანი, ერეგნის მოადგა. ერეკლებმა ქართველ მეფეებს მოსწერეს: «მაჰმად-ხან ამ ქვეყანას აოხრებს, თქვენ მოგვეშველენთ, ამას მოგვარჩინეთ და თქვენ გმისახურებთო».

ყველაფერი ეს საქართველოს საზღვარზე ხდებოდა. ქართველი პოლიტიკოსები მაყურებლის როლში ვერ დარჩებოდნენ. ქართლ-კახეთის ჯარი ერევნისაკენ დაიძრა, მაჰმად-ხანი დამარცხდა. მეფეებმა, დახმარების პირობის თანახმად, ერევნის სახანოს, როგორც საყმო ქვეყანას, ხარკი დადეს. ჯერ კიდევ ერევნისკენ მიმავალმა ქართველმა მეფეებმა გზაში განჯის ხანისაგან ცნობა მიიღეს, რომ ფანა-ხანს «შეეყარა ჯარი და გლეჯდა განჯა-ყარაბალის ქვეყნებსა». განჯელებიც დახმარებას ითხოვდნენ. ამიტომ ერევნიდან ქართველ-

თა ჯარი განჯისაკენ წავიდა. ფანა-ხანი განჯას გაეცალა და განჯის სახანოც საქართველოს საყმო გახდა (1749). ამ ხანებში ნახშევნის ხანსაც გაუჭირდა და ქართველი მეფეებისაგან მაშველი ჯარი ითხოვა; ამის გამო ქართლისა და კახეთის გავლენა ნახშევნის სახანოზეც გაურცელდა.

ფანა-ხანმა ზავი მალე დაარღვია და 1750 წელს განჯას მოადგა. მეფეებმა ჩრდილო კავკასიიდან ოსები და ჩერქეზები გაღმოიყვნეს, რათა საბოლოოდ შეემუსრათ ფანა-ხანი. მეფეების სერიოზული საშადისის მიზეზი პ. ორბელიანს ასე აქვს ახსნილი: «ჯერ პირი მოეცა ფანა-ხანს: «ჩემს ელს დავჯერდეო და არას ქვეყანას არა უმტერო რაო». ეს პირი გაუტეხა, მერე თუ განჯას ძალით დაიჭრდა, ყახაზ-ბორჩალუსაც მოინდომებდა: ყაენი აღარსად იჯდა მას ჟამში და ამით ბეგრს შფოთებს აშლიდა, მერე ქართველი ყიზილბაშთა საომრად დიდად აღლესილ-იყვნეს»... აქ საკმაოდ მკვეთრადაა ხაზგასმული ის საშიშროება, რაც მოსალოდნელი იყო ფანა-ხანის გაძლიერების შემთხვევაში, მაგრამ ისტორიკოსი არ ივიწყებს იმასაც, რომ პირველი გამარჯვებით წახალისებულ ქართველთა საბრძოლო განწყობილება მაღალი იყო და რომ ქართველი პოლიტიკოსებიც ამიერიდან აღარ ფიქრობდნენ, ვინმესთვის დაეთმოთ უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ასე იბადებოდა ის პირველობა, რაც ქართლ-კახეთმა XVIII ს-ის 50-იან წლებში მოიპოვა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და რომელსაც 80-იან წლებამდე წარმატებით ინარჩუნებდა.

1750 წლის თებერვალში მეფეები განჯისკენ გაეშურნენ. ფანა-ხანმა განჯას აღყა მოხსნა და ყარაბალისკენ წავიდა. ქართველი მეფეები მისკენ დაიძრნენ. მათ ფანა-ხანი დაამარცხეს, განჯის სახანოს, ფანა-ხანის წინააღმდეგ გაწეული დახმარების გამო, ხარკი გაუდიდეს (ხანმა ხარკის ანგარიშში დათმო შამშადილო, რომელიც ქართლს შემოუერთდა) და გამარჯვებული მეფეები 16 აპრილს თბილის დაბრუნდნენ.

ქართლისა და კახეთის სამეფოები ირანისაგან ფაქტობრივად დამოუკიდებელი გახდნენ, ხოლო ირანის ყოფილი პროვინციების ნაწილი ქართლის მორჩილი და მოხარკე გახდა. იმ დროს, როცა ქართველი მეფეები აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საქმეებს აწერიგებდნენ და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევდნენ, საკუთარი ქვეყნის მეტად მტიკენებული საკითხი გადაუჭრებული რჩებოდათ.

ის-ის იყო ქართველი მეფეები განჯიდან დაბრუნდნენ, რომ ქვეყა-

ნაში ლეკთა შემოჭრის ამბავი შეიტყვეს. ქართველმა პოლიტიკოსებმა იცოდნენ, რომ ლეკთა თარუშის აღაგმვა შეუძლებელი იყო ჭარბელაქნის დაპყრობის გარეშე, ამიტომ «მოინდომეს ქართველთა და კახთა ჩინებულთა კაცთა ჭარზე მისვლა, მეფემან თეიმურაზ და ძემან მისმან მეფემ ერეკლემ დამტკიცეს რჩება ესე...»

მეფებმა ქართლ-კახეთისა და ყაზახ-ბორჩალუს ჯარები შემოურეს, განჯის ხანიც დაიბარეს, შაქი-შირვანის ხანი აჯი-ჩალაბიც ჰპირდებოდა ქართველ მეფებს მევობრობას, მაგრამ ამ უკანასკნელმა მეფებს უღალატა (რადგან მისთვის ძლიერი ქრისტიანი მეზობელი სასურველი არ იყო). 1751 წლის 11 თებერვალს ქართველებმა აჯი-ჩალაბთან ომი წააგეს. ლეკთა საკითხი როგორ გადასაჭრელი გამოდგა.

ამასობაში საქართველოს კვლავ ახალი საშიში მტერი მოვალინა — სარდალი აზატ-ხან ავღანი, რომელიც ავღანელთა და უზბეკთა ჯარით თავრიზს დაეუფლა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობას შეუდგა. მან ერევნის დასაპყრობად დიდი ჯარი გაგზავნა. ერეკლე ქართველთა ლაშქრით ერევნისაკენ დაიძრა. აზატ-ხანის სარდალმა ერევნის ციხეს ალყა მოხსნა და უკან დაიხია. ერეკლეს ლაშქარი ყირჩხულახთან (ერევნიდან 12 ვერსზე) დაბანაკდა. აზატ-ხანი დიდი ჯარით (18-40 ათასი კაცით) მისკენ დაიძრა.

ქართველთა ლაშქრის მცირერიცხოვნობით შეშინებულ დიდებულებს ერეკლე მეორისთვის ურჩევიათ, გასცლოდნენ მრავალრიცხოვან მტერს, მაგრამ მეფეს მათთვის ასეთი პასუხი მიუცია: «იცოდეთ, მე აზატ-ხანის შეუბმელი არ დავსდგები, ამაღამ რომ გავიქცეთ, ხგალ გზაზედ მოგვეწვიან და უნამუსოდ სიკვდილს ნამუსიანად სიკვდილი სჯობსო»... მტრის უზარმაზარი არმა ქართველთა ჯარის ირგვლივ რკალს აფიწროებდა. ერეკლე მეფემ თავის ჯარს ჩამოქვეითება უბრძანა და მტრის ძლიერი რაზმისკენ წაიყვანა, თან წინადადება მისცა, ბრძანების გარეშე თოფი არ გაესროლათ და ცხენებზე არავინ შემჯდარიყო. როცა მტერი ახლოს მოვიდა, ქართველებმა მეფის ნიშანზე მათ ტყვია დაუშინეს, შემდეგ კი ცხენებზე შესხდნენ და მტრის კაფვა დაიწყეს. სამარცხვინოდ დამარცხებული მტერი გაიქცა, ხოლო გამარჯვებულ ქართველებს დარჩათ «24 ზარბაზანი, 200 ზამბულაკი თავისის ასის აქლემით და დროშა მრავალი და ორი ათას ხუთასი კარავი...» ეს ბრძოლა მოხდა 1751 წლის თვლისში.

ირანის ტახტის მაძიებელმა აზატ-ხანმა თავს გაქცევით უშევლა, ხოლო გამარჯვებულ ერეკლეს «დაუდგეს აზატ-ხანის კარავი,

დაბრძანდა მეფე ერეკლე მას შინა». ქართველ მეფეს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ხანები გამარჯვებას ულოცავდნენ. საქართველომ შეინარჩუნა თავისი უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ერეკლეს სახელი დიდებით შეიმოსა.

აზატ-ხანის დამარცხების შემდეგ ქართველ მეფებს ისევ ლეკთა საკითხისთვის უნდა მიეხედათ, მაგრამ გამოცდილებით იცოდნენ, რომ ეს საქმე აჯი-ჩალაბიდან უნდა დაწყოთ. 1752 წლის იანვარში ერეკლე და თეიმურაზი განჯას წავიდნენ. შაქი-შირვანის ხანს აჯი-ჩალაბს ერთმორწმუნე ხანები გადაებირებინა. მეფებმა შეიტყვეს ეს და მოღალატები დააპატიმრეს, მაგრამ თვით ღალატის ფაქტმა ქართველთა ჯარში დისციპლინა და ბრძოლის უნარი დააქვეითა, რის გამო ქართველები დამარცხდნენ.

აჯი-ჩალაბმა განჯა აიღო, თავისი ერთგული ხანები გაათავისუფლა და ყაზახ-ბორჩალუს თაორებთანაც კუშირი დაამყარა. აჯი-ჩალაბის შვილმა აღა-ქიშმა შაქი-შირვანის, განჯა-ყარაბაღის, ერევნის და ლეკთა ჯარები შემოიკრიბა და 1752 წლის მაისში დადგა ბაიდარში, რომელიც ავაზაკთა ბრძოების სადგურად იქცა. ბაიდარიდან გამოგზავნილი რაზმები აოხებდნენ სომხით-საბარათიანოს, ხოლო ქართლ-კახეთის სოფლებში ლეკთა ბრძოები დათარეშობდნენ.

მეფები მოზღვებულ მტერთან შესაბმელად შზადებას შეუდგნენ: რევაზ სარდალს სამშვილდეს გამარტება ეპრძანა, თბილის მოსალოდნელი თვედასხმისაგან მოქალაქეთა სამათასიანი რაზმი იცავდა, ზედგენიძე ჩერქეზთა გაიგზავნა ჯარის დასაქირავებლად, მეფემ საკუთარი სალაროდან განძეულობა გამოიტანა და ზარაფხანას გადასცა ფულის მოსაჭრელად, რათა ამით მეტი ჯარის დაქირავების საშუალება ჰქონდა; ათანასე თბილები რუსეთს გაიგზავნა.

ერეკლე თვით მიეგება ჩრდილოეთ კავკასიიდან მომავალ ჩერქეზთა რაზმს, მას სათავეში ჯიმშერ ერისთავი და გთი ამილაზვარი ჩაუეცნა და თიღვის მისაშველელად გაგზავნა (თიღვს ლეკები შემოსდგომოდნენ), თვითონ ერეკლე კი კახეთს წავიდა ჯარის გამოსაყვანად. ერისთავმა და ამილაზვარმა ლეკები დაამარცხეს და ჩერქეზთა რაზმით თბილისს ჩამოვიდნენ. ერეკლე მეფეც კახეთის ჯარით თბილისს მოვიდა.

1752 წლის 1 სექტემბერს თეიმურაზი და ერეკლე ქართლ-კახეთის ჯარითა და დაქირავებული რაზმებით აღა-ქიშმის წინააღმდეგ დაიძრნენ. მტერმა გაცლა ამჯობინა, მაგრამ ქართველები მათ ყაზახ-შამშადილის საზღვარზე დაწინებ დაამარცხეს

(აღა-ქიში შაქის გაიქცა, განჯის ხანი — განჯას), მეფები ყაზახ-ბორჩალუს საქმების მოწესრიგებას შეუდგნენ.

შაქის ხანზე გამარჯვებას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა: საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანებულ მაკადადიან სახანოთა კავშირი დაიშალა, ხანები ქართველი მეფების მიმართ მორჩილების გზას დაადგნენ, აზატ-ხანმაც ზავი ითხოვა. ხუთი წლის განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად ქართლ-კახეთმა უკუაგდო აზატ-ხანი, წარმატებით მოიგრია მეზობელი ხანების გაერთიანებული შემოტევა და უდავოდ ცხადყო თავისი უპირატესობა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.

ამ გამარჯვების შემდეგ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარზე კარგა ხნით მშვიდობიანობა დამყარდა (ირანში ჯერ კიდვე გრძელდებოდა ტახტისთვის ბრძოლა, ამიტომ გართულებას კგლავაც ელოდნენ), მაგრამ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი დაცული არ იყო: ლეკთა საკითხი, იმ დროის ურთელესი საკითხი, კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა.

კახეთის მეზობლად მცხოვრები დაღესტნის მთიელი ტომები თავიანთი ყაჩაღური თავდასხმებით ქვეყანას განადგურებას უქადღნენ. ლეკი აბრაგების რაზმები ქურდულად იჭრებოდნენ სოფლებში, იტაცებდნენ ადამიანებს, საქონელს, ნივთებს და კვლავ მთებს აფარებდნენ თავს. უცხოელთა ბატონობის შედეგად გაძვალტყავებული და ქანცვამოლეული შშრომელი მოსახლეობისთვის, რომელსაც ფეოდალური ექსპლოატაციის მძიმე უღელი ედგა კისერზე, ეს დამლუპველი იყო.

მთიელ ყაჩაღთა თარუშის შედეგად მარტო ინტენსიური მეურნეობა კი არ ირღვეოდა, ქართველობას გადაშენება ელოდა. ავაზაკებს ამ მხრივ ხელს უწყობდა სამხედრო-ფეოდალური თურქეთი, რომელიც მონათა ბაზარს წარმოადგენდა. ავაზაკები თურქეთის მონათა ბაზრებს ორი გზით უკავშირდებოდნენ: ჩრდილო-კავკასიიდან — ყირიმის, ხოლო სამხრეთით — ახალციხის საფაშოს გზით. ყირიმის სახანო და ახალციხის საფაშო, თურქეთის აგრესის ბაზები, წარმოადგენდნენ მონათა ბაზრებსაც და ძირითად კომუნიკაციებსაც შიდა თურქეთის მონათა ბაზრებისაკენ. სანამ თურქეთი ზემოხსენებულ «სავაჭრო» კომუნიკაციებს ინარჩუნებდა და მონათა ბაზრად რჩებოდა, ტყვევების მტაცებლობა, ბუნებრივია, მნელი ასალაგმავი იყო (მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ლეკებისთვის ტყვე ძირითადად გაცვლა-გამოცვლის საგანი იყო).

მართალია, სახელდახელოდ შეყრილი ქართული ფეოდალური ლაშქარი ამარცხებდა ავაზაკებს, მაგრამ ყაჩაღთა თარუშის საბოლოოდ ალაგმვა ვერ ხერხდებოდა. ავაზაკთა რაზმები ღრმა რეიდებს აწყობდნენ ქვეყანაში, სერავდნენ მას ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრიდან სამხრეთ-დასავლეთ საზღვრამდე. წყაროები და თანამედროვენი (პ. ორბეგლიანი, ო. თუმანოვი) მოწმობენ, რომ XVIII ს. 50-იან წლებში ქვეყანას არც ერთი მშვიდობიანი წელი არ ჰქონია.

ქვეყნის საგარეო მდგომარეობის გართულების პირობებში მათი თარუში ჩვეულებრივ ძლიერდებოდა. უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად ეკონომიკურად დასუსტებულ ქვეყანას, რომელსაც მუდმივი ჯარისა და კორდონების შექმნის შესაძლებლობა არ ჰქონდა, საკითხის მოგვარება არ შეეძლო. გარდა წვრილი ყაჩაღური თარუშებისა, ლეკებმა მე-18 ს-ის 50-იან წლებში მოაწყვეს მსხვილი ლაშქრობებიც, რომლებიც, — აკად. 6. ბერძენიშვილის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, — «ლეკიანობის» «ჩვეულებრივი» ხასიათისგან განსხვავდებიან.

1754 წელს ხუნდახის ბატონი ნურსალ-ბეგი ლეკთა დიდი ჯარით შილდის თავს მოვიდა, თან «მუქარა მოეთხოვა, ქართლსა და კახეთს დავიჟერო». მეფებმა მოსახლეობა ციხესიმაგრებში დახინდნეს. ერეკლემ კახეთის ჯარი შემოიკრიბა და თულავის ციხეში დადგა. ნურსალ-ბეგი კახეთში შეიჭრა, «გამოიარა ქუნდახის ბატონმა გაღმა-მხარზე, დაწვა ზოგიერთი ალაგები, გამოვიდა ალაზანს, მოვიდა, დაწვა რიუს-პირი, აიდარა, ავიდა, დაწვა ახმეტა, გაიარა, ავიდა გაგნაკორას. ქართველი ბატონი ჯერ არ მიბანებულიყო და მარტო კახეთის ჯარით კახი ბატონი ვერ შეება». მტერმა გადალახა არავი, «შემოუშვა ჯარი არაგვის ერისთვის მაბულში, დაწვეს, აიკლეს, ააოხრეს, ანანურს აქეთ აღარსად-რა გაუშვეს-რა წაუხდენელი: მივიდნენ დუშეთს, დაწვეს სასახლე ერისთვისა, შებილწეს მონასტერი, ჩამოხდენ იქ დიდი ნაშორით... აიდარა ხუნდახის ბატონი დუშეთიდამ თვესა აგვისტოსა ი(10), გარდმოვიდა, შემოაყენა ჯარი ციხესა მჭადიჯვრისასა»... ქართული წყაროები ნურსალ-გების ჯარის რიცხვს არ ასახელებენ. მიუთითებენ მხოლოდ, რომ «ხუნდახის ბატონი კაის დიდებით წამოსულიყო, რაც ლეკობას გაწყვობოდა».

ყიზლარის მცხოვრები ქართველი (?) თამაზოვი, რომელიც გარემოცვის დროს მჭადიჯვრის ციხეში ყოფილა, იუწყებოდა, რომ ლეკებს 6 ათასი კაცი ჰყავდათ და ციხე 8 დღეს ჰქონდათ გარემოცვლი; მათ სცადეს ციხის კედლების აფეთქება, რათა ციხეში

შეჭრილიყვნენ, ორ აღგილას საამისო ცდა კიდეც ჩატარეს, მაგრამ მეციხოვნებმა რამდენჯერმე გამოხდომა მოზრდის და 200-მდე კაცი მოუკლეს. ამასობაში ერეკლე და თეიმურაზი 5 ათასი ჯარით მოეშველნენ ციხესო.

კაპიტან ოთარ თუმანოვის ცნობით, ხუნძახის ბატონი, რომელსაც «სამი ათასამდე ლეგინ ჰყვანდა», 12 აგვისტოს დუშეთსა და ბაზალეთს მიხდომია, შემდეგ მჭადიჯვრის ციხეს შემოდგომია; 16 აგვისტოს ერეკლე კახეთიდან 2.000 კაცით მოსულა და თეიმურაზ მეფესთან ერთად 19 აგვისტოს შებმია ხუნძახელებს. 460-მდე კაცი მოუკლავთ ლეგებისა. პ. ორბელიანის ცნობით, ერეკლემ ჯარჯით დატვირთული ურმები გაუშვა წინ, ამ საფარით მტერს მიუახლოვდა და სასტიკად დაამარცხა. რუსული წყაროების ჩვენებით, ლეგებმა ბრძოლაში 500-ზე მეტი კაცი დაკარგეს, ხოლო ქართველების დანაკარგი უმნიშვნელო ყოფილა. მოტანილი ცნობები ძირითადად ემთხვევა და ავსებს ერთმანეთს.

დამარცხებულ ნურსალ-ბეგს გზადავზა კახელებიც დაესხნენ თავს და სარდალი შერცხვენილი დაბრუნეს დაღესტანს. ამ დიდ გამარჯვებას ლეკათა თარეში არ აულაგმავს. «გარნა არა დასცრენენ ლეგინ კუალად ქურდულად რბევად ქართლისა და კახეთისაო», — წერს ო. ხერხეულიძე. ოთარ თუმანოვიც ამასვე გვაუწყებს.

1755 წელს ნურსალ-ბეგი კვლავ დიდი ჯარით მოადგა საქართველოს, ყვარლის მთაზე დადგა და ამიერკავკასიის ხანებსა და ჭარელებს დახმარება სთხოვა. აჯი-ჩალაბის შვილი და კაკის სულთანი თავიანთი ჯარებით მოვიდნენ, ჭარელებიც იყვნენ, განჯის ხანმაც ჯარი გამოუგზავნა და ეს უზარმაზარი ჯარი ყვარლის ციხისკენ დაიძრა. ო. ხერხეულიძე გვაუწყებს, რომ ყვარლის ციხესთან მტერმა 20 ათასი კაცი მოიყვანაო. ო. თუმანოვის ცნობით კი, ყვარლის ციხეს ლეგები 18 ათასი კაცით შემოდგომიან 30 აგვისტოს.

სანამ ნურსალ-ბეგს მოკავშირები შეუერთდებოდნენ, მეფებს სამზადისი ჩაუტარებიათ. მოსახლეობა ციხეებში დაუხიზნავთ ოთხი თვის მარაგით. ერეკლეს კახეთის ჯარი თელავს მიუყვანია. თეიმურაზი კი, როგორც წყაროები მოწმობს, ზემო ქართლში წასულა, იქ «შემოიყარა ჯარი ქართველთა, რომ იარაღის ამღები აღარავინ დააგდო შინა»; მივიდა ახალგორს, სადაც ქსნის ერისთავი და ბარათაშვილი შეუერთდნენ, და წავიდა ანანურისკენ, სადაც ერეკლეს ცნობას უნდა დალოდებოდა.

მეფები ჩერქეზებისგან დამხმარე ჯარს ელოდნენ, მაგრამ ჯარი

ვერ მიიღეს, ამიტომ მრავალრიცხოვან მტერთან პირისპირ შებმა მიზანშეუწოდად ჩათვალეს. ამავე დროს ლეგებმა ყვარლის ციხეს ისეთი «მაღალი საფრები შეუკრეს გარედან, რომ შიგ ციხეში თოფს ჩაისროდნენ». მეციხოვნე ჯარს უჭირდა, ამიტომ აუცილებელი იყო მათი სურსათითა და საჭურვლით მომარაგება და გამხნევება, რომ წინააღმდეგობა გაერდებოდა ინგრებინათ, რადგან ყვარლის ციხის დაკარგვით ხომ ქვეყანას «გალმა-მხარი» ეკარგებოდა, რაც მთელ კახეთს საფრთხეს უქმნიდა.

ერეკლე მეფებ წინადადებით მიმართა ჯარს და გულოვნობისთვის «სამუქეფო» წყალობასაც დაპირდა. გამოვიდნენ ვაჟკაცები და მეფის დავალება ბრწყინვალედ შესარულეს — მაშველი ჯარი ალყაშემორტყმულ ციხეში შევიდა. გარდა ამისა, მეფემ ქიზიები მარჯვე ცენტრისნები შეარჩია და ჭარს შეუსია. ამის გამო ნურსალ-ბეგს ჭარელები ჩამოსცილდნენ. ქართველთა შიშით კაკის სულთანიც მათ გაჰყვა. მალე თვით ლეგებს შორის ჩამოვარდა უთანხმოება და ყვარლის ალყაც მოიშალა. ნურსალ-ბეგმა ომი წააგო და ისევ ძველ ნაცად გზას დაადგა — სოფლებს საძარცვავად ავაზაკთა რაზმები შეუსია.

ლეკათა თარეშები მომდევნო წლებშიც ინტენსიური ჩანს. მართალია, ლეკებს «საქართველოს ერთი დაკვრით გაოხრება» არ შეეძლოთ, მაგრამ «ლეკიანობა მისი ჩვეულებრივი სახით მართლაც რომ მოთხრას უქადა ქვეყანას».

აქ მოტანილი ცნობები ნათლად მეტყველებს, თუ როგორი დაბაბული ვითარება იყო საქართველოში XVIII ს-ის 50-იან წლებში, რამდენი მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა ქართველ ხალხს. ცხადია, უცხო მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლა ქვეყნის მთელ ძალებს ნოქავდა და შეუძლებელს ხდიდა საშინაო პოლიტიკის დარღში დიდი ღონისძიებების გატარებას ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული აღორძინების ხაზით. ძალაუნებურად საშინაო პოლიტიკის უკანა პლანზე დგებოდა. მიუხედავად ამისა, კულტურული საქმიანობა ქვეყანაში ამ ძნელ პირობებშიც არ წყდებოდა. ამის უტყუარი საბუთია 1756 წელს თბილისის სემინარიის დაარსება.

ქართველმა სახელმწიფო მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ ქვეყნის «აღდგომისა და გამოხსნისთვის» საჭირო იყო მისი გაერთიანება, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება და ეკონომიური ხასიათის ფართო ღონისძიებანი. მაგრამ საგარეო ფაქტორი პირუკუ მოქმედებდა: ჯერ ერთი, წარმოების განვითარებისა და

ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის ასათვისებლად XVIII ს-ის 50-იან წლებში არც კადრები იყო, არც მატერიალური რესურსები და არც ხელსაყრელი საგარეო პირობები (60-80-იანი წლების ამბები მოწმობს, თუ რა სიძნელეს ქმნიდა საგარეო პირობები ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების გზაზე).

მეორე, ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ძალების დასაყრდენს უცხო ქვეყნები წარმოადგენდა (ამაზე მეტყველებს მთელი გვიან-ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორია).

მესამე, საქართველოს გაერთიანება, სოციალ-ეკონომიკურ ფაქტორებს თვით რომ დავანებოთ, საგარეო პირობების მიზეზითაც შეუძლებელი იყო: აღმოსავლეთი საქართველო ირანის გავლენის სფეროს ეკუთვნოდა, დასავლეთი საქართველო კი თურქეთის სავასალო ქვეყანა იყო.

დასასრულ, არც ის უნდა დავიკიწყოთ, რომ საქართველოს გაერთიანების შემთხვევაშიც კი მისი მოსახლეობა, 1770 წლის მონაცემებით,  $\frac{1}{2}$  მილიონზე ნაკლები იყო, მაშინ როცა ამავე პერიოდში მარტო თურქეთი ახერხებდა  $\frac{1}{2}$  მილიონიანი არმიის გამოყვანას. ლეგები ხომ თურქეთისთვის დიდ რეზერვს შეადგენდნენ. გარდა ამისა, შინაპოლიტიკური ბრძოლის მიუხედავად, ირანსაც დიდი რეზერვები გააჩნდა. ამიტომ საქართველოს ძლიერი მოკავშირე და მფარველი ესაჭიროებოდა.

\*\*\*

XVIII ს-ის 50-60-იან წლებში რუსეთი მსოფლიო მასშტაბის ერთ-ერთი მძლავრი სახელმწიფო იყო. პეტრე I დროს გატარებულმა რეფორმებმა და ბალტიის ზღვით ევროპასთან დაკავშირებამ ისეთი ბიძგი მისცა რუსეთის შემდგომ დაწინაურებას, რომ აღნიშნულ პერიოდში მანუფაქტურული წარმოება საკმაოდ წინ წავიდა. განსაკუთრებით საყურადღებოა რუსეთის წარმატებანი მეტალურგიის დარგში (რკინისა და თუჯის წარმოება), რომელზედაც დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის სამხედრო პოტენციალი. რუსეთის საგარეო გაჭრობის მოცულობაც საკმაოდ დიდი იყო. რუსეთს ჰყავდა კარგად შეიარაღებული რეგულარული არმია, რომელიც შიშის ზარს პეტრიდა ევროპის დიდ სახელმწიფოებს, რაც ნათლად გამოჩნდა შეიძლიან ოშში.

XVII ს-ის II ნახევარში, რუსეთთან უკრაინის შეერთების შემდეგ, რუსეთის სახელმწიფო საზღვარი შავი ზღვის სანაპიროებს მიუა-

ლოგდა, მაგრამ რუსეთი შავ ზღვას მოწყვეტილი იყო, რადგან უშეუალოდ შავი და აზოვის ზღვების სანაპირო ზოლი თურქეთსა და მის სავასალო ყირიმის სახანოს ეჭირა, რომლებიც რუსეთს შავ ზღვაზე გასასვლელს არ აძლევდნენ. გარდა ამისა, რუსეთის სამხრეთი საზღვარი ლია ველზე გადიოდა, ბუნებრივი პირობებით დაუცველი იყო, ამიტომ რუსეთსა და უკრაინაზე თათართა ყაჩაღური თავდასხმები არ წყდებოდა. რუსეთის უზარმაზარ სახელმწიფოს არ შეეძლო თვისი მდინარეების შესართავებსა და ზღვაზე გასასვლელს მოწყვეტილი დარჩენილიყო, დაეტოვებინა იგი მომთაბარე თათართა ხელში.

შავ ზღვაზე გასვლის პრობლემა XVIII ს. II ნახევრის რუსეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრობლემად რჩებოდა. რა თქმა უნდა, შავი ზღვის პრობლემის დღის წესრიგში დასმა ნაკარნახევი იყო არა მარტო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და ნორმალური ეკონომიკური განვითარების ამოცანებით, არამედ, აგრეთვე, გაბატონებული კლასის მისწრაფებითაც — ხელში ჩაეგდო ახალი მიწები.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო რუსეთისთვის კასპიის ზღვის პრობლემა. მართალია, XVI ს-ის II ნახევარში რუსეთმა შეძლო კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე დამკვიდრება, რაც რუსეთს ირანთან და ინდოეთთან ურთიერთობისთვის გზას უხსნდა, მაგრამ ირანში მიდინარე გაუთავებელი შინა ფეოდალური ომები საგრძნობლად აფერხებდა რუსეთის გაჭრობას როგორც ირანთან და კავკასიის ქვეყნებთან, ისე ინდოეთთან; ამიტომ რუსეთი მიისწრაფოდა კასპიის ზღვის დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროებზე დასამკვიდრებლად.

კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროებზე დაკვიდრებისთვის რუსეთს კავკასიაში სტრატეგიული პლაციდარმი და ერთგული მოკავშირე ესაჭიროებოდა, ასეთს კი იგი ქრისტიანულ საქართველოში ხედავდა. ამიტომ იყო, რომ XVI ს-დან მოყოლებული, თვით რუსეთი არაერთგზის გამოსულა ქართულ სამეფოებთან კავშირის დამყარების ინიციატორად.

ქართველი სახელმწიფო მოღვაწეებისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ XVIII ს-ის II ნახევარში მძლავრ და იმ დროის კვალობაზე კულტურულად დაწინაურებულ რუსეთს კავკასიაში თვისი პოლიტიკური ინტერესები გააჩნდა, ამიტომ მათ ორიენტაცია კვლავ რუსეთზე აიღეს. კახი ბაგრატიონებისთვის (ერეკლე, თეიმურაზი) ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ ქართველ პოლიტიკოსთა რუსულ ორი-

ენტაციას (XVI ს-დან დაწყებული) არაერთგზის მოკეოლია მმიმე შედეგები (ალექსანდრე კახთა მეფის ტრაგედიას რომ თავი დაუანებოთ, თეიმურაზ II ქართლის ტახტზე ხომ ვახტანგ VI-ის რუსული ორიენტაციის მარცხის წყალობით აღმოჩნდა). მაგრამ მტრული ძალებით გარშემორტყმულ ქვეყანას ხსნის სხვა გზა არ ჰქონდა, როგორი სახითათოც უნდა ყოფილიყო იგი. ამიტომ, როგორც კი ნადირ-შაპის მოკელის შემდეგ საქართველოდან ირანელები განდევნეს და მეზობლები დააწყნარეს, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ 1752 წელს საგანგებო ელჩობა გაგზავნეს რუსეთს ათანასე თბილელისა და სიმონ მაყაშვილის მეთაურობით.

სიმონ მაყაშვილის მოხსენებით ბარათში ქართველ მეფეთა თხოვნა ასეა ჩამოყალიბებული: 1. ქართველი მეფები რუსეთისაგან ითხოვენ დამხმარე ჯარს, რათა ისარგებლონ შექმნილი ვითარებით და სპარსეთის ქალაქები დაიჭირონ; 2. მეფები ითხოვენ ფულს საკუთარი ჯარის შესანახად, ან — საჭირო შემთხვევაში ჯარის დასაქირავებლად; 3. ქართველი მეფები რუსეთის მთავრობას სთხოვენ, გააფრთხილოს ლეკები, არ დაესხნენ თავს საქართველოს.

როგორც ვხედავთ, ქართველ მეფებს გადაწყვეტილი პქონიათ ესარგებლათ ირანში შექმნილი ვითარებით და რუსეთის დახმარებით «გამოქახათ» და «აღედვინათ» საქართველო. მაგრამ მაშინ რუსეთის მთავრობის ურალების ცენტრში დასავლეთის პრობლემა იდგა. ცენტრალურ ევროპაში გაძლიერებული პრუსიის მეფე ფრიდრიხ II ფართო მტაცებლური გეგმით გამოდიოდა. რუსეთის დასავლეთ სახლვარზე საშიში ვითარება იქმნებოდა. რუსეთის კანცლერი ა. პ. ბესტუშევ-რიუმინი პრუსიაში რუსეთისთვის ყველაზე საშიშ ძალას ხედავდა და მტკიცედ პქონდა გადაწყვეტილი, ფრთხი შეეკვეცა პრუსიის მტაცებლური გეგმებისთვის. ასეთ ვითარებაში ქართველი მეფების თხოვნას ვერ გამოქმაურენ, რადგან კავკასიაში წარმატებისთვის სპარსეთის სისუსტე საკმარისი არ იყო, რუსეთის გამოსვლას (როგორც გამოცდილებამ ეს (ცხადყო) თურქეთი გულგრილად ვერ შეხვდებოდა, ხოლო თურქეთთან დაპირისპირების დრო, რუსეთის მთავრობის აზრით, ჯერ არ დამდგარიყო.

ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. ქართველ მეფებს მცირე საჩუქრები გამოუგზავნეს და მომავალში დახმარებით დააიმედეს. მართალია, ქართველ მეფებს თხოვნაზე უარს უთვლიდნენ, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ რუსეთის ინტერესი საქართველოსადმი შენელებული იყო. რუსეთს საქართველოს დაკარგვა და თურქეთის გა-

ძლიერება აშინებდა, მაგრამ დასავლეთის ამბები წინა პლანზე წამოიწია და ამიტომ საქართველოსთვის დროებით არ ეცალა.

\*\*\*

ელჩობის საქართველოდან გამგზავრების ზუსტი თარიღის დადგენა პირდაპირი დოკუმენტებით არ ხერხდება, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, 1760 წლის აპრილის შუა რიცხვებში უნდა მომხდარიყო. საქართველოდან თეიმურაზ მეფეს გაჰყოლია 72 კაცი, ხოლო მეფითურთ ელჩობა 73 კაცს ითვლიდა: მეფე, თავადი — 13, აზნაური — 10, სასულიერო პირი — 7, თბილისელი ქეთხუდა — 3, მსახური — 39.

1760 წლის 28 აპრილს თეიმურაზ II ყიზლარის კომენდანტს გენერალ ფრაუენდორფს სწერდა: «ყოვლად მოწყალის წელმწიფის თაყვანის საცემლად მოვალთ. დღეს რომ აპრილის ოცდარვა არის, აქ ყაზახის ყარაულებთან გიახელით. ხვალ ორუზღალას გიახლებით. თქვენი ხლება დიალ გვეშურება. ამას მოველით თქვენის ბრწყინვალის თვეისაგან, რომ თქვენი შეყრა არ დაგვიგვიანოთ, ამის ამბავი მალე გვაცნობოთ». ყიზლარის კომენდანტი საგონებელში ჩავარდა. გვირგვინოსანი სტუმარი კარს მოადგა, მთავრობა და ასტრახანის გუბერნატორი კი არაფერს აცნობებდნენ, თუ როგორ მოქცეულიყო.

1760 წლის 16 ივნისს კანცლერ მ. ვორონცოვს თეიმურაზის რუსეთში მიღების თაობაზე მისი უმაღლესობის კარის კონფერენციისთვის მოსახსენებლად შეუდგენია რელაცია, რომლითაც იგი ხარჯების გამო ზედმეტად მიიჩნევდა ქართველი მეფის მიღებას. როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის ბრძანებიდან ჩანს, თეიმურაზის გამოჩენას თერგის ხაზზე რუსეთის მთავრობა გულგრილად შეხვდა. მ. ვორონცოვის მოხსენება, ერთი შეხედვით, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს საქმე ხარჯებს ქებოდა, მაგრამ, სინამდვილეში, ხარჯები მთავარი როდი იყო. რუსეთის მთავრობის პოზიცია საერთაშორისო ვითარებამ განსაზღვრა.

ქართლ-კახეთის ელჩობა რუსეთის სახელმწიფო საზღვარზე რუსეთისთვის არასასურველ ვითარებაში გამოჩნდა. როგორც ცნობილია, რუსეთი 1756 წლიდან შვიდწლიან ომში იყო ჩაბმული. მართალია, რუსეთის ჯარებმა 1757-1759 წლებში რამდენიმე ბრწყინვალე ბრძანება გადაიხადეს, მაგრამ რუსეთის მოკავშირეების (ავსტრიისა და საფრანგეთის) ულიმდამ მოქმედების, მოკავშირეთა შორის ინტერესთა წინააღმდეგობისა (ავსტრიას ეშინოდა რუსეთის მეტის-

მეტი გაძლიერებისა) და ინგლისის სუბსიდიების წყალობით, ფრიდ-რის II კვლავ ახერხებდა, გაეგრძელებინა აქტიური წინააღმდეგობა.

გარდა ამისა, ძლიერი მოწინააღმდეგის — რუსეთის ჩამოშორების მიზნით ფრიდრიხ II-მ, ერთი მხრივ, სეპარატიული ზავი შესთავაზა რუსეთს, ხოლო მეორე მხრივ, თვეისი ემისრები გაგზავნა თურქეთს, რათა თურქები აემხედრებინა რუსეთის წინააღმდეგ.

ელისაბედ პეტრეს ასულის მთავრობამ, რაკი მტკიცედ ჰქონდა  
გადაწყვეტილი, საბოლოოდ შეემუსრა მტაცებელი პრუსია, უარყო  
ფრიდრიხ II წინადადება სეპარატიული ზავის დადების თაობაზე  
ისე, რომ მსჯელობის საგნადაც კი არ გაუხდია. ხოლო თურქეთ-  
ში პრუსიის ემისრების საქმიანობის ჩაშლის მიზნით იგი ყოველ  
დონეს ხმარობდა ერგვნებინა თურქეთის მთავრობისთვის, რომ რუ-  
სეთი თურქეთთან დადებულ ხელშეკრულებას მტკიცედ იცავდა.  
თავისთვად ცხადია, პრუსიის წინააღმდეგ აქტიური მოქმედების  
გაგრძელება საშერეთ საზღვარზე — თურქეთთან (სპარსეთში მაშინ  
არულობა გრძელდებოდა) მშვიდობის შენარჩუნების გარეშე შეუ-  
ძლებელი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ყირიმელი თათრების პოლი-  
ტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში და მათი მტრული დამოკიდებულება  
კაზაკებთან რუსეთ-თურქეთის კონფლიქტისთვის ისედაც საკმაო  
საფუძველს ქმნიდა.

რუსეთის მთავრობა განსაკუთრებით ადგენებდა თვალყურს პრუსიის ემისრების საქმიანობას თურქეთში. 1759 წლის 24 მარტს რუსეთის რეზიდენტი ა. ობრესკოვი კონსტანტინოპოლიდან იუწიებოდა პრუსიის მეფის ემისრების გამოჩენას თურქეთში და ყირიმის ხანის განზრახვას, ჩარეცდიყო ყაბარდო-ჩერქეზეთის საქმეებში, რაც არ-თულებდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას.

1759 წლის 4 აპრილს ა. ობრესკოვი აცნობებდა რუსეთის მთავრობას, რომ პრუსიის მეფეს თურქეთთან ურთიერთობის მოგვარებაში ქმარება ინგლისის ელჩი, მაგრამ თურქეთს არ სურს პრუსიასთან კავშირიო. 1759 წლის 1 მაისს ობრესკოვი ისევ პრუსიის მეფის აგენტების თურქეთში საქმიანობას იუწყებოდა. 1759 წლის 2 ივნისს ობრესკოვი მოახსენებდა რუსეთის მთავრობას, რომ ყირიმის ხანი სულთანს თხოვს ეყბანში შეჭრის ნებართვას, მაგრამ თურქეთის მთავრობას განზრახული აქვს რუსეთთან მეგობრობა შეინარჩუნოს. 1759 წლის 2 სექტემბრის მოხსენებით ობრესკოვი კვლავ იტყობინება, რომ პრუსიის ემისიუბი თურქეთის მიმხრობას ცდილობენ. ხოლო 1759 წლის 1 ოქტომბერს ივი აუწყებდა მთავრობას: მოკავშირეთა (იგულისხმე-

ბიან რუსთის მოკავშირეები შევიდწლიან ომში) მინისტრების თხოვნის მიუხედავად, პორტა არ ფიქრობს პრუსიის მეფის ემისრების გაძვევებას. 1759 წლის 4 დეკემბერს ობრუსკოვი იუწიებოდა: ინგლისის ელჩი ურჩევს თურქებს, დადონ სამოკავშირეო ხელშეკრულება პრუსიასთან, თურქები უპასუხებენ — თანახმა გართ, მაგრამ არ არის «გარანტი»; არც ერთი ქვეყნა, გარდა ინგლისისა, ამის მომხრე არაა. ობრუსკოვს არ სჯეროდა, რომ თურქეთი ომს წამოიწყებდა, მაგრამ ესმოდა, რომ ხაპოროვიელ კაზაკებთან ყირიმელი თათრების უთანხმოება (რაც ამ პერიოდში გამწვევებული იყო) და საზღვრისპირა სიმაგრეებზე დაჭარასასურველ გითარებას ქმნიდა.

რუსეთის მთავრობა პრუსიის ემისრების საქმიანობას თურქეთში დიდ მნიშვნელობას აძლევდა და ჯერ კიდევ 1759 წლის 23 იანვრის რესკრიპტით ა. ობრესკოვს საგანგებო ზომების მიღებას ავალებდა. 1759 წლის 28 სექტემბრის რესკრიპტით რუსეთის მთავრობა ობრესკოვს უბრძანებდა: წინადაღება მიეცა თურქეთისთვის, გაწყვეტა ურთიერთობა პრუსიის მეფესთან. რუსეთის მთავრობა არიგებს თავის ელჩს, ზუსტად გაიგოს თურქეთის განზრახვა, რადგან მას ამჯერად მშვიდობა სჭირდება, და ეცადოს გულისფრით მოეცყრას ყოველ უმნიშვნელო წერილმანსაც კი, რასაც შეუძლია თურქეთთან ურთიერთობის გაუარესება.

არანაკლებ საინტერესოა 1760 წლის 8 ივნისის რესკრიპტი ობრესკოვისადმი, საღაც ნათქვამია: ყირიმის ხანი ცდილობს წაგვაჩეუბოს თურქეთთან; თათრების საქციელი იძულებულს გვხდის გავგანვარო იქ დამატებითი ჯარები, ჩვენი საზღვრები გაფაძლიეროთ. თურქეთის მთავრობა რომ არ დაეჭვოს ჩვენი ჯარების მოძრაობამ, საჭიროა სულთანმა წინასწარ იცოდეს ჩვენი ნამდვილი განზრახვა: უნდა ეცნობოს თურქეთის მთავრობას, რომ, როგორც კი ხანი ყირიმში დაბრუნდება, ჩვენი ჯარები საზღვრიდან უკანვე დაბრუნდებიან.

ზემოთ მოტანილი მასალების შუქჩე უნდა იქნეს გაგებული აღნიშნულ პერიოდში (1759-1760 წლებში) რუსეთის პოზიცია საქართველოს საკითხისადმი და რუსეთ-ოურქეთის ურთიერთობა. თუმცამ II რუსეთის საზღვარზე გამოჩენა რომ არ ესთამოვნათ, ეს შემთხვევითი როდი იყო: რუსეთს, პრუსიის მეფის გვემბი რომ ჩაეშალა, ადრე ჰქონდა მიცემული «ეკესილი» თურქეთის მთავრობისთვის, რომ იგი საქართველოს საქმებში არ ერეოდა და არც ჩაერეოდა.

ამ ამბების შემდეგ მიღებული ცნობა — იმერეთის კათალიკოსი ბესარიონი და ქართლის მეფე თეიმურაზ II მოღიანო რუსეთს — და რა გასაკვირია, თუ არ ესიამოვნებოდათ. მართალია, იმერეთის კათალიკოსის რუსეთში გამგზავრების შესახებ ჩებები არ გამართლდა, მაგრამ ქართლის მეფის რუსეთის საზღვარზე გამოჩენაც ნაკლებ საშიში როდი იყო, რაკი წინასწარ მისცეს «ვექსილი» თურქებს საქართველოს საქმებში ჩაურევლობის თაობაზე. ცხადია, კანცლერ ვორონცოვა და მისი ულიდებულესობის კარის კონფერენციას (საბჭოს) 1760 წლის ივნისში სხვა არაფერი რჩებოდათ, თუ არ ის, რომ წინადაღება მიეცათ საგარეო საქმეთა კოლეგისთვის, რათა ამ უკანასკნელს ებრძანებინა ყიზლარის კომენდანტისთვის: თეიმურაზ მეფე იმ შემთხვევაში გაეტარებინათ, თუ იგი საცხოვრებლად მოღილა რუსეთში და თანაც თავისი ხარჯით შეინახავდა თავს; ასევე უნდა მოქცეოდნენ სხვებსაც, ვინც საქართველოდან წამოვიდოდა.

ვიდრე პეტერბურგიდან 1760 წლის 30 ივნისის ბრძანებას (რომლითაც თეიმურაზ II-ს რუსეთში მხოლოდ საცხოვრებლად წასვლის ნებას რთავდნენ — თავისი ხარჯით) ყიზლარში მიიღებდნენ, თეიმურაზ II დიდი ხნით ადრე (1760 წლის 2 ივნისს) ამაღლითურთ უკვე ჩავიდა იქ. იგი ყიზლარამდე მიაცილეს კომენდანტის ბრძანებით მის შესახვედრად გაგზავნილმა პოლკ. დე ბოგსბერხმა, ტიტულარულმა მრჩეველმა აშხარუმოვმა და თერგის კაზაკთა ატამანებმა კაზაკებითურთ. მეფემ თვეზე მეტს დაყო კარანტინში (1760 წლის 29 აპრილიდან 30 მაისამდე). კარანტინის საბაბით საზღვარზე მეტი დაკავენა წინასწარი განცხადების გამო აღარ შეიძლებოდა.

რაკი მთავრობისგან პასუხი არ ჰქონდა მიღებული და არც ასტრახანის გუბერნატორისგან ელოდა მხარდაჭერას, ყიზლარის კომენდანტმა ვერ გაბედა, სამხედრო წესდების შესაბამისად სალუტი მიეცა მეფისთვის. იგი მეფეს დოლის ცემით მიესალმა, ბინა მისცა, მცველად ასეული გამოუყო; მეფის მომსახურებაზე ხელმძღვანელობისთვის სომებთა ესკადრონის პოდპოლკოვნიკი პეტრე კასპაროვი მიამაგრა, დღიური ულუფა 30 მანეთით განსაზღვრა, ხოლო 11 ივნისიდან მთელს ამაღლას თვიურ საზრდოდ 420 მანეთი დაუნიშნა.

აუწყებდა რა თეიმურაზის ყიზლარში მიღების ამბავს, ყიზლარის კომენდანტი 1760 წლის 19 ივნისის მოხსენებით რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას აცნობებდა: თეიმურაზის მოსვლის მიზეზი ისაა, რომ მას რაღაც სათხოვარი აქვს იმპერატორთან, მაგრამ კონკრეტულად რა, არ ამბობსო; დასასრულ, კომენდანტი ითხოვდა, გვაც-

ნობეთ: გამოვუშვათ თუ არა მეფე, რამდენი კაცით, სახარჯოდ რამდენი მოვცეთ, წამოსვლის შემთხვევაში სალუტი საჭიროა თუ არაო.

ეს მოხსენება პეტერბურგში 1760 წლის 29 ოქტომბერის მიუღიათ მინაწერები მოწმობს, თუ როგორი რეაგირება მოუხდენია მას. პირველ მინაწერში აღნიშნულია, რომ კონფერენციის რესკრიპტის საფუძველზე ბრძანება 30 ოქტომბერის გაიგზავნა; მეორე მინაწერში, რომელიც ფანჯრითაა შესრულებული, შიშიც კია გამოთქმული: თეიმურაზისთვის ახლანდელ ვითარებაში დოლის ცემით მისალმება და ისიც ზედ საზღვარზე, ზედმეტი იყოო.

თეიმურაზ მეფეს უგრძვნია, რომ რუსეთში მას გულღიად ვერ ხვდებოდნენ, მოსალოდნელი იყო მისი გამგზავრების დაყოვნება. ამასთან, როგორც ჩანს, შეფერხების მიზნად ვახტანგის მემკვიდრეთა პოზიციაც მიუჩნდება (ათანასე თბილეულისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობის ისტორია ასეთი ეჭვის საფუძველს ქმნიდა) და გადაუწყვეტია, თავისი კაცი გაეზავნა წინასწარ პეტერბურგს, რათა ქართლის ტახტის პრეტენდენტთა ინტრიგები ჩაეშალა და პეტერბურგში ჩასვლის ნებართვა მიეღო. ამიტომ, ყიზლარს ჩასულა თუ არა, მეფეს თავ. შ. ტუსიშვილი, ნათესავების ნახვის საბაბით, წინასწარ გაუგზავნია პეტერბურგს, მაგრამ ისე, რომ რუსეთის მთავრობისთვის ტუსიშვილის მისიის ნამდვილი მიზანი წინასწარ ცნობილი არ უნდა ყოფილყო.

თავადი შიო ტუსიშვილი პეტერბურგში ხელცარიელი როდი მიდიოდა. მას მიჰქონდა თეიმურაზ მეფის წერილები ბაქარის ქვრივთან — დედოფალ ანასთან, ბაქარის ვაჟებთან — ლევანთან და ალექსანდრესთან, აგრეთვე, რუსეთის სამსახურში მყოფ თავად ამილახვრებთან. ამ წერილების გაცნობით ნათელი ხდება, რომ თეიმურაზ მეფე ცდილობს, თვალი აუხვიოს ვახტანგის მემკვიდრებს, რომ ხელი არ შეუშალონ მას პეტერბურგში ჩასვლისა და რუსეთთან ურთიერთობის საქმეში. საყურადღებოა ერთი გარემობაც. როგორც ჩანს, ვახტანგის მემკვიდრების მხრით ხელშეშლისა აღრვევე შინებიათ და სათანადო თადარიგიც დაუჭირიათ; თეიმურაზს ერეკლე მეფის წერილიც კი ჰქონია თან წამოღებული საქართველოდან ვახტანგის მემკვიდრებთან (რომელიც ტუსიშვილისთვის გაუტანებია პეტერბურგში).

1760 წლის თვლისში თავ. ტუსიშვილი უკვე პეტერბურგს იყო. მას შემდეგი წერილები ჩაუტანია: 1) ერეკლე მეფის წერილი თავ. ეგორ (გიორგი) ამილახვრისადმი, დათარილებული 1760 წლის 1 აპრილ-

ით, რომლითაც ერეკლე მეფე აუწყებდა ადრესატს, რომ მტრების მიერ ჩვენი ქვეყნა ოდითგან შეწუხებულია. რაკი სხვა მფარველი არა გვდავს, ამის გამო მამაჩვენი წამოვიდა იმპერატორთან; 2.) ერეკლე მეფის წერილი ალექსანდრე ბაქარის ძისადმი (ქართლის ტახტის პირდაპირი მემკვიდრე-პრეტენდენტისადმი), დათარიღებული 1760 წლის 9 აპრილით, სადაც მეფე იუწყება მტრების მიერ ქვეყნის შევიწროებასა და წერს: «მამაჩემი წამოვიდა მისის იმპერატორობის ღიღებულების წინაშე ამ ქვეყნებისა უსჯულოთაგან შეიწროების მიზნისთვის საგედრებელადო» და იქვე განაგრძობს: «ამას მოველი თქვენის კეთილ მეცნიერებისაგან, რათა შეეწიო და წარმართებულყო ამის და ამ ქვეყნების საქმე, რომლისაც შემძლებელობა გაქვნდეს, რომელიც დიდი ღმრთის მსახურება და საქებელია, რაც შეწენა იქნებოდეს, შეწიოთო»; 3) ერეკლე მეფის წერილი ლევან ბაქარის ძისადმი, დათარიღებული 1760 წლის 11 აპრილით, სადაც მეფე ერეკლე ისევ ქვეყნის გაჭირვებას უჩივის; 4) თეიმურაზ II წერილი დედოფალ ანასადმი, დათარიღებული 1760 წლის 11 ივნისით; 5) თეიმურაზ მეფის წერილი ლევან და ალექსანდრე ბაქარის ძეთ, დათარიღებული 1760 წლის 11 ივნისით; 6) თეიმურაზ მეფის წერილი თავ. ვორ (ვიორგი) ამილახვრისადმი, დათარიღებული 1760 წლის 11 ივნისით; 7) თეიმურაზ მეფის წერილი ელენე ამილახვრისადმი, დათარიღებული 1760 წლის 11 ივნისით, სადაც მეფე წერს: დარწმუნებული ვარ, რომ მთელი თქვენი სახლი ჩვენი ერთგულია ისევე, როგორც მამათქვენი იყო, თქვენ გიყურებთ როგორც დას, ხოლო თქვენი შეიღები ისევე მიყვარს, როგორც საკუთარი შეიღები.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტები მოწმობს, თეიმურაზს თვისი მისის წარმატების მიზნით გაუგზავნია თავ. შ. ტუსიშვილი პეტერბურგს და არა ნათესავების სანახავად, როგორც ყიზლარის კომენდანტსა და ასტრახანის გუბერნატორს სწერდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, რაკი თეიმურაზის პეტერბურგში ჩასვლამდე არ იყო ნაგარაუდევი მათი გამაურება, ერეკლეს წერილებში არის პირდაპირი მითითება, რომ თეიმურაზი საქვენო საქმეზე მიდის რუსეთს და არა იმპერატორის თაყვანისაცემად; რაც შეეხება თეიმურაზის წერილებს, ისინი სხვა ფორმითაა შედგენილი, რაკი თეიმურაზს საზღვარზევე უგრძვნია, რომ რუსეთში მისი მიღება არ სურდათ; იგი თავის წერილებში საგანგებოდ გახაზავს: იმპერატორის თაყვანისაცემად მივდგვარო. ცხადია, ერეკლეს წერილები გარკვეულ დოკუმენტის სამეფო კარზე გამოსაჩენი არ

იყო, რაკი თეიმურაზი თავის მისიას საიდუმლოდ ინახავდა. თეიმურაზის არ შევძლო გვარაუდა, რომ ერეკლეს წერილებს უჟღველად კანცლერს გადასცემდნენ, მაგრამ, რადგან საქმე ფერხდებოდა, თეიმურაზ მეფე იძულებული გამხდარა, მისი პეტერბურგში გამგზავრების დაჩქარების მიზნით ერეკლეს წერილები გამოვეწებინა: ისინი მას ტუსიშვილისთვის გაუტანებია, როგორც თვისებური «გარანტია» გახტანგის რჯახის წევრებისა და მასთან დაახლოებული პირების დასამშვიდებლად.

ზემოხსენებული წერილებით თავ. შიო ტუსიშვილი 1760 წლის 11 ივნისს ყიზლარიდან გამგზავრებულა, 17 ივნისს ასტრახანში იყო, ხოლო 22 ივლისისთვის უკვე პეტერბურგს ჩასულა.

ჩვენ არ ვიცით, რა განუცხადა შ. ტუსიშვილმა ვახტანგის შთამომავლებს, არც ვახტანგის მემკვიდრეთა თავგამოღება ჩანს თეიმურაზის მიღების სასარგებლოდ, მაგრამ შ. ტუსიშვილს რომ მათი განეიტრალება მოუხდენია, ეს სადაცო არ უნდა იყოს. რაც შეეხება თავ. ამილახვარს, არც მისი აქტიურობა ჩანს, მაგრამ არაპირდაპირი მასალები გვაფიქრებინებს, რომ თავ. ტუსიშვილი მისი ხელშეწყობით მოქმედებდა.

1760 წლის 11 აგვისტოს თავ. შიო ტუსიშვილმა კანცლერ მ. ვორონცოვს წარუდგინა ბარათი, სადაც წერს: ჩვენს მეფეს «მათის იმპერატორობის დიდებულობის კარზედ მოსვლა და თაყვანისცემა მათის იმპერატორობის დიდებულობისა ელირსოს»; ამას თქვენს გრაფობის ბრწყინვალებას «ვედრებით მოგახსენებ და თქვენს ბრძანებას ველი». შ. ტუსიშვილის ბარათი კანცლერს ყოველგვარი რეზოლუციის გარეშე იმავე დღეს (11 აგვისტოს) დაუბრუნებდა საგარეო საქმეთა კოლეგიაში. 1760 წლის 5 ოქტომბერს შ. ტუსიშვილი გაისტუმრეს ასტრახანისკენ. რა თქმა უნდა, ტუსიშვილის მისია უშედეგოდ არ დამთვრებულა. იგი იმედმოცემული გაემგზარა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

\*\*\*

რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის 1760 წლის 30 ივნისის ბრძანება ყიზლარის კომენდანტ გენ. ფრაუენდორფისადმი 1760 წლის 30 ივლისს მიუღია ფრაუენდორფის შემცვლელს, პოლკოვნიკ დე ბოგსბერგს. იგი 7 აგვისტოს მეფეს შეხვედრია და, თანახმად ბრძანებისა, გამოუკითხავს რუსეთში წასელის მიზეზი, თანაც უცნობებია, რომ, თუ საცხოვრებლად მოდიოდა რუსეთს და შეძლებდა

(თავისი სახსრებით) ამაღის შენახვას, გაუშვებდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში უკან დაბრუნებას ურჩევდა. პოლკოვნიკებს უთქვამს: თუ რამ მოსახსენებელი გაქვს იმპერატორთან, მე მაცნობე და თვით კი პასუხს აქ დაელოდეო.

თუმცურაზ Ⅱ-ს პასუხად ასე მოუხსენებია: «პირველყოფილი ნათესავნი ჩვენი, სრულიად რუსეთისა მპყრობელთა, ვითარცა ქრისტიანთა, მპყრობელად მბმანებელად და უფლებელად თვისით ჰყურობელ და მიაჩნდათ და ამისთვის თაყვანის საცემად თავის ქვეყნიდამ რუსეთს მოვიდოდნენ, ხოლო მე... აღვძარ წადილი ჩემი, რომ ღირს ვიქმნა ხილვასა ყოვლად განათლებულისა სახისა მისის იმპერატორობის დიდებულობისა და მივსცეთ წესისაებრ ყოვლად ქებულისა ქრისტიანობისა, ვითარცა ჭეშმარიტად ჩვენს მბრძანებელს და უფლებელს, თაყვანისცემა და ესე არს ჩემი პირველი მიზეზი მოსვლისა ჩვენის ქვეყნიდგან და არცა გვწადს აქ რუსეთს ცხოვრება და როგორც მსწრაფლ ღირს ვიქმნებით მისის იმპერატორობის დიდებისა და მაღლისა მისის დიდებულობის ფამილიის თაყვანის ცემასა, გვრეთ მსწრაფლ გამოვბრუნდები ჩვენს ქვეყანასა და ამისთვის, როგორც მისვლა, აგრეთვე ჩემის ქვეყნისაკენ გამოვბრუნება არ დამიგვიანდეს, მცირე კრებული გგახლავს თან».

თუმცურაზის პასუხის ერთი ნაწილი (რომ იგი რუსეთში საცხოვრებლად არ მიდიოდა და რომ მას სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნება პქონდა გადაწყვეტილი) სადაც არაა. რაც შექმნა მეფის პასუხის მეორე ნაწილს (რომ თითქოს იგი რუსეთის იმპერატორთან მხოლოდ თაყვანისაცემად მიდიოდა), სინამდვილეს არ შეეფერება. დე ბოგსბერგისთვის ასეთი პასუხის მიცემა შემდეგი გარემოებით იყო გაპირობებული: ჯერ ერთი, თუმცურაზის ჩასვლის ნამდვილი მიზნის (რომელიც ფართო საგარეო პოლიტიკურ გეგმებს მოიცავდა) წინასწარ გამზელას შეიძლებოდა გახტანგის მექვიდრეთა რეაქცია გამოწევია; მეორე, ეს გეგმა აგენტების მეშვეობით შეიძლებოდა ოურქეთსა და ორანის სახანოებშიც შეეტყოთ, რასაც, ალბათ, საწინააღმდეგო ღონისძიებები მოჰყვებოდა; მესამე, თუმცურაზ მეფეს ადრევე უგრძვნია, ხოლო დე ბოგსბერგის განცხადებით საბოლოოდ დარწმუნებულა, რომ არახელ საყრელი პირობების გამო მისი ჩასვლა რუსეთში არ სურდათ, ამიტომ ჩასვლის მიზნის წინასწარ გამხელას კატეგორიული უარი მოჰყვებოდა.

აქევე უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცურაზ მეფემ ელჩიბის მიზანი მხოლოდ ერთადერთ სანდო კაცს — ამილახვარს გაანდო, ისიც

მოსკოვში, როცა დარწმუნდა, რომ მისი პეტერბურგში ჩასვლა გადაწყვეტილი იყო და მას გელარაფერი შეაფერებდა.

თუმცურაზ მეფე მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩაუყენებია დებოგსბერგის პასუხს, — თუ საცხოვრებლად არ მოდიხარ რუსეთში, სჯობს უკან დაბრუნდეო. ასეთი პასუხი მარტო დამამცირებელი როდი იყო, იგი მეზობლების თვალში სახელს გაუტეხდა მეფეს. როგორც ჩანს, რუსეთის დიპლომატია უგრძვნია, რომ თუმცურაზის შეძლო ესარგებლა 30 ივნისის ბრძანებით და პეტერბურგს წასულიყო, ყიზლარის კომენდანტი მას ველარ შეკავებდა; ამიტომ შეცდომის გამოსწორების მიზნით მისთვის უბრძანებიათ ახალი ბრძანების მიღებამდე თუმცურაზ II სხვადასხვა საბაბით როგორმე ასტრახანში მანც შეკავეთო.

მეორე ღოკუმენტი, რომელიც დე ბოგსბერგს 20 სექტემბერს მიუღია, წარმოადგენდა ასტრახანის გუბერნატორის ბრძანებას, რომელიც გამომდინარეობდა საგარეო საქმეთა კოლეგიის 2 აგვისტოს ბრძანებიდან და თავისებურ რჩევას აძლევდა ყიზლარის კომენდანტს. ამ უკანასკნელი ბრძანების მიღებამდე პოლკოვნიკი დე ბოგსბერგი შეხვედრია თუმცურაზ მეფეს. ამ შეხვედრის შედეგები მან დაუყოვნებლივ, 1760 წლის 20 სექტემბრის პატაკით მოახსენა ასტრახანის გუბერნატორს: 1) მეფეს აჯუხსენი ამ მხარეში ჯარის საჭიროება და ყარაული ისე შევამცირე, რომ მეფის უკმაყოფილება არ გამოწვევია, შევეცდები კიდევ შევამცირო; 2) მეფემ, წინა (30 ივნისის) ბრძანების საფუძველზე, რომელიც მას ეცნობა, გამოთქვა ასტრახანსა და მოსკოვს თავისი ხარჯით გამგზავრების სურვილიო.

1760 წლის 6 ოქტომბერს თუმცურაზ II ამაღლითურთ ასტრახანისკენ გამგზავრებულა. როგორც ვხედავთ, 4 თვეზე მეტი დაყო თუმცურაზმა ყიზლარის (1760 წლის 2 ივნისიდან 6 ოქტომბრამდე). მას დიდი დიპლომატიური ბრძოლა დასჭირდა, რომ ასტრახანში წასვლა მოხერხებინა.

1760 წლის 16 ოქტომბერს თუმცურაზ II ამაღლითურთ ასტრახანის მისადგომებთან, ბანგუშევსკის ფორპოსტთან მივიდა. 17 ოქტომბერს ფორპოსტში მიღებეს საგუბერნიო კანცელარიის ბრძანება — სათანადო განკარგულების მიღებამდე ელჩიობა ადგილზე შეეჩერებინათ. მეფე შეუწევებია ამ ამბავს და ქართველი თარჯიმნის, ვინმე ივანე პეტროვის (?) მეშვეობით პოდპოლკოვნიკ კოპიტოვსკისთვის განუცხადებია: ჩვენ კარანტინის მიზეზით ყიზლარშიც საკმაოდ გაღლოდინეს, აქ, როგორც ამბობენ, კიდევ 40 დღეს გვიპირებენ

შეჩერებას, გაჭრები კი შეუფერხებლად გაატარესო; კოპიტოვსკის სათქმელი არაფერი ჰქონია და ისლა განუცხადებია, რომ ფორპოსტიდან გამოგზავნილ კაპრალს ყველა არ გაუსინჯავსო.

19 ოქტომბერს კოპიტოვსკის აცნობეს, რომ მეფის ამაღლა კარანტინში მხოლოდ 8 დღეს დარჩებოდა, 23 ოქტომბერს შეეძლო შესულიყო ასტრახანში და მისთვის გამოყოფილ სასტუმროში დაბინავებულიყო. თეიმურაზი უკმაყოფილო დარჩენილა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

1760 წლის 23 ოქტომბერს თეიმურაზ II-ეს წინასწარ გაუგზავნია ასტრახანს ნაზირი გიორგი ციციშვილი, რათა ასტრახანის გუბერნატორი მოეკითხა და ამალისთვის განკუთვნილი ბინები შეემოწმებინა. იმავე დღეს მეფი ვოლგას მიდგომია; წინა დღით გამოყოფილი ნავებით მეფის ამაღლა ვოლგაზე გადაუყვანიათ. მართალია, ქალაქში შესვლისას სალუტი არ მიუციათ, მაგრამ ნავმისადგომთან მეფის უფროსი ოფიციური დახვედრიან ვიცე-გუბერნატორის მეთაურობით და მეფე თავისი ამაღლით ბინამდე მიუცილებიათ. ასტრახანში მეფის დიდი პატივით ეკიდებოდნენ: გუბერნატორმა მეფის საჩუქრები მიართვა; მას გაუმასპინძლდნენ გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი და ასტრახანის ეპისკოპოსი; 24 ოქტომბერს საკრებულო ტაძარში მეფის მისვლისას წირვა თვითონ ეპისკოპოსმა მეთოდემ გადაიხადა; 30 ოქტომბერს მეფე არტილერიის პოლიგონზე წაიყვანეს. თეიმურაზი რუსი არტილერისტების ოსტატობით განცვიფრულებულა. აღსანიშნავია, რომ მეფესა და მის ამაღლას ასტრახანში საცხოვრებლად მიუჩინეს სომხებით დასახლებული უბანი (სულ 27 სახლი გამოუყიდიათ); ასეთი არჩევანი იმას განუპირობებია, რომ მეზობელი ხალხებია და ერთმანეთს უკეთ გაუგებენო. ასტრახანის საოლქო არქივში შემონახულია იმ სახლების მფლობელთა სია, სადაც მეფესა და ელჩებს უხდებოდათ ცხოვრება.

1760 წლის 28 ოქტომბერს პეტერბურგიდან დაბრუნდა შიომ ტუ-სიშვილი, ხოლო 30 ოქტომბრიდან მეფემ საქმიანი მოლაპარაკება დაიწყო ასტრახანის ვიცე-გუბერნატორ ბეკლემიშვეთან პეტერბურგს გაშვების თაობაზე, რამაც თითქმის 3 თვეს გასტანა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

\*\*\*

ასტრახანის ხელისუფალი, თანახმად მთავრობის დაუაღებისა, გზის უგარებისობის მომიზეზებით ცდილობდნენ მეფე შეჩერებინათ

და თანაც შეეტყოთ თეიმურაზ მეფის რუსეთში გამგზავრების ნამდვილი მიზანი. 1760 წლის 6 ნოემბერს ასტრახანს ჩავიდა ახალი გუბერნატორი ნერონოვი, რომელმაც 10 ნოემბერს მეფესთან შეხვედრისას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი გზის სიძნელეს. თეიმურაზ მეფეს კიდევ უფრო ენერგიულად დაუწყია მოთხოვნა ასტრახანის ახალ გუბერნატორ ვ. ნერონოვისთვის — პეტერბურგს გამიშვითო. რაკი დაუნახავს, რომ ტალახი და გზის სიძნელე არ ჭრიდა, ნერონოვს ახალი «ძოტივები» გამოუხახავს: ამ უგარების გზაზე შეიძლება ახლა ხიფათი გადაგვეაროსო.

როგორც ზემოთ დავინახეთ, თეიმურაზ I სამეფო კარზე მიღების საქმეს პრუსიასთან ომის დროს თურქეთის პოზიცია აფერხებდა. 1760 წ. სექტემბრის ბოლოს რუსეთის ჯარებს გარკვეული წარმატება ჰქონდათ: აღებულ იქნა ბერლინი. 1760 წლის 13 ოქტომბერს რუსეთის მთავრობამ საგანგებოდ გაუგზავნა რუსეთის რეზიდენტი ა. ობრესკოვს გენერალ ფერმორის 28 სექტემბრის რელაცია ბერლინის აღების შესახებ, რათა იგი კონსტანტინოპოლში გაქმაურებინა და თურქეთის მთავრობა ჩაეფიქრებინა. 30 ოქტომბრის რესკრიპტით ობრესკოვს საგანგებოდ ავალებდნენ: მოკავშირე მინისტრების დახმარებით ეცადე, დაითანხმო თურქეთის მთავრობა, რომ პრუსიის ემისარი გაუდენი თურქეთიდან გააძვევესო. მართალია, ობრესკოვის მიერ 1760 წელს გამოგზავნილ მოხსენებებში აღნიშნულია, რომ პრუსიის მეფის ემისრები ცდილობენ, აამზედრონ თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ, რომ ყირიმის ხანი ყველაფერს აკეთებს, რათა თურქეთი რუსეთს დაუპირისპიროსო და სხვა, მაგრამ იმავე მოხსენებებში საკმაოდ ნათლადაა წარმოდგენილი თურქეთის რთული საშინაო ვითარებაც, რაც რუსეთის მთავრობისთვის ცნობილი იყო.

1760 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში, როცა პეტერბურგში თეიმურაზის მიღების საკითხი საბოლოოდ წყდებოდა, რუსეთის მთავრობას საკმაო ცნობები ჰქონდა მიღებული ასტრახანიდან (1 და 4 ნოემბრის პატაკი უურნალითურთ), ბერლინიდან (რელაცია ბერლინის აღების შესახებ) და კონსტანტინოპოლიდან (ობრესკოვის 4 ოქტომბრის რელაცია თურქეთის სამხედრო უძლურების შესახებ).

1760 წლის 2 დეკემბერს კანცლერმა მ. ვორონცოვმა მისი იძალერატორობითი უდიდებულესობის კარის კონფერენციას მოახსენა იმპერატორის გადაწყვეტილება თეიმურაზ მეფის სამეფო კარზე მიღებასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც მიღებულ იქნა სათანადო გადაწყვეტილებანი საგარეო საქმეთა კოლეგიასა და სენატში

გასაგზავნად. ამის შემდეგ დაიგზავნა სათანადო განკარგულებანი.

1760 წლის 3 დეკემბერს სენატს გაეგზავნა მიწერილობა, სა-დაც ნათქვამი იყო, რომ იმპერატორმა თეიმურაზს თავისი ამაღით სამეფო კარზე ჩამოსვლის ნება დართო და სარჩოდ თვეში 500 მა-ნეთი დაუნიშნა.

23 იანვარს, ნაშუადღვეს, ქართლ-კახეთის ელჩობა ასტრახან-იდან მოსკოვისაკენ დაიძრა. 1761 წლის 25 თებერვლიდან 8 მარტამდე თეიმურაზ მეფე მოსკოვში დარჩა. იქ ჩასვლის პირველსავე დღეს (25 თებერვალს) თეიმურაზ II-თან მოსულა შტაბს-ოფიცერი, რომელსაც ვიცე-გუბერნატორის სახელით მეფისთვის მიულოცავს მოსკოვს მშვიდობით ჩასვლა. იმავე დღეს მეფესთან მისულან გენერალ-ლეიტენანტი გიორგი ბატონიშვილი (ვახტანგ VI-ის ძე) და მოსკოვს მყოფი სხვა ქართველები, რომლებიც მეფეს კმაყოფილებით მიუღია. 26 თებერვალს მეფესთან მისულა მოსკოვის კომენდანტი, გენერალ-მაიორი ათანასე ბატონიშვილი თავისი პოლკების ოფიცირების თანხლებით და მშვიდობით მობრძანება მიულოცავს; 3 მარტს მეფე ინახულა მოსკოვის ვიცე-გუბერნატორმა ჟერეპცოვმა, რომელსაც ახლდნენ: პოლკოვნიკი კისელევი, რევიზიის კოლეგის პროკურორი ტუტოლმინი, იუსტიციის კოლეგის წევრი პოხვინები, პერალდმაისტრი ოგარევი. მათაც მეფისთვის მშვიდობით მობრძანება მიულოცავთ. მეფეც, თავის მხრივ, თავაზიანად და თბილად მისალმებია და გამასპინძლებია. საუბრისას მეფეს განუცხადებია, რომ სურდა ჩქარა გამგზავრებულიყო პეტერბურგს.

თავად ე. ამილახვრის ჩანაწერების ეურნალი მოწმობს, რომ მეფეს გულთბილად იღებდა და უმასპინძლდებოდა მოსკოვს მყოფი ყველა უმაღლესი მოხელე. ამასთან, მეფეს კარგი ურთიერთობა დაუმყარებია ვახტანგის შთამომავლებთან (თავის ცოლის ძმებთან) და სხვა ქართველ თავადებთან. იგრძნობა, რომ მეფეს მათთან საერთო ენა გამოუნახავს (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართლის ტახტის უშუალო პრეტენდენტი ალექსანდრე ბაქარის ძე იმ დროს მოსკოვში არ ყოფილა და მეფეს არ შეხვედრია). ერთი სიტყვით, მეფე ყურადღების გარეშე არც ერთ დღეს არ ყოფილა. 26 თებერვლიდან 2 მარტამდე (ჩათვლით) ვიზიტები არ ჩანს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ დიდი მარხვის პირველი კვირა ყოფილა.

თეიმურაზ მეფეს მოსკოვში საქმიანი მოლაპარაკებაც ჰქონია კარის მრჩეველ თავად ე. ამილახვართან. რაკი მეფემ იცოდა, რომ პეტერბურგში მის ჩასვლას არაფერი აბრკოლებდა, თანაც ე. ამი-

ლახვარი სანდო კაცად მიუწინებია, აღარ დაუმალავს რუსეთში გამგზავრების ნამდვილი მიზეზი.

ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთათვის ცნობილი იყო, რომ რუსეთს ირანში თავისი ინტერესები გააჩნდა და დახმარებას სთხოვდა არა შეწყალებისთვის, არამედ თვით რუსეთის სასარგებლოდაც. ქართველმა სახელმწიფო მოღვაწებმა ისიც იცოდნენ (და ეს თეიმურაზს მხოლოდ რუსეთში არ უნდა შეეტყო), რომ შეიძლება რუსეთს ჯარით დახმარება ვერ გაეძედა. ამიტომ აცხადებდა იგი, რომ, თუ სხვადასხვა გარემოების გამო ჯარით შემწეობა არ მოხერხდება, უკიდურეს შემთხვევაში ფულით მაინც დაგვეხმარეო.

მეფის განცხადებიდან ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი მომენტიც. ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებს განხრახული აქვთ ჯარით ირანში შეჭრა და იქ ტახტზე თავისი კაცის (რუსეთისთვის მისაღები კანდიდატის) დასმა, ამიტომ სჭირდებათ რუსეთის მთავრობის სათანადო დასტური («ე. ი. ვ. აპრინაცია»). ასეთ დიდ ნაბიჯს რუსეთთან წინასწარი შეთანხმებისა და დასტურის გარეშე ვერ გადადგამდნენ.

მეფე მოსკოვში მიღებით კმაყოფილი დარჩენილა, მაგრამ რუსეთის მოხელეებთან მოლაპარაკებისას პეტერბურგს დაუყოვნებლივი გამგზავრების სურვილი გამოუთქმას. როგორც ჩანს, მეფეს ყიზლარისა და ასტრახანის გაკვეთილები აშინებდა, მაგრამ საშიში არაფერი იყო. პირიქით, რუსეთის მთავრობა ცდილობდა დაეჩქარებინა თეიმურაზის მოსკოვიდან გამგზავრება, რადგან მარტი დაღა და გზის გაფუჭებისა ეშინოდა, მ. ვორონცოვი საგანგებოდ აკალებდა საგარეო საქმეთა კოლეგის მოსკოვის კანტორის უფროსს მ. სობაკინსა და ამილახვარს: ზრდილობიანი ფორმით ჩაგონეთ თეიმურაზს, რომ წამოსვლა დააჩქაროსო.

1761 წლის 8 მარტს ქართლ-კახეთის ელჩობამ მოსკოვი დატოვა და პეტერბურგისკენ გაემგზავრა. ოფიციალურ გამცილებელთა (რუსეთის მოხელეები, სამხედრო რაზმი) გარდა, თეიმურაზ მეფე სოფელ ვსესვიატსკოვმდე გენერალ-პორუჩიკ გიორგი ბატონიშვილსა (ვახტანგის ძე) და მოსკოვს მყოფ ქართველ თავად-აზნაურობას გაუცილებია. 19 მარტს ელჩობა პეტერბურგისკენ დაძრულა და დღის 12 საათზე მისულა ელჩობისთვის მომზადებულ ბინაში — «ვოლოხთა» თავადის კანტემირის სახლში, სადაც მიუღია სტატს კანტორის მრჩეველს თავ. ეგორ (გიორგი) ამილახვარს.

1761 წლის 21 მარტს მეფეს პირველი ოფიციალური შტავდრა პეტონდა კანცლერ მ. ვორონცოვთან, ხოლო 25 მარტს კანცლერმა

მეფე სადილზე მიიწვია. ფაქტობრივად ამ შეხვედრებით დაიწყო საქმიანი მოლაპარაკება.

პეტერბურგში ჩასვლისთანავე მეფეს უახლესი ცნობები მიუღია საქართველოდან. კერძოდ, 1761 წლის 26 მარტს თეიმურაზ მეფეს წერილი მიუღია ერეკლე მეფისაგან. წერილი 1760 წლის 25 დეკემბერსაა გამოგზავნილი. თეიმურაზ მეფემ შეიტყო, რომ 1761 წლის დეკემბერში ერეკლემ ფანა-ხანი დაამარცხა, განჯის ტახტზე თავისი ერთგული შაპ-ვერდი-ხანი აღადგინა, რომ განჯა და ერეკლე ერეკლეს ემორჩილებოდა და აზატ-ხანიც შეპყრობილი ჰყავდა მას.

ამ ამბებს მოლაპარაკების მსვლელობისთვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. თეიმურაზ მეფე რუსეთის მთავრობას ამავად აცნობებდა ერეკლეს წარმატებებს, რუსეთის მთავრობას კი, კონსტანტინეპოლიდან ა. ობრესკოვის მიერ გამოგზავნილი რელაციების საფუძვლზე (მისთვის უცნობი იყო საქართველოს ამბები), ამ წარმატებისა არ სჯეროდა და მათ ყალბად მიიჩნევდა.

1761 წლის 8 აპრილს მეფეს აუდიენცია ჰქონდა იმპერატორის ოჯახის წევრებთან. რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართველი მეფის მიღებას რომ თერჯეთში მითქმა-მოთქმა არ გამოეწვია, რუსეთის მთავრობას დაუყოვნებლივ, 1761 წლის 12 აპრილს, რესკრიპტი გაუგზავნია კონსტანტინეპოლიში ა. ობრესკოვისთვის, რომლითაც რეზიდენტს აცნობებდა, რომ 19 მარტს პეტერბურგს ჩამოვიდა თეიმურაზი 76 კაცით, რათა წინაპრების მაგალითისამებრ თაყვანი სცეს იმპერატორსო.

ერთი სიტყვით, ობრესკოვს უნდა ეპასუხა თერჯეთის მთავრობისთვის: როგორც თქვენ არ ერვით სპარსეთის საქმეებში, მაგრამ ერთმორწმუნეობის გულისთვის თავშესაფარს აძლევთ აზატ-ხანს და ახლაც მანდ გყავთ, ჩვენ კი ამაზე არაფერს ვამბობთ, ასევე ჩვენც მივიღეთ, ერთმორწმუნეობის გულისთვის, ქართველი მფლობელი და არც თქვენ უნდა თქვათ რამე, მით უმეტეს, რომ სპარსეთში არეულობის დაწყების დროიდან ჩვენ მასში არავითარ მონაწილეობას არ ვიღებთ და ჩაურევლობის პოზიციის შენარჩუნება გვსურსო.

საქმიანი მოლაპარაკების დაწყებამდე თეიმურაზ მეფეს საქართველოდან ახალი ცნობა (ერეკლე მეფის 1761 წლის 23 იანვრის წერილი) მიუღია, რომელიც 21 აპრილს კანცელარიისთვის გადაუცია. ამ წერილის მიღებას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მას ნაწილობრივ უნდა გაეფანტა ის ეჭვები, რომელიც აზატ-ხანის შეპყრობის საკითხზე რუსეთის მთავრობას შეუქმნა ობრესკოვის რელაციამ კონ-

სტანტინოპოლიდან.

ერეკლე მეფე წერილით ატყობინებდა, რომ ფანა-ხანს უთხოვია, აზატ-ხანი მისთვის გაეზავნა, მაგრამ ერეკლეს უარი შეუთვლია. განჯიდან გაქცეულან აზატ-ხანის ჯარისკაცები. ფათალი-ხანი ყარაბაღში ყოფილა, ხოლო ქართველთა მაშველი ჯარი — შაპვერდი-ხანთან; ეს ხანები, ქართველების მაშველი რაზმით, ბარდავისა და შუშის ასაღებად იბრძოდნენ თურმე. ერეკლეს ჭარელებთან ხელშეკრულება დაუდვია («და ჯერჯერობით ზას არ არღვევენო»). ერეკლეს ერეკლეს მფარველობაში ყოფილა და 10.000 მანეს უხდიდა მას. ქერიმ-ხანსა და ფათალი-ხანს შორის დავა გრძელდებოდა. ამბობენ, ქერიმ-ხანს სპარსელები აუჯანყდნენო. ლეკების აშკარა გამოსვლას დიდი ძალებით ადგილი არ ჰქონდა — ცალკეული ქურდული თავდასხმებია, რომელსაც დიდი ზარალი არ მოუტანია.

ასე რომ, თეიმურაზ მეფე, საქმიანი მოლაპარაკების წინ საქართველოსა და კავკასიაში არსებულ ვითარებას კარგად იცნობდა, თანაც, ერეკლეს წარმატებანი თეიმურაზ მეფეს საშუალებას აძლევდა მნიშვნელოვანი საკითხები გაბედულად დაესვა რუსეთის მთავრობის წინაშე.

1761 წლის 28 აპრილს დაიწყო საქმიანი მოლაპარაკება თეიმურაზ II-სა და რუსეთის იმპერიის კანცლერ მ. ვორონცოვს შორის. მეფეს კანცლერისთვის გადაუცია ქართულად დაწერილი ბარათი და უთხოვია, მოხერხებულ დროს გადაეცა იგი იმპერატორისთვის. მასში ზოგადად გაშუქებულია საქართველოს პოლიტიკური ვითარება და ჩამოყალიბებულია ძირითადი მოთხოვნები: 1) ლეკთა ყაჩაღური თავდასხმები საქართველოს აოხრებს, მაშველი ჯარი ამიტომ გვჭირდება, მაგრამ «შემცირება შემოსავლისა ნებას არ გვრთავს» და ჯამაგირით სამხედროსა მსახურებასა მოსამატათ ქართველთა თანა სომებთაგან და ყაბარდოთაგან შემრავლებასო»; ამიტომ «ესრეთ დამხობით წინაშე ფერხთა თქუენისა ყოვლად უგანათლებულობისა იმპერატორის დიდებულობისა უმდაბლესად და მონებრივ მოვიყედრებ უუმაღლესს შემწეობასა ჯარითა გინა ყოვლად უუმოწყალესის შეწყნარებით მერაოდენისამე წელით გამოჩინებულით თეთრის ხაზინით, რომელსა უკვე პირველსა კელის გამართვას ჩემსა დადგინებასა ყოვლად უმდაბლესის მადლობით ხაზინასა შინა თქუენის იმპერატორის დიდებულობისა მოქცევას ვითანამდებებ». 2) როცა ქართლსა და კახეთს მტერთაგან სიმშევიდეს მოუპოვებ, «საქართველოსა და კახეთსა საიმედოთი შეიარაღებულის ერითა

მწადის გამორჩეულის დასით სპარსეთში შევიდე, რათა მოყუანებად ერთხმობით ჩინებულთა სპარსთა შეკრძანი ვინათგან მით შევიძლო შემოკლება შფოთისა და ვეცადღ მოგროვებულის ძალით ყევნი კეთილმოსურნე, რუსეთის შესამატათ, ერანის ტახტზე აღვიყვანო». განსაკუთრებით საინტერესოა მეფის მეორე წინადადება, რომლითაც ნავარაუდევია ირანის ბატონობისაგან საქართველოს საბოლოო გამოხსნის საკითხის გადაწყვეტა. ქართველ მეფებს გადაუწყვეტიათ, რომ, როგორც კი ლექთა საკითხს მოაგვარებდნენ, ქართლ-კახეთის ჯარით ირანში შეკრილიყვნენ, არეულობისთვის ზღვარი დაედოთ და ირანის ტახტზე თავიანთი კანდიდატი დაესვათ. რუსეთს დაინტერესების მიზნით პირდებიან: თქვენთვის სასურველ პირს ავიყვანთ ირანის ტახტზეო.

თუმცურაზ მეფის წინადადებანი 1761 წლის 30 აპრილს კანცლერს იმპერატორისთვის მოუხსენებდა, მაგრამ თუმცურაზ მეფის წინადადებაზე რუსეთის მთავრობა პასუხს რომ არ ჩქარობდა, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობას ვეროპაში არახელსაყრელი ვითარების მიუხედავად არ სურდა ქართველი მეფის ხელცარიელი გამოსტუმრება და კავკასიაში ფეხის მოკიდების მარჯვე შემთხვევის ხელიდან გაშვება. სხვა რომ არა იყოს რა, ხელცარიელი გამოსტუმრება ერთგულ კავკასიელ მოკავშირეს რუსეთზე გულს აუცრუებდა, რაც არ შეიძლებოდა მისთვის სასურველი ყოფილიყო. ერთი სიტყვით, რუსეთის მთავრობა ვეროპაში ვითარების შეცვლას ელოდებოდა, თუმცურაზ მეფე — რუსეთის მთავრობის პასუხს.

რუსეთის მთავრობა მეორე ფრონტის შიშით ცდილობდა ჩაეშალა თურქეთ-პრუსიის კავშირი, არ დაეშვა თურქეთის ჩარევა სპარსეთის საქმეებში, ვიდრე რუსეთი პრუსიასთან ომით იყო დაკავებული. რუსეთის დიპლომატიამ თურქეთის შინაგანი სისუსტის ვითარებაში ფრთხილი პოლიტიკით ორივე ამოცანის განხორციელება შეძლო. მაგრამ სწორედ ეს ფრთხილი პოლიტიკა აფერხებდა ქართველი მეფისთვის გარკვეული პასუხის მიცემას და თუმცურაზი პასუხის მოლოდინში პეტერბურგში რჩებოდა. რუსეთის მთავრობას კავკასიის საკითხში ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ პრუსიასთან ომის დამთავრების შემთხვევაში შევძლო, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთ-პრუსიის სამეცნიერო და კომერციული ხელშეკრულება შეიძლებოდა თურქეთ-პრუსიის სამხედრო კუშირად გადაქცეულიყო.

ასე რომ, 1762 წლიდან რუსეთს კავკასიაში სამოქმედოდ ხელე-

ბი უნდა გახსნოდა, რასაც ელოდებოდნენ რუსეთის მთავრობა და თუმცურაზ II. მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ: 1761 წლის 25 დეკემბერს გარდაიცვალა ელისაბედ პეტრეს ასული, ტახტზე ავიდა პეტრე III, რასაც მოპყვა მკვეთრი მობრუნება რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. რუსეთი ყოფილი მოკავშირების წინააღმდეგ ბრძოლის სამზადის შეუდგა ფრიდრიხ II-ის გადასარჩენად, რამაც საქართველოს საკითხი უკანა პლანზე გადაწია.

ელისაბედ პეტრეს ასულის გარდაცვალებიდან 2 დღის შემდეგ, 1761 წლის 27 დეკემბერს, ფაქტობრივად გადაწყდა თუმცურაზ მეფის სამშობლოში ხელცარიელი გამოსტუმრების საკითხი. ამჯერად, რაკი ახალი იმპერატორი პრუსიული ორიენტაციისა იყო, ალბათ, კარისკაცებს აღარ ეჭვებოდათ, რომ ვეროპაში საქმეებს შემდგომი გართულება ელოდა და ქართველი მეფისთვის სხვა პასუხის მიცემა, გარდა სიტყვიერი დაპირებით გამოსტუმრებისა, გამორიცხული იყო. თუმცა ახალ იმპერატორს გადაწყვეტილების მიღება დიდად არ დაუყოვნება, მაგრამ 1762 წლის 8 იანვარს, საღამოს 6 საათზე, გარდაცვალა თუმცურაზ II.

საქართველოში ელჩის დაბრუნება და ერეკლესათვის მხოლოდ იმედიანი სიტყვის შემოთვლა საბოლოოდ გადაწყდა. რაც შევხება თუმცურაზ მეფის მიერ რუსეთის მთავრობისთვის წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს, ისინი შეუსრულებელი დარჩა.

1762 წლის 8 (19) თბერვალს გამოქვენდა დეკლარაცია პრუსიასთან საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. 5 (16) მარტს იმპერატორმა ხელი მოაწერა პრუსიასთან დროებით ზავს, ხოლო 24 აპრილს (6 მაისს) — სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლითაც რუსეთმა მთელი დაპყობილი ტერიტორია საზღაურის გარეშე დაუბრუნა პრუსიას; კიდევ მეტი, რუსეთის 20 ათასიანი არმია გადასცა ფრიდრიხ II-ის განკარგულებაში და ყოფილი მოკავშირების წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყება უბრძანა.

აღსანიშნავია, რომ 1762 წლის 31 იანვარს ერეკლესათვის გასააგზანი საჩუქრების სია შეუდგენიათ, სადაც ერეკლე გაერთიანებული ქართლისა და კახეთის მეფედ იხსენიება, რაც მის ოფიციალურ ცნობასაც ნიშნავდა (ვახტანგის მემკვიდრეთა სურვილის საწინააღმდეგოდ). ასე რომ, რუსეთმა ადრუე მისცა ოფიციალური სანქცია იმას, რაც ერეკლემ შემდეგ განახორციელა.

მართალია, ამას თავისთვად დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ რუსეთის დიპლომატიის ეს უკანდახევა და საჩუქრები, დაპირ-

ებასთან ერთად, ერეკლე-თეიმურაზის წინადაღების უპასუხოდ დატოვების თავისებური კომპენსაცია იყო.

1762 წლის 18 (თუ 20) თებერვალს ქართლ-კახეთის ელჩობა პეტერბერგიდან გამოსულა. ხოლო 26 თებერვალს იგი უკვე მოსკოვს ჩასულა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პეტერბურგიდან ქართლ-კახეთის ელჩობა სრული შემადგენლობით არ გამოსულა, როგორც ეს სიებშია მოხსენიებული (მას აკლდა რუსთავის ეპისკოპოსი იოანე და თავ. გ. ციციშვილი, მსახურებითურთ). არქიეპისკოპოსი იოანე თავისი ნებით დარჩენილა რუსთავი, ხოლო გ. ციციშვილს ვალის უმაღლეთარვა ვერ მოუხერხებია და დროებით დარჩენილა პეტერბურგში.

1762 წელს 4 მარტს ელჩობა მოსკოვიდან გასულა და 19 მარტს ჩასულა ყაზანში, სადაც 26 აპრილამდე დარჩენილა.

მოსკოვში ქართველებს შეუტყვიათ, რომ სახმელეთო გზით ყაზანამდე გზავნიდნენ, ხოლო ყაზანიდან ვოლგით უნდა გამგზავრებულიყვნენ, რაც ყინულის გალლობამდე (გაზაფხულამდე) შეუძლებელი იქნებოდა; ასეთი გზავრობით გზაში ძალზე დაუგვიანდებოდათ, ზაფხული მოუსწრებდათ და ცხედრის საქართველოში ჩამოსვნება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ მოსკოვიდან გასვლის წინა დღეს, 1762 წლის 3 მარტს, საგარეო საქმეთა კოლეგის მოსკოვის კანტორისთვის გადასაცემად ქართველ თავადებს ასეთი თხოვნა შეუდგენიათ: «о погребени тела его светлости покойного владетеля нашего в Астрахани, где погребен и покойный грузинской царь Вахтанг Леонович». საგარეო საქმეთა კოლეგის ზემოაღნიშნული თხოვნა მაღლ მიუღია და დათანხმებულა.

1762 წლის 26 აპრილს ქართლ-კახეთის ელჩობა გავიდა ყაზანიდან და 26 მაისს ასტრახანს ჩავიდა. 4 ივნისს თეიმურაზ მეფე «по отправлении литургии с отпевом по обыкновению с подобающею по церковному чиноположению честию, при нем губернаторе и прочих штат и обер офицерах и при множестве народа погребен с звоном». ასე დაასრულა თავისი სიცოცხლე XVIII ს-ის ცნობილმა პოეტმა და დიდმა სახელმწიფო მოღვაწემ თეიმურაზ II-მ.

1762 წლის 20 ივნისს ქართლ-კახეთის ელჩობა ასტრახანიდან ყიზლარისკენ წმოვიდა. მას მოაცილებდა პრაპორშჩიკი დ. მანლოვი, რომელსაც თან მოპქონდა ასტრახანის გუბერნატორ ვ. ნერონოვის წერილი ერეკლე მეფესთან. ვ. ნერონოვის წერილში (რომელიც 1762 წლის 13 ივნისთა დათარიღებული) სამძიმარია გამოთქმული თეიმურაზ მეფის გარდაცვალების გამო, შემდევ ლაპარაკია იმაზე,

თუ როგორი პატივით იქნა გამოცილებული ელჩობა პეტერბურგიდან და როგორ დაასაფლავეს თეიმურაზი ასტრახანში; გუბერნატორი საგანგებოდ ჩერდება რუსეთის მთავრობის მხრივ ერეკლე-სადმი გამოჩენილ ყურადღებაზე და გაკვრით იხსენიებს საჩუქრებს, რომელთა ჩამოთვლა ზედმეტად მიუწვდია (მასზე კანცლერი წერსო); ბოლოს, გუბერნატორი აღნიშნავს, რომ, როგორც კი ამაღლა ჩამოვა, პრაპორშჩიკი მანლოვი, რომელიც ელჩობის უკეთ გაცილების მიზნით გამოუგზავნე, სასწრაფოთ უკანვე დაბრუნე საპასუხო წერილითო.

ელჩობა 1762 წლის 28 ივნისს ყიზლარს ჩასულა, ხოლო 20 აგვისტოს თბილისს დაბრუნდა.

\*\*\*

ქართველი კოლონისტები, საქართველოსთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, პირობით შეიძლება დავყოთ სამ ძირითადად ჯგუფად:

პირველი ჯგუფი, რომელსაც ალექსანდრე ბაქარის ძე ბატონიშვილი მეთაურობდა, ქართლის ტახტისთვის იბრძოდა და კაზი ბაგრატიონისადმი მტრულად იყო განწყობილი. ეს ჯგუფი ძალზე სუსტი და მცირერიცხოვანი იყო, რაც იმითაც უნდა იყოს გაპირობებული, რომ მას რუსეთის მთავრობა მხარს არ უჭერდა.

მეორე ჯგუფი, რომელიც კოლონისტების უმრავლესობას შეადგენდა, კმაყოფილი იყო რუსეთში მიღებული ყმა-მამულით, მტკიცედ იდგა რუსეთის სამსახურში, სამშობლოში დაბრუნებაზე აღარ ფიქრობდა, ქართლის ტახტის გარშემო წარმოებული ბრძოლისაგან თავი შორს ეჭირა (უთუოდ იცოდა რუსეთის პოზიცია) და ერეკლე-თეიმურაზის მიმართ ლოიალური იყო (ამ ჯგუფს ეკუთვნოდა ბატონიშვილების ნაწილიც, რომელთაც ქართლის ტახტზე პრეტენზია არ ჰქონიათ). ამ ჯგუფიდან ზოგიერთმა იმდენად დაუკავშირა თავისი ბედი რუსეთს, რომ საქართველოში რუსეთის დაზვერვის აგენტობაც კი იკისრა (ო. თუმანოვი).

მესამე ჯგუფი კოლონისტთა პატრიოტულად განწყობილი ნაწილი იყო, რომელსაც სამშობლო მიწის სურნელი წწეოდა და, როგორც ჩანს, ისევ უკან დაბრუნებაზე ოცნებობდა, ამიტომ ერეკლე-თეიმურაზთან ახლო ურთიერთობაში იყო.


ქართველი კოლონისტების ასეთი დაყოფა იმით იყო გაპირობებული, რომ XVIII ს. 50-60-იან წლებში დასაულეთის ამბებით დაკა-

ვებული რუსეთი საქართველოს საქმებში არ ერეოდა, ცდილობდა კავკასიაში სიმშევიდე შევნარჩუნებინა, რომ თურქეთისთვის არ მიეცა ირანის საქმებში ჩარევის საბაბი. ამიტომ რუსეთი ქართლის ტახტის მაძიებლებს არა თუ არ სწყალობდა, 50-60-იან წლებში საქართველოში წამოსვლის ნებასაც არ აძლევდა, რითაც ფაქტობრივად ერეკლე-თეიმურაზის მხარდამჭერის როლში გამოდიოდა.

რაც შევხება ერეკლესა და თეიმურაზს, ისინი ქართველ კოლონისტთა პატრიოტულ ხაწილთან მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ, წყალობას პირდებოდნენ და მათი მეშვეობით საჭირო ინფორმაციას აგროვებდნენ; მათივე მეშვეობით ქართლის ტახტისთვის მებრძოლთა რიგებს თიშავდნენ და ამ უკანასკნელთა პოზიციებს ასუსტებდნენ. ისიც შეინიშნება, რომ თეიმურაზი და ერეკლე დიპლომატიურად ელოლიავებოდნენ თვით ვახტანგ VI-ის შთამომავლობას და ცდილობდნენ «დაემტკიცებინათ» ბატონიშვილებისთვის, რომ ერეკლე-თეიმურაზის წარმატებანი მათთვის «უსარგებლო» არ იქნებოდა.

ვახტანგის შთამომავალთა ერთი ნაწილი, რომელსაც ესმოდა, რომ ერეკლესა და თეიმურაზს ქართლი საკმაოდ მაგრად ეჭირათ ხელში და რუსეთის მთავრობაც საქართველოს საქმებში ჩარევას არ ფიქრობდა, გრძნობდა — ქართლში დაბრუნებაზე ფიქრი ფუჭი იცნება იყო. ამიტომ ისინი საბოლოოდ შეურიგდნენ მომხდარ ფაქტს და თეიმურაზს ისე შეხვდნენ რუსეთში, როგორც ნათესავს. მხოლოდ ალექსანდრე ბაქარის ძე და მისი თანამოაზრე რამდენიმე თავადი, რომელიც რუალურ ვითარებას ჯეროვნად ვერ აფასებდნენ, ერეკლესადმი მტრობაზე ხელს კვლავ არ იღებდნენ.

მოამზადა გრიგოლ რუხაძემ.



## მაშალიშვილია მოსახსევებლი

**რაფიელ ერისთავი — 180** (1824-1901, თელავი), ქართველი პოეტი, დრამატურგი, ლექსიკოლოგი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი. ბავშვობა და ცხოვრების საუკეთესო წლები რ. ერისთავმა გაატარა კახეთის სოფელ ქისტაურში. ქართული წერა-კითხვა მას დედამ ასწავლა, ხოლო რუსული ენა — საგანგებოდ მოწვეულმა მასწავლებელმა. 7 წლის რაფიელი თელავის სამაზრო სასწავლებელში შეუფანიათ, მაგრამ რაფიელის მამას არ მოსწონებია იქაური სწავლების რეჟიმი (ქართული ენის უგულებელყოფა) და 1831 წელს თავისი ვაჟი შეუამთის მონასტრის წინამდგარ ფილადელფოს კინაძისთვის მიუბარებია. ერთი წლის შემდეგ ფილადელფოს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის დააპატიმრეს. 1833 წელს რაფიელი მშობლებმა გორში გადაიყვანეს სასწავლებლად. 1836 წლიდან რაფიელი თბილისში ცხოვრობს, სადაც 1845 წელს წარმატებით ამთავრებს გიმნაზიას.

სწავლის გაგრძელება რ. ერისთავმა უსახსრობის გამო ვერ მოახერხა და 1847 წელს თარჯიმნად დაიწყო მუშაობა თუშ-ფშავ-ხევსურეთში. 1849 წელს იგი გადაიყვანეს სამუშაოდ ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს კანცელარიაში, სადაც 1851 წელს უფროსის თანაშემწედ დანიშნეს.

რ. ერისთავი გიმნაზიის დამთავრებისთანავე ჩაება საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. მისი ლიტერატურული ურთიერთობა ქართველოლოგ, აკადემიკოს მარი ბროსესთან, ჯერ კიდევ მწერლის სიჭაბუკის წლებში, ქართული კულტურის სიყვარულით იყო შთაგონებული. მარი ბროსესა და რ. ერისთავის მიმოწერა მეტად საინტერესოა XIX ს-ის 50-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქართველოს კულტურული ვითარების შესწავლის თვალსაზრისით.

1852 წლის „ცისკარში“ (№7) დაიბეჭდა ახალგაზრდა პოეტის პირველი ლექსები — „დარიგება“ და „ყველის“. რაფიელ ერისთავი

აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „კავკაზში“. გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა მისი მიმოხილვები, ეთნოგრაფიულ-ისტორიული წერილები.

1855 წელს რ. ერისთავი ქუთაისში გადაიყვანეს განსაკუთრებულ დავალებათა უფროს მოხელედ. 1857 წლიდან 1867 წლამდე იგი ზუგდიდის მაზრის უფროსად მუშაობდა და ხელმძღვანელობდა სამეცნიეროში საგლეხო რეფორმის გატარებას. თბილისიდან ქუთაისამდე მგზავრობისას და იმერეთში მიღებული შთაბეჭდილებანი რ. ერისთავმა აღწერა სტატიების სერიაში „წერილები იმერეთიდან“ („კავკაზი“, 1857 წ.).

1889 წლის მარტიდან 1896 წლის ოქტომბრამდე რ. ერისთავი კვლავ სახელმწიფო სამსახურში, კავკასიის საცენტრო კომიტეტში იმყოფებოდა ცენტორის თანამდებობაზე.

1896 წელს რ. ერისთავმა დაასრულა თავისი შრომა სვანეთის შესახებ, რომელიც „ნოვოე ობოზრენიეში“ დაიბეჭდა. იმავე წელს მან თავი დაანება სამსახურს და ცხოვრების უკანასკნელი წლები თავის შშობლიურ კუთხეში გაატარა.

მიუხედავად მოხუცებულობისა, რაფიელ ერისთავი სიცოცხლის უკანასკნელ დღებამდე განაგრძობდა შემოქმედებითს მუშაობას. ბოლო ხანებში იგი მუშაობდა ოპერის („ნუგზარ“) ლიბრეტოზე, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა.

რაფ. ერისთავის მოღვწეობის 50 წლის იუბილე დიდი ზეიმით იქნა გადახდილი 1895 წლის ოქტომბერში. 1899 წლიდან რაფიელი ხშირად აგადმყოფობდა.

1901 წლის იანვარში რ. ერისთავის ჯანმრთელობა გაუარესდა და 4 მარტს იგი 77 წლის ასაკში გარდაიცვალა. თელავიდან პოეტის ნეშტი წაასვენეს სოფ. ქისტაურში. მიცვალებულის კუბოს ზღვა ხალხი აცილებდა. პროცესიას წინ მიუძღვებოდნენ ძაძებით შემსილი ხევსური ცხენოსნები. მთელი გზა მოფენილი ყოფილა ღვით, ღაფნით და სუროთი. გზის გაყოლებით მარჯვნივ და მარცხნივ შუამთაში, იყალთოში, ალავერდში გამუდმებით რეკავდნენ ზარები. ქისტაურში პოეტის ნეშტი დაიტირა მისმა საყვარელმა გლეხობამ და მოწიწებით მიაბარა შშობლიურ მიწას.

1911 წელს აკაკი წერეთელმა და სასულიერო პირებმა ინახულეს რაფიელ ერისთავის საფლავი ქისტაურში და პანაშვიდი გადაუხადეს. 1938 წელს რაფიელ ერისთავის ნეშტი თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ეზოში გადაასვენეს. ამჟამად

სოფელ ქისტაურში მოქმედებს პოეტის სახლობის სახლ-მუზეუმი.

### თავად რაფიელ ერისთავს

როს შშრომელ გლეხთა ვაებით  
საბრალოდ აცრემლებული,  
ზეცას შეჰკვნესდი, მგოსანო,  
ერისთვის თავდადებული;  
როს ერის კეთილდღეობით  
საამოდ აღტაცებული,  
სიმთ აჟღერებდი ტებილ-ხმაზედ,  
ვით ზეცით მოვლინებული;  
როს დაპგალობდი სამშობლოს,  
ის იყო შენი ტრფიალი,  
მისთვის გაპქონდა შენს ჩანგსა  
გულის წარმტაცი წკრიალი...

მაშინ, მგოსანო, ქართველი  
თურმე ციურ ძეგლს გიგებდა  
და წარსულ შრომას, ვაებას  
აწმყოთი აგეირგვინებდა.  
შენმა სიტყვებმა მის გულში  
უკვე გაიდგა ფესვია,  
მოიმკე, წმინდა მხცოვანო,  
რაც სიყრმით დაგითესია;  
ნამგლად იხმარე ერისგან  
გრძნობით პაერში ძახილი:  
„ვაშა, რაფიელ, გამრავლდეს  
მამულში შენებრი შვილი!“

სოსელო, 16 წლის  
(იოსებ სტალინი), 1895წ.

**ივანე მაჩაბელი — 160** (1854 — დაიკარგა 1898), ქართველი მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა გაღარიბებული მემამულის, გიორგი მაჩაბლის ოჯახში. ბავშვობა მან უკიდურეს გაჭირვებაში გატარა. ივანე აღზარდა პაპიდამ, ელენე დიასამიძემ. ივანე მაჩაბელი 14-15 წლის ასაკში იწყებს ლექსების წერას. სამუალო ცოდნას იგი თბილისის გიმნაზიაში იღებს. ჭაბუკი გატაცებით ეწაფება ქართულ და რუსულ ლიტერატურას, ბეჯითად სწავლობს უცხო ენებს. გიმნაზიის კურსის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, 1871 წელს, მიემგზავრება პეტერბურგში, თავის ძმასთან — ვასილთან, რომელიც უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა.

ივანე მაჩაბელი ამ დროს ბუნებისმეტყველებით იყო გატაცებული და სწორედ ამ დარგზე შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. მალე, ძმის ზეგავლენით, იგი დაინტერესდა იურიდიული მეცნიერებით და ეს ფაკულტეტიც დაასრულა. პეტერბურგის უნივერსიტეტში ორ ფაკულტეტზე სწავლას ი. მაჩაბლისათვის ხელი არ შეუშლია, გაეღრმავებინა თავისი ერუდიცია ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში. იგი გაუტაცნია პროგრესულ საზოგადოებრივ იდეებს.

ფანე მაჩაბლის მსოფლმხედველობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს 60-70-იანი წლების რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატებმა. ამ დროს რუსეთის რევოლუციურ-ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდნენ მოწინავე ქართველი ახალგაზრდებიც. აღსანიშნავია, რომ ქართველ რევოლუციონერ ხალხოსნებს სამშობლოში დაბრუნებისას დაუკავშირდა ფანე მაჩაბლი.

1873 წლის ზაფხულში, ბანკის საქმეების გამო, პეტერბურგში ჩავიდა ილია ჭავჭავაძე, რომელიც ახლო ურთიერთობაში იყო გასილ მაჩაბლთან. ფანე მაჩაბლმა ილიას გაუზიარა თავისი განზრახვა და სთხოვა ერთად ეთარგმნათ შექსპირი. 1873 წლის „კრებულის“ მეათე ნომერში დაიბეჭდა „მეფე ლირის“ პირველი მოქმედების თარგმანი. 1874 წელს ივ. მაჩაბლი სამშობლოში დაბრუნდა და იმავე წლის ბოლოს, აგრონომიულ მეცნიერებათა შესწავლის მიზნით, გაემგზავრა ოპენჰაიმის აკადემიაში (შტუტგარტის მახლობლად), სადაც ორი წელი დაჰყო.

1878 წელს ივ. მაჩაბლი საფრანგეთიდან პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც ქართველ სტუდენტთა წრეში მოხსენებებს კითხულობდა ლიტერატურულ თემებზე. ერთი წლის შემდეგ იგი საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. 1883 წელს იგი გაზეთ „დროების“ რედაქტორი ხდება. მაგრამ 1885 წლის სექტემბერში, გაზეთი დახურულ იქნა მთავრობის მიერ მეფის ხელისუფლების საწინააღმდეგო წერილების სისტემატურად ბეჭდვის გამო, გაზეთის რედაქტორი კი პასუხისმგებაში მისცეს და სამუდამოდ აუკრძალეს ნებისმიერი გამოცემის რედაქტორობა.

ქართველი კულტურისათვის ყველაზე ფასეული გამოდგა ვანო მაჩაბლისეული გენიალური თარგმანები შექსპირის ტრაგედიებისა: „მეფე ლირი“ (ი. ჭავჭავაძესთან ერთად), „ოტელო“, „პამლეტი“.

1897 წლის მაისში იგი მძიმედ გახდა ავად ჩირქოვანი პლევრიტით. 1898 წლის 26 ივნისს ფანე მაჩაბლი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა.

**მელითონ კალევარიძე — 150** (1864 — 1942), ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ფოლკლორისტი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1894 წელს კიუვის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მასწავლებლად ქუთაისა და ფოთში. იკვლევდა ხალხური ზეპირსიტყვიერების საკითხებს, კრებდა და აქვეწებდა ფოლკლორულ ნიმუშებს. 1893-1894 წლებში უკანალ „მოამბეში“ დაიბეჭდა მისი ნაშრომი „სახალხო პოეზია

და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“ (ცალკე წიგნად — 1896, ქუთაისი). 1915 წელს გამოსცა ხალხური ზღაპრების, აფორიზმებისა და გამოცანების კრებული.

შეადგინა სახელმძღვანელოები სკოლებისათვის: „სიტყვიერების თეორია“, „ქართული ქრესტომათია“, „ქართული ენის გრამატიკა“ და სხვ. მელიტონ კელენჯერიძე ავტორია გამოკვლევებისა ქართული ეკლესიის ისტორიიდან: „გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა“ (1913), „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“ (1918), „სიმართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე“ (რუსულ ენაზე, 1906) და სხვ.

მრავალმხრივ განსწავლული მოღვაწე და მეცნიერი თავის სიტყვას ამბობდა ფოლკლორისტიკაში, თეოლოგიაში, სიტყვიერების თეორიაში. დაუდალავად წევანდა ქულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

**გალგა დადიანი — 140** (1874 — 1959), ქართველი მწერალი, ლრამატური, მსახიობი, თეატრის მოღვაწე; საქართველოს სახალხო არტისტი (1923). დაიბადა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ დადიანის ოჯახში. სწავლა-განათლება მიიღო შინ მოწვევული მასწავლებლების ხელმძღვანელობით. უკვე ადრეული სიჭაბუკის წლებში გაიტაცა ეპოქის პროგრესულმა სოციალ-პატრიოტულმა იდეალმა. ამ იდეალით არის გამსჭვალული მისი ლექსების პირველი კრებული „ნაპერწკალი“ (1892) და პროზაული მინიატურები (იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“ 1896-იდან). 1893 წლიდან დადიანმა მსახიობობა დაიწყო და შემდგომში ვლადიმერ ალექსიმესხიშიშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი გახდა ქუთაისის თეატრში. 1908 წელს ჩამოაყალიბა „მოძრავი დასი“, რომელიც რევოლუციური შინაარსის სპექტაკლებს დგამდა საქართველოს სამრეწველო ცენტრებში, აგრეთვე ბაქოსა და ნოვოროსისკში. მეფის ცენზურის აკრძალვის მიუხედავად, ამ დასმა პირველმა დადგა მაქსიმ გორგაის პიესა „უკანასკნელინი“.

1905 წლის რევოლუციას უკავშირდება დადიანის დრამატული შემოქმედების დასაწყისი. პიესა „მღვიმეში“ (1905) ალექსანდრიული ფორმით ასახავს მშრომელი ხალხის ბრძოლას სოციალური და ეროვნული თანასწორობისთვის. პიესაში „როს ნაღიმობდნენ“ (1907) დადიანი ღროებით მოვლენად მიიჩნევს რეაქციის ბნელი ძალების ზეიმს და წარმოსახუს ხალხის მშადებას ახალი ბრძოლებისათვის. როგორც იდეურ-თემატურად, ისე ფორმით დადიანის

ადრინდელ პიესებს ბევრი რამ აკავშირებს მ. გორგის დრამატურგიასთან. პიესაში „გუშინდელნი“ (1917) დადიანმა ძველი, რეაციული სამყაროს გარდაუგალი დაცემისა და მოახლოებული განახლების წინათვარებისა გამოხატა.

შ. დადიანი არსებითად კომედიური უანრის ფუძემდებელია ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში. დრამატული უანრის აღორძინების ერთ-ერთი პირველი ცდა იყო შ. დადიანის პიესა „თეთნულდი“ (1931), რომელშიც აუტორმა თანამედროვე სვანეთის ფონზე ძველისა და ახლის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ახალი სამყაროს გარდაუგალი გამარჯვება დაგვიხატა. ისტორიულ-რევოლუციურ დრამაში „ნაპერწკლიდან“ (1937) ასახულია XX ს-ის დამდგას საქართველოს მუშათა კლასის საბრძოლო შეკავშირება ბოლშევიკური ორგანიზაციების გარშემო.

შ. დადიანი აუტორია პირველი ისტორიული რომანისა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. რომანში „გიორგი რუსი“ (1916-1926) ასახულია XII-XIII სს-ის საქართველო. რომანში „გვირგვილიანების ოჯახი“ (1954) დადიანმა ასახა ქართველ თავადაზნაურობის ეკონომიკური და სულიერი დეგრადაცია, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ გლეხობის ბრძოლა XIX-XX სს-ის მიჯნაზე. ქართული მემუარული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია მწერლის მოგონებათა წიგნი „რაც გამახსენდა“ (1959).

შ. დადიანს დაწერილი აქვს აგრეთვე მრავალი მოთხრობა, ნოველა, ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილი; თარგმნა შექსპირის, შილერის, ბაირონის, ჰაუპტმანის, ჰოფმანსტალის, ლ. ანდრევებისა და სხვათა პიესები. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მსახიობთა კავშირს, იყო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე (1950-1959). ქართული თეატრის ცენტრი 200-ზე მეტი როლი აქვს განსახიერებული. აღსანიშნავია მისი რეჟისორული მოღვაწეობაც. შ. დადიანის პიესებს თვალსაჩინო აღგილი ეკავა ქართულ საბჭოთა თეატრის რეპერტუარში.

**ლეო ქიაჩელი — 130** (ნამდვილი სახელი და გვარი ლეონ მიხეილის ძე შენგელაძია; 1884 — 1963), ქართველი მწერალი. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1904-1905 წლებში, სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1905-1907 წლების რევოლუციაში აქტიური მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. 1907 წელს გაიქცა ქუთაისის ციხიდან. ერთხანს არა-

ლეგალურად ცხოვრობდა მოსკოვში. 1912 წელს გაემგზავრა შვეიცარიაში, სწავლობდა უნივერსიტეტში. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში.

1909 წელს გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა. ლ. ქიაჩელის ადრინდელ ნოველებში საგრძნობია სიმბოლისტური და იმპრესიონისტული მიმდინარეობისათვის ნიშანდობლთვი მოტივები — სკეფსი („შეურაცხყოფილი“), ნილის ფილოსოფია („Escalade“), დუმილის თეორია („სტეფანი“, „ისკანდერი“), ბედისტერის პრობლემა („ცოდვის შვილები“) და სხვ. ამავე პერიოდიდან იჩინა თავი ქიაჩელის რეალისტურმა თვალთახედვამაც. საბჭოთა პერიოდში შექმნილ საუკეთესო ნოველებში ქიაჩელმა დიდი მხატვრული სიმართლითა და ფსიქოლოგიური სიღრმით გადმოსცა ყოფილი თავადების სოციალური და პიროვნული კატასტროფა („თავადის ქალი მაია“, 1927), შვილის დამკარგავი მამის მძაფრი სულიერი ტრაგედია („ალმასგირ კუბულანი“, 1925), ორი ურთიერთდაპირისპირებული მორალური მრწამსის ჭიდილი („პაკი აბბა“, 1933). ლ. ქიაჩელის პირველი რომანი „ტარიელ გოლუა“ (1916) უახლესი ქართული ლიტერატურის საეტაპო თხზულებაა. ეს არის რომანი, რომელიც ასახავს 1905 წლის რევოლუციას სამეცნიერო სოფლის ფონზე. მწერალი წარმოგვიდგენს თაობათა სრულ იდეოლოგიურ ერთიანობას კლასობრივი ბრძოლის პირობებში. თანამოაზრენი არიან მამაშვილი — სიბრძნით და ქედუხრელობით ცნობილი შერომელი გლეხი ტარიელ გოლუა და „ერთობის“ მოთავე ახალგაზრდა ლევანი. ამ რომანშვე პირველად იჩენს თავს მამაშვილური სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის იდეა, რომელიც გასდევს ქიაჩელის მთელ შემოქმედებას („ალმასგირ კიბულანი“, „მამა და შვილი“, „მთის კაცი“). რომანში ნაჩვენებია რევოლუციური ბრძოლის აღმაფლობა, ხალხის ერთსულოვნება, რეაქციის მძვინვარება სოფლად. ღრმად ოპტიმისტურია რომანის ეპილოგი.

ლ. ქიაჩელის მოდვენო რომანი „სისხლი“ (1926-1927) წარმოსახავს რეაქციის ხანას საქართველოში. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ლ. ქიაჩელის რომანმა „გვადი ბიგვა“ (1936-1937; სსრკ სახელმწიფო პრემია, 1941), რომელშიც წარმოდგენილია 30-იანი წლების ქართული სოფლის ცხოვრება: შენიღბული რეაქციული ძალები (არჩილ ფორია), კურძომესაკუთრული გრძნობით შეპყრობილი გლეხობა (გოჩა სალანდია), სიზარმაცე და ცუდლუტობა (გვადი ბიგვა). რომანის იდეური ხაზია ახალი ადამიანის ჩამოყალიბება. გვადის ფერისცვალება ფსიქოლოგიური ტაქტით არის წარმართუ-

ლ.

ლ. ჭიახელის უკანასკნელი რომანია „მთის კაცი“ (1948), რომელიც სამამულო ომს ეძღვნება.

ლ. ჭიახელის პროზა სადაა, მკვიდრად შეკრული. მწერალი ხასიათების გამოკვეთისა და ფსიქოლოგიური მოტივების დიდი ოსტატია.

**მიხეილ ჭიაშვილი — 120** (1894 — 1974), დიდი ქართველი რეჟისორი. 1912 წელს დაამთავრა თბილისის ფერწერისა და ქანდაკების სკოლა. 1915 წლიდან მუშაობდა თბილისის, ქუთაისის და ბათუმის თეატრებში მსახიობად, რეჟისორად, მხატვრად. 1921 წელს თბილისში დაარსა სატირის თეატრი. 1925-1927 წლებში იყო მუშათა თეატრისა და „წითელი თეატრის“ რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. კინემატოგრაფში მონაწილეობა მიიღო ფილმებში: „არსენა ჯორჯიაშვილი“ (არსენა, 1921), „სურამის ციხე“ (ოსმანალა, 1923), „ნათელა“ (ჯონდო, 1926), „ხანუმა“ (სიკო, 1927) და სხვ.

მხატვრულად გააფორმა ფილმები: „სურამის ციხე“ (1923) და „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1927). მიხ. ჭიაურელის რეჟისორობით გადაღებულია შემდეგი ფილმები: „პირველი კორნეტი სტრეშნევი“ (1928, ე. ძიგანთა ერთად), „საბა“ (1929), „უკანასკნელი საათი“ (1928), „ხაბარდა“ (1931), „უკანასკნელი მასკარადი“ (1934), — ყველა მათგანი ე. წ. მუნჯი ფილმია. არის რეჟისორი პირველი ხმოვანი ფილმისა „არსენა“ (1937, სსრკ სახელმწიფო პრემია 1941), რომელსაც მოჰყვა: „დღადი განთიადი“ (1938, სსრკ სახელმწიფო პრემია — 1941), „გიორგი სააკაძე“ (1942-1946, სსრკ სახელმწიფო პრემია — 1946), „ფიცი“ (1946, სსრკ სახელმწიფო პრემია — 1947, ოქროს მედალი ვენეციის VII საერთაშორისო კინოფესტივალზე — 1946), „ბერლინის დაცემა“ (1949, სსრკ სახელმწიფო პრემია — 1950, დიდი პრიზი კარლოვი-ვარის V საერთაშორისო კინოფესტივალზე — 1950), „დაუვიწყარი 1919 წელი“ (1951, დიდი პრიზი კარლოვი-ვარის VII საერთაშორისო კინოფესტივალზე — 1952), „ოთარაანთ ქვრივი“ (1957), „გენერალი და ზიზილები“ (1964), „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (1965) და სხვ.

მიხეილ ჭიაურელმა ქართულ კინემატოგრაფში დაიმკვიდრა სახელი, რომელსაც დრო ვერაფერს ავნებს. მისი როლები და საშემსრულებლო ტექნიკა, მის მიერ გადაღებული ფილმები და დადგმული სპექტაკლები მსოფლიო ხელოვნების უკვდავ შედევრთა რიცხვს ეკუთვნის.

**ნატო ვაჩაძე — 110** (ნამდვილი სახელი — ნატალია გიორ-

გის ასული ანდრონიკაშვილი; 1904 — 1953, დაიღუპა ავიაკატასტროფის დროს), გამოჩენილი ქართველი კინომსახიობი, საბჭოთა ეკრანის ვარსკვლავი 1920-30-იან წლებში. მისი კარიერის მწვერვალზე საბჭოთა კინომ მას ბრწყინვალება და დიდება მოუტანა. მისი მონაწილეობით გადაღებული ფილმები კინოთეატრებში ანშლაგებით გადიოდა. თავისი გარევნობისა და არტისტულობის წყალობით იგი დამსახურებულად იქცა ქართული კინოს ლგენდად. მისმა პოპულარობამ ქართული კინოსტულია საქაინმრეწვი საბჭოთა კავშირში უდიდესი გახდა.

ნატო ვაჩაძე გარშავაში დაიბადა ძველი არისტოკრატიული ჩამომავლობის მამისა და პოლონელი დედის ოჯახში. მამა — გიორგი ალექსანდრეს ძე ანდრონიკაშვილი ვარშავაში მსახურობდა ოფიციალ, რამდენიმე თვეში ვლადიკავკაზის, თერგის ოლქის უფროსად დანიშნეს, ხოლო 1910 წელს იგი მთელი ოჯახით საქართველოში გადმოვიდა. დედა — ეკატერინე სიმონის ასული სლივიცკაია იყო პოლონელი. დედის ბებია — ვონოლი, იტალიელი მომღერალი, იტალიიდან მოუწვევიათ თბილისში საოპერო თეატრის დაარსების დღოს. თბილისში იგი ცოლად გაპელმეისტერისა და კომპოზიტორ შენინგს. მათი ქალიშვილი — ნატოს დედა — ცოლად შეურთავს სლივიცკის, რომელსაც მამა პოლონელი ჰყავდა, დედა კი — რუსი.

ნატო და მისი უფროსი და სწავლობდნენ თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში, უმცროსი და-ძმა კი — გურჯაანის პირველ დაწყებით სკოლაში. კახეთში ნატომ გაიცნო მერაბ ვაჩაძე, რომელსაც სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების შემდეგ გაჰყვა ცოლად. მერაბ ვაჩაძისგან ნატოს ჰყავდა ვაჟი — თენგიზი (შემდგომ არქიტექტორი გახდა). ნატო და მერაბი მაღლ დაცილდნენ ერთმანეთს. მეორე მეუღლე იყო ცნობილი რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია, რომელთანაც შეებინა ორი ვაჟი — ელდარი და გიორგი.

ნატო აღმოჩინა იმ დროს ცნობილმა რეჟისორმა ამო ბექ-ნაზაროვმა. ნატოს ფოტოსურათი ბექ-ნაზაროვმა ე. წ. „დვარცოვზე“ შიხმანის ფოტოატელიეს ფირნიშზე შეამჩნია. ამო ბექ-ნაზაროვმა შაქრო ბერიშვილი გაგზავნა ნატოს მოსახებნად. შაქრო მეორე რეჟისორის ფუნქციას ასრულებდა და ერთ-ერთი როლის შემსრულებელი იყო ფილმში „მამის მკვლელი“. შაქრო ბერიშვილმა გაიგო ნატოს მისამართი, კითხვა-კითხვით მიაგნო გურჯაანში და ნატო ვაჩაძე დაითანხმა „მამის მკვლელში“ თამაშზე.

ნატო ვაჩნაძემ მეტად დასამახსოვრებელი, ტრაგიკული და საინტერესო სახეები შექმნა ქართულ კინემატოგრაფში. მან მთავარი და წამყვანი როლები განასახიერა შემდევ ფილმებში: „მამის მკვლელი“ (1923, ნუნუ), „არსენა ყაჩაღი“ (1923, ნენო), „სამი სიცოცხლე“ (1924, ესმა), „ვინ არის დამნაშავე“ (1925, ფატი), „ტარიელ მკლავაძის მკვლელობის საქმე“ (1925, დესპინე), „ნათელა“ (1926, ნათელა), „ამოკი“ (1926, ევროპელი ქალი), „გიული“ (1927, გიული), „კრაზანა“ (1928, ჯემა), „უკანასკნელი ჯვაროსნები“ (1933, ციცა), „უკანასკნელი მასკარადი“ (1933, თამარი), „ნარინჯის ველი“ (1933, ნანი), „არსენა“ (1927, ნენო), „სამშობლო“ (1939, ნათელა), „ქალიშვილი ხიდობნიდან“ (1940, გვირისტინე), „ქაჯანა“ (1941, მართა), „ის კიდევ დაბრუნდება“ (1943, მანანა), „აკაკის აკანი“ (1947, ნანი), „ქეთო და კოტე“ (1948), „მწვერვალთა დამპყრობნი“ (1952, ელისაბედი).

ნატო ვაჩნაძის — ქართული კინოს ყველაზე აღიარებული ვარსკვლავის სიცოცხლე ნაადრევად დასრულდა 1953 წლის 14 ივნისს მომხდარი ავიაკატასტროფის დროს.

**ვახტანგ ბერიძე — 100** (1914 — 2000), ქართველი მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1959), პროფესორი (1960). საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1974), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიკოს გ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის დირექტორი (1973-1988), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

1936 წელს დამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის საარქიტექტურო განყოფილება, 1936 წლიდან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. ბერიძის ნაშრომებში განხილულია ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხები ადრინდელი ფეოდალური ხანიდან. მის გამოკვლევაში „სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII-XVI საუკუნეები“ (1955) ასახულია ქართული არქიტექტურის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, ხოლო ნაშრომები „საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა“ (კრებულში არქიტექტურის მნიშვნელოვანი ეტაპი, 1951) და „ქართული საბჭოთა არქიტექტურის ისტორია“ (1955) პირველი ნაბიჯებია ქართული საბჭოთა არქიტექტურის შესწავლის დარგში. ვ. ბერიძის კრიტიკული ხასიათის წერილებში, სტატიებსა და ნარკვევებში განხ-

ილულია თანამედროვე მშენებლობის, ქალაქთა ძველი რაიონების დაცვის, ისტორიული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ეროვნული არქიტექტურის საკითხები.

მოაშადეს მამუკა ცუხიშვილმა და ლაშა კირთაძემ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. XIX ს. ქართული ლიტ. ისტორია, თბ., 1959. გვ. 163 (ავტ. კოლექტ.).
2. ცხოვრება ივანე მაჩაბელისა, ვ. ჭულიძე, თბ., 1956. გვ. 363.
3. ქართული დრამატურგია, თბ., 1967. გვ. 93 (ავტ. კოლექტ.).
4. XX საუკუნის ქართული საბჭოთა ხელოვნება, თბ., 1976. გვ. 81, 189, 215.



## ჩვენი ავტორები

### გიორგი ბიძინას ძე გოგოლაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ენათმეცნიერი; ავტორია მონოგრაფიებისა: ქართული ზმინის უღლილების სისტემა (1988), ქართული სალიტერატურო ენა (ისტორია და თანამედროვეობა), (2009), ბეჭდი ქართული ენისა ათასწლეულთა მიჯნასთან (2009), ქართული ზმა (2010), იაკობ გოგებაშვილის ღვრული და ცხოვრების გზა (2011) და სხვ.; 300-ზე მეტი სამეცნიერო და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაშრომისა.

### თემიშერაზ ივანეს ძე ფაჯიძიძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რელიგიათმცოდნე; ავტორია მონოგრაფიებისა: ბიბლია გუშინ, დღეს... (1982), რელიგიურ რწმენათა კვალდა კვალ (1986), მუჭამედი, ისლამი, გაჰაბიზმი და საქართველოს პრობლემები (1999), რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე (2003), ბაჰაი — ახალი შეოფლიო რელიგია? (2010) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

### თიდეთინ ვლადიმერის ასული იველაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1979–2006 წლებში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერთანამშრომლად, 1992 წლიდან დღემდე ახალიციხის სასწავლო უნივერსიტეტში მუშაობს. 2000 წელს დაჯილდოვდა ლირსების ორდენით. გამოქვეყნებული აქვს 12 მონოგრაფია და 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატია ქართულ, რუსულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე. მისი კვლევის სფეროა: ეთნო-სოციალური და ეთნო-რელიგიური საკითხები.

### მაშეპა ავთაძლის ძე ცუხიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; ავტორია მონოგრაფიებისა: დღევანდველი და ქართული ფოლკლორი (2005), ქალის სახე ქართულ ფოლკლორში (2006), ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საგანმური (2006), ლეო კვაჭაძე — ქართული ენის ამაგდარი (2008), ჩემი პატრიარქი (2009) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

### გვარეთი გაეტანის ასული კოკლატაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბიზანტინისტი; ავტორია მონოგრაფიებისა: ლიტერატურისტულების ისტორია (1986), ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (მეტუთე გამოცემა, 2012), ცხოვრება და მოქალაქეობა წმ. ილია მართლისა (2006) და სხვ.; მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა; ძვ. ბერძნულიდან თარგმნილი აქვს სამი ბიბლიური წიგნი და რამდენიმე პატრისტიკული თხზულება.

### გულგაათ ვიქტორის ძე რცხილაძე

პოლიტოლოგი და გერმანისტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტის დამთავრების (1995 წ.) შემდეგ ჯერ სტაფორდ, შემდგომ — საერთაშორისო საკითხების რეფერენტულ მუშაობდა ქვეყნის პრეზიდენტის აპარატში, აგრეთვე, ახორციელებდა პრეზიდენტის თარჯიმნის ფუნქციებს (2003 წლამდე). 2009 წელს დააარსა ანალიტიკური ცენტრი „ევრაზიანის ინსტიტუტი“. არის ავტორი მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიისა რუსულ-ქართული ურთიერთობების, პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების, საერთაშორისო პოლიტიკის თემებზე. გამოსცა 2 მონოგრაფია.

### ზოთა ვაშას ძე აჭხაძე

საერთაშორისო სამართლის მაგისტრი, ევრაზიანის ინსტიტუტის პრეპიტების მენეჯერი, სააკადემიურის რეჟიმის პოლიტპატიმარი (2010–2013). ბოლო პუბლიკაციები: «В Грузии на военных базах западные инструкторы готовят террористов», (2010); «Лингвистическая оккупация Грузии» (2010); «По обе стороны кавказского хребта: обзор грузино-кавказских отношений» (2013); «От Великой отечественной войны до августовской войны – политика Запада не меняется» (2013); «Влияние религиозных сект на внутри- и внешнеполитические векторы Грузии» (2013).

### ბონდო გალერიანის ძე არველაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არმენოლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში (2010).

ველოში? (1996), ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; ქართული ეკლესიის მისაკუთრება სომხეთში მეცნიერების მიერ გრძელდება (2001); როცა უდავო სადაც ხდება (2007); ქანი კვლავ დაღადებენ (2005) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

### **გრიგოლ იიკოლოზის ემ რუსები**

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პატროლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის (2000), მსოფლიო საეკლესიო კრებები/დოგმატური ღმრთისმეტყველება (მესამე გამოცემა, 2008), საღმრთოსმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი (2010) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

### **ვალერიან გიორგის ემ გაჭარამა (1920-2000)**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ავტორია ნაშრომებისა: იასე ცინცაძე“ (1990), „მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ (4 ტომად, 1968-2007 წწ.), „ასანიძის ბრძოლა“ (1957), „რუმინეთის სახალხო რესუბლიკა“ (1962), „ბესიკი დაპლომატიურ სარბიელზე“ (1968), „გოორგი ლეონიძე და რუმინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა“ (1976).

Научно-общественный журнал  
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №1 (11), 2014  
(на грузинском языке)

### **РЕЗЮМЕ**

**ГИОРГИЙ ГОГОЛАШВИЛИ  
ОСТОРОЖНО, КЛАССИКА!  
(или атака на классическое литературное наследие)**

В последний период участились «переводы» на новый грузинский язык классического литературного наследия – древних грузинских литературных памятников. Целью «переводчиков» является облегчить читателю понимание текста! Так были «переведены» «Мученичество Шушаник» Иакоба Хуцеси, «Мученичество Або» Иоане Сабаниძэ, «Житие Григола Ханцтели» Гиорги Мерчule и другие агиографические сочинения. Было издано несколько прозаических версий «Витяза в тигровой шкуре» Шота Руставели; «перевели» басни Сулхан-Саба Орбелиани. Издания, в основном, предназначены для абитуриентов... Такое отношение к памятникам старого грузинского языка является осквернением наследия грузинской классической литературы и должно быть пресечено.

### **ТЕЙМУРАЗ ПАНДЖИКИДЗЕ ВРЕМЯ КРУШЕНИЯ И БЕЗРАССУДСТВА**

В статье речь идет о том, как горереформаторы упразднили кафедру религиоведения и этики в Тбилисском Государственном Университете; как на факультете философии разгромили, созданные большими стараниями и рвением, специальности теологии и религиоведения, какие плачевые последствия имели их неразумные действия.

### **ТИНА ИВЕЛАШВИЛИ ПРЕСТУПЛЕНИЕ ВЕКА**

Глобалистические силы и их главари очень хорошо знают, что в процессе осуществления контроля над обществом главная и

важнейшая роль принадлежит Церкви. Поэтому всячески пытаются скомпрометировать в глазах верующих ее репутацию. Можно сказать, что игнорируя мнение Церкви и народа, принятые Правительствами Грузии законы и постановления (правовое уравнение с православием различных конфессий и сектов, их финансирование из бюджета и др.) – это тяжелейший преступный поход против грузинской души, грузинской религиозной веры – Православия. Они забывают или не хотят видеть то реальное обстоятельство, что гарантом золотого века Давида Строителя было именно возведение Православия в ранг государственной идеологии. После принятия христианства и провозглашения ее государственной религией, даже в период тяжелейших испытаний, церковь всегда стояла на должной высоте, ибо представляла не только веру, но и идеологию страны.

Как видим, организаторы «нового устройства мира» и «создания нового человека», используя существующие в стране различные конфессии, на уровне официоза достигли подрыва и умаления православной церкви – могучего защитника грузинской государственности и, соответственно, национальных интересов грузинского народа. А это можно считать величайшим преступлением века, совершенным против собственной страны управляемым извне грузинскими властями.

### **МАМУКА ЦУХИШВИЛИ ДЕЛО ГРУЗИНСКИХ ПАТРИОТОВ ТРЕБУЕТ ПРОДОЛЖАТЕЛЯ**

В статье, на основе литературно-публистических произведений известных грузинских писателей и общественных деятелей – св.Илия Праведного (Чавчавадзе), Акаки Церетели, Николоза Бараташвили и Иакоба Гогебашвили – расмотрен вопрос о взаимоотношении Грузии с Россией и показано, что они однозначно поддерживали росийско-грузинские тесные взаимоотношения и открыто выражали признательность по отношению к большому соседу.

### **ГВАНЦА КОПЛАТАДЗЕ АТАБАГСТВО САМЦХЕ-ДЖАВАХЕТИ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА**

Причину удаления южной Грузии, исторической Самцхе-Джавахети от родины и ее превращения в ахалцихский пашалык, прежде всего, следует искать в грехах предков, в частности, честолюбии и изменах. Царь Эрекле в известный трактат, согласно которому, Картли-Кахетинское царство являлось подданным Российской Православной Империи, одним из пунктов внес пункт, предусматривающий усилия со стороны Российской империи, направленные на возвращении потерянных грузинских краев. В статье, на основе анализа исторических фактов, представлена реальная картина попыток Российской Империи по возвращении Самцхе-Джавахети, которые под конец увенчались успехом. Однако честолюбие и измена и на сей раз проявились, что, естественно, причинило вред общему национальному делу, последствия которого по сей день пожинает Грузия.

### **ГУЛБААТ РЦХИЛАДЗЕ ПОЧЕМУ ЗАПАД ПРОТИВИТСЯ ОТДЕЛЕНИЮ КРЫМА ОТ УКРАИНЫ?**

Запад ссорится с Россией и вводит против нее санкции из-за Крыма (чего не сделал из-за Грузии). Но почему Запад поступает так, вместо того, чтобы пожертвовать Крымом в качестве компенсации для России из-за намечаемой «вестернизации» Украины? Неужели Крым имеет для запада настолько важное геостратегическое значение? – задается вопросом автор статьи, на что он же отвечает: Крым так важен для Запада не столько географически, а как прецедент. **Россия, оказавшая помочь населению Крыма, оставляет за собой право вмешиваться в процессы и в других областях Украины, например в Донбассе (восток страны), а без Донбасса Украина обречена на экономический крах.** Крым может стать примером для остальных регионов Украины – вне всяких сомнений, полуостров станет приоритетным регионом России, куда будут перекачиваться большие средства из центрального бюджета, в то время как на Украине фактом будет жесткая экономия и перманентный упадок экономики.

Кроме того, автор сравнивает прецедент Крыма с примером Абхазии и «Южной Осетии». Главное отличие состоит в том, что в Крыму участие в референдуме могли принять все жители полуострова, в то время как в Абхазии и «Южной Осетии» на аналогичных референдумах мнения у коренных жителей грузинского происхождения (многочисленных беженцев) никто не спрашивал, «волеизъявление народа» прошло без их участия. Поэтому, заключает автор, «у крымского референдума есть куда более высокая степень легитимности, чем у абхазо-осетинского».

**ШОТА АПХАИДЗЕ  
РЕЦЕНЗИЯ КАК ИЗБЕЖАТЬ В ГРУЗИИ  
«УКРАИНСКИЙ МАЙДАН»**

Последние события на Украине ясно показали, что Запад, под лидерством Америки, действует с четко сформулированной и неизменной стратегией, для расширения ареала своего геополитического влияния. Автор статьи анализирует возможное развитие политических процессов в Грузии после «майдана». Эта тема актуальна, так как бывшая правящая партия «Единое национальное движение» не скрывает своего воодушевления фактом свержения законной власти Украины и пытается создать условия для импорта в Грузию «майданных» настроений.

Одним из главных условий для упрочения демократии и стабильного развития Грузии, чтобы исключить успешную попытку ЕНД вернуться к власти, автор считает политическое сближение Грузии с Россией.

**БОНДО АРВЕЛАДЗЕ  
ПО ПОВОДУ ЭПИТАФИИ КАТАЛИКОСА ДОМЕНТИ III**

В соборе Светицховели погребен католикос восточной Грузии Доменти III (+1676), на могильной плите которого размещена эпитафия на грузинском языке, где армянским алфавитом высечена только дата смерти. По мнению автора, это, конечно, является единичным

случаем, единственным исключением и сделанные на основе этого обобщенные выводы грузиноведа П.Мурадяна о наличии в XVII веке во Мцхете армянского населения, лишены всякого основания.

**ГРИГОЛ РУХАДЗЕ  
РЕЛИГИОЗНАЯ ОЦЕНКА КОНТРАЦЕПЦИИ,  
АБОРТА И СУРРОГАЦИИ**

По мнению автора, согласно христианскому учению и каноники аборт и все противозачаточные средства, как и все методы искусственного оплодотворения человека являются неприемлемыми и аморальными.

## SUMMARY

GIORGİ GOGOLASHVILI  
**CAREFULLY, IT IS CLASSICS!**  
 (Or Attack on Classical Literary Heritage)

Recently, numerous ancient Georgian literary monuments of classical literary heritage have been “translated” into the new Georgian language. The purpose of the “translators” is to make it easier for readers to understand the transcripts. *The Martyrdom of the Holy Queen Shushanik* by Iakob Khutsesi, *The Martyrdom of Abo Tbileli* by Ioane Sabanisdze, *The Vita of Grigol Khandzeli* by Giorgi Merchule and other hagiographic writings were translated this way. Several prosaic versions of *The Knight in the Panther's Skin* by Shota Rustaveli were published. The Fables by Sulkhan-Saba Orbeliani were also “translated.” These Publications are mainly intended for students. Such approach to the monuments of the old Georgian heritage is a desecration of Georgian classical literature and must be stopped.

TEIMURAZ PANJIKIDZE  
**THE TIME THE COLLAPSE AND RECKLESSNESS**

The article discusses how some reformers have eliminated the department of Religious Studies and Ethics at the Tbilisi State University. The author criticizes how the specialties of Theology and Religious Studies (Department of Philosophy) created by great diligence and enthusiasm have been destroyed. He fears that these unreasonable actions will have dire consequences.

TINA IVELASHVILI  
**CRIME OF THE CENTURY**

Globalist forces and their leaders know very well that the church holds the main and most important role in the process of social control. There-

## SUMMARY

fore, they are trying to discredit the reputation of the church in the eyes of the faithful. One can say that adopting laws and regulations by Georgian governments (legal equalization of different denominations and sects with Orthodoxy, their funding from the budget, etc.) without considering any viewpoint of the church and the people, is an inconceivable criminal campaign against the soul the Georgian faith - Orthodoxy. They forget or do not want to see the reality that guaranteed David the Builder's golden age - erection of orthodoxy to the level of State ideology. After the adoption of Christianity and its proclamation as a state religion, even during the hardest times, the church always was exemplary as it represented not only the faith, but also the ideology of the country.

Utilizing the existing religious groups, the organizers of the “new world order” and “the new man” have succeeded in undermining and diminishing the Orthodox Church, a powerful defender of Georgian statehood according to national interests of the Georgian people. One should consider this as the greatest crime of the century against its own country committed by the Georgian authorities controlled by outside forces.

MAMUKA TSUKHISHVILI  
**THE WORK OF GEORGIAN PATRIOTS NEEDS SUCCESSORS**

The article is based on the literary and journalistic works of famous Georgian writers and public figures - Saint Ilia the Righteous (Chavchavadze), Akaki Tsereteli, Nikoloz Baratashvili and Iakob Gogebashvili. It examines the issue of the relationship between Russia and Georgia. The article demonstrates that these writers and public figures clearly supported close relationship between Russia and Georgia and openly expressed gratitude towards the big neighbor.

GVANTSA KOPLATADZE  
**SAMTSKHE-JAVAKHETI PRINCIPALITY IN THE FIRST HALF OF THE 19TH CENTURY**

The reason for separating Samtskhe-Javakheti from the historical homeland of southern Georgia, and of its transformation into Akhaltsikhe province is partly due to the sins of their ancestors, their ambition and their treachery. In much known Treaty of King Erekle, according to

which Kartli and Kakheti kingdoms became subjects of the Russian Orthodox Empire, one of the requests was to aid Georgia in regaining its lost territories. The article presents evidence based on the analysis of historical facts that demonstrates the Russian Empire's attempts to return the Samtskhe-Javakheti region to Georgia; however, just like in the past, ambition and high treason emerged this time as well. This harmed the country so severely that even nowadays Georgia is still paying for it.

**GULBAAT RTSKHILADZE  
WHY THE WEST OPPOSES THE SECESSION  
OF THE CRIMEAN PENINSULA FROM UKRAINE**

The West opposes Russia and imposes sanctions against Russia because of Crimea (which it did not do for Georgia). The author raises a question: Why wouldn't the West sacrifice Crimea as compensation to Russia in exchange of planned "Westernization" of Ukraine? Does Crimea have such an important geo strategic value to the West? In the author's opinion: No. Crimea is important for the West not so much geographically, it is important because it sets a precedent.

Russia is assisting the population of Crimea and reserves the right to interfere in various processes in other parts of Ukraine, for example, in Donbas (Eastern part of the country). Ukraine is doomed for an economic collapse without Donbas. Crimea can become an example for the other regions of Ukraine. The peninsula, without a doubt, will become a prioritized region to Russia, where it will start transferring large amounts of resources from the central budget. However, in Ukraine, hardship and a constantly declining economy will still be taking place.

In addition, the author compares the precedent of Crimea to the ones in Abkhazia and South Ossetia. In the author's opinion, the main difference is that, in Crimea, all the people of the peninsula were able to participate in the referendum. During a similar referendum in Abkhazia, as well as in Samachablo (South Ossetia) nobody asked the opinion of the native Georgian people including numerous refugees. The demonstration of "the will of the people" took place without their participation. Therefore, the author concludes that the Crimean referendum has a higher standing of legitimacy than the Abkhazian and Ossetian referendums.

**SHOTA APKHAIDZE  
HOW TO AVOID EUROMAIDAN IN GEORGIA**

The recent events in Ukraine have made it clear that the West, under the leadership of America, operates with a consistent strategy of expanding the area of its geopolitical influence. The author fears a possible development of political processes in Georgia similar to the Euromaidan. Euromaidan was a wave of demonstrations, civil unrest and revolution in Ukraine. It began on November 21, 2013 with public protests demanding a closer European integration. This issue is real. The former party in power "United National Movement" admires the toppling of the legitimate government of Ukraine and tries to create similar conditions for Maidan in Georgia.

The author considers political intimacy with Russia as one of the main conditions for solid democracy and stable progress of Georgia. It will prevent the return of the National Movement to a position of authority.

**BONDO ARVELADZE  
REGARDING THE EPITAPH OF CATHOLICOS DOMENTI III**

Catholicos of Eastern Georgia Domenti III (1676) is buried in Svetitskhoveli Cathedral. His tombstone has an epitaph etched in the Georgian language. The tombstone bears the date of his death in the Armenian alphabet. According to the author, it certainly is an isolated case and. He argues that the generalized conclusions by Kartvelologist P. Muradyan that Mtskheta was populated by Armenian people in the 17th century based just on single exception is devoid of any foundation.

Kartvelologist P. Muradyan alleges that Mtskheta was populated by Armenian people in the 17th century; however, this is based on a generalized conclusion of a single exception, devoid of any foundation.

**GRIGOL RUKHADZE  
RELIGIOUS ASSESSMENT OF CONTRACEPTION,  
ABORTION AND SURROGACY**

In the author's opinion, according to Christian teachings and canons, abortion and contraception, like all methods of artificial insemination are unacceptable and immoral.

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი  
„სამი საუნჯე“ №1(11), 2014

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“  
სამტრედია, დავით აღმაშენებლის ქ. № 409.  
ელ. ფოსტა: samisaunje@sinergia.ge  
ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23



Научно-общественный журнал  
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №1(11), 2014  
(на грузинском языке)



Scientific and Social Journal  
“SAMI SAUNJE” (Three Treasures) №1(11), 2014  
(in Georgian)



პატივცემულო მკითხველებო, გთხოვთ გაითვალისწინოთ,  
ყოველი გამოწერილი ნომერი ჟურნალის  
თანადგომასა და სამი საუნჯის დაცვას ნიშნავს.

ჟურნალზე ხელმოსაწერად დაუკავშირდით  
გამავრცელებელ სააგენტოებს —  
თბილისში: „მაცნე“, 214-74-22; „ელვა.ჯი“, 238-26-73(74);  
აგრეთვე შეგიძლიათ თანხა (7 ან 14 ლ.)  
ჩარიცხოთ შპს „სამი საუნჯის“ ანგარიშზე:  
TBCBGE 22, GE18 TB79 6263 6060 1000 01  
და ჟურნალი ოქვენს მისამართზე მოგეწოდებათ;  
ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და  
რაიონების ფილიალებს დაუკავშირდეთ ჩვენს ვებ-გვერდზე  
მითითებული ნომრების საშუალებით.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 03.04.2014. ტირაჟი 300.

---

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდანის“ სტამბაში.  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 47.

## უერმწერთა საფურალდებოდ

### «ბპპპის ხილვა»

ქ. «სამი საუნჯე» აცნადებს კინკურსს ფერწერული ნამუშევრისთვის, რომელიც აკაკი წერეთლის ჩეკნებას ახასიაჲს: «მოსხიუცისკარე სამოხით გაბრწყინებულ ტატბზე იჯდა ქრისტე, იმისკენ მიისწრაფეოდა ხალხიც. წინ მიუძღვოდა მათ ორი გვირგვინობანი: მეფე დიმიტრი თავდადებული და დიდი თავადი დიმიტრი დონიელი. იმათ აეღოთ ჯვარი ორივ მხრით და მასქონდათ, რომ დაეხსათ ქრისტეს ტახტის წინ და გაემაგრუბინათ. იმათ მოსდევთ ჯარი, ერთის მხრით რუსის და მეორეთი ქართველები. „უფალი ჩემდა და მაცხოვარ ჩემი, ვისა მეშინდეს მე? უფალი მხსნელი ცხოვრებისა ჩემისა და ვისდა კერძალოდე მე?“ გალობდნენ რუსები. — „აღსდევინ დმერთი და განიბნონენ ჭოველნი მტერნი მისი პირისაგან ქვეწისა“, — ქმატებილებიან ქართველები და სმა უხილავი ბანს აძლევს მაღლიდამ. საკვირველია, რომ სხვადასხვა ენაზე გაღობდნენ, სხვადასხვა კილოთი და პარმონია კი ერთია: ციური და მომხიბლავი! ქრისტე თანასწორად აკურთხებს ორივეს».

გამ. «დოროვა», 20.04.1877.

გამარჯვებული ნამუშევრისთვის დაწესებულია  
ჯილდო 300-დან 500 ლარამდე ოდენობით  
ნახატის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2014 წლის 20 ივნისი.